

მეფე მათიუმ პირველი

ექიმმა თქვა, მეფე სამ დღეში თუ არ გამომჯობინდა, ძალიან ცუდი ამბავი მოხდება.

აი, როგორ თქვა ექიმმა:

- მეფე მძიმედ არის ავად და სამ დღეში თუ არ გამომჯობინდა, ცუდი ამბავი მოხდება.

ყველანი დანადგლიანდნენ. უფროსმა მინისტრმა თვალეზე სათვალე წამოიცვა და იკითხა:

- მაინც რა მოხდება, თუ მეფე არ გამომჯობინდა?

ექიმს არ უნდოდა, პირდაპირ ეთქვა, აი, ეს მოხდება, მაგრამ მაინც ყველა მიხვდა, რომ მეფე მოკვდებოდა.

დაძმარებულ-დამწუსრებულმა უფროსმა მინისტრმა სასწრაფოდ თათბირი მოიწვია.

მინისტრებმა დიდ დარბაზში მოიყარეს თავი და გრძელი მაგიდის გარშემო შემოწყობილ სავარძლებში ჩასხდნენ. ცხვირწინ ქალაღდი და ორი ფანქარი ედოთ; ერთი ფანქარი ჩვეულებრივი იყო, მეორე კი ისეთი, ნახევარი ლურჯი რომ არის და ნახევარი - წითელი. უფროსი მინისტრის წინ ზარიც იდო.

მინისტრებმა კარი გასაღებით ჩაკეტეს, ხელი არავინ შეგვიშალოსო, მერე სინათლე აანთეს, დასხდნენ და ჩუმად ისხდნენ, ხმას არ იღებდნენ.

ბოლოს უფროსმა მინისტრმა ზარი დააწკარუნა და თქვა:

- ახლა უნდა მოვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ: ყველამ იცის, რომ მეფე ავად არის და ქვეყნის მართვა აღარ შეუძლია.

- ჩემი აზრით, ექიმი უნდა მოვიყვანოთ, რომ გარკვევით გვითხრას, მორჩება მეფე თუ არ მორჩება, - შესთავაზა სამხედრო მინისტრმა.

მინისტრებს ძალიან ეშინოდათ სამხედრო მინისტრისა და ყველაფერს უჯერებდნენ. დაუჯერებდნენ, მაშ რა იქნებოდა, სულ ხმლითა და რევოლვერით დადიოდა.

- კარგი, მოვიყვანოთ ექიმი, - დაეთანხმნენ მინისტრები და მაშინვე კაცი აფრინეს ექიმთან, მაგრამ ექიმი აბა როგორ მოვიდოდა, სწორედ იმ წუთს მეფისთვის ოცდაათხი კოტომი უნდა დაესვა.

- მეტი რა გზაა, უნდა დაველოდოთ, - ბრძანა უფროსმა მინისტრმა, - ვიდრე ექიმი მოვიდოდეს, მოიფიქრეთ და თქვით, როგორ მოვიქცეთ, თუ მეფე მოკვდება.

- მე ვიცი, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა. - კანონით, მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ადის მისი უფროსი ვაჟიშვილი, ამიტომაც ეძახიან მას ტახტის მემკვიდრეს. თუ ჩვენი მეფე მოკვდება, ტახტზე დაჯდება მისი უფროსი ვაჟიშვილი.

- მეფეს რომ მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი ჰყავს?

- მეტი არც არის საჭირო.

- კარგი, მაგრამ მეფის ვაჟიშვილი ხომ პატრა მათიუშია! იმან როგორ უნდა იმეფოს, ჯერ წერაც არ იცის!

- რას ვიზამთ, - უპასუხა იუსტიციის მინისტრმა. - ჩვენს სახელმწიფოში ამნაირი ამბავი ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ესპანეთში, ბელგიასა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში ყოფილა შემთხვევა, როცა მეფე მოკვდარა, ტახტის მემკვიდრედ მცირეწლოვანი შვილი დარჩენია და სწორედ ეს ყმაწვილი გამეფებულა.

- მართალია, - დაუდასტურა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა. - საფოსტო მარკებიც კი მინახავს, რომლებზედაც ასეთი პატრა მეფის სურათებია გამოხატული.

- მაგრამ, ბატონებო, ხომ არ შეიძლება, რომ მეფემ არც წერა იცოდეს და არც ანგარიში, არც გეოგრაფია და არც გრამატიკა! - შეიცხადა განათლების მინისტრმა.

- მეც ასე ვფიქრობ, - მხარი აუბა ფინანსთა მინისტრმა. - როგორ უნდა იანგარიშოს, როგორ უნდა ბრძანოს, ამდენი და ამდენი ფული მოჭერთო, თუ გამრავლების ტაბულა არ ეცოდინება?

- ყველაზე სამწუხარო კი მაინც ის არის, რომ ასეთი პატარა მეფისა არავის შეეშინდება,- შეფიქრიანდა სამხედრო მინისტრი. - ხელში როგორ უნდა დაიჭიროს ჯარისკაცები და გენერლები?

- მე მგონი, ჯარისკაცებს კი არა, ასეთი ერთი ბეწო მეფისა არავისაც არ შეეშინდება, - დაეთანხმა სამხედრო მინისტრს შინაგან საქმეთა მინისტრი, - სულ გაუთავებელი გაფიცვები და აჯანყებები იქნება ჩვენს ქვეყანაში. იცოდეთ, კარგს არაფერს მოელოდეთ, თუ მათიუში დასვით მეფედ.

- მე არ ვიცი, მაშინ რა მოხდება, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ, კანონის ძალით, მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზე უნდა ავიდეს ძე მეფისა! - გაიმეორა სიბრაზისაგან ერთიანად აჭარხლებულმა იუსტიციის მინისტრმა.

- მაგრამ მათიუში ხომ ძალიან პატარაა! - ერთხმად იყვირეს მინისტრებმა.

აღბათ საშინელი ჩხუბიც ატყდებოდა, ამდროს დარბაზში უცხოეთის ელჩი რომ არ შემოსულიყო.

შეიძლება გაგიკვირდეთ კიდევ, მინისტრებს კარი გასადებით ჰქონდათ დაკეტილი და უცხოეთის ელჩი დარბაზში როგორ შევიდაო, მაგრამ აი რა უნდა გითხრათ: ექიმის მოსაყვანად კაცი რომ აფრინეს, კარის ჩაკეტვა დაავიწყდათ. ზოგიერთები შემდეგში იმასაც ამბობდნენ, აშკარა ღალატი იყო, იუსტიციის მინისტრმა იცოდა, რომ უცხოეთის ელჩი უნდა მოსულიყო, და კარი ღია განგებ დატოვაო.

- საღამო მშვიდობისა! - მიესალმა ელჩი მინისტრებს. - მე აქ ჩემი მეფის სახელით გეახელით და მოვითხოვ მათიუშ პირველის გამეფებას, ხოლო თუ თქვენ ამას არ ინებებთ, ომი არ აგცდებათ.

უფროს მინისტრს ძალიან შეეშინდა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ იმას სულაც არაფერი ესაქმებოდა და არც არავინ არაფერს ეკითხებოდა, თან ფურცელზე ლურჯი ფანქრით დაწერა კარგი, იყოს ომი! - და უცხოეთის ელჩს გადასცა.

ელჩმა ფურცელი გამოართვა, თავი დაუკრა და თქვა:

- კეთილი, მე ამას ჩემს მთავრობას ვაუწყებ.

სწორედ ამდროს დარბაზში ექიმი შემოვიდა და მინისტრები მაშინვე მას მიუბრუნდნენ, შეეხვეწნენ, მეფე გადაარჩინე, თორემ ომი და უბედურება არ აგვცდება, თუ მოკვდაო.

- რაც კი წამალი ვიცოდი, ყველაფერი დავაღვივინე, კოტოშებიც დავაყარე, მეტი არაფერი ძალმიძს. თუ გნებათ, სხვა ექიმებიც მოიწვიეთ.

მინისტრებმა ყურად იღეს რჩევა და ყველა განთქმული მკურნალი მოიწვიეს, რომ მეფის გადასარჩენად ერთად ეღონათ რამე.

ექიმების მოსაყვანად ქალაქში სამეფო ავტომანქანები დაგზავნეს, თვითონ კი მეფის მზარეულს სთხოვეს ვახშამი მოგვართვიო. მინისტრები დამშეულები იყვნენ: მათ არ იცოდნენ, თათბირი ას ედიდხანს თუ გაგრძელდებოდა, ჰოდა, შინიდან უსადილონი წამოსულიყვნენ.

რადგანაც მზარეულს ძალიან უნდოდა, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგაც სასახლეში დარჩენილიყო, ადგა და მინისტრებს ვერცხლის თევშები ჩამოურიგა, საუკეთესო ღვინოც მიართვა.

დასხდნენ მინისტრები, ერთი გულიანად შექეიფიანდნენ და მოიმხიარულეს. ამასობაში კი ექიმებმაც მოიყარეს თავი.

- მე ვფიქრობ, მეფეს აუცილებლად უნდა გაეუკეთოთ ოპერაცია, - თქვა მოხუცმა წვერიანმა ექიმმა.

- მე კი ვფიქრობ, რომ მეფეს ცხელი კომპრესი და ყელის ამორეცხვა ესაჭიროება, - შეედავა მეორე ექიმი.

- ფხვნილებია ერთადერთი წამალი, რომელიც მეფეს მოარჩენს, - ბრძანა ცნობილმა პროფესორმა.

- წვეთები ხომ არ აჯობებდა? - გაუბედავად ამოიღულულა ახლა სხვა ექიმმა.

ყველას თავიანთი სქელ-სქელი წიგნები მოეტანა და ერთმანეთს უჩვენებდნენ, ჩემს წიგნში ამისთანა ავადმყოფობაზე სხვანაირი მკურნალობა წერიაო.

უკვე შუაღამე იყო გადასული და მინისტრებს ძილისთვის თავი უკვდებოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, უნდა მოეცადათ, სანამ ექიმები რამეს იტყოდნენ. სასახლეში ისეთი ღრიანცელი იდგა, პატარა უფლისწულს, ტახტის მემკვიდრეს, მათიუშს, ორჯერ გამოეღვიძა.

‘ერთი უნდა ვნახო, რა ხდებაო’, - გაიფიქრა, ადგა, ხელად ჩაიცვა და დერეფანში გამოვიდა.

სასადილო დარბაზის კართან რომ მივიდა, შეჩერდა, მაგრამ არ გეგონოთ, ჩუმად ყურისგდება უნდოდა, არა! სასახლეში კარს იმ სიმაღლეზე ჰქონდა სახელურები, მათიუში ვერ სწვდებოდა, რომ გაეღო.

- კარგი ღვინო აქვს მეფეს! - ღრიალებდა ფინანსთა მინისტრი. - კიდევ შევსვათ, ბატონებო! თუ მათიუში გამეფდა, ღვინო მაინც არ დასჭირდება, ბავშვებს ღვინო არ ესმებათ.

- არც სიგარები უნდა მოსწიონ, მაშ, შეგვიძლია, ცოტაოდენი შინაც წავიღოთ! - ყვიროდა ვაჭრობის მინისტრი.

- ომი თუ დაიწყო, ბატონებო, მე თქვენ გარწმუნებთ, ამ სასახლიდან ქვა ქვაზე არ დარჩება, მათიუში ხომ ვერ დაგვიცავს!

ყველამ ერთი სიცილ-ხარხარი და ყვირილი ატეხა:

- გაუმარჯოს ჩვენს ქომაგსა და დამცველს, გაუმარჯოს დიდ მეფეს მათიუში პირველს.

მათიუშს ვერ გაეგო, რას ლაპარაკობდნენ. ის კი იცოდა, რომ მამა ავად იყო და მინისტრები წარამარა თათბირობდნენ, მაგრამ მათიუშს რატომ დასცინოდნენ და ‘მეფეს’ რატომ ეძახდნენ ან რა ომს ახსენებდნენ, ამას ვერ მიმხვდარიყო.

ნამძინარევი და შეშინებული მათიუში დერეფანს გაუყვა. სხდომათა დარბაზიდან სულ სხვა საუბარი შემოესმა:

- მე კი შეუბნებით, რომ მეფე მოკვდება. რამდენი წამალიც გინდათ, იმდენი დაალევინეთ მაინც არაფერი ეშველება. თავს მოვიჭრი, თუ ერთ კვირაზე მეტი იცოცხლა.

მათიუშს ყური აღარ დაუგდია. მაშინვე გაიქცა, სირბილით გასცდა ორ დიდ ოთახს და აქოშინებული შევარდა მეფის საძინებელ ოთახში.

მეფე გაფითრებული იწვა, მძიმედ სუნთქავდა. საწოლთან მათიუშის მკურნალი მოხუცი კეთილი ექიმი იჯდა.

- მამა, მამა, - გული ამოუჯდა მათიუშს. - არ მოკვდე, მამა! არ მინდა, რომ მოკვდე, მამა!

მეფემ თვალი გაახილა და ნაღვლიანად შეხედა ბიჭს.

- არც მე მინდა სიკვდილი, შვილო, - უთხრა წყნარად, - არ მინდა, მარტო დაგტოვო ამ წუთისოფლად.

ექიმმა მუხლებზე დაისვა მათიუში და ყველანი გაჩუმდნენ, სიტყვა აღარავის უთქვამს.

მათიუშს გაახსენდა, რომ ერთხელ ასე უკვე იჯდა საწოლთან. მაშინ მამას ეჯდა მუხლებზე, საწოლში კი დედა იწვა. დედაც ასე იყო გაფითრებული, ასევე მძიმედ სუნთქავდა.

“მაშინ დედა მოკვდა, ახლა მამაც მოკვდება“, - გაიფიქრა და საშინელი ნაღველი ლოდივით დააწვა გულზე. მერე კი, როცა გაახსენდა, როგორ დასცინოდნენ მინისტრები მას და მის მომაკვდავ მამას, წყენა-რისხვისაგან სუნთქვა შეეკრა, გულში გაივლო: ‘დამაცადონ, ვუჩვენებ სეირს, მეფე რომ გავხდები!’“

ღირსეულად, დიდი პატივით დაკრძალეს მეფე. ფარნებს შავი კრეპი ჰქონდა შემოვლებული. ზარებს რეკავდნენ. ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავდა. მიაცილებდნენ ზარბაზნები, მიჰყვებოდა ჯარი. ცხელი ქვეყნიებიდან მატარებლებით ეზიდებოდნენ ყვავილებს. ყველანი დადონებულები იყვნენ. გაზეთები წერდა, მთელი ხალხი დასტირისო საყვარელ მეფეს.

მათიუში დარდიანი იჯდა თავის ოთახში, გამეფება სულ არ უხაროდა. ან როგორ გაუხარდებოდა, ამქვეყნად მარტო მამა ჰყავდა და ისიც მოუკვდა, ახლა მთელ ქვეყნიერებაზე ახლობელი აღარავინ დარჩა.

მათიუშს დედა ახსოვდა, სწორედ მან დაარქვა შვილს ეს სახელი. დედა დედოფალი იყო, მაგრამ გულზვიადი ამაყი არ ყოფილა. ხშირად ეთმაშებოდა მათიუშს, ზღაპრებსაც უყვებოდა, სურათებიან წიგნებსაც უჩვენებდა, სახლებსაც ერთად აშენებდნენ კუბურებით. მამა უფრო იშვიათად იცლიდა მათიუშისათვის - ხან ჯარს ათვალიერებდა, ხან სტუმრად იყო წასული, ხან თვითონ იღებდა სტუმრად სხვა ქვეყნის მეფეებს, ხან კი თათბირზე იჯდა.

მაგრამ ზოგჯერ მეფეც გამონახავდა ხოლმე დროს, რომ მათიუშთან კვლევი ეთამაშა ან ბაღში გაესეირნათ. შეჯდებოდა ცხენზე, მათიუშს პონიზე შესვამდა და ასე სეირნობდნენ დიდ სამეფო ბაღში. ახლა? ახლა რა უნდა ქნას მათიუშმა? დღენიადაც ამ გულის გამაწვრილებელ უცხოელ აღმზრდელს უნდა უყუროს! ცხვირ-პირი ისე ჩამოსტირის, გეგონება, ერთი ჭიქა კარგა მაგარი ძმარი გადაუკრავსო. კაცმა რომ თქვას, ვითომ დიდად სასმიაძოვნოა მეფობა? მე გეგონი, სულაც არა, - ფიქრობდა მათიუში, - ომი რომ იყოს, კიდევ ჰო, სხვა რომ არაფერი, კაცი იბრძოლებდა მაინც! მაგრამ მშვიდობიან დროს რა უნდა აკეთოს მეფემ?

მოწყენილი და სევდიანი იჯდა თავის ოთახში. მოწყენილი და სევდიანი იყო მაშინაც, როცა სამეფო ბაღის მესერიდან უყურებდა სასახლის ეზოში აუივუივებულ ბავშვებს.

სამეფო კარის მსახურთა შვილები მხიარულად დანავარდობდნენ. შვიდნი იყვნენ. უფრო ხშირად ჯარისკაცობანას თამაშობდნენ. ერთი ყველაზე ცოცხალი და მხიარული ბიჭი წინამძღოლობდა დანარჩენებს. შეტევაზედაც მას გადაჰყავდა, წვრთნიდაც ისა წვრთნიდა. ბიჭები ფელეკს ეძახდნენ.

მათიუშს ბევრჯერ უნდოდა, მესერიდან მაინც გამოლაპარაკებოდა ფელეკს, მაგრამ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა ამისი უფლება და ეკადრებოდა თუ არა ასეთი საქციელი. არც ის იცოდა, რა ეთქვა, რაზე დაეწყო ლაპარაკი.

ამასობაში კი ქალაქის ყველა ქუჩაში გამოაკრეს უზარმაზარი განცხდებები. ხალხს აუწყებდნენ, მათიუში გამეფდა და თავის ქვეშევრდომებს გულწრფელად მოგესალმებათო. მინისტრებად ისევ ისინი რჩებიან, ვინც აქამდე იყვნენ, და პირობას დებენ, რომ ახალგაზრდა მეფეს მუშაობაში დაეხმარებიანო.

თუკი სადმე რამე მაღაზია იყო, ყველგან მათიუშის სურათები გამოფინეს. ზოგ სურათში მათიუში პონიზე იჯდა, ზოგში მეზღვაურის ტანსაცმელი ეცვა, ზოგში - სამხედრო მუნდირი, ზოგი სურათი კი ჯარების დათვალიერებისას გადაეღოთ. კინემატოგრაფშიც, რა თქმა უნდა, მათიუშს უჩვენებდნენ. ამასთანავე, რაც კი ამ ქვეყანაში და საზღვარგარეთაც დასურათებული ჟურნალი გამოდიოდა, სუყველა მათიუშის სურათების იყო სავსე.

კაცმა რომ სიმართლე თქვას, მათიუში ყველას უყვარდა, დიდსაც და პატარასაც. დიდებს ეცოდებოდათ, ერთი ბეწო ბავშვია და აღარც დედა ჰყავს,

აღარც მამაო. ბიჭები სიხარულისაგან აღარ იყვნენ: ჩვენში ერთი მაინც გამოჩნდა ისეთი, რომ ყველა მას უნდა ემორჩილებოდეს, გენერლებიც კი სმენაზე უნდა ექიმებოდნენ და ჯრისკაცები თოფებით ესალმებოდნენო. გოგონებს ხომ მოსწონდათ და მოსწონდათ კოხტა ცხენზე ამხედრებული პატარა მეფე, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ობლებს უყვარდათ.

სანამ დედოფალი, მათიუშის დედა, ცოცხალი იყო, ობოლთა თავშესაფრებში ხშირად გზავნიდა კანფეტებს. დედოფალი რომ გარდაიცვალა, მეფემ ბრძანა კანფეტი ისევ ისე იგზავნებოდეს, როგორც დედოფლის სიცოცხლეში იგზავნებოდაო. მათიუშმა არ იცოდა, თორემ რა ხანია, ობლებს მისი სახელითაც მისდიოდათ ტკბილეული და სათამაშოები. გვიან, ძალიან გვიან გაიგო, რომ თუ ბიუჯეტში ასეთი გრაფა არსებობს, იმდენი კარგი რამე შეგიძლია გაუკეთო ხალხს, შენ თვითონაც გაგიკვირდება.

მათიუშის გამეფებიდან, ალბათ, რაღაც ნახევარი წელიწადი თუ იქნებოდა გასული, რომ ერთმა ამბავმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

მაშ ასე, ავდგები და ვიამბობ, როგორც იყო.

მათიუში თავის ექიმს შეევედრა, ითხოვე, ქალაქში ფეხით სეირნობის უფლება მომცენო. დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა, კვირაში ერთხელ მაინც გამასეირნე იმ ბაღში, სადაც სხვა ბავშვებაც თამაშობენო. ეუბნებოდა, ვიცი, რომ სამეფო ბაღში სეირნობა ძალიან კარგია, მაგრამ როცა კაცი მარტოდმარტოა, ყველაზე ლამაზ ბაღშიც კი მოეწყინებაო.

ბოლოს და ბოლოს, ექიმი შეჰპირდა, სურვილს შეგისრულებო, და, მართლაც, სასახლის ჰოფმაისტერის შუამდგომლობით, სასახლის მმართველობას მიმართა, რომ მეფის მეურვეს მინისტრთა თათბირზე ეთხოვა, მათიუშ მეფეს უფლება მიეცეთ, ორ-ორი კვირის გამოშვებით სამჯერ გაისეირნოსო.

შეიძლება ცოტა შეუცნაურთ კიდევ, რომ მეფეს არ შეუძლია, როცა სეირნობა მოუნდება, ადგეს და გაისეირნოს. ეს კი არა, სასახლის ჰოფმაისტერი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა ექიმს, თურმე რამდენიმე დღის წინ დაძველებული თევზი ეჭამა, ტკივილებისაგან კინადამ მომკვდარიყო და ამ ექიმს გადაერჩინა. სასახლის მმართველობას კი დიდი ხანია, ფული სჭირდებოდა თავლის ასაშენებლად. რა თქმა უნდა, ეს თავლა მეფის მეურვესაც უნდა გამოეყენებინა. შინაგან საქმეთა მინისტრმა კი მარტო ფინანსთა მინისტრის გულის გასახეთქად განაცხადა თანხმობა. შინაგან საქმეთა მინისტრმა იცოდა, რომ მეფის ყოველ გასეირნებაზე პოლიციისათვის სამი ათასი დუკატი უნდა მიეცათ, სანიტარული ნაწილისათვის კი - მთელი ერთი კასრი ოდეკოლონი და ათასი ოქროს ფული.

საქმე ის არის, რომ მათიუშ მეფის ყველა გასეირნების წინ ორასი კაცი და ასი ქალი ძირიძირობამდე ასუფთავებდა და აკრიალებდა ბაღს: ჰგვიდნენ, სკამებს ღებავდნენ, ხეივნებში ოდეკოლონს ასხურებდნენ, ხეებზე და ფოთლებზე მტვერს წმენდდნენ. ექიმები გაფაციცებულები ადევნებდნენ თვალს, რომ ყველგან სისუფთავე ყოფილიყო, არსად მტვერის ნასახიც კი არ დარჩენილიყო, - ჭუჭყი და მტვერი მავნებელია ჯანმრთელობისთვის. პოლიციას კი თვალი ეჭირა, მათიუშ მეფის სეირნობის დროს ბაღში ის ხულიგნები არშესულიყვნენ, სულ ქვებს რომ ისვრიან, ხელს იკვრევენებიან, ჩხუბობენ და ყურისწამლებად ღრიალებენ.

მათიუშ მეფე ჩინებულად ერთობოდა. ჩაცმით უბრლოდ ეცვა და ვერავინ ხვდებოდა, რომ მეფე იყო: აზრადაც არავის მოსვლია, მეფეს შეუძლია, ჩვეულებრივ ბაღში გაისეირნოსო. მის მსლებლებსაც უბრალოდ ეცვათ, რომ არავის ეცნო. მათიუშ მეფემ ორჯერ შემოუარა ბაღს და ნებართვა ითხოვა, იმ მოედანზე დამჯდარიყო, სადაც ბავშვები თამაშობდნენ. დაჯდა თუ არა, მაშინვე ერთი გოგონა მივიდა და ჰკითხა:

- წრეობანას თამაში არ გინდა?

ჩაჰკიდა ხელი და დაიწყო თამაში.

გოგონები ათასნაირ სიმღერას მღეროდნენ და წრეში ტრიალებდნენ. ახალი თამაშის დაწყების წინ კი გოგონამ ისევ გაუბა საუბარი.

- და გყავს?

- არა.

- მამაშენი ვინ არის?

- მამა მომიკვდა. მეფე იყო.

გოგონას, ალბათ, ეგონა, მასხრობსო, და სიცილით უთხრა:

- მამაჩემი რომ მეფე იყოს, იმხელა თოჯინას მიყიდდა, ჭერს მისწვდებოდა.

მეფე მათიუშმა ამ ლაპარაკში

გაიგო, რომ გოგონას ირენკა ერქვა, მამამისი სახანძრო დაცვის კაპიტანი იყო და გოგონას ძალიან უყვარდა მეხანძრეები. თურმე მეხანძრეები ხანდახან ცხენით ასეირნებდნენ.

მათიუში კიდევ სიამოვნებით დარჩებოდა ბაღში, მაგრამ მისი სეირნობის დრო თავდებოდა ოთხ საათზე, ოც წუთსა და ორმოცდასამ წამზე.

მეორედ გასეირნებას მოუთმენლად ელოდა, მაგრამ სწორედ იმ დღეს ძალიან წვიმდა, უფროსებს კი შეეშინდათ, მათიუში ავად არ გახდებოდა, და გარეთ ცხვირიც არ გააყოფინეს.

შემდეგ გასეირნებაზე მათიუშს ასეთი ამბავი გადახდა თავს: გოგონები და მათიუში ისევ წრეობანას თამაშობდნენ. უცბად მათთან რამდენიმე ბიჭი მივიდა. ერთმა დაიყვირა:

- უყურეთ, უყურეთ, ბიჭი გოგონებთან თამაშობს!

ყველამ სიცილი ატეხა.

მათიუშ მეფემ მაშინდა შეამჩნია, რომ მართლა მარტო თვითონ თამაშობდა გოგონებთან.

- არ გირჩევნია, ჩვენთან ითამაშო? - წამოდი, - უთხრა ვიღაც ბიჭმა.

მათიუშმა შეხედა.

ეს იყო ფელეკი. სწორედ ის ფელეკი, ვის გაცნობასაც ასე ნატრობდა.

ახლა ფელეკმა შეხედა ცნობისმოყვარეობით და, რაც ხმა გაუწვდებოდა, ისე იყვირა:

- ჰეი, ბიჭებო, უყურეთ, როგორ ჰგავს მათიუშ მეფეს!

ყველანი მათიუშს მიაჩერდნენ. მათიუშს შერცხვა და მაშინვე თავის მსლებელთან გაიქცა, მაგრამ სიჩქარისა თუ სირცხვილისაგან გზაში წაიქცა და მუხლი გადაიტყავა.

მინისტრთა საბჭოს პირველსავე სხდომაზე გადაწყდა, რომ მეფისთვის ბაღში გასეირნების უფლება აღარ მიეცათ. ყველაფერს გავაკეთებთ, რასაც მეფე მოისურვებს, მაგრამ ჩვეულებრივ ბაღში გასვლის უფლებას კი ვერ მივცემთო; იმ ბაღში უზრდელი ბავშვები დადიან, მეფეს ხელსა კრავენ, დასცინიან, მინისტრთა საბჭო კი ვერ მოითმენს, რომ მეფეს დასცინოდნენ, რამეთუ მეფურ ღირსებას ეს არ ეკადრებაო.

მათიუში ძალიან დაღონდა, მაგრამ რას იზამდა, იჯდა და ბაღში მხიარულად გატარებულ დროს იხსენებდა. ერთხელ ირენკას ნატვრაც მოაგონდა:

“ნეტავ იმხელა თოჯინა მყავდეს, ჭერს სწვდებოდესო“. - მათიუშს ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

“მე ხომ მეფე ვარ! მეფე ვარ და ბრძანებაც შემიძლია, მაგრამ სინამდვილეში, ყველას უნდა ვუსმინო და დაუფუჯრო. მეც ისევე ვსწავლობ წერა-კითხვას, როგორც სხვა ბავშვები. მეც სხვა ბავშვებივით უნდა გამოვიწმინდო ყურები, მოვიბანო კისერი, გამოვიხეხო კბილები. გამრავლების ტაბულა მეფისთვისაც ისეთივეა, როგორც სხვებისთვის. მაშ რად მინდა მეფობა?“

მათიუში აჯანყდა, აუდიენციის დროს უფროს მინისტრს უბრძანა, ყველაზე დიდი თოჯინა იყიდეთ და ირენკას გაუგზავნეთო.

- თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, ინებეთ და... - დაიწყო უფროსმა მინისტრმა.

მათიუში იმწამსვე მიხვდა, ამას რა მოჰყვებოდა: ეს აუტანელი კაცი დიდხანს ილაპარაკებდა, უამრავ გაუგებარ რამეს იტყოდა და, ბოლოს და ბოლოს, მათიუშს არაფერი გამოუვიდოდა. საბედნიეროდ, უცბად გაახსენდა, რომ ერთხელ ამ მინისტრმა ასევე დაუწყო რაღაცის ახსნა-განმარტება მათიუშის მამას. მეფემ ფეხი დააბაკუნა და ბრძანა:

- მე მოვითხოვ, სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულოთ!

მათიუშმაც ასე დააბაკუნა ფეხი და ხმამაღლა თქვა:

- ბატონო მინისტრო, მე მოვითხოვ, სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულოთ!

უფროსმა მინისტრმა გაოცებით შეხედამათიუშს, ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა და წაიბუტბუტა:

- თქვენი უდიდებულესობის მოთხოვნას განსახილველად წარუდგენ მინისტრთა საბჭოს.

არავინ იცის, რა ილაპარაკეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რადგან კარჩაკეტილები თათბირობდნენ. ეს კია, რომ დადგენილება გამოიტანეს, თოჯინა ეყიდათ. ვაჭრობის მინისტრი ორ დღეს დარბოდა მაღაზიებში და ყველაზე დიდ თოჯინას ეძებდა. მაგრამ ძალიან დიდი თოჯინა არსად არ იყო. ვაჭრობის მინისტრმა თათბირზე მოიწვია ყველა მრეწველი. ერთი ფაბრიკანტი შეჰპირდა, მაგისტანა თოჯინას ოთხ კვირაში გაგიკეთებთ, თუ დიდ თანხას გადამიხდითო. მართლაც თოჯინა გაამზადა, მაგრამ ჯერ თავისი მაღაზიის ვიტრინაში გამოდგა და ზედ წააწერა: მისი მეფური უდიდებულესობის სასახლის მომმარაგებელმა ეს თოჯინა გააკეთა ირენკასთვის, სახანძრო დაცვის კაპიტნის გოგონასთვის.

გაზეთებმა მაშინვე იმ სახანძრო რაზმის სურათი გამოაქვეყნა. სურათში სახანძრო რაზმი ხანძარს აქრობდა. ამ სურათთან ერთად დაბეჭდილი იყო ირენკასი და თოჯინას სურათებიც. ხალხში ამბობდნენ, მათიუშ მეფეს ძალიან უყვარსო ხანძრის ცქერა. უყვარს, სახანძრო რაზმი რომ დაჰქრისო. ამის გამო გაზეთში ვიდაცამ წერილიც გამოაქვეყნა, მზად ვარ, საკუთარი სახლი დაგწვა, თუ სათაყვანებელ მათიუშ მეფეს ასე უყვარსო ხანძრის ცქერა. გოგონების უმრავლესობამ მათიუშს წერილი მისწერა, ასეთი თოჯინა ჩვენც ძალიან გვინდაო. მაგრამ სასახლის მდივანი მათიუშს ამ წერილებს არ უკითხავდა. თურმე გაბრაზებულ უფროს მინისტრს ებრძანებინა, არამც და არამც არ წაუკითხოთო.

მაღაზიის წინ მთელ სამ დღეს ხალხი არ გამოლეულა. იდგნენ და ათვალიერებდნენ მეფის საჩუქარს. თოჯინა ვიტრინიდან მხოლოდ მეოთხე დღეს გაიტანეს პოლიციის პრეფექტის თაოსნობით: ტრამვაისა და მანქანების მოძრაობას ხალხი ხელს უშლისო.

დედაქალაქში დიდხანს, ძალიან დიდხანს ლაპარაკობდნენ თოჯინასა და მათიუშზე, რომელმაც ასეთი მშვენიერი საჩუქარი გაუგზავნა ირენკას.

მათიუში დილის შვიდ საათზე დგებოდა, თვიონ იბანდა ხელპირს, თვითონ იცვამდა და საწოლსაც თვითონვე ასწორებდა. ასე დააწესა მათიუშის პაპის მამამ, მამაცმა მეფემ პავლე უძლეველმა. დაბანილ-ჩაცმული მათიუში ერთ კოვზ თევზის ქონსაც დალევა და მერე საუზმეს შეექცეოდა. საუზმობისთვის თექვსმეტი წუთი და ოცდაათხუთმეტი წამი უნდა ეკმარა. ასე საუზმობდა მათიუშის დიდებული პაპა, კეთილი მეფე იულიუშ ქველმოქმედი. ამის შემდეგ მათიუში სეფე-დაბრაზში შედიოდა და მინისტრებს იღებდა. სეფედარბაზში ღუმელი არ იდგა. თურმე ნუ იტყვიო, მათიუშის დიდედის დედას, ბრძენ ანა ღვთისმოსავს, ბავშვობაში მხუთრით თავბრუ დასხმია, კინაღამ მოწამლულა.

ბედნიერად გადარჩენის აღსანიშნავად დაუთქვამთ, რომ ხუთას წელიწადს სეფედარბაზში ღუმელი არ დაედგათ.

მათიუშიშედიოდა დარბაზში, სამეფო ტახტზე ჯდებოდა და სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა. მინისტრები კი დაწვრილებით უყვებოდნენ, რა ხდებოდა მის ქვეყანაში.

დიდად სასიამოვნოსა და სასიხარულოს ვერაფერს ეუბნებოდნენ, ამიტომ მათიუში შეწუხებული უსმენდა.

საგარეო საქმეთა მინისტრი უყვებოდა, ესა და ეს სახელმწიფო ბრაზობს და იმუქრება, ამა და ამ სახელმწიფოს კი ჩვენს ქვეყანასთან მეგობრობა სურსო. მათიუში ყურს უგდებდა და მაინც ვერაფერი გაეგო.

სამხედრო მინისტრი ჩამოუთვლიდა, ამდენი ციხესიმაგრე დაინგრა, ამდენი ზარბაზანი დაზიანდა, ამდენი ჯარისკაცი გახდაო ავად.

გზათა მინისტრი არწმუნებდა, ახალი ორთქმავლები გეჭირდება, აუცილებლად უნდა ვიყიდოთო.

განათლების მინისტრი ჩიოდა, ბავშვები ცუდად სწავლობენ, სკოლაში იგვიანებენ, ბიჭები ჩუმ-ჩუმად პაპიროსს აბოლებენ, რვეულებიდან ფურცლებს ხევენო. გოგონებს ერთი ბეწო რამე სწყინთ და კაპასობენ. ბიჭები ჩხუბობენ, ქვებს ისვრიან და მინებს ამსხვრევენო.

ფინანსთა მინისტრი კი ჯავრობდა, ფული აღარ არის, არც ორთქმავლის ყიდვა მინდა და არც ახალი მანქანებისა, ძალიან ძვირი ღირსო.

ამის შემდეგ მათიუში ბაღში გადიოდა და შეეძლო, მთელ ერთს საათს ერბინა და ეთამაშა, მაგრამ მარტოკა იყო, აბა როგორ გაერთობოდა!

ამიტომ მათიუში სიხარულითაც კი გარბოდა ბაღიდან, რომ გაკვეთილები ესწავლა. იცოდა, მეცნიერებას თუ არ დაეუფლებოდა, აუცილებლად გაუჭირდებოდა მეფობა. იჯდა და გულმოდგინედ სწავლობდა. მათიუშიმა ძალიან მალე ისწავლა ახვეულჩახვეული ხელმოწერა. ამას გარდა, უნდა ესწავლა ფრანგული და კიდევ რამდენიმე უცხო ენა, რომ სხვა ქვეყნის მეფეებთან მათ ენაზე ელაპარაკა, როცა ვიზიტით ესტუმრებოდნენ.

მათიუში უფრო მონღომებით და უფრო უკეთესადაც ისწავლიდა, შეკითხვების მიცემის უფლება რომ ჰქონოდა. მერე, არ იკითხავთ, რაშეკითხვები უტრიალებდა თავში!

ჯერ იყო და იმაზე ფიქრობდა, შეიძლება თუ არა ისეთი გამადიდებელი შუშის შექმნა, ტყვია-წამალი შორიდან ააფეთქოსო. ასეთი გამადიდებელი შუშა რომ გამომაგონებინა, ყველა მეფეს ომს გამოუუცხადებდი, ბრძოლის წინადღეს კი მტრის ტყვია-წამლის საწყობებს ავაფეთქებდი და ომს მე მოვიგებდი, იმიტომ, რომ თოფისწამალი მარტო მე მექნებოდაო. და, თუმცა პატარა ვარ, მაინც ქვეყნიერების უდიდესი მეფე გავხდებოდიო. მასწავლებელმა ეს რომ გაიგონა, კინაღამ ყბა მოედრიცა, მერე მხრებიდა აიჩეჩა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

ერთხელ კი, აი, რა იკითხა: ნუთუ ადამიანი იმდენს ვერ მოახერხებს, რომ სიკვდილის წინ მამა მთელ თავის ჭკუას შვილს აძლევდესო. მათიუშის მამა, სტეფან ბრძენი, ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ რა გამოვიდა? მათიუში იმავე სამეფო ტახტზე ზის, იგივე გვირგვინი ადგას თავზე, ყველაფერი კი თავიდან უნდა ისწავლოს, თანაც არც იცის, როდისმე იმდენივეეცოდინება თუ არა, რამდენიც მისმა მამამ იცოდა. ეს რომ მოეხერხებინათ, მაშინ გვირგვინსა და ტახტთან ერთად დიდი პაპისაგან - პავლე უძლეველისაგან - სიმამაცეს მიიღებდა, დიდუდისაგან - ღვთისმომშიშობას, მამისგან - მთელ მის ცოდნას.

მაგრამ ამ შეკითხვასაც უგულისყუროდ მოეკიდნენ.

მათიუში დიდხანს, ძალიან დიდხანს ფიქრობდა უჩინმაჩინის ქუდზედაც. ნუთუ არ შეიძლება, სადმე ვიშოვოთო. კარგი კი იქნებოდაო; დავისურავდი უჩინმაჩინის ქუდს და სადაც მომესურვებოდა, ყველგან წავიდოდი, ვერავინაც ვერ დამინახავდაო; დღისით თავის ტკივილს მოვიმიზეზებდი, ჩავწებოდი ღლონინში,

ერთი კარგად გამოვიძინებდი, დამე კი დავიხურავდი უჩინმაჩინის ქუდს და ქალაქში გავიდოდი, ვივლიდი სატახტო ქალაქში და მაღაზიის ვიტრინებსაც დავათვალიერებდი, თეატრშიც შევიდოდი.

მათიუში თეატრში ერთხელ იყო ნამყოფი, მაშინ დედაც ცოცხალი ჰყავდა, მამაც. თუმცა ძალიან პატრა იყო და არაფერი დამახსოვრებია, მაგრამ ის კი იცის, რომ თეატრი მოეწონა.

ჰოდა, ასე, უჩინმაჩინის ქუდი რომ ჰქონდეს, ბაღიდან სასახლის ეზოში გავიდოდა და ფელეკს გაიცნობდა. სასახლეშიც ყველა კუნჭულს დაივლიდა. სამზარეულოში შევიდოდა, ნახავდა, როგორ ამზადებენ საჭმელს; თავლაშიც შეივლიდა, ცხენებთან. სადაც ახლა შესვლას უკრძალავენ, ყველგან შევიდოდა.

შეიძლება არც კი დაიჯეროთ, რომ მეფეს ამდენი რამე ჰქონდა აკრძალული. უნდა გითხრათ, მეფის კარზე ძალიან მკაცრი ეტიკეტი. ეტიკეტი იმას ნიშნავს, რომ მეფეები სულ აი ასე და ასე იქცეოდნენ და ახალ მეფეს უფლება არა აქვს, სხვანაირად მოიქცეს. თუ სხვანაირად მოიქცა, ამით მეფური ღირსება შეელახება. ამისთანა მეფისა აღარც შიში ექნებათ, აღარც რიდი და პატივისცემა, იმიტომ, რომ ასეთი საქციელით იგი შეურაცხყოფს თავის წინაპრებს. თუ მაინცდამაინც სხვანაირად მოქცევა სწადია, აუცილებლად ცრემონმაისტერს უნდა დაეკითხოს. ცრემონმაისტერი თვალყურს ადევნებს სასახლის ეტიკეტს და იცის, როდის როგორ უნდა მოიქცეს მეფე.

ერთხელ უკვე გითხარი, რომ მათიუშ მეფეს საუზმე უნდა დაემთავრებინა თექვსმეტ წუთსა და ოცდათხუთმეტ წამში. ასე საუზმობდა მათიუშის პაპა. ისიც გითხარი, რომ სეფედარბაზში ღუმელს არ დგამდნენ, - ასე დააწესა მათიუშის დიდებამ. დიდება კარგა ხანია გარდაიცვალა და ახლა ვეღარ შეეკითხებოდნენ, ღუმელის დადგმის ნებს ხომ არ მოგვცემთო.

მეფეს ზოგჯერ, რა თქმა უნდა, შეუძლია, რაღაც შეცვალოს, მაგრამ ყოველთვის ერთი გაუთავებელი თათბირი და მსჯელობა იმართება ხოლმე. აი, როგორც მაშინ მოხდა, მათიუშისთვის სეირნობის უფლება რომ უნდა მიეცათ. ჯერ რამის თხოვნა თქვით, რა არის, და ახლა იმდენ ხანს პასუხის მოლოდინი!

მათიუშ მეფეს ეღარდება, თორემ სხვა მეფეებს რა უჭირდაო, - ეტიკეტი დიდებისთვის იყო შედგენილი, მათიუში კი ბავშვი იყო. ამიტომ მეტი გზა არ ჰქონდათ, ზოგიერთი რაღაც უნდა შეეცვალათ, მაგალითად: კარგი, გემრიელი ღვინის მაგიერ, მათიუშს, უყვარდა თუ არ უყვარდა, მაინც თევზის ქონი უნდა დაეღია. წერა-კითხვა კარგად რომ არ იცოდა, გაზეთებს ვერ კითხულობდა, ამიტომ იდგა და სურათებს ათვალიერებდა. უჩინმაჩინის ქუდი და მამის ჭკუა რომ ჰქონოდა, ყველაფერი სხვანაირად დატრიალდებოდა. აი მაშინ იქნებოდა ნამდვილი მეფე. ახლა კი მათიუში ხშირად ფიქრობდა, იქნებ ჯობდა, ჩვეულებრივ ბიჭად დავბადებულიყავი, სკოლაში მევლო, რვეულებიდან ფურცლები ამომეხია და ქვები მესროლაო.

ერთხელ მათიუშმა იფიქრა, წერა რომ მესწავლა, ფელეკს წერილს მივწერდი და იქნებ მასაც მოეწერაო. მაშინ ისე გამოვიდოდა, ვითომ ერთმანეთს ველაპარაკებოთო.

ე სდღე იყო და, მათიუში უფრო დიდი მუყაითობით მოეკიდა სწავლას. მთელ დღეს იჯდა და წერდა. იწერდა და იწერდა წიგნებიდან მოთხრობებსა და ლექსებს. ნება რომ მიეცათ, სამეფო ბაღშიაც კი არ გავიდოდა, დილიდან საღამომდე თავს არ აიღებდა, მაგრამ ამის უფლება არ ჰქონდა: სასახლის ეტიკეტი მოითხოვდა, რომ მათიუში სეფედარბაზიდან პირდაპირ ბაღში გასულიყო. ოცი მსახური გამზადებული იდგა კარის გასაღებად მათიუში ბაღში რომ არ გასულიყო, ეს ოცი მსახური უსაქმოდ დარჩებოდა და ძალიან მოიწყენდა.

ზოგიერთმა იქნება თქვას კიდევაც, კარის გაღება რა საქმეაო, მაგრამ ამას მარტო ის თუ იტყვის, ვისაც სასახლის ეტიკეტისა არაფერი გაეგება. მე კი

მოგახსენებთ, რომ ამ მსახურებს ძალიან ცოტა თავისუფალი დრო ჰქონდათ. დიდი დროებით ოცივეს ცივ-ცივი აბაზანა უნდა მიეღო, მერე პარიკმახერი დავარცხნიდა და წვერ-ულვაშს მოპარსავდა. ტანსაცმელი ისეთი სუფთა უნდა სცმოდათ, მტვრის ნასახიც ვერავის შეემჩნია. ერთხელ, სამასი წლის წინათ, ჰაინრიხ მიჰინგარის დროს, ერთი მსახურის ტანსაცმელიდან მეფის კვერთხზე რწყილი გადახტა. ამ ზარმაც და უქნარა მსახურს ჯალათმა თავი მოჰკვეთა, ჰოფმაისტერი კი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. იმ დღიდან მოყოლებული, მსახურის სისუფთავეს თვით ზედამხედველი ადევნებდა თვალყურს. საგულდაგულოდ დაბანილ-გაკრიალებული მსახურები თორმეტის შვიდ წუთზე უკვე დერეფანში იდგნენ და ორის ჩვიდმეტ წუთამდე იცდიდნენ, რომ ცერემონიაისტერს შეემოწმებინა სათითაოდ. მსახურები ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ: ერთი დილიც კი რომ დარჩენოდათ შეუკვრელი, ექვსი წლით პატიმრობა არ ასცდებოდათ. ცუდი ვარცნილობისთვის ოთხი წლის კატორღული სამუშაო ელოდათ, ულაზათო თავის დაკვრისთვის კი - ორი თვით პატიმრობა და ცარიელ პურსა და წყალზე ყოფნა.

მათიუშმა ცოტა რაღაც უკვე იცოდა, ამიტომ აზრადაც არ მოსვლია, ბაღში გასეირნებაზე უარი ეთქვა. თუმცა, ვინ იცის, იქნება ისტორია რომ გადაექექათ, ისეთი მეფეც ეპოვათ, რომელიც ბაღში სულაც არ გადიოდა. რა თქმა უნდა, მაშინ, ალბათ, მათიუშსაც ეშველებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფელეკთან წერილის დაწერა აღარ დასჭირდებოდა და წერის ცოდნაც აღარაფერში გამოადგებოდა.

მათიუში ნიჭიერი ბიჭი იყო, საკმაოდ დიდი ნებისყოფაც ჰქონდა: რაკი თქვა, ერთ თვეში ფელეკს წერილს მივწერო, იმდენი წერა და წერა, ერთი თვის მერე მართლაც სხვის დაუხმარებლად მისწერა წერილი.

‘ძვირფასო ფელეკ, - სწერდა მათიუში, - დიდი ხანია, თვალს გადავვინებთ, რა მხიარულად თამაშობთ ეზოში. მეც მინდა თქვენთან თამაში, მაგრამ მე მეფე ვარ და ამის უფლება არა მაქვს. შენ ძალიან მომწონხარ, ფელეკ. მომწერე, ვინა ხარ, მინდა გიცნობდე. თუ მამაშენი სამხედროა, იქნებ ხანდახან სამეფო ბაღში გამოგიშვას ხოლმე.

მათიუში. მეფე“.

გული ჩიტივით უფრთხიალებდა, როცა ფელეკი მესერთან მოიხმო და თავისი წერილი გადასცა.

მეორე დღესაც გული მთლიანად ამოვარდნაზე ჰქონდა, პასუხი ამგვარადვე რომ მიიღო.

‘მეფე, სწერდა ფელეკი, - მამაჩემი სამხედრო გახლავთ, სასახლის დაცვის ოცეულის მეთაურია. მე ძალიან მინდა სამეფო ბაღშიშემოსვლა. მეფე, მიგულე შენს ერთგულად. მზად ვარ, შენი გულისთვის ცეცხლსა და წყალში გადავვარდე და სისხლის უკანასკნელი წვეთიც შენ შემოგწირო. როგორც კი ჩემი დახმარება დაგჭირდეს, რა დროც უნდა იყოს, მარტო დაუსტვინე... პირველივე დასტვენაზე შენთან ვიქნები.

ფელეკი“.

მათიუშმა წერილი ყუთში ჩადო, ზემოდან წიგნები დააწყო და მაშინვე სტვენის სწავლა დაიწყო. თან ძალიან ფრთხილად უსტვენდა, არავინ გამიგოსო. მათიუშს რომ მოეთხოვა, ფელეკი ბაღში შემოუშვითო, მაშინვე გაუთავებელი თათბირები გაიმართებოდა. დაიწყებდნენ, რადა და რისთვისო, საიდან იცის, რომ ფელეკი ჰქვია, სად გაიცნო... ეს კიდევ არაფერი, ვაითუ თვალთვალი დაეწყოთ და, ბოლოს და ბოლოს, მაინც არ მიეცათ ნება, მერე რა ექნა? ოცმეთაურის შვილი ყოფილა. პორუჩიკისა მაინც იყოს! ოფიცრის შვილი იქნება შემოეშვათ, ამას კი არამც და არამც არ შემოუშვებდნენ.

‘ცოტაც უნდა მოვიცადო, მანამდე სტვენას ვისწავლი“, - გადაწყვიტა მათიუშმა.

სტვენის სწავლა კი არც ისე ადვილია, როცა არავინ გყავს, რომ გასწავლოს. მაგრამ მათიუშს ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა და სტვენა ისწავლა. ისწავლა და დაუსტვინა.

მათიუშმა მხოლოდ საცდელად დაუსტვინა, ვისწავლე თუ არაო, და გაოცებისაგან კინაღამ გადაირია, როცა მის წინ ფელეკიგაიჭიმა.

- აქ საიდან გაჩნდი?

- მესერზე გადმოვძვერი.

სამეფო ბაღში ჟოლოს ბუჩქები იყო გაბადრული. მეგობრები სწორედ ამ ბუჩქებში დაიმაღლნენ, რომ მოელაპარაკათ, როგორ მოქცეულიყვნენ.

ფელეკ, მე ძალიან უბედური ვარ. რაც წერა ვისწავლე, იმის შემდეგ ყველა ქალაქს მე ვაწერ ხელს. ეს მეთვლება სახელმწიფოს მართვად, სინამდვილეში კი მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რასაც მიბრძანებენ, სულ ერთთავად მოსაწყენ და მოსაბეზრებელ საქმეს მაკეთებინებენ, რაც სახალისო და სასიამოვნოა, იმას მიკრძალავენ.

- ვინ ბედავს, რომ თქვენს უდიდებულესობას ან აუკრძალოს რამე, ან უბრძანოს!

- მინისტრები. ვიდრე მამაჩემი ცოცხალი იყო, მის ბრძანებას ვასრულებდი.

- აბა, რა! მაშინ შენ მეფური უმაღლესობა, ტახტის მემკვიდრე იყავი, მამაშენი კი - მეფური უდიდებულესობა და მეფე. ახლა...

- ახლა ათასჯერ უარეს დღეში ვარ. მინისტრები იმდენი არიან, ვერც კი დათვლი.

- სამხედრონი არიან თუ სამოქალაქონი?

- ერთია სამხედრო.

- დანარჩენები სამოქალაქოები არიან?

- არ ვიცი, რას ნიშნავს სამოქალაქო.

- სამოქალაქოები ისინი არიან, ვინც არც მუნდირს იცვამენ და არც ხმაღს ატარებენ.

- ჰო, სამოქალაქოები არიან.

ფელეკმა ერთიმუჭა ჟოლო ჩაიყარა პირში და ღრმად ჩაფიქრდა. მერე გაუბედავად იკითხა:

- სამეფო ბაღში ალუბლები დგას?

მათიუშს გაუკვირდა, ეს რას მეკითხებაო, მაგრამ ფელეკს ისე ძალიან ენდობოდა, მაშინვე გამოუტყდა: ალუბალიც გვიდგას, მსხალიცო, და შეჰპირდა, შენ ოღონდ მითხარი, რამდენი გინდა, მესერზე გადმოგაწვდი ხოლმეო.

- მაშ ასე, ჩვენ ერთმანეთს ხშირ-ხშირად ვერ შევხვდებით: შეიძლება ეჭვი აიღონ და თვალთვალი დაგვიწყონ. თავი ისე უნდა მოვაჩვენოთ, ვითომ ერთმანეთს სულაც არ ვიცნობთ. წერილები ვწეროთ ხოლმე და გალავანზე დავდოთ (წერილებთან ერთად ალუბალიც შეიძლება დააწყოთ). ამ საიდუმლო კორესპონდენციას გალავანზე რომ დადებთ, თქვენი მეფური უდიდებულესობა დაუსტვენს. მე მივალ და ყველაფერს წავიღებ.

- პასუხს რომ მოიტან, შენც დაუსტვენ, - გაუხარდა მათიუშს.

- მეფეს არ უსტვენენ, - ფიცხლად შეედავა ფელეკი, - პასუხს რომ მოვიტან, მე გუგულივით დავიძახებ. ოღონდ, შორიდან დავიძახებ გუ-გუს.

- ძალიან კარგი. კიდევ როდის მოხვლა?

ფელეკმა კარგა ხანს იფიქრა და ბოლოს უთხრა:

- უნებართვოდ აქ მოხვლა მე არ შემიძლია. მამაჩემი ოცმეთაურია და ძალიან გამჭრიახი თვალი აქვს. სამეფო ბაღის გალავანთან მიახლოების ნებასაც კი არ მაძლევს. ხშირ-ხშირად მაფრთხილებს, ემანდ თავში ეშმაკი არ შეგიჯდეს და ალუბლისთვის სამეფო ბაღში არ გადაძვრეო. გახსოვდეს, შენ რომ სამეფო

ბაღში მოგატანონ და დაგიჭირონ, ცოცხალი გადამირჩები, ცხრაპირ ტყავს გაგაძრობო.

მათიუში შეცბუნდა. რა საშინელებაა! წარმოგიდგენიათ? ჯერ ძლივს იშოვა მეგობარი და ახლა ამ მეგობარს მისი გულისთვის ტყავის გაძრობით ემუქრებოდნენ! არამც და არამც, ეს უკვე მეტისმეტი იყო!

- ახლა რას იზამ, როგორ წახვალ შინ? - ჰკითხა შეწუხებულმა მათიუშმა.

- თქვენი უდიდებულესობა წაბრძანდეს, მე როგორმე მოვახერხებ წასვლას.

მათიუშმა რჩევა გონივრულად მიიხნია და უოლოს ბუჩქიდან გამოვიდა. სწორედ დროზე მოგავიდა: თურმე მეფე რომ აღარ და აღარ ჩანდა, უცხოელი აღმზრდელი შემფოთებულები, დადიოდა და სამეფო ბაღის კუთხე-კუნჭულებში ეძებდა.

მათიუშსა და ფელეკს, რა თქმა უნდა, ამის შემდეგაც ისევ მესერი ჰყოფდა, მაგრამ ახლა უკვე ერთმანეთს იცნობდნენ და მხარში ედგნენ.

მათიუშს თავისი ექიმი ყოველკვირა წონიდა და ზომავდა, რომ გაეგო, როგორ იზრდებოდა პატარა მეფე, საბოლოოდ როდის დავაუკაცდებოდა. მათიუშიც ყოველ შეხვედრაზე ოხრავდა და ექიმს მარტობას შესჩიოდა. ერთხელ სამხედრო მინისტრს ისიც კი უთხრა, სამხედრო საქმის შესწავლა მინდაო.

- ბატონო მინისტრო, იქნებ ვინმე ოცმეთაური გეგულებათ, რომ ჩემთვის სამხედრო საქმე ესწავლებინა?

- რა თქმა უნდა, თქვენი უდიდებულესობის სურვილი დიდად საქებარია, მაგრამ მაინცდამაინც ოცმეთაური რატომ გინებებიათ?

- იქნებ ოცმეთაურის შვილიც გამოდგეს? - გაიხარა მათიუშმა.

სამხედრო მინისტრმა შუბლი შეიკრა და მეფის სურვილი ჩაიწერა.

მათიუშმა ამოიოხრა. წინასწარ იცოდა, რასაც უპასუხებდნენ.

- თქვენი უდიდებულესობის სურვილს მოვახსენებ მინისტრთა საბჭოს უახლოეს სხდომას.

‘არაფერი გამოვა. ალბათ, ვინმე მოხუც გენერალს გამომიგზავნიან და ეგ იქნება!’

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად დატრიალდა.

მინისტრთა საბჭოს უახლოეს სხდომაზე მხოლოდ ერთ საკითხს იხილავდნენ: მათიუშ მეფეს ერთბაშად სამმა სახელმწიფომ გამოუცხადა ომი.

ომი!

ამის გაგონებაზე მათიუშს სისხლი აუჩქროლდა: ტყუილად კი არ იყო მამაცი პავლე უძლეველის შვილთაშვილი.

სადამომდე იცდიდა. იცდიდა მეორე დღესაც, შუადღემდე, მაგრამ ამაოდ. ომის ამბავი ფელეკმა გააგებინა. წინა წერილი რომ მოიტანა, სამჯერ დაიძახა გუგუ, ახლა კი ბარემ ასჯერ მაინც დაიძახა. მათიუში მიხვდა, რომ წერილში არაჩვეულებრივი ამბავი ეწერა, მაგრამ ასეთი უჩვეულო თუ იქნებოდა, ამას კი ვერ მოიფიქრებდა. ომი რა ხანია აღარ ყოფილა. სტეფან ბრძენს ეხერხებოდა მეზობლებთან კეთილი განწყობილების დამყარება. მართალია, დიდი მეგობრები არ იყვნენ ხოლმე, მაგრამ ომი არც მას აუტეხია ვინმესთვის, არც სხვა - მისთვის.

ცხადია, ახლა მტრებმა ისარგებლეს, რომ მათიუში პატარ და გამოუცდელი იყო. მას კი სწორედ ამიტომ უფრო სწყუროდა, დაემტკიცებინა მტრებისთვის, რომ ისინი შეცდნენ; რომ პატარა კი იყო, მაგრამ თავისი სამშობლოს დაცვას მაინც შეძლებდა.

ფელეკი წერდა:

‘თქვენს უდიდებულესობას სამმა სახელმწიფომ გამოუცხადა ომი. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, როგორც კი ომის ამბავს გავიგებ, სიხარულისაგან ერთი კარგად დავთვრებიო. ახლა სწორედ მის დათრობას ველოდები. აუცილებლად უნდა შევხვედეთ ერთმანეთს’.

და მათიუში ელოდა. ასე ეგონა, დღესვე გამოიძახებდნენ საბჭოს საგანგებო სხდომაზე და, როგორც კანონიერი მეფე, სახელმწიფოს მართვას თვითონვე შეუდგებოდა. იმ ღამეს რაღაც თათბირი მართლაც გაიმართა, მაგრამ მათიუში არ გამოუძახებიათ.

მეორე დღეს დღეს კი უცხოელი აღმზრდელი ისე ამეცადინებდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო.

მათიუში კარგად იცნობდა სსახლის ეტიკეტს, იცოდა რომ მეფეს არ შეშვენოდა ჭირვეულობა, სიჯიუტე და სიბრაზე, მით უმეტეს ასეთ დროს. ამიტომ არ უნდოდა შეებღალა მეფური ღირსება. ერთი ეგ იყოწარბები შეყარა და შუბლი შეიჭმუნა. გაკვეთილის დროს სარკეში რომ ჩაიხედა, თავში გაუელვა: “ზედგამოჭრილი ჰაინრის უსწრაფესი ვარო“.

მათიუში აუდიენციის საათს ელოდა. მაგრამ ცერემონმაისტერმა რომ გამოაცხადა, აუდიენცია გადადებულიაო, გაფითრებულმა მათიუშიმა მშვიდად და მტკიცედ ბრძანა:

- მე მოვითხოვ, სასწრაფოდ გამოუძახოთ სამხედრო მინისტრს.

მათიუშიმა სიტყვა ‘სამხედრო’ ისე თქვა, ცერემონმაისტერი მაშინვე მიხვდა, რომ მეფემ ყველაფერი იცოდა.

- სამხედრო მინისტრი სხდომაზეა.

- მაშ, მეც დავესწრები სხდომას, - მიუგო მათიუში მეფემ და სხდომათა დარბაზისკენ გაემართა.

- თქვენო უდიდებულესობამ, ინებეთ და ერთ წუთს მოიცადეთ, თქვენო უდიდებულესობავ, შემობრალეთ, ასე არ შეიძლება. ყველაფერზე პასუხსმე ვაგებ, - მოხუცი ხმამაღლა აქვითინდა.

მათიუშს შეებრალა ეს მოხუცი, რომელმაც ზედმიწევნით კარგა დიციოდა, რის გაკეთება შეჭფეროდა მეფეს და რისა არა. რამდენჯერ მსხდარან სადამოობით ორივენი ბუხრის პირას და მათიუშს გულის ფანცქალით მოუსმენია ხელმწიფე მამისა და დედოფალი დედის ამბავი, სასახლის ეტიკეტისა, უცხოური მეჯლისებისა და საზეიმო წარმოდგენების ამბავი. მოხუცი უყვებოდა თვით მეფის მონაწილეობით გამართულ სამხედრო მანევრებზედაც.

მათიუშს სინდისი ქენჯნიდა: ოცმეთაურის შვილთან მიმღწერა დიდი დანაშაული იყო. ფელეკისთვის რომ აღუბალსა და ჟოლოს იპარავდა, ეს კი ყველაზე მეტად ტანჯავდა. რა თქმა უნდა, ბაღი მას ეკუთვნოდა და ხილსაც სხვისთვის კრეფდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩუმად კრეფდა. ვინ იცის, იქნება ამით თავისი დიდი წინაპრების რაინდული ღირსება შებღალა კიდევაც!

მათიუში კეთილი ბიჭი იყო, მოხუცის ცრემლებმა გული ისე აჩუყა, კინაღამ ახალი შეცდომა დაუშვა და სხვა შეამჩნევინა, რომ აღელდა, მაგრამ დროზე გამოფხიზლდა, უფრო მეტად შეიკრა შუბლი და ცივად გამოაცხადა:

- ვიცდი ათ წუთს.

ცერემონმაისტერი გარეთ გავარდა. სასახლეში ერთი ამბავი დატრიალდა.

- საიდან გაიგო მათიუშიმა? - დრიალებდა აღელვებული შინაგან საქმეთა მინისტრი.

- რა სწადია ამ ღლაპს? - იყვირა ცეცხლმოდებულმა უფროსმა მინისტრმა, მაგრამ იუსტიციის მინისტრმა შენიშვნა მისცა:

- ბატონო თავმჯდომარევ, ოფიციალურ სხდომაზე მეფის ამგვარად მოხსენიებას კანონი გიკრძალავთ. კერძო საუბარში, რაც გნებავთ, ის თქვით, მაგრამ ჩვენნი თათბირი ოფიციალურ სახეს ატარებს. ბატონო თავმჯდომარევ, ფიქრით შეგიძლიათ მასე იფიქროთ, მაგრამ თქმის უფლება არა გაქვთ.

- თათბირი შეწყვეტილია, - თავი იმართლა შეშინებულმა თავმჯდომარემ.

- ადრევე უნდა გამოგეცხადებინათ, რომ თათბირს წყვეტლით, თქვენ კი არ გამოგიცხადებიათ.

- დამავიწყდა. გთხოვთ, მაპატიოთ.

სამხედრო მინისტრმა საათს დახედა.

- ბატონებო, მეფემ ათი წუთი მოგვცა. ოთხი წუთი გავიდა. ისე რომ, ნუ ვიდავებთ. მე სამხედრო კაცი ვარ და მეფის ბრძანება უნდა შევასრულო.

საწყალ თავმჯდომარეს მართლაც რომ გულის გასახეთქად ჰქონდა საქმე: მაგიდაზე ერთი ფურცელი ედო და ზედ ლურჯი ფანქრით გარკვევით ეწერა:

‘კარგი, იყოს ომი!’

მაშინ რა ადვილი იყო, მამაცად მოეხვეწებინა თავი, ახლა კი ძალიან ეძნელება, ამ დაუფიქრებელ სიტუაზე პასუხი აგოს. ჰო და ჰო, მეფემ რომ ჰკითხოს, მაშინ ასე რარტომ დაწერეო, რა უნდა უპასუხოს? ყველაფრის მიზეზი ხომ ის იყო, რომ მოხუცი მეფის გარდაცვალების შემდეგ მათიუშის გამეფება არ სურდა!

ეს იცოდა ყველა მინისტრმა და, ცოტა არ იყოს, უხაროდათ კიდევაც, კარგად დაემართათ. უფროსი მინისტრი ძალიან სძულდათ. აქაოდა უფროსი მინისტრი ვარო, ყველას მბრძანებლობდა, საშინლად ამაყად ეჭირა თავი, ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა - ქალამნად.

არც ერთი მინისტრი ხმას არ იღებდა, ყველა თავისთვის ფიქრობდა, როგორ მოვიქცე, რომ ასეთი დიდი ამბის დაფარვისთვის მეფის რისხვა მე არ დამატყდესო.

- ერთი წუთი დაგერჩა, - თქვა სამხედრო მინისტრმა, - დიდი შეიბნია, ორდენები შეისწორა, ულავაში გადაიგრიხა, მაგიდიდან რევოლვერი აიღო და ერთი წუთის შემდეგ უკვე მეფის წინ იდგა გაჭიმული.

- მაშ, ომი იწყება? - წყნარად ჰკითხა მათიუშმა.

- დიახ, თქვენო უდიდებულესობავ.

მათიუშს გულზე მოეშვა. მართალი რომ ვითხრათ, ეს ათი წუთი მათიუშმა დიდ მღელვარებაში გაატარა, სულ იმას ფიქრობდა, ხომ შეიძლება, ფელეკმა ისე მომწერა, იქნება ტყუილია, იქნება გამეხუმრაო!

სამხედრო მინისტრის მოკლე პასუხმა ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა. ომი მართლა იწყებოდა, თანაც დიდი ომი, და მას კი არავინ არაფერს ეუბნებოდა. ალბათ, უიმისოდ უნდოდათ დაეწყოთ. მათიუშმა კი მაინც გაიგო ეს საიდუმლო, ისე გაიგო, ვერავინ ვერაფერს მიუხვდა.

ერთი საათის შემდეგ ბიჭები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ:

- ახალი ამბავი! მინისტრთა კაბინეტის კრიზისი!

ეს იმას ნიშნავდა, რომ მინისტრები ერთმანეთს წაენხუბნენ.

მინისტრთა კაბინეტის კრიზისი აი ასეთი იყო: თავმჯდომარეს ძალიან შეურაცხყოფილივით ეჭირა თავი და უფროს მინისტრობაზე უარს ამბობდა. გზათა მინისტრი აცხადებდა, ორთქმავლები საკმაო რაოდენობით არა მაქვს და ჯარის გადაყვან-გადმოყვანა არ შემიძლიაო, განათლების მინისტრმა თქვა: მასწავლებლები, ალბათ, ომში წავლენ და სკოლებში ბავშვები სულ მოუთავებენ ხელს შუშებსა და მერხებს, ამიტომ მინისტრობა არც მე მინდაო.

ოთხ საათზე საგანგებო თათბირი დაინიშნა.

მათიუშ მეფემ ისარგებლა ამ არეულ-დარეულობით, სამეფო ბაღში გაიპარა და ორჯერ ზედიზედ დაუსტვინა. მაგრამ ფელეკი არ გამოჩენილა.

‘ვის ვთხოვო რჩევა ამ გაჭირვებაში? რა ვქნა? - თავს იმტვრევდა ფიქრით, რადგან კარგა გრძნობდა, რომ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, მაგრამ პასუხი ვერ იპოვა და საოწარკვეთილებისაგან ატირდა. იტირა, იტირა და ბოლოს არყის ხის ჯირკზე დაყრდნობილს ჩაეძინა.

ჩაეძინა და სიზმარში თავისი მამა ნახა: სამეფო ტახტზე იჯდა, მის წინ მინისტრები იდგნენ გაჭიმულები. უეცრად სეფედარბაზში საათმა ისე დარეკა, ეკლესიის ზარი გეგონებოდათ. სწორედ იმ საათმა დარეკა, საბოლოოდ ამ

ოთხასი წლის წინათ რომ მომართეს. დარეკვისთანავე დარბაზში შემოვიდა ცერემონმაისტერი. მის უკან ოცი მსახური მოდიოდა და ოქროს კუბო მოჰქონდა. მეფე სამეფო ტახტიდან ადგა და კუბოში ჩაწვა. ცერემონმაისტერმა გვირგვინი მოხადა და მათიუმს დაადგა თავზე. მათიუმს უნდოდა, სამეფო ტახტზე დამჯდარიყო, მაგრამ გაიხედა და რას ხედავს, ისევ მამამისი ზის ამ ტახტზე. ოღონდ, ახლა აღარ გვირგვინი ადგას თავზე და თანაც ისეთი უცნაურია, თითქოს ის კი არ არის, მისი აჩრდილიაო. მამამ მათიუმს უთხრა:

- შეილო, ცერემონმაისტერმა შენ ჩემი გვირგვინი მოგცა, მე კი ჩემს ჭკუას გაძლევი.

და მეფის აჩრდილმა თავი მოიძრო. მათიუმს გული აუფრიალდა, ნეტავ ახლა რა მოხდებაო, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო და გამოაღვიძა.

- თქვენო უდიდებულესობავ, მალე ოთხი საათი შესრულდება.

მათიში მშვენიერ გუნებაზე ადგა. ლოგინიდან როცა დგებოდა, მაშინაც არ იყო ხოლმე ასე ყოჩაღად. რა იცოდა მათიუმმა, რომ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მოუწევდა ბალახზე, ცის ქვეშ, ღამის გათევა, მაშინ რა იცოდა, რომ კარგა ხნით გამოემშვიდობებოდა თავის სამეფო სარეცელს.

ცერემონმაისტერმა გვირგვინი მიართვა.

ზუსტად ოთხ საათზე სხდომათა დარბაზში მეფე მათიუმმა ზარი დააწკარუნა და ბრძანა:

- ბატონებო, თათბირი იწყება.

- სიტყვას ვითხოვ, - მაშინვე მიაგება უფროსმა მინისტრმა და გრძელზე გრძელი სიტყვა თქვა. ამბობდა, მუშაობა აღარ შემიძლიაო. დიდად ვწუხვარ, რომ მეფეს ასეთ დროს ვტოვებ, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული ვარ, წავიდეთ.

დანარჩენმა ოთხმა მინისტრმაც იგივე თქვა.

მათიუმში არ შეშინებულა. ძალიან მშვიდად უთხრა მინისტრებს:

- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ახლა ომია, ავადმყოფობის და დაღლის დრო არა გვაქვს. ბატონო უფროსო მინისტრო, თქვენ სახელმწიფო საქმეები იცით, მაშასადამე, თქვენს ადგილას უნდა დარჩეთ. ომს რომ მოვიგებთ, მაშინ მოვილაპარაკოთ ყველაფერზე.

- გაზეთებში უკვე ეწერა, რომ მე მივდივარ.

- ახლა კი დაწერენ, რომ თქვენ რჩებით. ასეთია ჩემი თხოვნა.

მეფე მათიუმს უნდოდა ეთხოვა, ასე ვბრძანებო, მაგრამ ეტყობა, მამის ჭკუამ ურჩია, ასეთ დროს სიტყვა "ბრძანება" "თხოვნით" შეცვალა.

- ბატონებო, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მამული, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ღირსება.

- ესე იგი, თქვენი უდიდებულესობა სამ სახელმწიფოს შებრძოლება? - იკითხა სამხედრო მინისტრმა.

- მაშ როგორ გინდათ, ბატონო მინისტრო, ზავი შეთავაზო? მე ხომ პავლე უძლეველის შვილთაშვილი ვარ!

მინისტრებს მოეწონათ მეფის სიტყვა. უფროსი მინისტრი კი მთლად დადნა სიხარულისაგან, რომ მეფე მინისტრად დარჩენას სთხოვდა. ყასიდად ცოტა ხანს კიდევ გაჯიუტდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დასთანხმდა.

თათბირი დიდხანს გაგრძელდა, როცა დამთავრდა, ბიჭები ქუჩებს მოედნენ ყვირილით:

- ახალი ამბავი: კრიზისი შეწყდა!

ეს იმას ნიშნავდა, რომ მინისტრები შერიგდნენ.

მათიუმში ცოტა გააკვირვებული დარჩა, რომ სხდომაზე არ ულაპარაკიათ, როგორ უნდა მიემართა ხალხისთვის სიტყვით, თეთრ ცხენზე ამხედრებული როგორ უნდა გასდლოლოდა მამაც ჯარს. ამის ნაცვლად, რკინიგზებზე, ფულზე,

ორცხოვნილებზე, ჩექმებზე, თივაზე, შვრიაზე, ხარებსა და ღორებზე ლაპარაკობდნენ, თითქოს ომი კი არ იწყება, სხვა რაღაც ხდებოდა.

მათიუშს ბევრი რამ გაეგონა ძველისძველ ომებზე, მაგრამ თანამედროვე ომისა კი არაფერი იცოდა. ამიტომ მეტი გზა არ იყო, დროზე უნდა გაეგო ყველაფერი. უნდა გაეგო, რისთვის სჭირდებოდათ ეს ორცხოვნილები და ჩექმები, ომთან რა ესაქმებოდა.

მოსვენება უარესად დაეკარგა, როცა მეორე დღეს უცხოელი აღმზრდელი ისევ ჩვეულებრივად ეახლა სამეცადინოდ.

მაგრამ გაკვეთილის ნახევარიც არ იქნებოდა გასული, რომ მათიუში სეფედარბაზში გამოიძახეს.

- მიემგზავრებიან იმ სახელმწიფოთა ელჩები, ჩვენ რომ ომი გამოგვიცხადეს.

- სად მიდინ?

- თავიანთ ქვეყნებში.

მათიუშს ეუცნაურა, რომ ასე მშვიდად მიემგზავრებოდნენ ელჩები, მაგრამ მაინც ეს ამჯობინა მათს წამებასა და სარზე ჩამოცმას.

- რისთვისღა მოვიდნენ?

- თქვენს უდიდებულესობას უნდა გამოემშვიდობონ.

- ნაწყენად უნდა მოვაჩვენო თავი? - იკითხა ჩუმად, რომ მსახურთ არ გაეგონათ და მათი პატივისცემა არ დაეკარგა.

- არა, თქვენო უდიდებულესობავ, ინებეთ და აღერსიანად გამოემშვიდობეთ, თუმცა, თვითონაც ზრდილობიანად მოიქცვიან.

ელჩები შემოვიდნენ, არც ხელებზე და არც ფეხებზე ბორკილები არ ედოთ.

- ჩვენ მოვედით თქვენს მეფურ უდიდებულესობასთან გამოსამშვიდობებლად. ძალიან გვტკივა გული, რომ ომი იწყება. ყველანაირად ვცდილობდით, თავიდან აგვეცდინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. ჩვენ იძულებულნი ვართ, თქვენს მეფურ უდიდებულესობას დავუბრუნოთ ორდენები, რადგან წესი არ არის, იმ სახელმწიფოს ორდენები ვატაროთ, ვისთანაც ჩვენს მთავრობას ომი აქვს.

ცერემონიისტერმა ორდენები ჩაიბარა.

- თქვენს უდიდებულესობას მადლობას მოვახსენებთ სტუმართმოყვარეობისათვის. თქვენი მშვენიერი დედაქალაქიდან დაუვიწყარი და სასიამოვნო მოგონებები მიგვყვება. იმედი გვაქვს, ამ პატარა გაუგებრობას მალე მოეღებო ბოლო და ისევ ძველებური გულითადი მეგობრობა შეაკავშირებს ჩვენს ქვეყნებს.

მათიუში ფეხზე წამოდგა და მშვიდად მიუგო:

- გადაეცით თქვენს მთავრობას, რომ გულწრფელად გახარებული ვარ ომის დაწყებით. ვეცდებით, რაც შეიძლება სწრაფად დაგამარცხოთ და დასაზავებლად იოლი პირობები შემოგთავაზოთ. ასე იქცეოდნენ ჩემი წინაპრები.

ერთ-ერთ ელჩს ოდნავ გაეღიმა. მერე ყველამ მდაბლად დაუკრა თავი. ცერემონიისტერმა ვერცხლის კვერთხი სამჯერ დაჰკრა იატაკს და გამოაცხადა.

- აუდიენცია დამთავრებულია.

მათიუშს მეფის სიტყვა ყველა გაზეთში დაიბეჭდა და საერთო აღტაცება გამოიწვია. სასახლის წინ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. გვიანობამდე ისმოდა მათი მხიარული ყიჟინა და მისაღმებები.

ასე გავიდა სამი დღე. მათიუშს მეფე ამაოდ ელდა გამოძახებას. უკვირდა, ომი იმიტომ ხომ არ არსებობს, რომ მეფეები გრამატიკას სწავლობდნენ, კარნახს წერდნენ და არითმეტიკის ამოცანებს იყვანდნენო.

დარდიანი მათიუში ერთხელ ბაღში სეირნობდა. უეცრად გუგულის ძახილი შემოესმა.

ერთი წუთიც და, ხელში უკვე ფელეკის წერილი ეჭირა.

ფრონტზე მივდივარ. მამაჩემი დათვრა, როგორც აპირებდა, მაგრამ დაძინების ნაცვლად გასამგზავრებლად მზადება დაიწყო. მათარა, დასაკეცი დანა და

სავაზნე რომ ვერ იპოვნა, ჩემზე იფიქრა, ის აიღებდაო, და კრგა მაგრად მიმბეგვა. დღეს ან ხვალდამ სახლიდან გავიპარები. რკინიგზაზე ვიყავი, ჯარისკაცები დამპირდნენ, წაგიყვანთო. თუ თქვენს უდიდებულესობას სურს, რამე დამავალოს, მზად ვარ. შვიდ საათზე მოვალ, კარგი იქნებოდა, საგზაოდ ერთი მათარა არაყი, ცოტაოდენი თამბაქო და ძეხვი მქონოდა. ძეხვი ბოლში გამოყვანილი აჯობებს“.

ვერაფერი სასიამოვნოა, როცა მეფე იძულებულია, სასახლიდან ქურდივით ჩუმად გამოიპაროს. მაგრამ ამაზე უარესი ის არის, რომ გამოპარვამდე სასადაჟილოში უნდა შეძვრეს, ერთი ბოთლი კონიაკი, ერთი ქილა ხიზილალა და ორაგულის დიდი ნაჭერი გამოიტანოს.

‘ომია, - ფიქრობდა მათიუში. - ომში ხომ კაცის მოკვლაც შეიძლება!“

მათიუში ძალიან დაღონებული იყო. სამაგიეროდ, ფელეკს თვალები უბრწყინავდა სიხარულით.

- კონიაკი არაყს სჯობია. თამბაქო არა მაქვს, მაგრამ არა უშავს, ფოთლები გავახმე, მერე კი ჯარისკაცის ულუფას მომცემენ, არაფერი მიჭირს. სამწუხარო მარტო ის არის, რომ მთავარსარდალი ნამდვილი დოყლაპიაა.

- როგორ თუ დოყლაპია! ვისზე ამბობ?

მათიუშს სისხლი აუვარდა თავში. ‘მაშ, მინისტრებმა კიდევ მომატყუეს! თურმე ერთი კვირაცაა, ჯარი გაუგზავნიათ და ორი შეტრაკებაც წაუგიათ. ჯარს მოხუცი გენერალი გასძღოლია. ამ გენერალზე ფელეკის მამას სიმთვრალეში უთქვამს, ლენჩიაო. მე, ჰა და ჰა, ერთხელ წავიდე იქ და მაშინაც, ალბათ, სადმე უხიფათო ადგილას მიმიყვანენ, რომ არაფერი დამემართოს. დანარჩენ დროს უნდა ვიჯდე და გაკვეთილები ვისწავლო, ხალხმა უნდა დამიცვას. დედაქალაქში რომ დაჭრილებს მოიყვანენ, ჰოსპიტალში უნდა მივიდე და მოვინახულო. გენერალს რომ მოკლავენ, გასვენებას უნდა დავესწრო.

რა გამოვიდა? გამოვიდა, რომ მე კი არ უნდა დავიცვა ხალხი, ხალხმა უნდა დამიცვას მე! რას იფიქრებს ირენკა? მაშ, მარტო იმიტომ ვარ მეფე, რომ გრამატიკა ვისწავლო და გოგონებს დიდი თოჯინები ვაჩუქო? არა, თუ მინისტრები ასე ფიქრობენ, ძალიან შემცდარან. ისინი მათიუშს არ იცნობენ!“

ფელეკი მესუთე მუჭა ჟოლოს ათავებდა, მათიუშმა რომ მხარზე ხელი დაადო.

- ფელეკ.

- მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

- არ გინდა, ჩემი მეგობარი იყო?

- მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

- ფელეკ, გახსოვდეს, რასაც ახლა გეტყვი, საიდუმლოა და არ გამცე.

- მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

- ამაღამ მეც გამოვიქცევი.

- მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

- მოდი, ერთმანეთი გადაგოცნოთ.

- მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

- ამის შემდეგ თქვენობით აღარ მელაპარაკო.

- მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

- მე უკვე მეფე აღარა ვარ. მე, მოიცა, რა დავირქვა? მე ტომეკ პალიუხი ვიქნები. შენ ჩემთვის ფელეკი ხარ, მე შენთვის - ტომეკი.

- მესმის, - უთხრა ფელეკმა და საჩქაროდ გადაყლაპა ორაგულის ნაჭერი.

გადაწყდა: ღამის ორ საათზე მათიუში მესურთან დაელოდებოდა.

- ტომეკ, იცი რა, თუ ორნი ვიქნებით, სურსათიც მეტი დაგვჭირდება.

- კარგი, - მათიუში უხალისოდ დაეთანხმა, ფიქრობდა, ამ საოცარ წუთებში კუჭზე ზრუნვა რა საკადრისიაო.

უცხოელმა აღმზრდელმა მათიუმს ლოყაზე შემხმარი ჟოლოს წვენი რომ დაუნახა, დაიჯღანა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ომის გაწამაწიამ უკვე სასახლამდე მიადწია და აღმზრდელმა იფიქრა, რა დროს ამაზე ლაპარაკიყო.

გაუგონარი ამბავი მოხდა: სასახლის ბუფეტიდან ვიღაცას ახლად გახსნილი კონიაკის ბოთლი, შესანიშნავი ძეხვი და ნახევარი ორაგული მოუპარავს. ეს ნუგბარი საჭმელ-სასმელი უცხოელმა პედაგოგმა თავისთვის გამოითხოვა, როცა ტახტის მემკვიდრის აღმზრდელად დგებოდა მოხუც მეფესთან. და აი, დღეს პირველად დარჩა ხელცარიელი. მზარეული ძალიან იყო მოწადინებული, მისთვის დანაკარგი აენაზღაურებინა, მაგრამ ჯერ ახალი მოთხოვნა უნდა დაეწერა, მერე სასახლის გამგებელს ზედ შტამში დაესვა, სასახლის ეკონომისტს ხელი მოეწერა და სარდაფების უფროსი მხოლოდ ამის შემდეგ ბრძანებდა, კონიაკი მიეცესო. ვინმე რომ გაჯიუტდეს და ეს ნებართვა გამოძიების დამთავრებამდე შეაჩეროს, - მშვიდობით, კონიაკო, - ერთ თვეს მაინც თვალთ ვერ იხილავს.

გულმოსულმა აღმზრდელმა თევზის ქონი დაუსხა მეფეს და ხუთი წამით ადრე გაგზავნა დასაძინებლად.

- ტომეკ, აქა ხარ?

- აქა ვარ, ფელეკ, შენა ხარ?

- მე ვარ. დალახვროს ეშმაკმა, ისე ბნელა, იქნება მცველებსაც გადავეყაროთ სადმე!

მათიუმი რის ვაი-ვაგლახით აცოცხდა ხეზე, დიდი გაჭირვებით გადავიდა ღობეზე და ძირს ჩახტა.

- მეფე ჰქვია და დედაკაცივით უგერგილო კია, - წაიბურტყუნა ფელეკმა, როცა მათიუმი მიწაზე დაებერტყა და შორიდან სასახლიდან გუშავის ყვირილი მოისმა:

- ვინ არის?

- ხმა არ გასცე! - უჩურჩულა ფელეკმა მათიუმს.

ამ ჭაპანწყევტაში მათიუშმა ხელი გაიკაწრა. ეს იყო ომში მიღებული მისი პირველი ჭრილობა.

ბიჭებმა ჩუმად გადაირბინეს ქუჩა, ხრამს მიადგნენ, ზედ ყარაულის ცხვირწინ გახოხდნენ და ყარზარმებისკენ მიმავალ ჭადრების ხეივანთან მიხოხდნენ. მერე ყაზარმის საპატიმროს დიდ ლამპაზე აიღეს გეზი, ყაზარმას მარჯვნივ შემოუარეს, პატარა ხიდზე გადავიდნენ და სწორი გზით პირდაპირ ცენტრალურ სამხედრო სადგურში ამოყვეს თავი.

სადგურში მათიუშმა ისეთი რამე ნახა, გარდასულ დროთა ამბები გაახსენდა. საითაც გაიხედა, ყველგან კოცონი ენთო, ჯარისკაცები ტრიალებდნენ. ზოგი ჩაის ადუღებდა, ზოგნი ბაასობდნენ, ზოგს ეძინა. სადგურში სამხედრო ბანაკი იდგა.

მათიუმს არ უკვირდა, ფელეკმა რომ ამდენი რამე იცოდა და გამოცდილი კაცივით მიჰყავდა თავის რაზმში. ფიქრობდა, ყველა ბიჭი ასეთიყო, თუ მეფე არ არისო. მაგრამ სინამდვილეში ფელეკი ყველასაგან განსხვავებული ბიჭი იყო, თვით მამაცთა შორისაც კი გამოირჩეოდა.

ყოველ საათში ახალ-ახალი მატარებელი მოდიოდა და ჯარი მოჰყავდა. რაზმები წარამარა ინაცვლებდნენ ადგილს. ხან გზის ახლოს დაიდებდნენ ბინას, ხან ცოტა მოშორებით გადაბარგდებოდნენ უკეთესი ადგილის ძებნაში და ისეთი ზედახორა იდგა, კაცი თავბუდისას ვერაფერს გაიგებდა. ფელეკიც რამდენჯერმე განერდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. დღისით ერთხელ უკვე იყო სადგურში, მაგრამ, ეტყობა, მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. რამდენიმე საათის წინ აქ ხარბაზნები იდგა, მაგრამ მერე მატარებელი მოვიდა და წაიღო. ამასობაში საველე ჰოსპიტალი ჩამოვიდა და დაბანაკდა. მესანგრეებმა რკინიგზასთან გადმოიწიეს, მათ ადგილას ტელეგრაფისტებმა დაიბუდეს. ბანაკის

ნაწილს დიდი რეფლექტორები ანათებდა, ნაწილი კი წყვილიაღში ჩაფლულიყო. ყველა ამ უსიამოვნებას ისიც დაემატა, რომ წვიმა წამოვიდა და ფეხი ტალახში ეფლობოდათ.

მათიუმს შეეშინდა, ფელეკი არ დამეკარგოსო, და აქოშინებული მისდევდა. ფელეკი კი არ მიდიოდა, მირბოდა, გზადაგზა ხან ვის აწყებოდა, ხან ვის ჯარისკაცებიც, რა თქმა უნდა, თავის საქმეს აკეთებდნენ და ხელის კერას არც ისინი აკლებდნენ.

- მე მგონი, სადღაც ა უნდა იყოს, - თქვა ბოლოს ფელეკმა და თვალბმწკურულმა მიიხედ-მოიხედა. უეცრდა მათიუმს შეხედა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- პალტო არ წამოიღე?

- არა. ჩემი პალტო სამეფო გარდერობში ჰკიდია.

- არც ზურგჩანთა? იცი, რა? დიდი აბუეტი და ყვეები უნდა იყო კაცი, რომ ომში ასე წახვიდე.

- ან გმირი, - იწყინა მათიუმმა.

ფელეკმა ტუჩზე იკბინა, სულ დაავიწყდა, რომ მათიუმში მაინც მეფე იყო.

მაგრამ ფელეკი ათასი რამით გახლდათ გულმოსული. ჯერ ერთი, წვიმდა, მერე იყო და, სადღაც გადაიკარგნენ ნაცნობი ჯარისკაცები, ჩვენს ვაგონში დაგმალავთ და წაგიყვანთო, რომ ჰპირდებოდნენ; თან იმაზეც ბრაზობდა, მათიუმში როგორ ვერ გავაფრთხილე, გზაში რა წამოელო.

მამისგან კარგი ალიყური კი გაიკრა, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა მათარაც აქვს, დასაკეცი დანაც და სავაზნეც, ურომლისოდაც არც ერთი ჭკუათმყოფელი კაცი ომში არ წავა. მათიუმში კი, რა საშინელებაა, ლაქის ფეხსაცმლითა და მწვანე ჰალსტუხითაა წამოსული. ფელეკს ყველაფერი ასე გვიან რომ არ გახსენებოდა და გულშემოყრილი არ ყოფილიყო, ერთი გემოზე იცინებდა, ისეთი საცოდავი ჩანდა მათიუმში იმ თავისი მწვანე, ჭუჭყიანი ჰალსტუხით.

უეცრად ძახილი შემოესმა:

- ფელეკ, ფელეკ! - და მათკენ მომავალი ერთი ზორბა ახალგაზრდა დაინახა. ისიც მოხალისე იყო, მაგრამ უკვე ფარაჯა ეცვა და ნამდვილ ჯარისკაცს დამსგავსებოდა.

- შენ გელოდები, ჩვენები უკვე სადგურში არიან, ერთ საათში აიბარგებიან. ჩქარა!

‘ამაზე ჩქარა?’ - გაიფიქრა მათიუმ მეფემ.

- ეს რაღა თოჯინა გახლავს? - ჰკითხა ახალგაზრდამ ფელეკს.

- ეს, იცი, რა, მერე გეტყვი, გრძელი ამბავია. ისე მოხდა, რომ აუცილებლად უნდა წამომეყვანა.

- ძალიან მეტყვება, აიყვანონ. მე რომ არ ვყოფილიყავი, შენც არ მიგიღებდნენ. შენ კიდევ ეს ლეკვი აიკიდე!

- ნუ ილანძღები, - გაუბრზდა ფელეკი. მერე ჩურჩულზე გადავიდა, რომ მათიუმს არ გაეგონა: - მთელი ერთი მათარა კონიაკი მომაქვს. ამან მომცა.

- მოიტან, ცოტა დამალევიანე.

- ჯერ ვნახოთ!..

მოხალისეები კარგა ხანს ენაგადაყლაპულებივით მიდიოდნენ. ყველაზე უფროსი ფელეკზე იყო გაჯავრებული, რატომ არ დამემორჩილაო. ფელეკი გულს ასკდებოდა, რა სულელურ ამბავში გავეხვიეო. მათიუმში კი ნაწყენი იყო, ისე საშინლად იყო ნაწყენი, ფიქრობდა, ჩუმად სიარული რომ არ იყოს საჭირო, ამ იგინდარას უდიერობისათვის საკადრის პასუხს გავცემდი, როგორც მეფეს შეეფერებაო.

- იცი, რას გეტყვი, ფელეკ, - უცებ შეჩერდა ახალგაზრდა, - ან მომეცი ეგ კონიაკი, ან არადა მარტოკა წადი, მე აღარ მოვდივარ, აკი შემპირდი,

ყველაფერს გავიგონებ, ოღონდ ადგილი მიშოვეო. რა გამოვიდა, ახლავე მეურჩები და მიჯიუტდები, მერე რაღას იზამ!

მოუვიდათ ჩხუბი, ის იყო, კინაღამ ცემა-ტყეპაზედაც გადავიდნენ, რომ უცბად შეშხუნების ყუთი აფეთქდა და იქაურობა გააყრუა. ეტყობა, ვიღაც დაუდევარს ზედ თოფისწამალი დაეხრა. აფეთქების ხმაზე არტილერიის ორი ცხენი დაფრთხა და აიწყვიტა. ყველაფერი წამში აირ-დაირია. ვიღაცის გმინვა ცას მისწვდა. ერთი წუთის შემდეგ ფელეკისა და მათიუშის გამცილებელი ყმაწვილი ფეხმომსხვრეულიწვა სისხლის გუბეში.

ფელეკი და მათიუში გაოგნებულები იდგნენ, ველარ მოეზრებინათ, როგორ მოქცეულიყვნენ. აქ რომ მოდიოდნენ, ბიჭებმა, რა თქმა უნდ, იცოდნენ, რომ შეიძლება დახოცილიყვნენ, დაჭრილიყვნენ, იცოდნენ, რომ სიკვდილსაც ნახავდნენ და სისხლსაც, მაგრამ ახლა კი არა, ცოტა გვიან, - იქ, ბრძოლის ველზე!

- ეს რა ამბავია, ბავშვებს აქ რა უნდათ?! - აბუზღუნდა ვიღაც კაცი. ეტყობოდა, ექიმი უნდა ყოფილიყო. მივიდა, ბიჭები განზე გაყარა და დაჭრილს დახედა. - ხომ ვთქვი! მოხალისეა. ტუნზე დედის რძე არ შეგშრობია, სად მოდიხარ, რომ მოდიხარ, შე ლოპრიანო, - ბურტყუნებდა და მაკრატლით შარვლის ტოტს უჭრიდა.

ამასობაში სანიტრებიც გამოჩნდნენ. მოდიოდნენ და საკაცე მოჰქონდათ, რომ ეს საცოდვი მოხალისე დაეწვინათ და წაეყვანათ.

ფელეკმა უცებ ორ სამხედრო პოლიციელს მოჰკრა თვალი და მათიუშს დაუყვირა:

- ტომეკ, გავიქცეთ!

- ეს აქ უნდა დავტოვოთ? - გაუბედავად ჰკითხა მათიუშმა.

- მერე რა? ჰოსპიტალში წაიყვანენ. ომში კი უკვე აღარ გამოდგება.

ბიჭებმა ერთ კარავს შემოუარეს და სიბნელეში დაიმაღლნენ. ცოტა ხნის შემდეგ ახლომახლო აღრავინ ჩანდა. იმ ადგილას, სადაც დაჭრილი იწვა, მხოლოდ ჩექმა, ფარაჯა და ტალახში არეული სისხლი დარჩენილიყო.

- ფრაჯა გამოგვადგება, - თქვა ფელეკმა. - მერე თავი იმართლა, - როცა გამომჯობინდება, ისევ მივცემ. წამო, სადგურში წავიდეთ, თორემ უკვე ათი წუთი დაგვარგეთ.

რაზმი უკვე გადახებაზე იდგა, ბიჭები რომ ძლივძლივობით გაძვრნენ ბაქანზე.

- არ დაიშალოთ! მე ახლავე დავბრუნდები! - გასცა ბრძანება ახალგაზრდა პორუჩიკმა.

ფელეკმა ჯარისკაცებს უამბო იმ მოხალისე ყმაწვილის ამბავი და, ცოტა არ იყოს, შიშით გააცნო მათიუშს.

- ნეტავ პორუჩიკი რას იტყვის! - წუხდა ფელეკი.

- პორუჩიკი პირველსავე სადგურში ჩამოაგდებს ვაგონიდან. შენზე უკვე ველაპარაკეთ და მაშინაც იჯღანებოდა. ძლივს დავითანხმეთ.

- ჰეი, მეომარო, რამდენი წლისა ხარ?

- ათისა.

- ეჰ, არაფერი გამოვა. თუ უნდა, აძვრეს ვაგონში, მაგრამ პორუჩიკი მაინც ჩამოაგდებს და მაგის გულისთვის ჩვენც მოგვხვდება.

- თუ ჩამომაგდო, ფეხით წამოვალ, - გულ იმოუვიდა მათიუშს და ცრემლები ყელში მოეხვინა. სადაც სამართალია, თავისი დედაქალაქიდან თეთრ ცხენზე ამხედრებული უნდა გამოსულიყო, ჯარს წინ უნდა გასძლოლოდა, ფანჯრებიდან ყვავილების ნიაღვარი უნდა გადმომსკდარიყო, ეს კი ქურდით ჩუმად მიიპარება, რომ წმიდათაწმიდა ვალი მოიხადოს - დაიცვას თავისი ქვეყანა, თავისი ქვეშევრდომები. ჰოდა, აჰა, დამცირებასა და შეურაცხყოფას ბოლო არ უჩანს.

კონიაკისა და ორაგულის დანახვაზე ჯარისკაცებს ხელად გაუბრწყინდათ თვალები.

- მეფური კონიაკია, მეფური! ორაგულიც მეფურია, ორაგულიც! - აქებდნენ და აღიდებდნენ! - აქებდნენ და აღიდებდნენ.

მათიუში უყურებდა, როგორ ყლურწავდნენ ჯარისკაცები აღმზრდელის კონიაკს, და სიხარულით აღარ იყო.

- აბა, ძამიკო, ერთი შენც გადაუძახე! ვნახოთ, გამოდგები თუ არა ომში.

ესეც ასე, ბოლოს და ბოლოს, მათიუშიც სვამს იმას, რასაც მხოლოდ მეფეები სვამდნენ.

- ძირს თევზის ქონი! - დაიძახა აღტაცებულმა.

- ჰე-ჰე-ჰე! თურმე რევოლუციონერი ყოფილხარ, - გაეპასუხა ერთი ახალგაზრდა კაპრალი, რომელმაც კარგად ვერ გაიგო, რა დაიძახა მათიუშმა. - არ მოგწონს ჩვენი ხელისუფალი? იქნებ მათიუშ მეფეს მტარვალად თვლი? ცოტა ფრთხილად, შვილო, მარტო ერთი სიტყვისთვის - 'ძირსო', რომ იძახი - ისეთ ადგილას დაგახლიან ტყვიას, სადაც არ შეიძლება.

- მათიუშ მეფე ტირანი არ არის, - უმაღვე შეედავა მათიუში.

- ჯერ პატარაა, ვინ იცის, რა დადგება.

მათიუშს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ფელეკმა მარჯვედ გადაიტანა ლაპარაკი სხვა რამეზე.

- იმას ვამბობდი, მოვდივართ სამნი, უეცრად ისე დაიგრუნუნა, ვიფიქრე, თვითმფრინავიდან ყუმბარა ჩამოაგდეს-მეთქი. თურმე შუშხუნების ყუთი აფეთქებულიყო. მერე ციდან სულ ვარსკვლავებივით ცვიოდა შუშხუნები.

- ნეტა რა ეშმაკებად და ქაჯებად უნდათ ეს შუშხუნები!

- პროუქტორები როცა არ ექნებათ, გზას გაინათებენ.

- იქვე, ახლოს, მძიმე არტილერია იდგა. ცხენები შეშინდნენ და დაფრთხნენ. აგნზე გადავხვით, იმ ბიჭმა კი ვერ მოასწრო.

- ძალიან დაიჭრა?

- ბევრი სისხლი დაკარგა. მაშინვე საკაცით წაიყვანეს.

- აჰა, ესეც შენი ომი, - ამოიხრა ვიღაცამ. - კიდევ გაქვთ კონიაკი? იმ მატარებელს რაღა დაემართა, რომ არ ჩანს!

ამის თქმა იყო და მატარებელიც ქოშინ-ქოშინით ჩამოდგა. ატყდა ერთი გაქცევ-გამოქცევა, ხმაური, ალიაქოთი.

- ჯერ არავინ ავიდეს ვაგონში! - ყვირილით მოირბინა პორუჩიკმა. მაგრამ მისი ხმა იმ აურზაურში არავის გაუგონია.

მათიუში და ფელეკი ჯარისკაცებმა ამანათებივით შეყარეს ვაგონში. სადღაც რომელიღაც ორი ცხენი ისევ გაჯიუტდა და ვაგონში არ შედიოდა. რომელიღაც ვაგონები კიდევ უნდა მიებათ თუ მოეხსნათ, მატარებელი შეზანზარდა, რაღაცა მიჯახუნდა და მემანქანემ მატარებელი ისევ უკან დასწია.

ვაგონში ვიღაც შემოვიდა პატარა ფანრით და ჯარისკაცების სახელებით გამოიძახა. ჯარისკაცები სალაშქრო კარდალებით გაცვივდნენ გარეთ წვნიანისთვის.

მათიუში თითქოს ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თანთვალეები ეხუჭებოდა. მატარებელი ისე დაიძრა, არც გაუგია. როცა გაეღვიძა, ბორბლების თანაბარ დაგადუგზე მიხვდა, რომ მატარებელი უკვე კარგა ხნის გამოსული იყო იმ ბაქნიდან.

“მივდივარ“, - გაიფიქრა მეფემ და ისევ დაიძინა.

ოცდაათ სატვირთო ვაგონში ჯარისკაცები ისხდნენ, რამდენიმე ღია ვაგონ-ბაქანზე ტყვიამფრქვევები და ოთხთვალეები იდგა. ერთ სამგზავრო ვაგონში კი ოფიცრები იყვნენ.

მათიუშმა თავის ტკივილით გამოიღვიძა. სტკიოდა ფეხიც. ზურგი და თვალები ეწვოდა. ხელები ჭუფჭუფისაგან ერთმანეთზე ეწებებოდა. მთელი სხეული აუტანლად ექავებოდა.

- ადექით, კიბორჩხალებო, თორემ წვნიანი გაგიცივდებათ.

მათიუშისთვის უცხო ხილი იყო ჯარისკაცური საჭმელი, ამიტომ დიდი გაჭირვებით გადაყლაპა ორიოდ კოვზი წვნიანი.

- ჭამე, თუ ძმა ხარ, აქ სხვას არაფერს მოგართმევენ, - არიგებდა ფელეკი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

- თავი მტკივა.

- იცი რა, ტომეკ, ემანდ ახლა არ მგინდეს ავადმყოფობა, - უჩურჩულა შეწუხებულმა ფელეკმა. - ომში ავადმყოფობის დრო არ არის, დაჭრით, როგორც ვინდა, ისე დაიჭერი.

და უცბად თვითონ ფელეკმაც გამწარებულმა დაიწყო ფხანა.

- ბერიკაცი მართალი იყო, უკვე პარაზიტები გვჭამენ. შენ არ გკბენენ?

- ვინ? - ჰკითხა მათიუშმა.

- ვინ? ვინ და, რწყილები. თუმცა, არ ვიცი, იქნება ამაზე უარესებიც დაგვესია. ბერიკაცი მეუბნებოდა, ომში ტყვია ისა არ აწუხებს კაცი, როგორც ეს მხეცებო.

მათიუშს გაახსენდა იმ საწყალი მსახურის ამბავი და გაიფიქრა: 'ნეტავ როგორია ის მწერი, მაშინ მეფე ისე რომგანარისხაო'. მაგრამ დიდხანს ფიქრი არ დასცალდა, უცბად კაპრალმა იყვირა:

- დაიმაღეთ, პორუჩიკი მოდის!

ბიჭები სასწრაფოდ კუთხეში მიყნჭეს და ზედ რაღაცები გადააფარეს.

ცოტა ხნის შემდეგ ჯარისკაცებმა ტანსაცმელი დაუთვალიერეს და გულს შემოეყარათ - არც ერთს წესიერად არ ეცვა. მაგრამ ამასაც მალე ეშველა. ვაგონში ერთი თერძი ყოფილიყო. ისე უყვარდა თავისი ხელობა, მაშინვე თქვა, ბიჭებს ფარაჯებს მე გადაუკეთებო.

ჩექმების საქმე კი ვერ იყო კარგად.

- ბიჭებო, თქვენ მართლა აპირებთ ბრძოლას?

- მაშ, რისთვის მოვდივართ?

- ეგ კი ეგრეა, მაგრამ ლაშქრობა ძალიან ძნელი საქმეა, ძალიან. ჯარისკაცისთვის ჯერ თოფია და მერე ჩექმები. თუ ფეხი არ გაწუხებს, შენს ბედს ძალიან არ დაჰყევს. მაგრამ თუ ფეხი ერთი გადაგყველიფა, გათავებულია შენი საქმე, ინვალიდი ხარ და მეტი არაფერი.

მატარებელი ნელა მიდიოდა. ჯარისკაცები ისხდნენ და დინჯად ბაასობდნენ. სადგურებში მატარებელი დიდხანს ჩერდებოდა. ხანმოკლე სათს აჩერებდნენ, ხან ამაზე მეტ ხანსაც. ზოგჯერ სათადარიგო ლიანდაგზე გადაიყვანდნენ ხოლმე, რომ უფრო საჭირო მატარებლები გაეტარებინათ. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ერთი სადგურიდან გავიდოდნენ და მეორე სადგურიდან ისევ ძველში ბრუნდებოდნენ. ზოგჯერ კი გზა გადაკეტილი იყო და სადგურიდან ორ კილომეტრზე აჩერებდნენ.

მეზობელ ვაგონში ჯარისკაცები მღეროდნენ. ერთი ჯარისკაცი გარმონს უკრავდა. სადგურში ცეკვა-თამაშსაც კი გააჩადებდნენ ხოლმე. მათიუშისა და ფელეკისთვის რომ გეკითხათ, დრო გულის გამაწყალებლად მიიზღაზნებოდა, არც ტყუოდნენ: ჯარისკაცები ბიჭებს გარეთ არ უშვებდნენ, მაშინვე დაჰყვირებდნენ ხოლმე, კარში ცხვირს ნუ ჰყოფთ, პორუჩიკი დაგინახავთო.

მათიუში ისე იყო დაღლილ-დაქანცული, გეგონებოდათ, ერთი კი არა, ხუთი დიდი ბრძოლა გადაიხადაო. დაძინება უნდოდა, ქავილი არ აძინებდა. გარეთ გასვლა უნდოდა და, არ შეიძლებაო, ვაგონში კი დახუთული ჰაერი იდგა.

- იცით, ამდენ ხანს რატომ ვდგავართ? - ახალი ამბავი მოიტანა ერთმა მხიარულმა, ხალისიანმა ჯარისკაცმა. ეს ჯარისკაცი ისეთი დაუდგარი ვინმე იყო, სულ აქეთ-იქით დარბოდა და წარამარა ახალი ამბები მოჰქონდა.

- რატომ ვიდგებით! ან ხიდს ააფეთქებდა მტერი, ან გზა იქნება დაზიანებული.

- არა, ჩვენები ხიდებს კარგად იცავენ.

- მაშ, ქვანახშირი არ ექნებათ. ალბათ, რკინიგზამ ვერ გაითვალისწინა, რომ ამდენი მატარებლისთვის დასჭირდებოდა.

- იქნება ვინმე ჯაშუშმა ორთქმავალი დააზიანა?

- არა, არც იმიტომ. მთელი ტრანსპორტი იმიტომ არის გაჩერებული, რომ მეფის მატარებელმა უნდა გაიაროს.

- დალახვროს ეშმაკმა, მერე შიგ ვინ იჯდება, მათიუმ მეფე?

- ისღა გვაკლია.

- გვაკლია თუ არ გვაკლია, მეფეა, მორჩა და გათავდა.

- ახლანდელ დროში მეფეები ომში აღარ დადიან.

- სხვა მეფეები შეიძლება მართლა არ მიდიან, მაგრამ მათიუმი კი ნამდვილად წავიდოდა, - უცბად ჩაერია მათიუმი ლაპარაკში, ფელეკი ფარაჯაზე ექაჩებოდა.

- ყველა მეფე ერთნაირია. უწინდელ დროს შეიძლება სხვანაირად ხდებოდა ყველაფერი.

- ვინ იცის, როგორ იყო უწინ. იქნება მაშინაც თავთიკის ქვეშაგებზე იწვნენ. რაკი არავის ახსოვს, როგორ იყო უწინ, მაშ, ცრუობენ.

- რაზე უნდა იცრუონ, ვითომ!

- მაშ, აბა, მითხარი, რამდენი მეფე მოკლეს ომში და რამდენი - ჯარისკაცი!

- მეფე რომ ერთია და ჯარისკაცები ბევრნი არიან?!

- შენ რა, ერთი მეფე გეცოტავება? ნუ გეშინია, ერთიც გაწყველინებს თავბედს.

მათიუმი ყურებს არ უჯერებდა. ან რა გასაკვირია, რომ არ უჯერებდა, ერთხელ და ორჯერ ხომ არ გაუგონია, ხალხს მეფე გაგიჟებით უყვარსო, არმია ხომ აღმერთებს და აღმერთებსო. გუშინაც კი იმას ფიქრობდა, ჩემი ვინაობა უნდა დაემალა, ემანდ უსაზღვრო სიყვარულისაგან არაფერი დამმართონო. ახლა უკვე იცოდა, რომ თუნდაც გაემუღაგებინა, მაინცდამაინც დიდ სიხარულს ვერავის მოჰგვრიდა.

საკვირველია, ჯარს მეფე არ უყვარდა და მის დასაცავად კი მიდიოდა!

მათიუმი შიშის ზარმა აიტანა, ემანდ მიამაჩემზედაც უკადრისი არაფერი თქვანო, მაგრამ ტყუილად შიშობდა, მამამისი ქებითაც კი მოიხსენიეს: ცხონებულს ომი არ უყვარდა, არც თვითონ ჩხუბობდა, არც ხალხს აიძულებდა, ებრძოლაო.

მათიუმს ცოტა გულზე მოეშვა.

- მართლაც და მართლაც, კაცმა რომ თქვას, მეფეს ომში რა უნდა? ბალახზე მიწვევა, - სურდო შეეყრება, დაძინება მოუნდება, - რწყილები არ დააძინებენ. ჯარისკაცური მაუდის სუნზე კი თავი ასტკივდება. იმათ კანიც ნაზი აქვთ და ცხვირიც.

მათიუმი ალალი ბიჭი იყო, ტყუილს ვერ ათქმევინებდით, ამიტომ გუნებაში აღიარა, ჯარისკაცები მართალს ამბობენო.

სწორედ გუშინ იყო, მათიუშმა ბალახზე რომ მიიძინა და სურდო შეეყარა. თავიც, რაც მართალია, მართალია, სტკივა, მთელი სხეულიც ძალზე ექავება.

- აბა, ბიჭებო, გეყოფათ მაგაზე ლაპარაკი, კარგს მაინც ვერაფერს გაიხსენებთ. მოდი, რამე ვიმღეროთ, ცოტა გაემხიარულდებით.

- მივდივართ! - დაიყვირა ვიღაცამ.

მართლაც, მატარებელი ძალიან მალე დაიძრა. პირდაპირ საკვირველი რამე ხდებოდა: როცა კი ვინმე იტყოდა, მატარებელი კარგა ხანს იდგებოდა, სწორედ

მაშინ წავიდოდა ხოლმე უცბად. ჯარისკაცები სირბილით დაედევნებოდნენ და გზადაგზა ახტებოდნენ ვაგონებს. ზოგიერთი ვერ ასწრებდა შეხტომას და რჩებოდა.

- სიფხიზლეს გვაჩვევენ, - მიხვდა ვიღაც ჯარისკაცი.

ერთ დიდ სადგურში რომ შევიდნენ, გაოცებისგან პირი დაადეს. იქაურობა დროშებით მოერთოთ, საპატიო ყარაულიც დაეყენებინათ, ვიღაც თეთრებში გამოწყობილი მანდილოსნები და ორი ბავშვიც დაინახეს. ბავშვებს დიდი თაიგულები ეჭირათ ხელში. ჯარისკაცებმა მალე გაიგეს, რომ აქ ვიღაც დიდკაცს უნდა გაეველო. ბოლოს გამოირკვა: თურმე სამეფო მატარებლით თვით სამხედრომინისტრი მიბრძანდებოდა ფრონტზე.

ჯარისკაცების მატარებელი ისევ მეორე ლიანდაგზე გადაყენეს და მთელ ღამეს იქ აყურყუტეს. მათიუშსაც მთელი ღამე ფეხი არ გაუქნევია, ისე ეძინა. მშიერი, დაღლილი და გულმოსული იყო და ისე ეძინა, სიზმარიც კი არ უნახავს.

უთენია ვაგონების დაგვა-დასუფთავება დაიწყო. პორუჩიკი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, ყველაფრს თვალყურს ადევნებდა.

- ბიჭებო, უნდა დაგმალოთ, თორემ ვეღრავენ გიშველით, - უთხრა ბიჭებს კაპრალმა.

ფელეკი და მათიუში მაშინვე მეისრის ქოხში გადახიზნეს. მეისრის ცოლმა სტუმრები შეიკედლა. ეს ქალი ძალიან ცნობისმოყვარე ვინ იყო და იფიქრა, ბავშვებისგან უფრო ბევრ რამეს გავიგებო.

- ეჰ, ბავშვებო, ბავშვებო, - მოჰყვა ოხვრას მეისრის ცოლი, - რად გინდოდათ, აუტკივარი თავი რომ აიტკიეთ! არ გერჩივნათ, სკოლაში გეველოთ? საიდან მოდიხართ, რა გინდათ, სად მიდიხართ?

- პატივცემულო დიასახლისო, - წარბები შეყარა ფელეკმა, - მამაჩვენი ოცმეთაურია. გამოთხოვებისას გვითხრა, კარგ ჯარისკაცს ფეხები სალაშქროდ სჭირდება, ხელები - თოფისთვის, თვალები - ყველაფრის დასანახავად, ყურები - ყველაფრის გასაგონად, ენა იმისთვის, რომ ზედ კბილები დააჭიროს და კრიჭა მხოლოდ მაშინ გახსნას, როცა წვნით სავსე ჯარისკაცური კოვზი მიუკაკუნებს. ჯარისკაცი ერთი თოფით ერთ თავს იცავს, მაგრამ ერთი გატლექილი ტუტრუცანას ენით მარტო თავისი თავი კი არა, მთელი რაზმი შეიძლება დაღუპოსო, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ, სამხედრო საიდუმლოებაა. არაფერი არ ვიცით და არც არაფერს გეტყვით.

საწყალი ქალი თვალეზაყვილი შეჰყურებდა.

- ეს რა მესმის! თითისტოლა ბაღლია და ბერიკაცივით კი ლაპარაკობს! თქვენ მართალი ხართ. ჯარისკაცებში ათასნაირი ჯაშუში დაძვრება. ჯარისკაცის ფარაჯას გადაიცვამს, დასუნსულებს, გამოიკითხავს რაღაცებს და, - ჰერი ბიჭო! - მოუსვამს ჩვენს მტრებთან.

მეისრის ცოლმა ბიჭებს დიდი მოწიწებით დააღვეინა ჩაი და პატივისცემის გამოსახატავად ძეხვიც მიართვა.

მათიუშს საუზმე ძალიან ეგემრელა. შეიძლება უფრო იმიტომ ეემრიელა, რომ საუზმის წინ კარგად დაიბანა ხელ-პირი.

უცბად ძახილი შემოესმათ:

- მეფის მატარებელი! მეფის მატარებელი!

ფელეკი და მათიუში იმწამსვე ქოხზე მიყუდებულ კიბეზე აცვივდნენ და თვალეზად გადაიქცნენ.

- მოდის.

დიდფანჯრიანი, ღამაზი მატარებელი სადგურში შემოვიდა და გაჩერდა, ორკესტრმა ჰიმნი დასცხო. ვაგონის ფანჯარაში მათიუის ნაცნობი სამხედრო მინისტრი იდგა.

მინისტრმა და მათიუშმა ერთი წამით თვალებში შეხედეს ერთმანეთს. მათიუში შეერთა და სწრაფად დაიკუნა. უჰ, რა იქნებოდა, მინისტრს რომ ეცნო?!

მაგრამ მინისტრი ვერ იცნობდა მათიუშს. ვერ იცნობდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ უამრავი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი და ფიქრით სულ იმ საქმეებს დასტრიალებდა, მეორეც იმიტომ, რომ მათიუშის დაკარგვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ არავის გაუმხილა (ამაზე შემდეგ მოგიყვებით) და სამხედრო მინისტრი ფრონტზე გამგზავრების წინ მათიუშის ორეულს დაემშვიდობა დედაქალაქში.

აქეთ რომ მოდიოდა, საგარეო სქმეთა მინისტრი აფრთხილებდა, ერთ მოწინააღმდეგესთან სბრძოლველად უნდა იყო მზად, მაგრამ სამ მეფესთან ბრძოლა კი მოგიწევსო.

სამხედრო მინისტრი საგონებელში იყო ჩავარდნილი. ფიქრობდა, რომ ერთზე სამი მოდის, სათქმელად ადვილია, წადი და იბრძოლეო. ერთი ან ორი კიდეც რომ დავამარცხო, მესამე ხომ აუცილებლად ბოლოს მომიღებსო.

რაც მართალია, მართალია, ჯარი შეიძლება არ დაჰკლებოდა, მაგრამ რად გინდა, რა, არც თოფები ჰქონდათ საკმარისი, არც ზარბაზნები, არც ტანსაცმელი, და მინისტრმა ასეთი რამ მოიაზრა: მოულოდნელად, უცბად დასცემოდნენ პირველ მტერს, დაემარცხებინათ, წაერთმიათ ყველაფერი, რაც ომისთვის მოიმარაგა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰბმოდნენ მეორე მტერს.

მათიუშს გულზე ხვდებოდა, ჯარი მინისტრს რომ ესალმებოდა, ყვავილებს რომ აწვდიდნენ და ორკესტრიც გაუთავებლად უკრავდა.

ეს ყველაფერი მე მეკუთვინისო, - ფიქრობდა. მაგრამ მათიუში გულმართალი ბიჭი იყო და მაშინვე ყველაფერი აუხსნა თავის თავს: 'დიახ, ადვილია, ისეირნო და ხალხს მიესალმო, მუსიკას უსმინო და ყვავილების თაიგულები მიიღო. ჩემო საყვარელო მათიუშ, თუ ბიჭი ხარ, აბა, ეს მითხარი, მის ადგილას რომ იყო, გეცოდინებოდა, სად უნდა გაგეგზავნა ჯარი, როცა შეოგრაფიაც კი არ იცი?'

მართლაცდა, აბა, რა იცის მათიუშმა? ერთი-ორი მდინარე, ერთი-ორი მთა და კუნძული, ისიც იცის, რომ დედამიწა მრგვალია და თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს. ასეთმა მინისტრმა კი ყველა ციხესიმაგრე, ყველა გზა, ტყისყველა ბილიკი უნდა იცოდეს. მათიუშის პაპის პაპამ იმით მოიგო დიდი ომი, რომ შეტევაზე გადმოსულ მტერს ტყეში დაემალა, მოიცადა, სანამ მტერ ტყეში ღრმად შევიდოდა, მერე კი გაუვალი ბილიკებით ზურგიდან შემოუარა და ერთიანად გაანადგურა. მტერს ეგონა, პირისპირ შევეყრებით, მან კი მოულოდნელად ზურგიდან დასცხო და ჭაობში უკრა თავი.

აბა რა ეთქმის, მათიუშს, იცნობს თავისი ქვეყნის ტყესა და ჭაობებს?

არ იცნობს. არ იცნობს და ახლა უნდა გაიცნოს. დედაქალაქში რომ დარჩენილიყო, მხოლოდ თავისი სამეფო ბაღი ეცოდინებოდა. ახლა კი მთელ თავის სახელმწიფოს იხილავს საკუთარი თვალით.

ის ჯარისკაცები ტყუილად კი არ დასცინოდნენ! მათიუში ძალიან პატარა და უწიგნური მეფეა. იქნებ ცუდიც არის, რომ ომი ასე მალე დაიწყო. ნეტავ ორი წლის შემდეგ მაინც დაწყებულიყო, ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ!

ახლა გიამბობთ, რა მოხდა სასახლეში, როცა მეფის დაკარგვის ამბავი შეიტყვეს.

დილით მეფის საძინებელ დარბაზში მსახურთუხუცესი რომ შევიდა, თვალებს არ დაუჯერა: ფანჯარა ყუნწამდე იყო გაფრიალებული, ლოგინი - აწეწილ-დაწეწილი, მათიუში კი არსად ჩანდა.

ჭკვიანი კაცი იყო მეფის მსახური, საძინებელი დარბაზის კარი მაშინვე გასაღებით დაკეტა, გაგარდა ცერემონმაისტერთან, გააღვიდა და ყურში ჩასწურჩულა:

- ბატონო ცერემონმაისტერო, მეფე დაიკარგა.

ცერემონიაისტერმა ტელეფონით დაურეკა უფროს მინისტრს და სრულიად საიდუმლოდ აცნობა ეს ამბავი. ათი წუთიც არ გასულა, რომ სამი მანქანა მოგრიალდა:

უფროსი მინისტრისა,
შინაგან საქმეთა მინისტრსა.

და
პოლიციის პრეფექტისა.

- მეფე მოიპარეს.

ცხადია, რომ მოიპარეს, მეფის მოპარვა კი მხოლოდ მტერს სჭირდება. იმისთვის სჭირდება, რომ ჯარი გაიგებს, მეფე დაიკარგაო, თითსაც არ გაანძრევს, და მტერიც უბრძოლველად ჩაიგდებს ხელში დედაქალაქს.

- ბევრმა იცის, რომ მეფე დაიკარგა?

- არავინ არ იცის.

- კიდევ კარგი!

- ახლა ის უნდა გამოვარკვიოთ, მათიუში ცოცხალი წაიყვანეს, თუ აქვე მოკლეს. ბატონო პოლიციის პრეფექტო, გამოიკვლიეთ ყველაფერი... ერთი საათის შემდეგ პასუხი მომასხენეთ.

სასახლის ბაღში ერთი ტბა იყო. იქნებ მათიუში ამ ტბაში ჩაახრჩვეს? მაშინვე საზღვაო ფლოტის სამინისტროში კაცი აფრინეს და მყვინთავის ჩაფხუტი მოიტანეს. ხომ იცით, როგორიც არის ის ჩაფხუტი? რკინისაა, ფანჯრებიანი, და ერთი მილიც აქვს, საჰაერო. პოლიციის პრეფექტმა თავზე ჩამოიცვა ჩაფხუტი და ტბის ფსკერზე ჩავიდა. კარგა ხანს დადიოდა ფსკერზე, კარგა ხანს ჩხრეკდა იქაურობას, მეზღვაურები კი მალედიან ჰაერს უტუმბავდნენ მილში. ყველაფერი ამას იყო, მათიუში ვერც აქ იპოვეს.

სასახლეში ექიმი და ვაჭრობის მინისტრი გამოიძახეს. საიდუმლოს ყველანი მკაცრად იცავდნენ. ყველაფერს ჩუმად აკეთებდნენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ხომ უნდა ეთქვათ, მსახურები ეჭვობდნენ, ნამდვილად დიდი ამბავი მოხდა, რაკი მინისტრები დიდიდანვე გადარეულებივით დარბიანო.

პოლა, მინისტრებსაც რა ექნათ, ადგნენ და მსახურებს უთხრეს, მათიუში შეუძლოდ არის, ექიმა საუზმედ კიბორჩხალები გამოუწერა, პოლიციის პრეფექტი ტბაში იმიტომ ჩაძვრაო.

უცხოელ აღმზრდელს შეუთვალეს, მათიუშს გაკვეთილს ვერ ჩაუტარებთ, ავად არის და ლოგინში წევსო. ექიმიც სულ ხალხის თვალწინ ტრიალებდა, ამიტომ ყველამ დაიჯერა, მათიუში მართლა ავად არისო.

- კარგი, ასეა თუ ისე, დღეს მშვიდად შეგვიძლია ვიყოთ, მაგრამ ხვალ რა უნდა ექნათ? - იკითხა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

- მე გახლავართ უფროსი მინისტრი და მხრებზე თავი მოსართავად რომარ მახია, ახლავე დაგარწმუნებთ.

ამასობაში ვაჭრობის მინისტრი მობრძანდა.

- გახსოვთ ის თოჯინა, მათიუშმა პაწაწინა ირენკასთვის რომ შეგვიკვებოთ?

- რა დამავიწყებს, ფინანსთა მინისტრმა შავი დღე მაწია, ფულს სისულელეებში ფლანგავო!

- მაშ, ამ წუთს წაბრძანდით იმ ფაბრიკანტთან და უთხარით, მათიუშის სურათის მიმსგავსებით ხვალისთვის ისეთი თოჯინა გააკეთოს, ყველას ცოცხალი მათიუში ეგონოს, კაციშვილი ვერ მიხვდეს, რომ თოჯინაა.

პოლიციის პრეფექტი ტბიდან ამოძვრა და თვალის ასახვევად ათიოდე კიბორჩხალა ამოიყვანა, კიბორჩხალები მაშინვე ერთი ზარ-ზეიმით გაგზავნეს მეფის სამზარეულოში ექიმს კი ასეთი რეცეპტი დააწერინეს:

რეც. კიბორჩხალის წვნიანი.

შედგ. 10 კიბორჩხალა.

სუფრის კოვზით ორ საათში ერთხელ.

მისი უდიდებულესობის სასახლის კარის მომმარაგებელმა რომ გაიგო, თავად ვაჭრობის მინისტრი მეწვია და კაბინეტში მელოდებო, სისხარულისაგან ხელები მოიფშენიდა, ალბათ, მათიუშს კიდევ რაღაც მოეპრიანაო.

შეკვეთები კი იმუამად ძალიან ესაჭიროებოდა. რაც ომი დაიწყო, ყველას ძიები და მამები ფრონტზე წავიდნენ და თოჯინების დარდი აღარავის ჰქონდა.

- ბატონო ფაბრიკანტო, სასწრაფო შეკვეთა უნდა მოგცეთ, თოჯინა ხვალისთვის უნდა იყოს მზად.

- ძალიან გამიჭირდება. ჩემი მუშები თითქმის უკლებლივ ფრონტზე არიან, მარტო ქალები და ავადმყოფები და დარჩნენ. ესეც რომ არ იყოს, ძალიან ბევრი სამუშაო დამიგროვდა. მამების ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ომში წასვლის წინ თითქმის ყველა ყიდულობს შვილებისთვის თოჯინას, რომ არ იტირონ, არ ინადვლონ და უფროსებს გაუგონონ.

ფაბრიკანტი ცრუობდა: არც ერთი მისი მუშა ფრონტზე არ წასულა. ან კი როგორ წავიდოდნენ, ისე ცოტა ჯამაგირს იღებდნენ, შიმშილისაგან სუყველა დაავადმყოფებული და დაჯანდაგებული იყო, სამხედრო სამსახურისთვის არც ერთი აღარ გამოდგებოდა.

რა თქმა უნდა, შეკვეთებიც არ ჰქონია, ესეც ტყუილად მოიგონა, რომ თოჯინაში ბევრი ფული დაეცინებდა.

როცა გაიგო, თოჯინა მათიუშს უნდა ჰგავდესო, თვალები აუციმციმდა.

- იცით რა, მეფე ხშირად უნდა ეჩვენებოდეს ხალხს. უნდა ჩაჯდეს ეტლში და მთელ დღეს ქალაქში იაროს, რომ არ იფიქრონ, ომისა ეშინია, იმალებაო. მათიუში ბავშვია, რატომ უნდა დაიტანჯოს მთელ დღეს ქალაქში სიარულით? ან წვიმა მოვა დაგაცივდება, ან ვინ იცის, კიდევ რა შეიძლება მოხდეს. თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ, რომ სწორედ ახლა უნდა გაუფროთხილდეთ მეფის ჯანმრთელობას.

ფაბრიკანტი არც ისეთი სულელი იყო, რომ ვერ მიმხვდარიყო, სხვას ფიქრობენ და სხვას მეუბნებიან, აქ რაღაცა ამბავი იმალებაო...

- მაშ, უსათუოდ ხვალ უნდა იყოს მზად?

- ხვალ, დილის ცხრა საათზე.

ფაბრიკანტმა საწერ-კალამი მოიმარჯვა, ვითომ რაღაცას ანგარიშობდა: მათიუში ხომ საუკეთესო ფაიფურისა უნდა გაკეთდეს, არ ვიცი, ფაიფური მეყოფა თუ არაო; ჰოო, ეს საკმაოდ ძვირი დაჯდება, თანაც მუშებს ზედმეტი ფული უნდა მივცეთ, რომ საიდუმლო არ გასცენო. ბედზე, მანქანაც ახლა მოიშალა, შეკეთება რა ეღირებაო? შეკვეთები რომ გვაქვს აღებული, განზე უნდა გადავდოთო. - ანგარიშობდა კარგა ხანს.

- ბატონო ვაჭრობის მინისტრო, ახლა ომია და ვიცი, რომ ჯარი და ქვემეხები დიდ ხარჯებს მოითხოვს. ომი რომ არ იყოს, თოჯინა ერთიორად ძვირი დაგიჯდებოდათ. მაშ ასე, რაც არის, არის, იყოს ამდენი. მაგრამ ეს საბოლოო ფასია...

და ისეთი ფასი თქვა, მინისტრმა დაიკვნესა.

- ეს ხომ მძარცველობაა!

- ბატონო მინისტრო, თქვენ შეურაცხყოფთ სახალხო მრეწველობას.

მინისტრმა ვერ გაბედა, ამდენი ფული თავისი ნებით გადაეხადა, ადგა და უფროს მინისტრს დაურეკა. მაგრამ იმის შიშით, ემანდ ყურს არავინ გვიგდებდესო, 'თოჯინას' ნაცვლად 'ზარბაზანი' თქვა.

- ბატონო უფროსო მინისტრო, ზარბაზანში ძალიან ძვირს თხოულობენ.

უფრო მინისტრი ყველაფერს მიუხვდა.

- ნუ შეევაჭრებით. ოღონდ, მოსთხოვეთ, ისეთი გააკეთონ, რომ ზონარის ჩამოწევაზე სალამს იძლეოდეს.

ტელეფონისტი ქალი განცვიფრებული დარჩა, ეს რა ახალი ზარბაზანია, რომ სალამსაც იძლევაო.

ფაბრიკანტი ახტა და დახტა, როგორ, მე ჩემი ფულის დამატებაც მომიწევს, ეს რა ჩემი საქმეა, წადით და მეფის მექანიკოსს ან მესაათეს მიაკითხეთო. მე დარბაისელი მრეწველი ვარ, ჯამბაზი ხომ არ გგონივართ. მათიუმს თვალების დახუჭვა ეცოდინება, სალამს კი ვერ მოგცემთ, მორჩა და გათავდა. თუმცა კარგი, ჯანდაბას, ამაზედაც თანახმა ვარ, მაგრამ კაპიკსაც არ დაგიკლებთო.

ოფლში გაწუწული და მშიერ-მწყურალი ბრუნდებოდა მინისტრი სასახლეში.

ოფლში გაწუწული და მშიერ-მწყურვალნი დაბრუნდა პოლიციის პრეფექტიც.

- მე უკვე ვიცი, როგორ მოიპარეს მათიუში. ყველაფერი ძირფესვიანად დავათვალიერე. აი, როგორ იყო: მიძინარე მათიუმს თავზე ტომარა ჩამოაცვეს და სამეფო ბაღში გაიყვანეს, ჟოლოებთან. ერთ ადგილას ბაღახი გათელილია. იქ მათიუმს გული შეუღონდა და დაეცა. მოსასულიერებლად ჟოლო და ალუბალი უჭმევიათ. ექვსი ალუბლის კურკა ვიპოვეთ. ღობეზე რომ გადაჰყავდათ, მათიუმმა, ეტყობა, გაიბრძოლა - ხის ქერქზე ცისფერი სისხლის ნაკვალევია დარჩენილი. მერე გზა-კვალის ასაბნევად მათიუში ძროხაზე შეუსვამთ. ჩემი თვალთ ვნახე ძროხის ნაფეხურები. იქიდან გზა ტყეზე გადის. ტყეში ვიპოვეთ ტომარა. მერე ალბათ მათიუში სადმე დამალეს, მაგრამ დროც ცოტა მქონდა, ვერც ვერავის შევეკითხებოდი რამეს, რომ საიდუმლო არ გამეცა, ჰოდა, ამიტომ ვერ გავიგე, სად დამალეს. ჩემი აზრით, თვალყური უნდა ვადევნოთ უცხოელ აღმზრდელს: ძალიან საეჭვოდ იქცევა. რამდენჯერმე იკითხა, არ შეიძლება, მათიუში მოვინახულო? ტომარა და ალუბლის კურკები თან წამოვიღე. აი, ინებეთ.

უფროსმა მინისტრმა ტომარა და კურკები ყუთში ჩააწყო, კლიტე დაადო და წითელი ლუქით დაბეჭდა.

მეორე დღეს სამხედრო მინისტრი უკანასკნელ ამბებს აცნობდა თოჯინა მათიუმს, თოჯინა კი ხმას არ იღებდა, მარტო სალამს აძლევდა.

ხალხის დასამშვიდებლად ქუჩებში განცხადებები გამოაკრეს:

გულდინჯად იმუშავეთ, მათიუმ მეფე ქალაქში ყოველდღე ღია მანქანით გამოისეირნებსო.

იღბლიანი გამოდგა სამხედრო მინისტრის გეგმა. სამივე მოწინააღმდეგე ფიქრობდა, რომ მათიუმის ჯარი ყველას ერთად შეუტევდა, მაგრამ მინისტრმა ჯარს თავი მოუყარა, თავდაპირველად მხოლოდ ერთ მტერს დასცხო გამეტებით, კიდევ დაამარცხა და უდიდესი ნადავლიც ჩაიგდო ხელში. თოფები, ჩექმები და ზურგჩანთები, მაშინვე ჯარისკაცებს დაურიგა.

მათიუში ბედად მაშინ მოვიდა ფრონტზე, როცა სამხედრო ნადავლს იყოფდნენ.

- ესენი ვინდა არიან! - გაიკირვა ჯარის მთავარმა ინტენდანტმა; იმ კაცმა, ვინც ჯარში ტანსაცმელს და საჭმელს იძლევდა.

- ჩვენც ისეთივე მეომრები ვართ, როგორებიც სხვები არიან, - უთხრა ფელეკმა. - ერთი ეს არის, ტანით ამათზე მომცროები გახლავართ.

ყველამ სათითაოდ ამოირჩია ჩექმები, რეკოლვერი, თოფი და ზურგჩანთა. ფელეკი ნანობდა, ნეტავ რად მინდოდა, მამაჩემის ქამარი და დასაკეცი დანა რომ მომქონდა, მარტო ალიყური შემრჩაო. მაგრამ, აბა, ომში წინასწარ რა იცის კაცმა, რა მოხდება!

ტყუილად კი არ ამბობდნენ მერე, მთავარსარდალი უჭკუოდ მოიქცაო! იმის მაგივრად, რომ ნადავლი წაეღო, ცოტაზე გარიდებოდა მტერს და ჩასანგრებულიყო, ისევ წინ წავიდა, ექვსი თუ შვიდი ქალაქი დაიპყრო და მაშინდა ბრძანა, სანგრები გათხარეთო, მაგრამ უკვე გვიან იყო, დამარცხებულის დასახმარებლად იმ ორი სახელმწიფოს ჯარი მოიხქაროდა.

მთავარსარდალის აუგს მერე ამბობდნენ, თორემ მაშინ, ბრძოლის დროს, მათიუმის რაზმმა არაფერიც არ იცოდა: ომში ყველაფერი მკაცრი საიდუმლოებითაა მოცული.

რაკი ბრძანება მოვა, ამა და ამ ადგილას წადიო, უნდა წახვიდე. გიბრძანებენ, ესა და ეს გააკეთო, ხმაამოუღებლად უნდა გააკეთო, ამას კითხვა და მასლაათი არ სჭირდება.

დამარცხებულ უცხო ქალაქში რომ შევიდნენ, მათიუშს ყველაფერი მოეწონა. ძილით, დიდ, ღამაზ ოთახებში ეძინათ. იატაკზე კი იწვნენ, მაგრამ მაინც ეს სჯობდა პაწაწინა ქოხებში ან მინდორში ძილს.

რა არ იხილა, რა არ გაიგო მათიუშმა ამ ხანებში, ნამდვილი ომი ჯერ თვალით არ ენახა. ამიტომ ერთი სული ჰქონდა, პირველი შეტაკება მალე დაწყებულიყო.

ქალაქში ერთ ღამეს დარჩნენ. მეორე დღეს გზა განაგრძეს.

- შეჩერდით და სანგრები გათხრათ! - გასცეს უცბად ბრძანება.

მათიუშმა არ იცოდა, როგორი იყო ახლანდელი ომი. მას ეგონა, ჯარი მხოლოდ იბრძვის, მტერს ცხენებს ართმევს, მისდევს ფლოქვებით ქელავსო. სიზმრადაც არ მოლანდებია, რომ ჯარისკაცები თხრილებს თხრიან, წინ მარგილებს დაასობენ, ზედ ეკლებიან მავთულებს გაჭიმავენ და მთელი კვირები სხედან ამ თხრილებში.

ამიტომ უწადინოდ დაიწყო სანგრის თხრა. ისე იყო დასუსტებული და არაქათგამოცლილი, ძვლები ტეხდა. თხრიდა და გულში ბუზდუნებდა, ბრძოლა კიდევ ჰო, მეფური საქმეა, მაგრამ თხრა რაღაა, თხრაში ყველა ჯარისკაცი მაჯობებსო.

ამასაც თავი რომ გავანებოთ, ბრძანება ბრძანებაზე მოდიოდა, იჩქარეთ. მტერი გვიახლოვდებაო.

შორიდან უკვე ხარბახნების ქუხილი ისმოდა.

ერთხელ თვით მესანგრეთა პოლკოვნიკიც მოგრიალდა მანქანით, იყვირა, მუშტების ქნევით დაემუქრა ჯარისკაცებს, დავხვრეტ, ვინც წესიერად არ თხრისო, ხვალ ბრძოლა იწყება და ამათ ჯერ არაფერი გაუკეთებიათო.

- ამ ორს აქ რა უნდა! - დაიდრიალა გაცოფებულმა. - ეს ვინდა გორიგლეჯია და მუხიგლეჯია გამომიჩნდნენ?

პოლკოვნიკის მრისხანება, ალბათ, მთლიანად ამ ორ მოხალისეს დაატყდებოდა თავზე, რომ ამ დროს, საბედნიეროდ, თვითმფრინავების გუგუნი არ გაეგონათ.

პოლკოვნიკმა ბინოკლით ახედა ცას, მერე სწრაფად ჩაჯდა მანქანაში და თვალის დახამხამებაში გაქრა. იმწამსვე - ბუხ, ბუხ, ბუხ! - ზედიზედ სამი ყუმბარა ჩამოვარდა. დაჭრით არავინ დაჭრილა, მაგრამ მაინც ყველანი სანგრებში ჩაიმაღნენ, იქ უფრო უშიშრად ვიქნებითო.

ყუმბარები და ქვემეხების ჭურვები ისეა მოწყობილი, შიგ უამრავი ტყვია და რკინის ნაჭურია თავმოყრილი. გასკდება თუ არა, მაშინვე ტყვია და რკინის ნაჭურები აქეთ-იქით იფანტება, ზოგს დაჭრის, ზოგს კლავს. სანგარში ვინც ზის, იმას კი თავზე გადაუფრენს ხოლმე და თითქმის ვერასოდეს ვერაფერს აკლებს, თუ ყუმბარა პირდაპირ შიგ სანგარში არ ჩავარდა. შიგ კი იშვიათად ვარდება: ქვემეხებით რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან ისვრიან და ძალიან ძნელია ამსიშორეზე ისევ დამიზნება, რომ ყუმბარა შიგ სანგარში ჩავარდეს.

ამ სამმა ყუმბარამ ბევრი რამ ასწავლა მათიუშს. უკვე აღარც წყრებოდა. აღარც მრისხანებდა. უსიტყვოდ აიღო ნიჩაბი და მანამდე თხრიდა, სანამ დაღლილი მკლავები თავისით არ ჩამოუცვივდა და ძილისგან მუხლმოკვეთილი არ დაეცა მორივით.

ჯარისკაცებმა არ გააღვიძეს, თვითონ კი მთელ ღამეს შუშუნების სინათლეზე მუშაობდნენ.

გათენებისას მტერი შეტევაზე გადმოვიდა. პირველად ოთხი ცხენოსანი გამოჩნდა. ესენი მტრის მზვერავები იყვნენ. მათ უნდა გაეგოთ, სად ჩასაფრდა მოწინააღმდეგე, რომ თავისიანები გაეფრთხილებინათ. ცხენოსნებს ტყვია

დაუშინეს. ერთი მხედარი ცხენიდან გადმოვარდა, ალბათ, სასიკვდილოდ დაიჭრა, დანარჩენმა სამმა ცხენოსანმა კი უკან გაკურცხლა.

- ახლა დაიწყება შეტევა! - ყვიროდა პორუჩიკი. - იწვეით სანგრებში, თოფები ამოყავით და დაელოდეთ!

მართლაც, სულ მალე მტრის ჯარი გამოჩნდა. ორივე მხარემ ერთდროულად დაიწყო სროლა. მათიუშის რაზმი სანგრებში იყო ჩასაფრებული, ისინი კი გაშლილ მინდორზე მოდიოდნენ. მტრის ტყვიები სანგრებს ზემოთ მიზუზუნებდა და მიზუოდა, ამათი ტყვიები კი პირდაპირ ცელავდა მტერს.

მათიუში ახლა კი მიხვდა, რომ მესანგრეთა პოლკოვნიკი ტყუილად არ ბობოქრობდა. იმასაც მიხვდა, ომში ყველა ბრძანება სწრაფად და ულაპარაკოდ რომ უნდა შესრულდეს.

სამოქალაქო პირებს შეუძლიათ ბრძანებას ან დაემორჩილონ, ან არ დაემორჩილონ. შეუძლიათ ფეხი აითრიონ ბრძანების შესრულებაში, იჯანჯლონ, იკამათონ, სამხედრომ კი იცის, რომ ბრძანებას დაუყოვნებლივ უნდა დაემორჩილოს, დავალება ზუსტად უნდა შეასრულოს.

წინ წასვლაა - წინ უნდა წავიდეს, ზურგში დაბრუნებაა, - ზურგში უნდა დაბრუნდეს, თხრაა და, უნდა თხაროს.

მთელ დღეს შეუსვენებლად იბრძოდნენ. ბოლოს მტერი მიხვდა, რომ ვერაფერს გახდებოდა; ხალხი ტყუილუბრალოდ ხელში შემოაძნა, ახლას კი მაინც ვერ მივიდა - მავთულხლართი ელობებოდა. მეტი რა გზა ჰქონდა, ცოტა უკან დაიხია და ჩასანგრება სცადა. იტყვიოთ, ჩასანგრებას რა უნდაო! რა უნდა და, არაფერიც არ უნდა, თუ შენთვის დგახარ და მშვიდად თხრი, მაგრამ სულ სხვაა, როცა თავზე ტყვია გაწვიმს და მაინც თხრი.

დამით ყოველწამს უშუშუნებს უშვებდნენ, ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. გატანჯულ-გაწამებული ჯარისკაცები რიგრიგობით იძინებდნენ და კანტიკუნტად ისროდნენ, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა.

- არ დავენებდით, - უხაროდათ ჯარისკაცებს.

- არ დავენებდით, - პორუჩიკმა ტელეფონით მოახსენა შტაბს. სატელეფონო ხაზი თურმე უკვე გაეყვანათ.

მეორე დღეს კი ბრძანება მიიღეს, უკან დაიხიეთო. ჯარისკაცების განცვიფრებასა და გულისწყრომას საზღვარი არ ჰქონდა.

- რატომ და რისთვის? სანგრები გავთხარეთ, მტერი შევაჩერეთ, თავდაცვა შეგვიძლიაო!

მათიუში რომ პორუჩიკი ყოფილიყო, არამც და არამც ბრძანებას არ დაემორჩილებოდა. ალბათ, რაღაც შეცდომაა. ნება იბოძოს პოლკოვნიკმა, მობრძანდეს და თავისი თვალთ ნახოს, რა კარგად იბრძვიან! მტერს უამრავი მოკლულ-დახოცილი ჰყავს, ამათ კი ერთადერთი ჯარისკაცი დაეჭრათ, ისიც ხელში. თურმე სანგრიდან რომ ისროდა, ამოწვდილი ხელი მტრის ტყვიას გაეკაწრა. პოლკოვნიკმა იმსიშორეზე როგორ უნდა გაიგოს, აქ რა ხდება?

მათიუშს სულითა და გულით უნდოდა, დაეყვირა:

“მე ვარ მათიუშ მეფე! პოლკოვნიკმა ის ბრძანოს, რაც სურს, მე კი უკანდახვეის უფლებას არ მოგცემთ, მეფე პოლკოვნიკზე უფროსიაო!”

მაგრამ არ დაუყვირია. არ დაუყვირია იმიტომ, რომ არ იცოდა, დაუჯერებდნენ, თუ სასაცილოდ აიგდებდნენ. მათიუში კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ჯარში მსჯელობა და კამათი არ შეიძლება, ბრძანება მაშინვე უნდა შესრულდეს.

გულდასაწყვეტი იყო გაჭირვებით გათხრილი სანგრების მიტოვება, პურის, შაქრისა და დამარილებული ხორცის მარაგის დატოვება. ძალიან ეძნელებოდათ ახლად დაპყრობილ სოფელზე უკან გავლა. ხალხი ეკითხებოდა ჯარისკაცებს, რატომ გარბიხართო.

გზაში რაზმს ცხენოსანი შიკრიკი წამოეწია და წერილი გადასცა. შიგ ეწერა, სწრაფად, შეუსვენებლივ იარეთო.

სათქმელად ადვილია, შეუსვენებელი იარეთო. ორი უძილო ღამის შემდეგ შეუსვენებელი სიარული შეიძლება? პირველ ღამეს სანგრებს თხრიდნენ, მეორე ღამეს კი იბრძოდნენ. უძილო ღამეებიც რომ არად ჩავაგდოთ, სურსათ-სანოვაგე ცოტა ჰქონდათ, ჯარისკაცები დაღვრემილ-გაბოროტებულები იყვნენ. აბა, რა იქნებოდა: როცა კაცი წინ მიდიხარ, რაც უნდა იყოს, უკანასკნელ ღონეს მოიკრებ და მაინც ივლი, მაგრამ როცა უკან დაბრუნება არ გინდა და მაინც ბრუნდები, რა თქმა უნდა, ძალ-ღონე მალე გამოგელევა.

იარეს, იარეს, იარეს და უცბად აქეთ-იქიდან მტერმა სროლა ატეხა.

- გასაგებია! - მიხვდა პორუჩიკი. - ძალიან წინ წავსულვართ, მტერი ზურგში მოგვეტყვია. პოლკოვნიკს რომ არ ებრძანებინა, სწრაფად უკან დაიხიეთო, ყველანი ტყვედ ჩავცვივდებოდით.

- იფ, კარგი ამბავია! ახლა აქედან თავის დაღწევა არ გინდა?! - გაჯავრებით ჩაილაპარაკა ერთმა ჯარისკაცმა.

მართლაც, ძალიან გაუჭირდათ. გაუჭირდათ, მაგრამ როგორ გაუჭირდათ! ახლა უკვე მტერი იყო ჩასანგრებული და აქეთ-იქიდან ისროდნენ, ამათ კი მეტი გზა არ ჰქონდათ, უნდა გაქცეულიყვნენ.

ახლა კი მიხვდა მათიუში, მინისტრთა საბჭოს სხდომაზე რატომ ლაპარაკობდნენ ჩექმებზე, შვრიასა და ორცხობილაზე.

უკან გაქცეულებს ორცხობილებით სავსე ტომრები რომ არ ჰქონოდათ, უსათუოდ შიმშილისაგან სული ამოხდებოდათ. მთელ სამ დღეს ორცხობილას ხრავდნენ. ძილით რიგრიგობით ეძინათ რამდენიმესაათს. ფეხები ისე ჰქონდათ დაიარავებული, ჩექმებში სისხლს ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა.

ჯარისკაცები აჩრდილებივით უხმოდ მოიპარებოდნენ ტყე-ტყე. პორუჩიკი სულ რუკას დასცქეროდა, სადმე ახლომოახლო ხევი ან ბარდნარი ხომ არაფერია, თავი შეეფაროთ, დავიმალოთო.

წარამარა მტრის მზვერავეებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მზვერავეები უთვალთვალებდნენ. რა გზით წავიდოდა უკან მიმავალი რაზმი, რომ მერე თავისიანებისთვის ეცნობებინათ და ფეხდაფეხ მიჰყოლოდნენ.

ნეტავ გენახათ, იმ დღეებში მათიუში რას დაემსგავსა: ჩხირივით ჩამოხმა, წელში მოიკუზა, უფრო დაპატარავდა. ბევრმა ჯარისკაცმა თოფი გადააგდო, მათიუშს კი გახვევებული თითებით მაგრად ჩაებლუჯა თავისი იარაღი.

როგორ შეიძლება, ორიოდ დღეში ამდენი რამე გადაიტანოს კაცმა და გაუძლოს!

“მამა, ჩემო მამიკო, რა ძნელი ყოფილა ომის დროს მეფობა! - ფიქრობდა მათიუში. - მამინ ადვილად ვთქვი: ჩვენ არ გვეშინია, მე თქვენ დაგამარცხებთ, როგორც ჩემი დიდი პაპა გამარცხებდათ-მეთქი. სათქმელად ადვილია, საქმელად ძნელი ყოფილა. ჰმ, რა სულელი ბავშვი ვიყავი. მე მარტო იმას ვფიქრობდი, რომ დედაქალაქიდან თეთრ ცხენზე ამხედრებული გამოვიდოდი, ხალხი ფერხთით ყვავილებს დამიფენდა. ის კი აზრად არ მომსვლია, ომში ამდენი ხალხი იღუპება“.

რაზმს გაზადაგზა ტყვია ცელავდა, ვინ იცის, იქნებ მათიუში მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ პატარა იყო!

ბოლოს, როგორც იქნა, თავის ჯარს შეხვდნენ. უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს, სანგრებიგათხრილ-გამზადებული რომ დახვდათ! სიხარულით კინაღამ დაგიჟდნენ.

‘ახლა კი მასხრად აგვიგდებენ და აღარც მოგვასვენებენო’, - გაიფიქრა მათიუშმა.

მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ომშიც არსებობს სამართალი.

ილაჯგაწყვეტილი ჯარისკაცები სანგრებში ჩასხდნენ, კარგად დანაყრდნენ და გამოიძინეს. მერე უფროსებმა უბრძანეს, რეზერვში გადადიოთ.

სანგრებში ახალი ჯარისკაცები ჩასხდნენ და ბრძოლაში ჩაებნენ, ამათ კი ზურგში ხუთი კილომეტრი გაიარეს და ერთ პატარ ქალაქში დაბანაკდნენ. მოედანზე ჯარისკაცებს მესანგრეთა პოლკოვნიკი შეეგება. პოლკოვნიკი აღარ ბრაზობდა, მხოლოდ ეს თქვა:

- აბა, ვაჟკაცებო, ახლა ხომ გაიგეთ, სანგრები რისთვის არის საჭირო?

გაიგეს, მაშ არ გაიგეს? რაღა საკითხავია!

ამის შემდეგ ჯარისკაცები გადაანაწილეს. ერთ მხარეს ის ჯარისკაცები დააყენეს, ვინც თოფები გადაყარეს, მეორე მხარეს - ისინი, ვინც თოფებით დაბრუნდნენ. გენერალმა თოფიან ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა:

- სახელი და დიდება თქვენ, რომ თოფებს გაუფრთხილდით. ნამდვილი გმირები გამარჯვების დროს კი არა, დამარცხებისას გამოჩნდებიან!

- ერთი უყურეთ, ის ორი ნამცეცაც აქ არის! - გაიკვირვა პოლკოვნიკმა. - გაუმარჯოს ორ მამაც ძმას - გორიგლეჯიას და მუხიგლეჯიას.

იმ დღის შემდეგ ფელეკსა და მათიუშს სახელს აღარავინ ეძახდა. ფელეკს გორიგლეჯია შეარქვეს, მათიუშს - მუხიგლეჯია. ჯარისკაცები სწორედ ასე დაუძახებდნენ ხოლმე:

- შენ ეი, გორიგლეჯიავ, გაიქეცი, წყალი მოიტანე!

- მუხიგლეჯიავ, ცეცხლს შეშა შეუკეთე!

რაზმმა გულით შეიყვარა თავისი პატარა ბიჭები.

ამ ქალაქში რომ ისვენებდნენ, სწორედ მაშინ ხმა გავარდა, სამხედრო მინისტრს და მთავარსარდალს დიდი ჩხუბი მოუვიდათ, მათიუშ მეფემ ძლივს შეარიგაო. მათიუშმა იმ თოჯინის ამბავი არ იცოდა, მის მაგივრად რომ დაჰყავდათ დედაქალაქის ქუჩებში. ჰოდა, ძალიან გაუკვირდა, ჩემზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს შინ ვიყო. მათიუში მეტისმეტად ახალგაზრდა მეფე ბრძანდებოდა და არ იცოდა, რა იყო დიპლომატია.

ჯარისკაცებმა კარგად დაისვენეს, მოღონივრდნენ, ჩასხდნენ სანგრებში და დაიწყეს ეგრეთ წოდებული პოზიციური ომი. ეს იმას ნიშნავს, რომ ესენი და მტრის ჯარისკაცები ერთმანეთს ესროდნენ, მაგრამ, რადგან ყველანი მიწაში ისხდნენ, ტყვიები მალლა გადაიზუზუნებდა და სადღაც შორს იკარგებოდა.

დროდადრო, როცა ძალიან მოეწინებოდათ, შეტევაზედაც გადადიოდნენ ხან ისინი და ხან ესენი. ამ დროს ან ისინი ან ესენი რამდენიმე კილომეტრით გადაინაცვლებდნენ ხოლმე ან წინ, ან ზურვისკენ.

დანარჩენ დროს ჯარისკაცები სანგრებში დადიოდნენ, მდებოდნენ, ბანქოს თამაშობდნენ. მათიუში კი იჯდა და ბეჯითად მეცადინეობდა. მასწავლებლად პორუჩიკი ჰყავდა. პორუჩიკიც მოწყენილი იყო. დილდითობით გუშაგებს დააყენებდა, რომ თვალყური ედევნებინათ, მტერი შეტევაზე არ გადმოსულიყო, მერე შტაბში დარეკავდა, ყველაფერი რიგზეაო, და ეს იყო და ეს, მთელ დღეს აღარაფერი საქმე არ ჰქონდა. პატარა მუხიგლეჯიას სიხარულითაც დასთანხმდა, გამეცადინებო.

მშვენიერზე მშვენიერი გაკვეთილები ჰქონდათ. მათიუში სანგარში იჯდა და გეოგრაფიას სწავლობდა. ცაში ტოროლები გალობდნენ. სროლის ხმა კანტიკუნტად თუ ისმოდა. იყო სიმშვიდე და მყუდროება.

და უცბად ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ძაღლები აყმუვლდნენო.

ეს იყო პატარა საველე ქვემეხები.

აყეფდა დიდი ზარბაზანიც - ბუჰ-ბუჰ!..

დაიწყო! თოფები ბაყაყებოვით აყიყინდნენ. ატყდა ერთი სტვენა, ზუზუნი, შიშხინი, გუგუნი. ზედიზედ ისმოდა სროლის ხმა: ბახ-ბახ, ბუჰ-ბუჰ!..

ასე გაგრძელდა ნახევარ საათს, ერთ საათს. ზოგჯერ ყუმბარა სანგარში ვარდებოდა, შიგ ფეთქდებოდა და ზოგს სიცოცხლეს უსპობდა, ზოგს

ასახიჩრებდა. ჯარისკაცები ამ ამბავს უკვე მიეჩვივნენ, ამხანაგებს გადახედავდნენ და იტყოდნენ ხოლმე:

- საწყალი, კარგი ბიჭი იყო.
- ღმერთმა აცხონოს.

ექიმი დაჭრილებს ჭრილობებს უხვევდა ღამით საველე ჰოსპიტალში გზავნიდა.

რას იზამ, ომია.

ჭრილობებს ვერც მათიუში გადაურჩა. საშინლად ეზარებოდა ჰოსპიტალში წასვლა, პატარა ჭრილობა მაქვს, ძვალი არც კი დამზიანებიაო, მაგრამ ექიმმა თავისი გაიტანა და მაინც გაგზავნა.

მთელი ოთხი თვის შემდეგ მათიუში პირველად ჩაწვა საწოლში. თურმე რა ნეტარება ყოფილა! ლეიბი, ბალიში, საბანი, თოვლივით ქათქათა ზეწარი, ტილოს პირსახოცი, საწოლის გვერდით - პატარა თეთრი მაგიდა, ტოლჩა, თეფში, კოვზი, - თითქმის იმის მსგავსი, რითაც მეფის სასახლეში საჭმელს მიირთმევდა ხოლმე.

ჭრილობა სწრაფად უხორცდებოდა. მოწყალეების დები და ექიმებიც ძალიან გულთბილი ადამიანები იყვნენ და მათიუში, ალბათ, თავს ბედნიერადაც იგრძნობდა, ერთ ამბავს რომ არ შეეშინებინა.

- ერთი უყურეთ, როგორ ჰგავს მათიუშ მეფეს, - თქვა ერთხელ პოლკოვნიკის ცოლმა.

- მართლა ჰგავს. სახით მეც რაღაც მეუცნაურებოდა და ვერ კი გამეხსენებინა, ვის ჰგავდა.

და გადაწყვიტეს, გაზეთში გამოსაქვეყნებლად მათიუშისთვის სურათი გადაეღოთ.

- არაფრის გულისთვის!

ეუბნებოდნენ, შეიძლება მათიუშ მეფემ გაზეთში შენი სურათი ნახოს და ისეთ პატარა ჯარისკაცს მედალი გამოგიგზავნოსო, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი შეასმინეს.

- შე სულელო, მამაშენს გაუგზავნი სურათს. იცი, როგორ გაუხარდება!

- არა და არა!

მათიუშს თავი ჰქონდა მობეზრებული ამდენი სურათის გადაღებით. თანაც კარგა მაგრად შეშინდა, ემანდ ყველაფერი არ გამოაშკარავდესო.

- გაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, რომ არ უნდა. იქნება კარგადაც იქცევა. რა იცით, ხომ შეიძლება, მათიუშ მეფემ იწყინოს კიდევ, რომ მისი თანატოლები ფრონტზე არიან, დაჭრილები ჰოსპიტალში წვანან, ის კი დედაქალაქში დასეირნობს.

‘დალახვროს ეშმაკმა, ეს რომელ მათიუშზე ლაპარაკობენ, ვერ გამიგია’, - უკვირდა მათიუშს. ბიჭს დიდი ხანია დაავიწყდა ეტიკეტი და ჯარისკაცური ენა ისწავლა, გუნებაში ამიტომ თქვა ‘ეშმაკმა დალახვროსო’.

‘რა კარგია, რომ გამოვიპარე და ფრონტზე ვარ’, - ნეტარებით გაიფიქრა მეფემ.

ჰოსპიტლიდან მისი გაწერა არ უნდოდათ. ძალიან სთხოვეს, დარჩიო. ეუბნებოდნენ, აქ გამოგვადგები, დაჭრილებს ჩაის დაურიგებ, სამზარეულოში მოგვეხმარებო, მაგრამ მათიუში აღშფოთდა, არაფრის გულისთვის არ დავრჩებიო. გულში კი გაიფიქრა: ‘იმ თქვენმა ახატულ-დახატულმა მათიუშმა იაროს ჰოსპიტლებში და არიგოს საჩუქრები, ოფიცერთა დასაფლავებაზედაც იმან იაროს, მე კი, ნამდვილი მეფე, ისევ სანგრებში დავბრუნდებიო’.

და კიდევ დაბრუნდა.

სად არის ფელეკი?

ფელექს მობეზრდა სანგარში ჯდომა. ისეთი ცოცხალი, ცქვიტი ბიჭი იყო, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, სანგარში კი მთელი კვირები იჯდა ა შიშით თავი ვერ ამოეყო, მაშინვე სროლა ატყდებოდა ხოლმე. პორუჩიკსაც მეტი არ უნდოდა, დაუწყებდა ყვირილს, ჩხუბს:

- ჩაყოფ მაგ შენ სულელ თავს თუ არა? დაგახლიან ტყვიას და მერე ჰოსპიტალში უნდა მიგაბრძანონ, ჭრილობა შეგიხვიონ. უშენოდაც თავსაყრელად გვაქვს საქმე!

ერთი-ორჯერ უყვირა და ყვირილს დასჯერდა, მაგრამ მესამედ კი სამი დღით კარცერში ჩასვა და ცარიელ პურსა და წყალზე ამყოფა.

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

მტრის სანგრებში რაზმი შეიცვალა. ძველი რაზმს დასასვენებლად წავიდა, ახალი კი ღამით ჩასაფრდა. სანგრები ახლა ისე ახლოს იყო გათხრილი, ერთმანეთის ლაპარაკი ესმოდათ. აბა თუ ასეაო, მოჰყვნენ ერთმანეთის ლანძღვა-გინებას.

- თქვენი მეფე ცინგლიანია! - დაიყვირეს მტრის სანგრიდან.

- თქვენი კიდევ - გადამღრძვალ ბებრუხუნა!

- თქვენ თვითონა ხართ ბებრუხუნები. თქვენს ძირგახვრეტილ ჩექმებს მოუარეთ!

- კუჭგამხმარებო, ყავის ნაცვლად თხლესა სვამთ!

- აბა, მობრძანდით და გასინჯეთ!

- ტყვედ რომ ჩაგვიცვივდებით ხოლმე, მგლებივითა ხართ დამშეულები!

- თქვენ კიდევ მშივრებიცა ხართ და კონკიაულარუნებიც!

- თქვენ არ იყავით, კუდამოძუებულები რომ გაგვიბოლოდით!

- ბოლოს ხომ მაინც ჩვენ მოგცხეთ!

- რა მოგცხეთ, სროლა არ იცით! თქვენი ნასროლი ტყვიები მარტო ყვავებს აფრთხობს.

- მაშ თქვენ იცით სროლა?

- ვიცით, აბა რა!

ფელექსი გაცეცხლდა, სანგრიდან ამოხტა, მტრისკენ ზურგით დადგა, მერე წაიკუზა ფარაჯა წამოიხადა და დაიყვირა:

- აჰა, მესროლეთ!

ოთხმა ესროლა, მაგრამ ააცდინა.

- თქვენც იტყვით, სროლა ვიცითო! ვაი თქვენს პატრონს!

ჯარისკაცები სიცილით იხოცებოდნენ, მაგრამ პორუჩიკი ძალიან გაბრაზდა და ფელექსი კარცერში ჩასვა.

კარცერად ღრმა ორმო ჰქონდათ. ორმოს კედლებზე ფიცარი იყო აკრული.

სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ჯარისკაცებმა დანგრეული ქოხმახებიდან ფიცრები მოათრიეს და სანგრებში კედლებზედაც ააკრეს, იატაკიც დააგეს, ზემოდანაც გადახურეს, წვიმამ და ტალახმა არ შევაწუხოსო.

ფელექსი მხოლოდ ორ დღეს იჯდა მიწისქვეშა ფიცრულ გალიაში, მერე პორუჩიკმა შეიბრალა და გაათავისუფლა, მაგრამ ფელექს ესეც ეყო, რაც იწვინია.

- არ მინდა ქვეითში სამსახური.

- მაშ სად წახვალ?

- თვითმფრინავში ჩამსვით.

სწორედ ამ ხანებში მათიუმის სახელმწიფოს ბენზინი არ ჰყოფნიდა. უბენზინოდ კი თვითმფრინავები მძიმე ტვირთს ვერ ზიდავენ. ისე რომ, ბრძანება მოვიდა, თვითმფრინავებში მხოლოდ მსუბუქი ჯარისკაცები ჩასხითო.

- შენ წადი, ლოქოვ, - დასცინოდნენ ჯარისკაცები ერთ სქელოს.

ითათბირეს, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, ფელეკი გაეგზავნათ. თორმეტი წლის ბიჭზე მსუბუქს ვის ნახავდნენ? პილოტი თვითმფრინავის საჭესთან იჯდებოდა ფელეკი ყუმბარებს ჩამოყრიდა.

მათიუშს ერთი მხრივ ეწყინა, ფელეკი რომ წავიდა, მეორე მხრივ, კიდევ გაუხარდა. მხოლოდ ფელეკმა იცოდა, რომ მათიუში მეფე იყო. მათიუშმა თვითონ სთხოვა ტომეკი დამიძახეო, მაგრამ მაინცდამაინც დიდად არ ეპიტნავენოდა, თანასწორივით რომ ექცეოდა, არა, თანასწორივით რომ მოჰქცეოდა, კიდევ რა უშავდა! აქაოდა მათიუში ჩემზე უმცროსიაო, არაფრად არ აგდებდა. თვითონ არაყსაც სვამდა, პაპიროსსაც ეწეოდა, მაგრამ თუ როგორმე მათიუშსაც შესთავაზებდა ვინმე ან არაყს, ან პაპიროსს, მაშინვე ეუბნებოდა:

- პატარაა, ამას ნუ აძლევთო.

მათიუშს არც არაყი უყვარდა, არც პაპიროსი, მაგრამ უნდოდა, თვითონ ეთქვა, გმადლობთ, არ მინდაო, ის კი არ აცდიდა.

დამდამობით ჯარისკაცები დასახვერავად რომ მიდიოდნენ, ფელეკი იმდენს იზამდა, თვითონაც გაჰყვებოდა ხოლმე. მათიუშზე კი ამბობდა|

- ტომეკი არ წაიყვანოთ, რად გინდათ, აბა რის მაქნისიაო.

დაზვერვა სახიფათო და ძნელი საქმეა. მუცელზე ხოხვით მტრის მავთულხლართამდე უნდა მისულიყავი ჩუმად და მავთული მაკრატლით გადაგეჭროა, ან არადა, მტრის გუშაგები უნდა მოგეძებნა. ზოგჯერ მთელ ერთ საათს გაუნძრევლად უნდა წოლილიყავი. მტრის ბანაკში რაიმე ფახუნს გაიგებდნენ თუ არა, მაშინვე შუშუნებს უშვებდნენ და მზვერავებს სროლას უტეხდნენ.

ჯარისკაცებს ეცოდებოდათ მათიუში, პატარა და ნაზიაო, ამიტომ ფელეკი უფრო ხშირად მიჰყავდათ მათიუში გულს ასკდებოდა.

ახლა კი, რაც ფელეკი წავიდა, უკვე მარტოკა იყო და რაზმს დიდ სამსახურს უწევდა გუშაგებთან ვაზნები მიჰქონდა, მავთულხლართში ძვრებოდა და მტრის სანგრებში ჩადიოდა. ორჯერ იმათ მხარესაც კი გავიდა გადაცმული.

მათიუშმა მწვემსის ტანსაცმელი ჩაიცვა, მავთულებში გაძვრა, ორი კილომეტრი გაიარა, ერთი დანგრეული ქოხის წინ დაჯდა და ფშრუკუნი დაიწყო, ვითომ ტირიდა.

- რა გატირებს? - ჰკითხა ერთმა ჯარისკაცმა.

- როგორ თუ რა მატირებს, ქოხი გადაგვიბუგეს, დედანემიც სადღაც წავიდა და აღარ მოვიდა. არც კი ვიცი, სად არის.

მათიუში შტაბში მიიყვანეს, ყავა დაალევიანეს. ბიჭს ცოტა არ იყოს, შერცხვა, ეს რა გულისხმიერი ხალხი ყოფილაო. აჭამეს, ასვეს, მერე რაღაცა ძველი ხიფთანიც მისცეს, რაკი ძონძმანძებგადაცმული მათიუში სიცივისგან ცახცახებდა. ეს რა კეთილი ხალხიაო, - ფიქრობდა მათიუში, - მე კი ვატყუებ, საჯაშუშოდ მოვედიო. და გადაწყვიტა, რაკი ასეა, ჩვენებს არაფერსაც არ გუამბობო, გინდ სულელი გამიძახონ, გინდ მითხრან, არაფერი არ იცი, არაფერი გაგეგებოაო, მაინც კრინტს არ დაგძრავ. ნება იბოძონ და, საჯაშუშოდ ნულა გამგზავნიან, არ მინდა ჯაშუშობაო.

ამ ფიქრებში იყო, რომ შტაბის ოფიცერმა გამოიძახა.

- რა გქვია, ბიჭიკო?

- ტომეკი.

- აი, რა, ტომეკ, თუ გინდა, დარჩი ჩვენთან, ვიდრე დედაშენი დაბრუნდება, ტანსაცმელსაც მოგცემთ, ჯარისკაცის კარდალასაც, წვნიანსაც და ფულსაც. შენ კი, სამაგიეროდ, იმათ მხარეს უნდა შეიპარო და გაიგო, სადა აქვთ არსენალი.

- არსენალი რა არის? - მათიუშმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ არ იცოდა, რა იყო არსენალი.

ჯარისკაცებმა წაიყვანეს და აჩვენეს, სად ჰქონდათ ზარბაზნის ჭურვები, ყუმბარები, ხელყუმბარები, თოფისწამალი და ვაზნები.

- ახლა გაიგე, რა ყოფილა?

- გავიგე.

- ჰოდა, გადახვალ იქით, ნახავ, სად ინახავენ, აი, ამ ყველაფერს, მერე დაბრუნდები და დაწვრილებით ჩაგვიკაკლავ.

- კარგი, - დაეთანხმა მათიუში.

ოფიცერი გახარებული იყო, რომ ყველაფერი ასე იოლად მოაგვარა, და მათიუშს მთელი ფილა შოკოლადიც კი მისცა.

“მაშ ასეა, ხომ? - გულზე მოეშვა მათიუშს, - თუ აუცილებელია, რომ მზვერავი ვიყო, მირჩევნია, ჩვენი საქმე გავაკეთო“.

ჯარისკაცებმა სანგრებამდე მიაცილეს და გზას გაუყენეს, ფეხის ხმის ჩასახშობად კი ჰაერში სროლა ატეხეს.

მიდიოდა მათიუში და შოკოლადს ნეტარებით შეექცეოდა. დროდადრო ოთხზე დადგებოდა და ისე მიპარებოდა, ზოგჯერ კი მუცლიაც მიხობავდა.

უცბად - ბუჰ-ბუჰ! - თავისიანებმა არ უტეხეს სროლა?! შეიძლებოდა მოეკლათ კიდევ, იმიტომ, რომ თურმე დაენახათ, ვიღაც რომ მოიპარებოდა, მაგრამ ვერაფრით ვრე გაერჩია, ვინ იყო.

- ისროლეთ სამი შუშხუნა! - ბრძანა პორუჩიკმა.

თვითონ კი ბინოკლი აიღო, გაიხედა და შიშისაგან ცახცახი აუვარდა.

- არ ისროლოთ! მგონი, მუხიგლეჯია ბრუნდება!

ამრიგად, მათიუში მშვიდობით დაბრუნდა თავისიანებთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. პორუჩიკმა იმწამსვე არტილერიის შტაბში დარეკა. თვალის დახამხამებაში მტრის თოფისწამლის საწყობი ნიშანში ამოიღეს და სროლა დაუწყეს. დასცხეს და დასცხეს, თორმეტი ყუმბარა ააცდინეს, მაგრამ მეცამეტე, ეტყობა, შიგ საწყობში ჩავარდა. ისე დაიგრუხუნა, ცაც კი წითლად შეიღება. კვამლს ხომ, ნუღარ იტყვით, ისეთი კვამლი წამოვიდა, შეიძლებოდა კაცი გაგულულიყო.

აზრიალდა და აფორიაქდა მტრის სანგრები.

პორუჩიკმა ხელში აიტაცა მათიუში და სამჯერ დაიძახა:

- ყოჩაღ! ყოჩაღ! ყოჩაღ!

ეს დღე იყო და, მათიუში ისე შეუყვარდათ, თვალში რომ ჩავარდნობდათ, ხელს არ მოისვამდნენ. მათ რაზმს ჯილდოდ ერთი კასრი არაყი მისცეს. მტერს კი თოფისწამალი აღარ ჰქონდა, ამიტომ რაზმს შეეძლო, მთელ სამ დღეს მშვიდად სძინებოდა. პორუჩიკმა იმის ნებაც კი დართო, ცოტა ხნით სანგრებიდან ამოსულიყვნენ და მუხლი გაემართათ, მსრები გაეშალათ. მტერი იჯდა და სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა, ეს რა დღეში ჩავცვივდით, ხელი ვეღარ გაგვინძრევიაო.

ყველაფერი ისევ ძველებურად აეწყო: დღისით მათიუში პორუჩიკთან მეცადინეობდა, ხანდახან ცოტას თხრიდა კიდევ, რომ წვიმით გაფუჭებული სანგარი მოეწესრიგებინა. ზოგჯერ საყარაულოდაც გზავნიდნენ, ზოგჯერ კი თოფს ისროდა. ამ საქმიანობაში გართულს ხშირად უფიქრია:

‘რა საოცარი ამბავია! მე მინდოდა ისეთი გამადიდებელი შუშა გამომეგონებინა, მტრის თოფისწამლის საწყობი ამეფეთქებინა. მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შემისრულდა სურვილი“.

ასე გავიდა შემოდგომა. დადგა ზამთარი.

მოვიდა თოვლი. ჯარს თბილი ტანსაცმელი დაურიგეს. ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებული იყო და სიმშვიდე სუფევდა.

მათიუშს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამბის შეტყობა კიდევ დაავალეს. მაშ რა ექნათ, სულ სანგრებში რომ მსხდარიყვნენ, რა გამოვიდოდა, ომი როდისდა დამთავრდებოდა!

ფრონტზე თუ სიწყნარე იყო, დედაქალაქში გაცხარებულები მუშაობდნენ. ყველაფერი წესიერად უნდა მოემზადებინათ, რომ ჯარისთვის ერთ ადგილას მოეყარათ თავი, მერე მთელი ძალით დაეცხოთ მტრისთვის და ფრონტი გაერღვიათ. დაცვის ხაზი თუნდაც ერთგან გაერღვიათ. მოწინააღმდეგეს მთელ ფრონტზე უნდა დაეხია უკან, იმიტომ, რომ ჯარი იმ გარღვეულ ადგილას შევიდოდა და ზურგიდან დასცხებდა.

ზამთრის მიწურულს პორუნიკი უკვე კაპიტანი გახდა, მათიუშმა კი მედალი მიიღო. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა! მათმა რაზმმა ორჯერ გამოიჩინა თავი დავალების შესრულებაში და ორჯერვე ქება-დიდება დაიმსახურა.

გენერალი თავისი ფეხით ეწვია რაზმს სანგრებში და ბრძანება წაუკითხა:

- მისი უდიდებულესობა მათიუშ მეფის სახელით, რაზმს მადლობას ვუცხადებ თოფისწამლის საწყობის აფეთქებისა და მამულისა და მშობელი ხალხის სასარგებლო საქმიანობისათვის. გაძღვეთ საიდუმლო დავალებას: როგორც კი გამოთბება, ფრონტის ხაზი უნდა გაარღვიოთ.

ეს იყო უაღრესად დიდი პატივი.

დაიწყო საიდუმლო სამზადისი. მოზიდეს უამრავი ზარბაზანი და ყუმბარები. ზურგში ცხენოსანმა ჯარმა მოიყარა თავი და იცდიდა.

ჯარისკაცებს ისე მოეწყინათ, ისე მობეზრდათ უქმად ჯდომა, რომ ყველდღე მზეს შეჰყურებდნენ, როდის გამოთბებაო.

საწყალი ჯარისკაცები. ასე ელოდნენ გამოდარებას, ასე ემზადებოდნენ და ის კი არ იცოდნენ, რამდენი რამ უნდა გადაეტანათ. მათმა კაპიტანმა ეშმაკური ფანდის გამოყენება სცადა: პირველ დღეს შეტევაზე მხოლოდ ჯარის ნაწილი უნდა გაეგზავნა. ეს ნაწილი მოსაჩვენებლად, სათვალოდ ივლიდა და მალე უკანვე გამობრუნდებოდა. მტერს ეგონებოდა, ჩემს მოწინააღმდეგეს სუსტი ჯარი ჰყავსო. მეორე დღეს კი მთელი ძალით შეუტევედნენ და სანგრების ხაზს გაარღვევედნენ.

ასეც მოიქცა.

შეტევის წინ არტილერიას უბრძანა, მავთულხლართებისთვის დაეშინათ ტყვია, რომ დაეწვიტათ და ქვეითებისთვის გზა გაეხსნათ. მერე ჯარის ნახევარი გაგზავნა შეტევაზე.

- წინ! - უბრძანა ჯარისკაცებს.

ოჰ, რა კარგი იყო აუტანელი, საძაგელი სანგრებიდან ამოხტომა, მთელი ძალით სირბილი და 'ვაშას' ძახილი!

მტერს გული გაუსკდა, რომ დაინახა, ხიშტმომარჯვებული ჯარი მორბისო. ისე შეშინდა, კანტიკუნტად და უზროდდა ისროდა. შეტევაზე გადასულები თითქმის უკვე მიაღწენ გადაგლეჯილ მავთულხლართებს, მაგრამ კაპიტანმა სწორედ მაშინ ბრძანა, უკან დაიხიეთო.

მათიუშმა და რამდენიმე ჯარისკაცმა ვერ გაიგონეს კაპიტნის ბრძანება, ცოტა შორს იყვნენ წასულები, და ტყვედ ჩაცვივდნენ.

- აჰა, დაფრთხნენ თქვენები?! - დასცინოდნენ ჯარისკაცები. - დიდი ზართა და ზათქით მოჰქროდნენ, მაგრამ ჩვენამდე მოირბინეს თუ არა, მაშინვე უკან გაქუსლეს. არც მაინცდამაინც ბევრნი ყოფილხართ!

მტრის ჯარისკაცებს რცხვენოდათ, ლაჩრულად რომ მოიქცნენ და შიშისგან სროლაც კი ვერ მოახერხეს, ამიტომ ტყვეებზე იყრიდნენ ჯავრს.

მათიუში უკვე მეორედ მიდიოდა შტაბში. პირველად რომ მიდიოდა, მაშინ გადაცმული სამხედრო მზვერავი იყო, ახლა კი ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და ტყვედ მიჰყავდათ.

- ოო, გიცნობ, რა ჩიტიც ბრძანდები, - გესლიანად მიეგება მტრის ოფიცერი. - ამ ზამთარს შენ არ ბრძანდებოდი ჩვენთან? შენი წყალობით აფეთქდა ჩვენი თოფისწამლის საწყობები. ახლა კი ვერღარსად წაგვიხვალ. ჯარისკაცები სამხედრო ტყვეების ბანაკში წაიყვანეთ, ამ ბიჭს კი ჯაშუშობისათვის ჩამოგახრჩობთ!

- მე ჯარისკაცი ვარ! - იყვირა მათიუში. - თქვენ შეგიძლიათ დამხვრიტოთ, მაგრამ ჩამოხრჩობის უფლება არა გაქვთ!

- ერთი ამ ჭკუის კოლოფს დამიხედეთ! - იყვირა ოფიცერმა. - სხვა რაღა გინდა! ახლა თუ ჯარისკაცი ხარ, მაშინ ტომეკი იყავი და გვიღალატე. ამიტომ ჩამოგახრჩობთ.

- არა გაქვთ უფლება! - თავისას იმეორებდა მათიუში. - მე მაშინაც ჯარისკაცი ვიყავი, გადაცმული გადმოვედი თქვენს მხარეს და განგებ დავჯექი გადამწვარი ქოხის წინ.

- გეყოფა ყბედობა! გაძლიერებული დაცვა გააყოლეთ, სატუსაღოში წაიყვანეთ და ცალკე ჩასვით. ხვალ საველე სასამართლო გაარჩევს ამის საქმეს. თუ მაშინ მართლა ჯარისკაცი იყავი, შეიძლება სურვილი შეგისრულდეს და დაგხვრიტონ. თუმცა, მე მირჩევნია, რომ ჩამოგახრჩონ.

მეორე დღეს დაინიშნა საველე სასამართლო.

- მე ამ ბიჭს ბრალად იმას ვდებ, რომ ამ ზამთარს ჩვენთან ჯაშუშად შემოიპარა, გაიგო სად იყო ჩვენი თოფისწამლის საწყობები და მტრის არტილერიას შეატყობინა. თორმეტჯერ ესროლეს და ააცდინეს, მეცამეტედ კი მოახვედრეს საწყობებს და ააფეთქეს, - თქვა ოფიცერმა.

- ასე იყო? აღიარებ დანაშაულს? - ჰკითხა ჭადარა მოსამართლე გენერალმა მათიუშს.

- არა, ასე არ ყოფილა, მე კი არ მიძებნია თქვენი საწყობები, თვითონ ამ ოფიცერმა წამიყვანა და მაჩვენა ყველაფერი. მერე მიბრძანა, ჩვენებთან წავსულიყავი, მენახა, სად გექონდა თოფისწამლის საწყობები და მისთვის მომეხსენებინა. შოკოლადიც კი მომცა. ხომ ასე იყო?

ოფიცერი თმის ძირებამდე გაწითლდა, ასე სულელურად რად მოვიქცეო. თურმე ნუ იტყვით, უფლება არ ჰქონდა, ვინმესთვის ეჩვენებინა საბრძოლო მასალის საწყობები.

- მე ჯარისკაცი ვიყავი და საზვერად გამომგზავნეს. თქვენს ოფიცერს კი უნდოდა, თავის ჯაშუშად ვექციე, - თამამად ლაპარაკობდა მათიუში.

- მე არ ვიცოდი! - თავს იმართლებდა ოფიცერი.

მაგრამ გენერალმა არ დააცადა.

- გრცხვენოდეთ, ბატონო ოფიცერო, რომ ამ ცეროდენა ბიჭმა გაგასულელათ. თქვენ ძალიან ცუდად მოიქეციით და კიდევ დაისჯებით. მაგრამ არც ამ ყმაწვილს ეპატიება დანაშაული. რას იტყვით, ბატონო ვექილო?

ვექილმა მათიუში დაიცვა:

- ბატონო მოსამართლენო, ბრალდებული, რომელიც თავის თავს ხან მუხიგლეჯიად იხსენიებს, ხან ტომეკად, დამნაშავე არ არის. ის ჯარისკაცი გახლდათ და ვალდებული იყო, ბრძანებას დამორჩილებოდა, დასაზვერავად იმიტომ წამოვიდა, რომ გამოგზავნეს. მე მგონი, ესეც სხვებთან ერთად სამხედრო ტყვეთა ბანაკში უნდა გაგვეგზავნა.

გენერალს ძალიან ებრალებოდა ბიჭი და აშკარად გაახარა ვექილის ნათქვამმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. სამხედრო კაცმა არ უნდა გამოამჟღავნოს, რომ ვინმე ებრალება, მით უმეტეს, თუ ეს ვინმე მტრის ჯარისკაცია.

გენერალმა მაშინვე თავი სამხედრო კანონების წიგნში ჩარგო, აბა, სამხედრო ჯაშუშებზე რა წერიაო.

- ოოო, არის, ვიპოვე, - თქვა ბოლოს. - სამოქალაქო ჯაშუშები, რომლებიც ფულისთვის ხდებიან მოღალატეები, მაშინვე უნდა ჩამოგახრჩოთ, სამხედრო ჯაშუშები კი იმწამსვე უნდა დაიხვრიტონ, ან, თუ ვეჭილი წინააღმდეგია, ყველა საბუთი უმაღლეს სასამართლოში უნდა გადაიგზავნოს და დახვრეტა დროებით გადაიდოს.

- მაშ, მე მოვითხოვ, რომ საქმე გადაიგზავნოს უმაღლეს სასამართლოში, - თქვა ვეჭილმა.

- კეთილი, - დაეთანხმნენ გენერალი და სხვა მოსამართლეებიც.

და მათიუში ისევ სატუსაღოში ააბრუნეს. მათიუშის სატუსაღო ჩვეულებრივი ხის ქოხი იყო. მაშ, მინდორში, ფრონტზე, ქვის დიდ სახლებს ვინ ააგებდა ან გისოსებიან ფანჯრებს ვინ დაატანდა. ასეთი 'ფუფუნება' მხოლოდ ქალაქშია. მათიუში ამ ქოხში შეაგდეს. ფანჯრებთან და კარწინ ორი ჯარისკაცი დაუყენეს. მცველებს თოფები და რევოლვერები გატენილი ჰქონდათ.

დაჯდა მათიუში და თავის ბედზე ჩაფიქრდა, მაგრამ იმედი მაინც არ დაუკარგავს, გულს იკეთებდა:

'ჩემი ჩამოხრჩობა უნდოდათ და არ ჩამომახრჩვეს. იქნებ ტყვიასაც დაგუძვრე როგორმე. რამდენ ტყვიას გადაუზუზუნია ჩემს თავზე!'

სადამოთი მაღიანად შეექცა გემრიელ ვახშამს. ვახშამი მართლაც გემრიელი იყო. ასეთი კანონი არსებობს: სიკვდილმისჯილებს კარგ საჭმელს მიართმევენ ხოლმე: მათიუში კი სიკვდილმისჯილად ითვლებოდა.

ნავახშმევს მათიუში ფანჯარასთან დაჯდა და ცას გახედა. ცაში თვითმფრინავები დაფრინავდნენ.

'ნეტავი ჩვენები არიან თუ ამათები', - გაუელვა ფიქრმა.

უცბად მათიუშის ქოხის ახლოს სამი ყუმბარა ჩამოვარდა და გრუხუნით გააყრუა იქაურობა.

ამის შემდეგ რა მოხდა. მათიუშს არ ახსოვდა, იმიტომ რომ ყუმბარები სეტყვასავით წამოვიდა. ერთი ყუმბარა ქოხს დაეცა, გაისმა ლაწალუწის ხმა; ამას მოჰყვა კენესა, ყვირილი, შიშხინი. მათიუშს ვიღაცამ ხელი დასტაცა და აიყვანა, მაგრამ ბიჭს თავი მკერდზე ჩამოვარდა. მერე რაღაც საშინელი თუხთუხიც შემოესმა. ბოლოს, გონზე რომ მოვიდა, ერთ ლამაზად მორთულ ოთახში ფართო საწოლზე იწვა.

თავს როგორ გრძნობს თქვენი მეფური უდიდებულესობა? - ჰკითხა სწორედ იმ ხნიერმა გენერალმა, საწყოების აფეთქებისთვის ამ ზამთარს მედელი რომ დააბნია მკერდზე.

- მე ტომეკ პალიუხი ვარ, მუხიგლეჯია, უბრალო ჯარისკაცი, ბატონო გენერალო, - შეჰყვირა მათიუშმა და საწოლიდან წამოხტა.

- ვითომ? - გაეცნია გენერალს. - ახლავე გამოვარკვევთ. ჰეი, დაუძახეთ ფელეკს!

შემოვიდა ფელეკი. მფრინავის მუნდირი ეცვა.

- ფელეკ, ერთი მოგვახსენე, ვინ არის ეს!

- ვინ არის და, მისი მეფური უდიდებულესობა მეფე მათიუშ პირველი.

მათიუში უარს უკვე ვეღარ იტყოდა. არც იყო საჭირო. პირიქით, სახელმწიფოში ისეთი ამბები ტრიალებდა, უსათუოდ მთელი ჯარისთვის, მთელი ხალხისთვის უნდა გამოეცხადებინათ, მეფე მათიუში ცოცხალია და ფრონტზე იმყოფებაო.

- თქვენს მეფურ უდიდებულესობას უკვე შეუძლია თათბირში მონაწილეობის მიღება?

- შემოიძლია.

ამის შემდეგ გენერალმა ყველაფერი უამბო მათიუმს. უამბო, რომ თოჯინა გააკეთეს და მათიუმის ნაცვლად დედაქალაქში ყოველდღე ეს თოჯინა დაჰყავდათ მანქანით. ეს კი არა, თურმე უფროსი მინისტრი აუდიენციის დროს სამეფო ტახტზედაც კი დასვამდა ხოლმე. ისეთი თოჯინა იყო, ზონარს რომ ჩამოსწევდით, თავს იქნევდა და სალამსაც იძლეოდაო.

თოჯინა ხელი აჰყავდათ მანქანაში. გაზეთებში წერდნენ: მათიუმ მეფემ დაიფიცა, მიწას ფეხს მანამდე არ დავაკარებ, სანამ ამ მიწას მტრისგან არ გავათავისუფლებთო.

ხალხს ძალიან დიდხანს სჯეროდა, რომ თოჯინა ნამდვილი მათიუმი იყო, მაგრამ უკვირდა კი, სულ ერთნაირად რატომ ზოს ტახტზედაც და მანქანაშიც, რატომ არასოდეს არ იღიმებოდა, მხოლოდ ხანდახან თავის დაიქნევს და სალამს იძლევაო.

ზოგიერთი უკვე რაღაცას ეჭვობდა, ბევრმა კი ნამდვილად იცოდა მათიუმ მათიუმ მეფის დაკარგვის ამბავი.

მტერმაც გუმანი აიღო, ჯაშუშებისგანაც ამბებს გებულობდა, მაგრამ თავს ისე იტყერდა, ვითომც, ეს რა ჩემი საქმეაო. მაშინ ზამთარი იყო და რა ენადვლებოდა, ზამთრობით მაინც სულ სანგრებში ზის ჯარი.

მაგრამ, როცა შეიტყვეს, მათიუმის ჯარს ფრონტის გარღვევა სწადიაო, მაშინ კი გულმოდგინედ გამოიძიეს ყველაფერი და საიდუმლოც გამოააშკარავეს.

შეტევის წინაღუდეს ვიღაც მაწანწალა აღიქირავეს და ამ მაწანწალამ ქვა ესროლა თოჯინა მათიუმს.

მათიუმი დაიმსხვრა, ფაიფური აქეთ-იქივ გაიფანტა, ხელით კი ისევ სალამს იძლეოდა, ოღონდ ჰაერში, იმიტომ ომ თოჯინას თავი აღარ ჰქონდა. ამ ამბავმა ზოგი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ზოგი კი განრისხდა, გვასულელებდნენ და რევოლუციას მოვახდენთო, - იმუქრებოდნენ. ზოგნი იდნენ და იცინოდნენ.

იმ საცდელი შეტევის შემდეგ, როცა მათიუმი ტყვედ ჩავარდა, ძირითადი შეტევა უნდა დაეწყოთ, მაგრამ უეცრად ცაში თვითმფრინავები აგუგუნდნენ და ყუმბარების მაგიერ ქაღალდის ფურცლები ჩამოყარეს. ეს იყო პროკლამაციები.

შიგ ეწერა:

‘ჯარისკაცებო! გენერლები და მინისტრები გატყუებენ. მათიუმი აღარ გყავთ. ომის დაწყების დღიდანვე დედაქალაქში ფაიფურის თოჯინას დაასეირნებდნენ. დღეს ეს თოჯინა ვიღაც მაწანწალამ დაამსხვრია. დაბრუნდით თქვენს ოჯახებში, შეწყვიტეთ ბრძოლა!’

ძლივს დაიყოლიეს ჯარისკაცები, ცოტა მოიცადეთ, იქნებ ყველაფერი ტყუილიაო. მოცდით კი მოიცადეს, მაგრამ შეტევაზე გადასვლა უკვე აღარვის უნდოდა.

და, აი, მაშინ ფელეკმა ყველაფერი თქვა.

გაიხარეს გენერლებმა, იმწამსვე კაპიტანს დაურეკეს, მათიუმი ახლავე შტაქში გამოგზავნეთო, მაგრამ მაშინვე ყველანი შიშისზარმა აიტანა, რომ გაიგეს, მათიუმი საცდელი შეტევის დროს ტყვედ ჩავარდაო.

რა ექნათ?

ეთქვათ აჯანყებული ჯარისთვის, მათიუმი ტყვედ ჩავარდაო? ერთხელ მოტყუებულები ამას აღარ დაიჯერებდნენ.

საგანგებო თათბირზე დაადგინეს, რომ მტერს თვითმფრინავებით დასხმოდნენ თავს და აურზაურში მათიუმი გამოეტაცებინათ.

თვითმფრინავები ოთხ ჯგუფად გაყვეს. ერთი ჯგუფი სამხედრო ტყვეების ბანაკს უნდა დასხმოდა თავს, მეორე - სატუსაღოს, მესამე - თოფისწამლის საწყობებს, მეოთხე - ოფიცერთა შტაბს.

ასეც მოიქცნენ. სადაც ოფიცრები იყვნენ, ჯერ იმ სახლს დააყარეს ყუმბარები, ისე რომ ბრძანების გამცემი აღარავინ დარჩა. თოფისწამლის საწყობები სადაც ეგულებოდათ, იქაც ჩამოყარეს ყუმბარები, მაგრამ ამოდ,

საწყობები იქ არ იყო. მესამე ჯგუფი კი სამხედრო ტყვეების ბანაკს დაესხა თავს და მათიუში მოძებნეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. მხოლოდ მეოთხე ჯგუფმა იპოვა გონებადაკარგული მათიუში და დიდი გაჭირვებით მიიყვანეს თავის შტაბში.

- დავალება ბრწყინვალედ შეგისრულეხათ, ბატონებო. რამდენი თვითმფრინავი დაკარგეთ?

- ოცდაათოთხმეტი გაგზავნეთ და თხუთმეტი დაბრუნდა.

- რამდენ ხანს გაგრძელდა შეტევა? - იკითხა მათიუშმა.

- გაფრენიდან უკან დაბრუნებამდე ორმოცი წუთი გავიდა.

- კეთილი, - თქვა მათიუშმა, - მაშ ასე, ხვალ დავიწყებ გენერალურ შეტევას. ოფიცრებმა სიხარულისგან ტაში დასხცეს.

- რა მოულოდნელი იქნება! რა კარგია! ჯარისკაცებს ამაღამვე გავაებინებთ, რომ მათიუში მეფე ცოცხალია, მათთან არის და ჯარს თვითონვე გადაიყვანს შეტევაზე. ბიჭები ისე გაიხარებენ, ხვალ ლომებივით იბრძოლებენ.

ამ სიტყვებისთანავე ფრონტის შტაბებსა და დედაქალაქში ტელეფონები და ტელეგრაფები ამუშავდა.

დამით გახეთების საგანგებო ბიულეტენები გამოვიდა.

მათიუშმა ორი მიმართვა დაწერა. ერთით ჯარისკაცებს მიმართავდა, მეორით - ხალხს. რევოლუციაზე უკვე აღრავინ ფიქრობდა. ერთი ეს იყო, ახალგაზრდებმა და ბავშვებმა უფროსი მინისტრის სასახლის წინ მოიყარეს თავი და ყურისწამლები ჩხავილი მორთეს.

მინისტრთა საბჭომ სახელდახელო თათბირი მოიწვია და თავისი მიმართვა გამოაქვეყნა. მიმართვაში ნათქვამი იყო, ეს ყველაფერი იმისთვის მოვიგონეთ, რომ მტერს მოგვეტყუებინათ.

ჯარისკაცები ისე აიტაცა ბოძოლის ჟინმა, წარამარა კითხულობდნენ, რომელი საათია, როდის გათენდებაო.

ბოლოს, როგორც იყო, შეტევა დაიწყო.

მათიუშს სამი მეფე ებრძოდა. ერთი მეფე მთლიანად გაანადგურეს და თვითონ ტყვედ წამოიყვანეს, მეორეს კი ისეთი დღე დააწიეს, ღონის მოსაკრებად სამი თვე მაინც დასჭირდებოდა, ამაზე ადრე ომს ვერ შეძლებდა - თითქმის მთელი ზარბაზნები წაართვეს, ჯარის ნახევარზე მეტი ტყვედ ჩაიგდეს ხელში. ისე რომ, ერთადერთი მეფეა დარჩათ დაუმარცხებელი, ისიც რეზერვში იდგა.

ბრძოლა რომ დამთავრდა, ისევ თათბირი გამართეს. თათბირს ესწრებოდნენ მთავარსარდალი და სწრაფი მატარებლით ჩამოსული სამხედრო მინისტრი.

- მტერს გამოვედევნოთ თუ არა?

- გაომვედევნოთ! - ბოძანა მთავარსარდალმა. - თუ სამს გავუმკლავდით, ერთს უფრ ადვილად მოვერევით.

- მე კი ვამბობ, არ-მეთქი, - თქვა სამხედრო მინისტრმა, - ჩვენ უკვე ჭკუა გვასწავლეს, ამას წინათ მტერს შორს რომ გამოვედევნეთ.

- მაშინ სხვა ამბავი იყო, - შეეკამათა მთავარსარდალი.

ყველანი მათიუშს მიაჩერდნენ, რას იტყვისო.

მათიუშს გულით უნდოდა, ცოტათი მაინც ერბენინებინა დამარცხებულები, რომლებსაც მისი ჩამოსრჩობა უნდოდათ. მტერს, საერთოდ, ცხენოსანი ჯარი სდევნის ხოლმე, მათიუში კი მთელი ამ ომის განმავლობაში ცხენზე ერთხელაც არ მჯდარა. რამდენჯერ გაუგონია, მეფეები ომში ცხენებით მიდიოდნენ, ასე იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ კიდევ. მათიუში კი ან მუცელზე ხოხავდა, ან სანგარში იჯდა მოკუზული. ნეტავ ცოტა ხანს მაინც შემსვა ცხენზე და წესიერად მატარაო, - იფიქრა.

მაგრამ კარგად ახსოვდა ომის დასაწყისი. მაშინ იყო, ძალზე წინ რომ წავიდნენ და კინაღამ თავი წააგეს. ისიც ახსოვდა, რომ მთავარსარდალს რეგვენს ეძახდნენ.

არც ის დავიწყებია, თავიანთ ქვეყნებში მიმავალ ელჩებს რომ შეჰპირდა, ვეცდები, სწრაფად დაგამარცხოთ და იოლი საზავო პირობები შემოგთავაზოთ. დიდხანს ფიქრობდა მათიუში. ყველანი სულგანაბულები ელოდებოდნენ.

უცხად იკითხა:

- სად არის გვირგვინოსანი ტყვე?
- აქვე ახლოს გახლავთ.
- მომგვარეთ.

შემოიყვანეს ბორკილებდადებული მეფე.

- შეხსენით ბორკილები! - ბრძანა მათიუშმა.

ბრძანება იმავე წუთს შეასრულეს. მცველებმა ტყვესთან ახლოს მიიწიეს, რომ არ გაჰქცეოდათ.

- დამარცხებულ მეფე, - მიმართა მათიუშმა, - გამომიცილია და ვიცი, რა არის ტყვეობა. მე შენთვის თავისუფლება მიხუქებია. შენ განადგურებული ხარ, ისე რომ, გთხოვ, შენი ჯარის გადარჩენილი ნაწილი ჩემი ქვეყნიდან გაიყვანო.

ჯარისკაცებმა ტყვე გვირგვინოსანი მანქანით მიიყვანეს სანგრებადღე. მეფე თავისიანებთან გადავიდა.

მეორე დღეს მათიუშს სამი მეფის ხელმოწერილი ქაღალდი მოუვიდა.

შიგ ეწერა:

“მათიუშ მეფე, შენ გამბედავი, ჭკვიანი და კეთილშობილი მეფე ხარ, რა გვაქვს გასაყოფი, რა გვაჩხუბებს? ჩვენ შენთან მეგობრობა გვინდა. სამივენი ჩვენ-ჩვენს სამშობლოში ვბრუნდებით, თანახმა ხარ?”

მათიუშ მეფემ თანხმობა ბრძანა.

ასე ჩამოვარდა ზავი.

ყველა წესიერი ჯარისკაცი გახარებული იყო. უხაროდან მათ ცოლებს, დედებსა და შვილებს. ზოგიერთს კი, ვინც ომში ქურდობითა და ძარცვა-გლეჯით ხელს ითბობდა, შეიძლება ეწყინა კიდევ, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ.

მათიუში სამეფო მატარებლით ბრუნდებოდა დედაქალაქში. გზადაგზა ხალხი სიხარულით ფიანდაზად ეგებოდა, სიყვარულით ესალმებოდა.

ერთ სადგურზე მათიუშმა მატარებელი გააჩერებინა, გაგონიდან ჩამოვიდა და გულკეთილ მებისრის ცოლს ესტუმრა.

- ქალბატონო, მე თქვენ ყავაზე გესტუმრეთ, - ღიმილით უთხრა მათიუშმა.

მებისრის ცოლი სიხარულისაგან დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

- ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! - მარტო ამასღა ამბობდა და ცრემლები დაჰადუცპით ჩამოსდიოდა.

დედაქალაქში მათიუშს მანქანა ელოდა, მაგრამ მან თეთრი ცხენი მოითხოვა.

ცერემონიისტერმა სიხარულით თავში ხელი შემოირტყა.

- რა ჭკვიანი ყოფილა მათიუში! ბრძოლიდან მეფე ბენზინით კი არა, სწორედ ცხენით უნდა ბრუნდებოდესო!

მათიუშმა ცხენი თოხარიკით ჩაატარა მთელ ქალაქზე. ფანჯრებიდან ხალხი მისჩერებოდა. უმთავრესად ბავშვები უყურებდნენ.

ბავშვები ყველაზე მეტ ყვავილს ესროდნენ, ყველაზე ხმამაღლა ყვიროდნენ.

- ვივატ! გაუმარჯოს მათიუშ მეფეს! ვივატ, ვივატ, ვივატ!

მათიუშს თავი მხნედ ეჭირა, მაგრამ ძალიან დაღლილი კი იყო, იერიში, ტყვეობა, თათბირები, ისევ ბრძოლა, მგზავრობა, ახლა ეს ყვირილი და ზარ-ზემი სულ ერთმანეთს მოჰყვა და ისე დაიქანცა, დროდადრო თავი უბრუოდა, თვალეზინ ნაპერწკლები უთამაშებდა, გეგონებოდა, ვარსკვლავებიაო.

მის საუბედუროდ ერთმა ბიჭმა ქუდი აისროლა. ჩამოვარდა ის ქუდი და ცხენს ზედ თავზე დაემხო. ჯიშინი და ოჩანი ცხენი წამსვე გვერდზე გახტა, მათიუში კი მიწაზე დაენარცხა. მაშინვე მისცვივდნენ, აიტაცეს, ეტლში ჩააწვინეს და

სასახლეში გააქროლეს. მათიუმს არაფერი სტკენია, არც გონება დაუკარგავს, დააწვინეს თუ არა, მაშინვე ღრმად ჩაეძინა. ეძინა და ეძინა. ეძინა საღამომდე, მერე დილამდე, მერე შუადღემდე.

- დალახვროს ეშმაკმა, მაჭამეთ რამე! - ისე დაიყვირა გამოღვიძებულმა მათიუმმა, მსახურებს შიშისაგან ქაღალდისფერი დაედოთ.

ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ საწოლზე, საწოლის გარშემო და საწოლქვეშ ასი თავი საჭმელი ელაგა.

- ამ წუთს მომაშორეთ ეს უცხოური დელიკატესები! - ისევ იყვირა მათიუმმა.

- მომიტანეთ კომბოსტო, ძეხვი და ლუდი.

ღმერთო ჩემო, სასახლის ბუფეტში, ერთი ნაჭერი ძეხვი რა არის, ერთი ნაჭერი ძეხვი არ მოეძეგებოდათ! საბედნიეროდ, სასახლის დაცვის კაპრალს ჰქონოდა და იმან ასესხა.

- ოჰ, თქვე დედას ბიჭებო, მტირალეებო, ნებრიცუცებო, აზიზმაზიზებო, მლიქნელებო! - მათიუმმა ერთბაშად გადმოაფრქვია ჯარისკაცური მეცნიერება.

- მე ვიცი, როგორც მოგივლით ამის შემდეგ!

იჯდა, მადიანად ილუკმებოდა და თან ფიქრობდა:

‘ამის შემდეგ იცოდნენ, რომ ნამდვილი მეფე დაბრუნდა, ყველა ვაღდებულისა, მემორჩილებოდა’.

მათიუში გრძნობდა, რომ გადახდილ ომზე დიდი ომი ელოდა თავის მინისტრებთან.

ფრონტზევე გაეგო, ფინანსთა მინისტრი სიბრაზისაგან ცეცხლს აფრქვევსო.

- ვეც იტყვის, გავიმარჯვებთ! - ამბობდა თურმე ფინანსთა მინისტრი. - რატომ კონტრიბუცია არ მოითხოვა? ყოველთვის ასე იყო, ვინც დამარცხდებოდა, კონტრიბუციასაც ის იხდიდა. კეთილშობილება გაამოიჩინა? ძალიან კარგია, მაგრამ ნება იბოძოს და თვითონ გაუძღვეს მეურნეობას, როცა ხაზინა ცარიელია. ერთი ვნახავ, რას მისცემს მეფაბრიკებს ზარბაზნებში, მეწაღეებს - ჩექმებში, მომმარგებლებს - შვრიაში, მუხუდოსა და ბურღულში. ვიდრე ომი იყო, ყველა იცდიდა, ახლა მიდი და მიეცი, ვისაც რა ეკუთვნის. რაც არ არის, რას მისცემ!

გაცოფებული ყოფილა საქმეთა მინისტრიც.

- რაც ეს წუთისოფელი არსეობს, საგარეო საქმეთა მინისტრის გარეშე ჯერ ხავი არავის დაუდვია. მე რიდას მაქნისი ვარ? მთელი თანამშრომლები დამცინიან.

ვაჭრობის მინისტრს მეფაბრიკე არ აძლევდა მოსვენებას, გინდა თუ არა, ფაიფურის თოჯინაში რაც მეკუთვნის, მომეციო.

უფროს მინისტრსაც სინდისი მთლად წმინდა არ ჰქონდა, პოლიციის პრეფექტსაც შიშის ზაფრა უვლიდა, როცა გაახსენდებოდა, რა სულელურად ახსნა მათიუმის დაკარგვა.

მათიუმს ზოგი რამ გაგებული ჰქონდა, დანარჩენს კი ხვდებოდა, და გადაწვიტა, ყველგან წესრიგი დაემყარებინა.

მინისტრთა მმართველობამ დრო მოჭამა. ნება იბოძონ და ან დაემორჩილონ, ან არადა სასახლეში ფეხი ამოიკვეთონ. უფროს მინისტრს ავად გახდომა რომ მოუნდებოდა, მათიუში ხვეწნა-მუდარას აღარ დაუწყებს, ამას ნუ იზამო.

ძეხვი გაათავა, ტუჩები მოილოკა, ხალიჩაზე გადაფურთხა და მსახურებს უბრძანა, ერთი ვედრო ცივი წყალი გადამავლეთო.

- ეს არის ჯარისკაცური ბანაობა, - თქვა ნასიამოვნებმა, თავზე გვირგვინი დაიდგა და სხდომათა დარბაზში შებრძანდა. დარბაზში სამხედრო მინისტრი დახვდა.

- დანარჩენები სად არიან?

- არ იცოდნენ, რომ თქვენს მეფურ უდიდებულესობას მათთან თათბირი სურდა.

- იქნება ფიქრობდნენ, რომ ომიდან დავბრუნდებოდი და უცხო აღმზრდელს გააკვეთილზე დაგუჯდებოდწი, თვითონ კი თავის გემოზე იპარპაშებდნენ? ვერ მივართვი! ძალიან სცდებიან!.. ბატონო მინისტრო, სხდომა მიბრძანებია ორ საათზე. დარბაზში თავს რომ მოვიყრიო, დერეფანში ფეხაკრეფით შემოვიდეს ჯარისკაცების ოცეული. ოცმეთაური კართან დადგეს და ყური დაგვიგდოს. როგორც კი ტაშს შემოვკრავ, მაშინვე დარბაზში შეპმოვიდნენ. თქვენ სიმართლეს გეტყვით: თუ ისევ ძველებურდა პარპაში მოიწადინეს, მაშინვე დავაპატიმრებ. მაგრამ იცოდეთ, საიდუმლოა.

- მესმის, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, - თაყვანი სცა მინისტრმა.

მათიუშმა მოიხადა გვირგვინი და სასახლის ბაღში გავიდა. რამდენი ხანია ამ ბაღში აღარ ყოფილა!

- ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, ფელეკი! - მათიუშმა დაუსტვინა.

იმავე წამს გუგულის ხმა შემოესმა.

- მოდი, ფელეკ, ნუ გეშინია. მე ახლა უკვე ნამდვილი მეფე ვარ, თავის მართლება არავისთან აღარ დამჭირდება.

- მერე, მე რა? მამაჩემი რაღას იტყვის?!

- მამაშენს უთხარი, რომ მეფის ფავორიტი ხარ და მე ვბრძანებ, თითს დაკარება არ გაგიბედოს!

- თქვენმა მეფურმა უდიდებულესობამ რომ ინებოს და დაწეროს...

- დიდი სიამოვნებით. წამოდი ჩემს კაბინეტში.

ფელეკს მეორედ თხოვნა არ დასჭირვებია, მაშინვე გაჰყვა.

- ბატონო სახელმწიფო მდივანო, გთხოვთ, დაწეროთ ცნობა, რომ მე ფელეკს ჩემს ფავორიტად ვნიშნავ.

- თქვენო უდიდებულესობავ, უწინ სამეფო კარზე ასეთი თანამდებობა არ არსებობდა.

- უწინ არ არსებობდა, ახლა იარსებებს. ასეთია ჩემი მეფური სურვილი.

- თქვენი მეფური უდიდებულესობა ხომ არ ინებებს, რომ ამ ცნობის დაწერა მინისტრთა საბჭოს სხდომამდე გადაიდოს? არც ძალიან შეყოვნდება და ფორმალობასაც დავიცავთ.

მათიუშს უნდოდა დათანხმებოდა, მაგრამ ფელეკმა სახელოზე ჩამოსწია.

- დალახვროს ეშმაკმა! მე მოვითხოვ, დაუყოვნებლივ დაწეროთ! - იყვირა მათიუშმა.

მდივანმა კეფა მოიფხანა და ორი ცნობა დაწერა. ერთში ეწერა:

“მე, მათიუშ მეფე, მოვითხოვ, დაუყოვნებლივ ხელმოსაწერად მომართვან ბეჭედდასმული ქაღალდი, რთაც მე ფელეკს ვნიშნავ მეფის ფავორიტად. ჩემი კატეგორიული ბრძანების დაუყოვნებლივ შეუსრულებლობისათვის დამნაშავეს არ ასცდება უსასტიკესი და უმკაცრესი სასჯელი, რასაც ვაცნობებ ბატონ სახელმწიფოს მდივანს და ჩემი საკუთარი ხელმოწერითაც ვადასტურებ“.

მდივანმა მათიუშს აუხსნა, მხოლოდ ამ ქაღალდის ხელმოწერის შემდეგ მექნება უფლება, მეორე ცნობა დაწერო.

მათიუშ მეფემ ხელი მოაწერა. შემდეგ მდივანმა ფელეკს მისცა ბეჭედდასმული ქაღალდი, რითაც ფელეკი მეფის ფავორიტად ინიშნებოდა.

ამის შემდეგ მათიუშში და ფელეკი მეფის სატუმრო დარბაზში შევიდნენ, დასხდნენ და ხან სათამაშოებს ათვალიერებდნენ, ხან წიგნებს, თან საუბრობდნენ, იხსენებდნენ ომის ამბებს, თავის თავგადასავალს. მერე ერთად ისადილეს და ბაღშიც ერთად გავიდნენ. ფელეკმა თავის თანატოლ ბიჭებსაც დაუძახა და მშვენივრად ერთობოდნენ მინისტრთა საბჭოს სხდომის დაწყებამდე.

- მე ვაღდებულები ვარ წავიდე, - ნაღვლიანად თქვა მათიუშმა.

- მე რომ მეფე ვიყო, არასოდეს არაფრის ვაღდებულები არ ვიქნებოდი.

- შენ არ გესმის, ჩემო ფელეკ. ჩვენ, მეფეებს, ყოველთვის არ შეგვიძლია იმის გაკეთება, რაც გვსურს.

ფელეკმა მხრები აიჩენა და ამით გააგებინა, რომ ისევ თავის აზრზე იდგა. მერე მეფის ხელმოწერილი ქაღალდით შინ წავიდა, მაგრამ ფეხი უკან რჩებოდა, როცა ახსენდებოდა მამის მკაცრი თვალები და ძალზე ნაცნობი კითხვა:

- სად დაწანწალებდი უპატრონო ძაღლივით! აბა, ჩამოფქვი!

ამ კითხვას რაც მოსდევდა, ფელეკმა ესეც კარგად იცოდა, მაგრამ ახლა იმედი ჰქონდა, რომ საქმე სხვანაირად შეტრიალდებოდა.

დაიწყო გაუთავებელი ჩივილი, წუწუნი და საყვედურები. ფინანსთა მინისტრი ამბობდა, ფული არ მაქვსო. ვაჭრობის მინისტრმა თქვა, ვაჭრებმა ამ ომში ძალიან იზარალებს და გადასახადს ვეღარ იხდიანო. გზათა მინისტრი ამბობდა, ვაგონები ზევით-ქვევით ამდენი რახრახისაგან ისე დაინგრა, სუყველა შესაკეთებელია, შეკეთება კი ძვირი დაჯდებაო. განათლების მინისტრი ჩიოდა, ომის დროს ბავშვებმა სულ აიშვეს თავი: აქოდა, მამები ფრონტზე წავიდნენო, დედებს აღარ ემორჩილებოდნენ. ახლა მასწავლებლები მოითხოვენ, ხელფასი მოგვიმატეთ და სკოლებში დამსხვრეული შუშებიც ჩაგვისვითო. ამის შემდეგ იმაზე ილაპარაკეს, ომის დროს მინდვრები მოუხვნელი და დაუთესავი დაგვრჩა, ომის წყალობითვე ფართო მოხმარების საქონელი ძალზე ცოტააო. მთელ საათს სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობდნენ.

უფროსმა მინისტრმა ერთი ჭიქა წყალი გადაჰკრა. უფროსი მინისტრი ყოველთვის ერთ ჭიქა წყალს გადაუძახებდა ხოლმე, როცა დიდხანს ლაპარაკს აპირებდა. მათიუშს ეჯავრებოდა, უფროსი მინისტრი წყალს ორმ სვამდა.

- ბატონებო, ძალიან უცნაურია ჩვენი სხდომა. ვინმემ რომ მოგვისმინოს და არ იცოდეს, რა მოხდა, ეგონება, ომი უბედურად დაუმთავრებიათო. იფიქრებს, დამარცხებულანო. მაგრამ ჩვენ ხომ გავიმარჯვეთ! დღემდე სულ ასე იყო: ვინც დამარცხდებოდა, კონტრიბუციას იხდიდა, გამარჯვებული კი მდიდრდებოდა. ასეც უნდა იყოს, იმიტომ რომ, მხოლოდ ის ქვეყანა იმარჯვებს, რომელიც ზარბაზნებზე, თოფისწამალსა და ჯარის საკვებზე ფულს არ ზოგავს. ჩვენ ყველაზე ბევრი დავხარჯეთ და კიდევ გავიმარჯვეთ. ჩვენი გმირი მეფე მათიუშში თვითონ დაადასტურებს, რომ ჩვენს ჯარს ყველაფერი ჰქონდა. მაშ რატომ უნდა ვიზარალოთ? ისინი დაგვესხნენ თავს, იმათ გავიმართეს ომი, ჩვენ კი ვაპატიეთ. ამით გამოვხატეთ ჩვენი სულგრძელობა, გულკეთილობა. მაგრამ რატომ არ უნდა აგვინაზღაურონ ომის ხარჯები? არაფერი გვინდა იმათი, მოგვცენ ის, რაც გვეკუთვნის. კეთილშობილებით აღსავსე გმირმა მათიუშ მეფემ მტერთან ზავი დადო. ეს იყო გონივრული და, ამასთან ერთად, სულგრძელი ნაბიჯი. მაგრამ უკონტრიბუციოდ დადებულმა ზავმა არაჩვეულებრივ ფინანსურ გაჭირვებაში ჩაგვაგდო. ჩვენ ამ გაჭირვებას თავს მაინც დავადწვეთ, იმიტომ რომ, გამოცდილება გვაქვს, ბევრი ბრძნული წიგნი წავიკითხავს, არც სიფრთხილე გვაკლია, ბევრი რამის გაკეთებაც შეგვიძლია, და თუ მათიუშ მეფე ისევ ისეთ ნდობას გამოგვიცხადებს, როგორი ნდობითაც ომამდე გვეპყრობოდა, თუ ინებებს ჩვენი რჩევის მიღებას...

- ბატონო უფროსო მინისტრო, - გააწყვეტინა მათიუშმა, - გეყოფათ ლაქლაქი, თქვენ იმის დარდი კი არ გაქვთ, რჩევა-დარიგება მომცეთ, თქვენ გინდათ, ქვეყნიერებას მართავდეთ, მე კი ფაიფურის თოჯინად მაქციოთ. მე თქვენ გეუბნებით, არაფერი გამოგივათ, ეშმაკმა დაღახვროს!

- თქვენო უდიდებულესობავ...

- კმარა, არ მოგცემთ ამის უფლებას, მორჩა და გათავდა. მეფე ვარ და მეფედ დავრჩები!

- გთხოვთ, ერთი სიტყვა მათქმევინოთ, - ხმა ამოიღო იუსტიციის მინისტრმა.

- თქვით, ოღონდ მოკლედ.

- კანონთა და მითითებათა კრებულის 814-ე ტომის X|| წიგნის 777555-ე პარაგრაფის მეხუთე დამატებაში, მეხუთე გვერდის მეთოთხმეტე სტრიქონში, ვკითხულობთ:

‘თუ ტახტის მემკვიდრეს ჯერ ოცი წელი არ შესრულდება...“

- ბატონო იუსტიციის მინისტრო, მე ეგ სულაც არ მაინტერესებს.

- გასაგებია. თქვენს უდიდებულესობას სურს, კანონს გვერდი აუაროს, მე მზად ვარ, დაგისახელოთ კანონი, რომელიც ამ შემთხვევას ითვალისწინებს. არსებობს 486-ე ტომის 105-ე პარაგრაფი.

- ბატონო იუსტიციის მინისტრო, მე ეგ სულაც არ მაინტერესებს.

- ამაზედაც არსებობს შესაფერისი კანონი: ‘თუ მეფე პარაგრაფებში თავმოყრილ კანონებს უგულვებელყოფს!..“

- გააჩუმეთ ენა, ჭირმა წაგიღოთ...

- ჭირზედაც არის კანონი. ჭირის ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში...“

მათიუშს მოთმინების ძაფი გაუწყდა და ტაში შემოჰკრა. დარბაზში ჯარისკაცები შემოვიდნენ.

- დააპატიმრეთ ეს ბატონები! - ბრძანა მათიუშმა. - წაიყვანეთ საპატიმროში.

- საამისო კანონიც არსებობს! - დაიძახა გახარებულმა მინისტრმა. - ამას ეწოდება სამხედრო დიქტატურა... ვაი, ეს კი უკანონობაა! - დაიყვირა მინისტრმა, როცა ერთმა ჯარისკაცმა ხშტით ნეკნებში უბიძგა.

ცარცივით გაფითრებული მინისტრები საპატიმროში წაიყვანეს. სამხედრო მინისტრი არ დაუპატიმრებიათ, მეფეს სამხედრო სალამი მისცა და დარბაზიდან გავიდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მათიუში მარტოკა დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ ხელები უკან შემოიწყო და დარბაზში გაიარ-გამოიარა. რამდენჯერაც სარკის წინ გაივლიდა, იმდენჯერ ჩაიხედავდა და გაიფიქრებდა, ცოტათი ნაპოლეონს ვგავარო.

- რა ვქნა ახლა?

მაგიდაზე ქაღალდების გროვა დარჩა, ხელი ხომ არ მოაწეროს სუყველას? რატომ აწერია ზოგს ‘ნებას ვაძლევ, ზოგს კი - ‘გადაიღოს“ ან ‘აიკრძალოს“?

იქნებ ყველა მინისტრი არ უნდა დაეპატიმრებინა? იქნებ, საერთოდ, ასე არ უნდა მოქცეულიყო? რა მოხდება ახლა?

ან, კაცმა რომ თქვას, რატომ დააპატიმრა? რა დააშავეს? სიმართლე რომ ითქვას, მათიუშმა სისულელე ჩაიდინა. რა ეჩქარებოდა ზავის დადება? ხომ შეეძლო, მინისტრები მოეწვია! მაშინ, ალბათ, იუსტიციის მინისტრი კონტრიბუციაზედაც იტყოდა რამეს. მაგრამ რა იცოდა მათიუშმა, რომ რაღაცა კონტრიბუციები არსებობდა? რაც მართალია, მართალია. ვინც გაიმარჯვა, იმან რატომ უნდა ზღოს? გარდა ამისა, ამათ ხომ არ წამოიწყეს ომი, ისინი დაესხნენ თავს.

ხომ არ აჯობებდა, მეფეებისათვის მიეწერა? ისინი სამნი არიან და ხარჯებსაც უფრო იოლად გადაიხდიან, ვიდრე მათიუში.

მაგრამ როგორ იწერება ასეთი წერილები? როგორ თქვა იმ მინისტრმა? 814-ე ტომით? ნეტავ სულ რამდენი წიგნია? მათიუშს კი მხოლოდ მოთხრობების ორი კრებული და ნაპოლეონის ბიოგრაფია აქვს წაკითხული. ძალიან ცოტაა.

მათიუშს თანდათან უფრო მძიმე ფიქრები მოეძალა. უეცრად ღია ფანჯრიდან გუგულის ხმა შემოესმა.

როგორც იქნა მარტოობას ბოლო მოეღო.

- ფელეკ, ჩემ ადგილას რას იზამდი?

- მე, თქვენი უდიდებულესობის ადგილას, ისევ ბაღში გავერთობოდი, იმათ თათბირებზე კი სულაც არ მივიდოდი. რაც მომინდებოდა, იმას გავაკეთებდი, იმათაც ნებაზე მივუშვებდი, რაც მოესურვებოდათ, ის გაეკეთებინათ.

- ცუდი ამბავი მოხდა, ფელეკ, ისინი უკვე საპატიმროში სხედან.

- სხედან და ისხდნენ, თუ თქვენს მეფურ უდიდებულესობას ასე სურს.
- ა, ნახე, რამდენი ხელმოუწერელი ქაღალდია! მე რომ ხელი არ მოვაწერო, არც რკინიგზები გვებნება, არც ფაბრიკები და არც არაფერი.

- თუ ასეა, უნდა მოაწეროთ!
- არა, დაიცადე, მომისმინე. უმითოდ არაფერი არ ვიცი. მოხუც მეფეებსაც კი არ შეუძლიათ უმინისტროებოდ მუშაობა.

- თუ ასეა, ადექით და გაათავისუფლეთ.
მათიუში სიხარულისაგან კინალამ გადაირია. რა უბრალო რამე ყოფილა, მე კი აზრად არ მომდიოდაო. მართლაც, ცუდი არაფერი მომხდარა, ყოველ წუთს შეუძლია გაათავისუფლოს. მაგრამ ასეთი გამგებლობისა და მბრძანებლობის უფლებას კი მაინც აღარ მისცემს. ყველანი მათიუშს უნდა ემორჩილებოდნენ. არა, ისე აღარ მოიქცევა, რომ მათიუში, მეფე, იძულებული იყოს, ბუფეტიდან ან საკუთარი ბაღიდან რაღაც მოიპაროს და მეგობარს ისე გაუმასპინძლდეს. არც მესერიდან დაუწყებს ცქერას, როცა ბავშვები ითამაშებენ. მასაც უნდა თამაში. მათიუშს სურს, რომ ისევ ის კეთილი კაპიტანი ასწავლიდეს, ვისი ხელმძღვანელობითაც იბრძოდა მთელი ომის განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს, ცუდი ხომ არაფერი სწადია? უნდა, რომ სხვებივით მხიარული ბიჭი იყოს და არ აწამებდნენ.

ფელეკს დიდხანს დარჩენა არ შეეძლო: ქალაქში რაღაც დიდი საქმეები ჰქონდა. ცოტაოდენი ფულის სათხოვნელად მოსულიყო. მასესხე, ტრამვაის ფულად მინდა, შეიძლება პაპიროსისთვის და შოკოლადისთვისაც დამჭირდესო.

- დიდი სიამოვნებით, ფელეკ, აჰა, წაიდე.
და მათიუში კვლავ მარტო დარჩა.
ცერემონმაისტერი რატომღაც გაურბოდა. აღმზრდელიც სადღაც მიიშალა, მსახურები კი აჩრდილებივით უხმაუროდ დაიძურწებოდნენ.

უცბად მათიუშს ერთმა აზრმა გაუელვა თავში: ხომ შეიძლება, რომ ყველანი ტირან მეფედ თვლიდნენ!
და შიშმა აიტანა.

რა საშინელება იქნებოდა! მათიუში ხომ ბაღში იყო ჰაინრიხის უსწრაფესისა, ხალხს ყვავებივით რომ ხოცავდა.

რა უნდა ქნას, რა ეშველება?
ნეტავი ფელეკი მაინც მოვიდოდეს, ან სხვა ვინმე.
ოთახში ჩუმად შემოვიდა მათიუშის მოხუცი ექიმი. მათიუში სიხარულით ცას ეწია.

- დიდი საქმე მაქვს, - ძლივს გაბედა ექიმმა, - მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენი უდიდებულესობა უარს მიბრძანებს.

- ვითომ რატომ, ტირანი ვარ? - ჰკითხა მათიუშმა და ექიმს თვალებში მიაჩერდა.

- ჰმ... რატომ, ტირანი! უბრალოდ, დიდი საქმეა.
- რა საქმეა?
- მინდოდა მეთხოვა, ცოტა შეღავათი გეზოძებინათ პატიმრებისთვის.

- თამამად თქვით, ექიმო, წინასწარ ყველაფერზე თანახმა ვარ. მე სულაც არ ვჯავრობ მათზე. შემოიძლია ახლავე გაგათავისუფლო, თუ პირობას დადებენ, რომ თავნებობას აღარ მოიწადინებენ.

- აი ეს ნამდვილი მეფური სიტყვაა! - შესძახა გახარებულმა ექიმმა და პატიმრების თხოვნა წაუკითხა: - უფროსი მინისტრი თხოულობს ბაღის, ლეიბსა და საბანს; ნამჯაზე წოლა არ შემიძლია, ძვლები მტკივაო.

- მე კი მიწაზე მეძინა, - უთხრა მათიუშმა.
- ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი კბილის ფხვნილსა და ჯაგრისს მოითხოვს. ვაჭრობის მინისტრი - თეთრ პურს; საპატიმროს შავ პურს ვერ გეახლებითო. განათლების მინისტრი წასაკითხ წიგნს თხოულობს. შინაგან

საქმეთა მინისტრს ფხვნილი სჭირდება. უსიამოვნო ამბისგან მუცლის ტკივილი ასტეხია.

- იუსტიციის მინისტრი რას მოითხოვს?

- არაფერს არ მოითხოვს. კანონთა კრებულის 745-ე ტომში წაუკითხავს, რომ დაპატიმრებულ მინისტრებს მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეუძლიათ, მეფეს შეწყალება სთხოვონ. ესენი კი მხოლოდ სამი საათია, რაც სხედან.

მათიუშმა ბრძანა, პატიმრებისთვის სასახლიდან წაეღოთ ლოგინი და სამეფო სადილი, სადამოთი კი - ვახშამი და ღვინო. იუსტიციის მინისტრზე ბრძანა, მცველების თანხლებით ახლავე აქ მომგვარეთო.

იუსტიციის მინისტრი რომ მოვიდა, მათიუშმა თავაზიანად შესთავაზა საგარძელი და ჰკითხა:

- კანონიერი იქნება თუ არა, რომ ხვალ საპატიმროდან გამოვიშვათ?

- მთლად კანონიერი არ იქნება, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, მაგრამ სამხედრო დიქტატურა აჩქარებული პროცედურის მომხრეა. თუ ამ საქციელს ასე ვუწოდებთ, ფორმალურობა დაცული იქნება.

- ბატონო მინისტრო, მე რომ ისინი გამოეფუშვა, შეუძლიათ, ახლა მე ჩამსვან საპატიმროში?

- არა აქვთ უფლება, თუმცა, მეორე მხრივ, 949-ე ტომში მთავრობაზე ხელყოფაც არის გათვალისწინებული.

- არ მესმის, - გამოტყდა მათიუშ მეფე, - რა დრო დაიჭირდება, რომ ეს ყველაფერი გავიგო?

- ალბათ, ორმოცდაათი წელიწადი, - მიუგო მინისტრმა.

მათიუშმა ამოიოხრა. მეფის გვირგვინი მათიუშს ყოველთვის ემძიმებოდა, მაგრამ ახლა ისეთ ტვირთად დააწვა, თითქოს საარტილერიო ჭურვი ყოფილიყო.

მინისტრებს ბორკილები აჰყარეს და საპატიმროს სასადილოში შეიყვანეს. აქვე მობრძანდნენ იუსტიციის მინისტრი და სამხედრო მინისტრი. დაცვამ ხმალი შიშვლა, თავის ადგილას დადგა. დაიწყო თათბირი.

მათიუშმა წინადაქმნა აწონ-დაწონა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

- თქვენ დიდებს მოუარეთ, იმათზე იფიქრეთ, მე ბავშვების მეფე ვიქნები. თორმეტი წლისა რომ გავხდები, მხოლოდ იმაზე ვიმეფებ, ვინც თორმეტი წლისაზე მეტისა არ იქნება. თხუთმეტისა როცა გავხდები, იმათზე ვიმეფებ, ვინც თხუთმეტისაზე მეტისა არ იქნება. ისე კი, მეფე ვარ, და, რასაც მოვისურვებ, იმას გავაკეთებ; როგორც მომესურვება, ისე მოვიქცევი. დანარჩენი, თუ გნებავთ, ყველაფერი ძველებურად დარჩეს. მე თვითონ პატარა ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რა უნდათ ბავშვებს.

- ერთ დროს ჩვენც ვიყავით პატარები, - თქვა უფროსმა მინისტრმა.

- კეთილი, მაგრამ ახლა რამდენი წლისა ბრძანდებით?

- ორმოცდასამისა, - მიუგო უფროსმა მინისტრმა.

- მაშ, რატომ მბრძანებლობთ თქვენზე უფროსებს? ბატონი გზათა მინისტრი სრულიად ახალგაზრდაა, მატარებლით კი მოხუცებიც მგზავრობენ.

მინისტრებმა ერთხმად მიუგეს: მართალია, მართალიაო.

- ამაზე რას იტყვით, ბატონო იუსტიციის მინისტრო, ხომ შეიძლება ასე მოვიქცეთ?

- არამც და არამც, - არ დაეთანხმა იუსტიციის მინისტრი. - 1349-ე ტომში გათვალისწინებული კანონით, ბავშვები მშობლების საკუთრებას წარმოადგენენ. არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი.

- რომელი? - ცნობისწადილმა შეიპყრო მეფე.

- მათიუშ მეფეს უნდა ეწოდოს 'რეფორმატორი მეფე მათიუშ პირველი' (ტომი 1764-ე, გვერდი 377-ე).

- 'რეფორმატორი მეფე' რას ნიშნავს?

- იმას ნიშნავს, რომ ის არის მეფე, რომელიც კანონებს ცვლის. მეფე რომ ბრძანებს: მსურს ასეთი და ასეთი კანონი გამოვცე, მე უარს შევკადრებ, ვეტყვი: არ შეიძლება, იმიტომ რომ სხვანაირი კანონი უკვე არსებობს-მეთქი. მაგრამ მეფემ რომ ბრძანოს: ასეთი და ასეთი რეფორმა მინდა გავატარო, მე დასტურს მივცემ, საქციელს მოვუწონებ.

მინისტრები დაეთანხმნენ. ამის შემდეგ ფელეკის ამბავი განიხილეს.

- არ შეიძლება, ფელეკი ფავორიტად დაინიშნოს.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ეტიკეტი ამის ნებას არ იძლევა.

სხდომაზე ცრემონმაისტერი არ ბრძანდებოდა და მინისტრები კარგად ვერ უხსნიდნენ მათიუშს, რას წარმოადგენდა სამეფო კარისეტიკეტი. დანამდვილებით მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ მეფეებს გარდაცვალების შემდეგ შეეძლოთ ჰყოლოდათ ფავორიტი. ღმერთმა დაიფაროს, ესიმას არ ნიშნავს, რომ მათიუში აუცილებლად უნდა მოკვდეს, მაგრამ ის ცნობა ფელეკს უსათუოდ უნდა ჩამოერთვასო.

- დიას, ის ცნობა უკანონოა, - დაადასტურა იუსტიციის მინისტრმა. - ფელეკს შეუძლია მეფესთან იაროს, შეუძლია მისი გულითადი მეგობარი იყოს, მაგრამ ამის დაწერა და ბეჭდით დამოწმება არაფრის დიდებით არ შეიძლება.

- კეთილი, - თქვა მათიუშმა და მათი გამოცდა მოინდომა: - მაგრამ მე რომ არ დაგეთანხმით და ისევ საპატიმროში გაყურყუტოთ?

- ეს სულ სხვა საქმეა, - გაიღიმა იუსტიციის მინისტრმა, - მეფეს ყველაფერი შეუძლია.

მათიუში განცვიფრდა. ამ რაღაც სისულელის გულისთვის, რაღაცა ქაღალდის გულისთვის, მზად არიან, საპატიმროში ისხდნენო.

- თქვენო უდიდებულესობავ, ნუკი გეწყინებათ და, კანონი ამასაც ითვალისწინებს, - უთხრა იუსტიციის მინისტრმა. - 235-ე ტომში ამაზე შენიშვნაა დამატებული. მეფეს სიცოცხლეშიც აქვს უფლება, ფავორიტი ჰყავდეს, მაგრამ ასეთ მეფეს რეფორმატორი აღარ ეწოდება...

- მაშ რა ეწოდება, - შემფოთებით ჰკითხა მათიუშმა და თითქმის მისვდა ყველაფერს.

- ასეთ მეფეს 'ტირანი' ეწოდება.

მათიუში ადგა. საპატიმროს დაცვამ ხმალი ასწია და მოლოდინად იქცა. ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. შიშისგან ყველას ფერმა გადაჰკრა. საპატიმროს ბუხებმაც შეწყვიტეს ბზუილი.

მაგრამ მათიუშმა ხმამაღლა და გარკვევით თქვა:

- დღეიდან მე ვიწოდები რეფორმატორ მათიუშ მეფედ. ბატონებო, თავისუფლები ხართ.

საპატიმროს ყარაულმა ბორკილები მაშინვე საწყობში გაიტანა, უკვე საჭირო აღა რიყო. დაცვამ ხმალი ქარქაშში ჩააგო, მეკარემ რკინის მძიმე კარი გააღო. მინისტრები მხიარულად იფშვნიტავდნენ ხელებს.

- ბატონებო, ახლა მე მსურს, რამე რეფორმა გავატარო. ვბრძანებ, ხვალ ყველა მოსწავლეს მიეცეს თითო გირვანქა შოკოლადი.

- ძალიან ბევრია, - შეჰბედა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა. - ბევრი-ბევრი, გირვანქის მეოთხედი მივცეთ.

- კარგი, მივცეთ გირვანქის მეოთხედი.

- მთელ სახელმწიფოში ხუთი მილიონი მოსწავლეა, - თქვა განათლების მინისტრმა. - უქნარებსა და ცუდლუტებსაც თუ მივცემთ შოკოლადს...

- ყველას, იყვირა მათიუშმა, - უკლებლივ ყველას მიეცეს!

- ამდენ შოკოლადს ჩვენი ფაბრიკები მხოლოდ ცხრ ადღეში დაამზადებენ.
- მატარებლებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გადაზიდვას კი ერთიკვირა მოუნდება.
- როგორ ხედავთ, თქვენო უდიდებულესობავ, ბრძანება მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შესრულდება.
- რაკი ასეა, რას ვიზამ! - თქვა მათიუშმა და გულში კი გაიფიქრა: 'რა კარგია, გამოცდილი თანაშემწეები რომ მყავს: ესენი რომ იყვნენ, ისიც არ მეცოდინებოდა, რამდენი შოკოლადი დამჭირდებოდა. არც ის მეცოდინებოდა, ვის უნდა დაემზადებინა. აზრადაც არ მომივიდოდა, რომ შოკოლადი მთელ ქვეყანაში უნდა დამეგზავნა'.
- მაგრამ მათიუშს ხმამაღლა არ უთქვამს, რაც გაიფიქრა, ის კი არა, ისე მოაჩვენა თავი, ვითომ უკმაყოფილოც იყო. ბოლოს თქვა:- მაშ ასე, გთხოვთ, ეს ამბავი ხვალვე გამოაქვეყნოთ გაზეთებში.
- მომიტყვევოთ სითამამე, - სთხოვა იუსტიციის მინისტრმა, - ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ რეფორმა მაინც არ არის. ეს მხოლოდ მეფური საჩუქარია. სხვა ამბავი იქნებოდა, მათიუშ მეფეს რომ კანონი გამოეცა: მოსწავლეებს შოკოლადი სახელმწიფოსაგან ყოველდღიურად მიეცესო. ეს უკვე კანონი იქნებოდა. ისე კი მხოლოდ გამასპინძლებად, საჩუქრად, სიურპრიზად ჩაითვლება.
- კარგი, ჩაითვალოს გამასპინძლებად, - დაეთანხმა მათიუში. ძალიან იყო დაღლილი და ეშინოდა, კიდევ დიდხანს არ ილაქლაქონო.
- თათბირი დამთავრებულია, მშვიდობით, ბატონებო.
- მათიუში სამეფო ავტომობილით სასახლეში დაბრუნდა, სასწრაფოდ შეირბინა ბაღში და ფელეკს დაუსტვინა.
- იცი რა, ფელეკ, მე უკვე ნამდვილი მეფე ვარ. უკვე ყველაფერი კარგად არის.
- თქვენო უდიდებულესობავ, სამაგიეროდ, მე არ გახლავარ კარგად.
- რატომ? - გაუკვირდა მათიუშს.
- იმ ცნობის გულისთვის მამაჩემმა ისე მიმბეგვა, თვალებიდან ნაპერწკლები მაყრევინა.
- მიმბეგვაო? - უფრო მეტად გაუკვირდა მათიუშს.
- ჰო. მეფის უფლებაა, მოწყალება გითავაზოსო, ჩემი, მამობრივი უფლება კი ის არის, გვერდები დაგიზილო, ძაღლის ლეკვო, სასახლეში მეფისა ხარ, შინ - მამისათ. მამის ხელი კი უფრო ერთგულია, ვიდრე მეფის მოწყალებაო.
- მათიუში ფრთხილობდა. უკვე კარგად იცოდა, რომ აჩქარებით და დაუფიქრებლად არაფერი არ უნდა გაეკეთებინა. ცხოვრებაც ომივითაა: თუ გასურს, გაიმარჯვო, კარგად უნდა მოემზადო შეტევისათვის. მაშინ იჩქარა იმ ცნობის მიცემა და სისულელე ჩაიდინა. თვითონაც დავიდარაბაში გაეხვია, ფელეკსაც კარგად მოხვდა. ახლა ხომ მთლად სირცხვილში ჩავარდა და თავს ლაფი დაესხა: მათიუში, მეფე, ცნობას აძლევს ფელეკს და ვიდაც ოცმეთაური კი შვილს სცემს ამ ცნობისთვის!
- ფელეკ, იცი რა, ჩვენ ცოტა აჩქარდით. თუ გახსოვს, მე მინდოდა, რომ მოგვეცადა. ახლა ერთი რამ მინდა გაგაგებინო.
- და მათიუშმა შოკოლადის ამბავი უამბო.
- მეფეებს არ შეუძლიათ, ყველაფერი გაკეთონ, რაცა სურთ.
- რა თქმა უნდა, თქვენო უდიდებულესობავ...
- ფელეკ, მოდი, დღეიდან სახელი დამიძახე. ჩვენ ხომ ერთად ვიბრძოდით! მე შენი წყალობით დავადწიე თავი ტყვეობას.
- ბიჭებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ, მარტონი რომ იქნებოდნენ, ერთმანეთისთვის ისევ შერქმეული სახელები დაეძახათ.
- თანახმა ხარ, გორიგლეჯიავ?

- თანახმა ვარ, მუხიგლეჯიავ.
- ახლა უკვე ადვილი იყო იმ დანავსული ცნობის გამორთმევა.
- სანაცვლოდ ციგურებს მოგცემ, ორ ტაფელს, მარკების ალბომს, გამადიდებელ შუშას და მაგნიტს, - შესთავაზა მათიუშმა.
- მამაჩემი აღგება და კიდევ მცემს.
- კარგი, ფელეკ, რა იყო, ცოტა მოითმინე. ხომ ხედავ, რომ მეფეებს არ შეუძლიათ ერთი ხელის დაკვრით რამის გაკეთება! მეფეები კანონებს უნდა დაემორჩილონ.
- ეს რაღას ნიშნავს?
- ჯერ მე თვითონაც კარგად არ მესმის. მე მგონი, რაღა წიგნებია, ან ამის მსგავსი რამე.
- აბა რა! შენ სულ თათბირზე ზიხარ და ცოტა-ცოტას ყველაფერს სწავლობ, მე, რა? - გული დასწყდა ფელეკს.
- ნუ დარდობ, ფელეკ, აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. თუკი ის შემიძლია, რომ ხუთ მილიონ ბავშვს შოკოლადი დაგურიგო, შენთვისაც ხომ ბევრი კარგი რამის გაკეთებას მოვახერხებ! მაგრამ ყველაფერი კანონით უნდა გავაკეთო, შენ არც კი იცი, სადამოთი რომ დაგწვები, რამდენ ხანს ძილი არ შეკარება. ვწევარ და ვფიქრობ, ისეთი რა გავაკეთო, რომ ყველანი კარგად იყვნენ-მეთქი. ამის შემდეგ კი, ალბათ, ცოტა გამიადვილდება. აბა დიდებისთვის რა უნდა გამეკეთებინა? ფული აქვთ და თვითონაც იყიდიან. არაყი მიმეცა? დათვრებიან, ეს არის კარგი საქმე?
- არ ვიცი, - უთხრა ფელეკმა. - შენ ყველაფერზე ერთბაშად ფიქრობ. მე რომ შენ ადგილას ვიყო, ჩემთვის ბაღში საქანელასა და კარუსელს გავაკეთებინებდი, მუსიკასაც დავაკრევიანებდი.
- იცი, ფელეკ, შენ მეფე არა ხარ და ეს არ გესმის. კარგი, გამართონ კარუსელი, მაგრამ ერთი კი არა! თათბირს რომ მოვიწვევო, მე მოვითხოვ, რომ ყველა სკოლაში დადგან საქანელა და კარუსელი, მუსიკაც დაუკრან.
- ტირიც მოუწყონ და კეგლიც ათამაშონ.
- ეს უკვე, იცი...

მინისტრები საპატიმროდან გამოვიდნენ თუ არა, მაშინვე საკონდიტროში წაბრძანდნენ, რომ ნაღებიანი ყავა დაეღიათ და კრემიანი ნამცხვარი მიერთვათ. განთავისუფლებით კი განთავისუფლდნენ, მაგრამ მაინც ყველას ცხვირ-ცხვირი ჩამოსტიროდა, რადგანაც კარგად დაინახეს, რომ მათიუშის მხარდამხარ სახელმწიფოს მართვა, ცოტა არ იყოს, გაუძნელდებოდათ.

- უპირველეს ყოვლისა, ფული უნდა ვისესხოთ.
 - ახალი რომ მოვჭრათ?
 - ჯერჯერობით არ შეიძლება, ომის დროს მეტისმეტად ბევრი მოვჭერთ. ცოტა ხანს უნდა მოვიცადოთ.
 - ერიპა! რა დროს მოცდაა, ამდენი თანხა გვაქვს გადასახდელი!
 - ჰოდა, მეც იმიტომ ვამბობ, უცხოეთის მეფეებს ვესესხოთ-მეთქი.
- თითომ ოთხი კრემიანი ნამცხვარი მიირთვა, ნაღებიანი ყავა დააყოლა და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

მეორე დღეს უფროსი მინისტრი მეფეს ეახლა და მოახსენა, რომ აუცილებელი იყო, შეძლებული მეფეებისაგან ფული ესესხათ. ძალიან ძნელი საქმეა, უცხოეთის მეფეებს ჭკვიანურზე ჭკვიანური წერილები უნდამივწეროთ, ამიტომ ყოველდღე ორ-ორი თათბირი გვებნებაო.

- კეთილი, დასტური უბოძა მათიუშმა, - თქვენ ითათბირეთ, მე კი დღეიდანვე სწავლას ვიწყებ. გაკვეთილებს კაპიტანი ჩამიტარებს.

მოვიდნენ სამხედრო მინისტრი და კაპიტანი. მათიუში სულითა და გულით მიესალმა კაპიტანს და ისიც კი იკითხა, არ შეიძლება, მაიორობა ვუბოძოთო? მაგრამ გამოირკვა, რომ კაპიტანი სულ ახალხან პორუჩიკი ყოფილიყო, მაშასადამე, ძალიან ახალგაზრდა გახლდათ.

მათიუშიმა სწავლას ისე ბეჯითად მოჰკიდა ხელი, გართობა-თამაში აღარც კი ახსოვდა. კაპიტანი შორს ცხოვრობდა და მათიუშიმა შესთავაზა, ოჯახიანად სასახლეში გადმობარგებულყო. კაპიტანს ერთი ბიჭი ჰყავდა, ერთი გოგო. ბიჭს სტასეკი ერქვა, გოგონას - ელენკა. სასახლეში გადმოსვლის შემდეგ სამივენი ერთად მეცადინეობდნენ და ერთადვე თამაშობდნენ. გაკვეთილებზე ფელეკიც მოდიოდა ხოლმე, მაგრამ სწავლა მაინცდამაინც დიდად არ ეხატებოდა გულზე და გაკვეთილებს ხშირად აცდენდა.

მათიუში თათბირებს უკვე იშვიათად ესწრებოდა.

- დროს ტყუილად ვკარგავა, მოსაწყენიც არის და არც წესიერად გამეგება რამეო.

ბავშვები სიხარულით მირობდნენ სამეფო ბაღში. ფელეკის მამა წინათ დურგალი ყოფილიყო, ახლა გაიხსენა ეს თავისი ხელობა და ბავშვებს საქანელა გაუმართა. რით არ ერთობოდნენ გოგო-ბიჭები: ხან ქანაობდნენ, ხან დამალობანას თამაშობდნენ, ხან მეხანძრეები იყვნენ. თუ ბურთაობა მოუნდებოდათ, ბურთაობდნენ, ზოგჯერ კი სამეფო ტბაში ნავით სეირნობდნენ და თევზს იჭერდნენ.

სამეფო ბაღის მეზადე გულშემოყრილი იყო. ბავშვებმა რამდენიმე შუშა რომ ჩაამტვრიეს, მეზადე მაშინ კი სასახლის მმართველობაში მივიდა საჩივლელად, მაგრამ ვინ რას ეტყოდა: მათიუში რეფორმატორი მეფე იყო და ცხოვრებაში საკუთარი ადათ-წესები შემოჰქონდა.

შემოდგომისთვის მათიუშიმა მეღუმელეს მოძებნაც ბრძანა, რომ სეფე-დარბაზში ღუმელი დაედგა; სულაც არ ვაპირებ აუდიენციების დროს სიცივისაგან გათოშვასო.

წვიმიან დღეს ბავშვები ოთახებში თამაშობდნენ. მსახურები გულზე სივდებოდნენ, ბავშვები იატაკს აჭუჭყიანებენო, მაგრამ, სამაგიეროდ, დრო თავსაყრელად ჰქონდათ: კაციშვილი აღარ დაგიდევდათ, საკინძის ყველა ღილს შეიკრავდნენ თუ არა. ამასთანავე, უწინ სასახლეში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული და მსახურები ძალიან მოწყენილები დაბორილებდნენ. ახლა კი მთელი სასახლე სიცილსა და ჟრიამულს აეგსო. ძალიან ხშირად ბავშვებთან მხიარული კაპიტანიც თამაშობდა. ზოგჯერ კი მოხუცი ექიმიც აჰყვებოდათ და ისე გახალისდებოდა ხოლმე, მათთან ერთად ცეკვავდა და სახტუნაო თოკითაც ხტოდა. აი მაშინ უნდა გენახათ სიცილი!

ფელეკის მამამ საქანელა ხომ გაუმართა ბავშვებს, მერე პატარა ეტლიც გაუწყო, ეტლს სამი თვალი ჰქონდა და წარამარა ბრუნდებოდა, მაგრამ არც ამაზე წუხდნენ, პირიქით, უფრო გულიანად იცინოდნენ.

შოკოლადი კი სატახტო ქალაქში ბავშვებს იცით როგორ დაურიგეს? სკოლებიდან გამოიყვანეს და ქუჩაში ორ რიგად ჩაამწკრივეს. შუაში სატვირთო მანქანა მიდიოდა. მანქანაში სამხედროები ისხდნენ და შოკოლადს არიგებდნენ. დარიგება რომ მოათავეს, მერე იმავე ქუჩებში მათიუშიმა გამოსეირნა ავტომანქანით: ბავშვები შოკოლადს ჭამდნენ, იცინოდნენ და ყვიროდნენ:

- გაუმარჯოს მათიუში მეფეს!

მათიუში ყოველ შეძახილზე დგებოდა, ბავშვებს ჰაროვან კოცნას უგზავნიდა, ქუდს უქნევდა, შარფს აფრიალებდა, განგებ თავსა და ხელებს ამოძრავებდა, აქეთ-იქით ტრიალებდა, რომ ისევ ფაიფურის თოჯინა არ ჰგონებოდათ და არ ეფიქრათ, გვატყუებენო.

მაგრამ საიდან იფიქრებდნენ, გვატყუებენო, როცა ყველამ იცოდა, რომ ნამდვილი მათიუში იყო. ბავშვებთან ერთად ქუჩაში მათი დედ-მამაც

გამოსულიყო. მშობლებიც გახარებულები იყვნენ. თურმე ბავშვები ძალზე კარგად სწავლობდნენ მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ მეფეს ბავშვები უყვარდა და ყოველთვის მათზე ფიქრობდა.

განათლების მინისტრმა ამ ზეიმს თავისი გუნდით ერთი სიურპრიზი დაუმატა: ზრდილობიან და ბეჯით მოსწავლეებს თეატრის ბილეთებიც დაურიგეს. იმ საღამოს მათიუში, კაპიტანი, ფელეკი, ელენკა და სტასეკი სამეფო ლოჯიაში რომ შებრძანდნენ, მთელი თეატრი უკვე ბავშვებით იყო სავსე.

მათიუშის გამოჩენაზე ორკესტრმა ჰიმნი დაუკრა. ყველანი ფეხზე აღდგნენ. მათიუში ჰიმნის დამთავრებამდე გაჭიმული იდგა, როგორ ეტიკეტი მოითხოვდა.

ბავშვები ახლა მთელ საღამოს უყურებდნენ თავიანთ საყვარელ მეფეს. ერთი ეს იყო, ცოტა გული სწყდებოდათ, რომ სამხედრო მუნდირი კი ეცვა, მაგრამ თავზე გვირგვინი არ ედგა.

მინისტრები თეატრში არ იყვნენ. სწორედ იმ საღამოს უცხო ქვეყნების მეფეებთან გასაგზავნად წერილს ამთავრებდნენ და თეატრში წასასვლელი დრო არ ჰქონდათ. მარტო განათლების მინისტრმა შეირბინა რამდენიმე წუთით და კმაყოფილმა თქვა:

- აი ეს მესმის, ვისაც ნამდვილად ეკუთვნოდა, იმან მიიღო საჩუქარი!

მათიუშმა ზრდილობიანად მოუხადა მადლობა და ის დღე სასიამოვნოდ დამთავრდა.

მეორე დღეს კი მათიუშს ფრიად უხალისო და უსიამოვნო საქმე უნდა გაეკეთებინა.

სასახლეში თავი მოიყარეს მინისტრებმა და საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებმა. ელჩებისთვის ზარ-ზეიმით უნდა გადაეცათ ის წერილები, რომლებითაც მათ მეფეებს ფულს სთხოვდნენ სესხად.

მინისტრები მთელ სამ თვეს მოუნდნენ წერილების წერას, ახლა კი მათიუში წყნარად უნდა მჯდარიყო და მოესმინა, რა დაწერეს იმ სამ თვეში.

წყნარად ჯდომა და მოსმენა კი ძალიან უჭირდა, გუშინდელი გემრიელად გატარებული დღე რომ ახსენდებოდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ უკვე გადაჩვეული იყო სხდომებსა და თათბირებს.

აქტი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა.

პირველ ნაწილში მინისტრები მათიუშის სახელით წერდნენ, რომ მათიუშის წინაპრები ძალიან ხშირად ეხმარებოდნენ სხვა სახელმწიფოებს და ფულითაც უმართავდნენ ხელს, როცა სჭირდებოდათ. ეს იყო სესხის აქტის ისტორიული ნაწილი.

ამას მოსდევდა კარგა მოზრდილი გეოგრაფიული ნაწილი. შიგ ადნიშნული იო, რა მიწები, რა ტერიტორია ეკუთვნოდა მათიუშს, რამდენი ქალაქი ჰქონდა, რამდენი ტყე, რამდენი ქვანახშირის მადარო, მარილი და ნავთი. შემდეგ ეწერა მოსახლეობისა და სხვადასხვა ფაბრიკების რაოდენობა. ეწერა, აგრეთვე, რამდენი მარცვლეული, კარტოფილი და შაქარი მოჰყავდათ ყოველწლიურად მათიუშის სახელმწიფოში.

აქტის მესამე ნაწილი იყო ეკონომიკური. ამ ნაწილში მინისტრები თავს იწონებდნენ, ჩვენი ქვეყანა მდიდარია, ფულიც ბევრი გვაქვსო, - ხაზინას ყოველწლიურად ემატება დიდი გადასახადით, ამიტომ ვალის გადახდა არ გაგვიჭირდება, თქვენ ამისი შიში ნუ გექნებათო. სესხის აღება მათიუშს მხოლოდ იმიტომ ნებაგს, რომ უფრო უკეთესად გაუძღვეს მეურნეობას, უფრო მეტი ფული ჰქონდესო.

ამ მეოთხე ნაწილში ეწერა, რომელ ახალ რკინიგზებს გაიყვანდნენ, რა ქალაქები აშენდებოდა. რამდენი ახალი სახლი და ფაბრიკა არ შეემატებოდა მათიუშის სახელმწიფოს.

წერილები, ალბათ, საინტერესო მოსასმენიც კი იქნებოდა, მაგრამ შიგ იმდენი ციფრი ეწერა, - სულ მილიონები და ათობით მილიონები, - დიახ, იმდენი ციფრი

ეწერა, ელჩები, წამდაუწუმ საათზე იყურებოდნენ, მათიუმს კი მოქნარება აუტყდა.

ბოლოს, როგორც იქნა, კითხვა დაამთავრეს და ელჩებმა თქვეს:

- ჩვენ ამ ბარათს ჩვენს მთავრობას გაეუგზავნით. ჩვენს მეფეებს მათიუმთან მეგობრობა სურთ და, ალბათ, ფულის სესხებაზე უარს არ იტყვიან.

მათიუმს მიაართვეს ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს კალამი და მათიუმმა წერილებს მიაწერა:

‘თქვენო მეფეურო უდიდებულესობავ. მე თქვენ დაგამარცხეთ, მაგრამ არავითარი კონტრიბუცია არ ამიღია, და აი ახლა გთხოვთ, ფული მასესხოთ, ისე რომ, ნუ იქნებით ღორები, ფული მასესხეთ“.

რეფორმატორი მეფე მათიუმ პირველი“.

უცხოეთის მეფეებმა მათიუმს წერილი გამოუგზავნეს. სწრედნენ: ძალიან გთხოვთ, ჩვენს სახელმწიფოში გვესტუმროთ. გთხოვთ, კაპიტანი, ექიმი, სტასეკი და ელენკაც თან იახლოთო.

‘მათიუმ მეფე დარწმუნებული ბრძანდებოდეს, არ ინანებს, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვიღონებთ, რომ კარგად გაატაროს დრო და, რასაც მოისურვებს, ყველაფერი შეუსრულდეს“.

მათიუმი სიხარულით ცას ეწია. აქამდე უცხოეთის ერთ ქალაქში იყო ნამყოფი, ისიც ომის დროს. ახლა კი სამი ქვეყნის დედაქალაქი უნდა ენახა, სამი მეფის სასახლე და ბაღები უნდა დაეთვალიერებინა. ძალიან უნდოდა გაეგო, ამ მეფეებს როგორ ჰქონდათ სახელმწიფო მოწყობილი. ამბობდნენ, ერთ დედაქალაქში ისეთი შესანიშნავი ზოლოგიური პარკი აქვთ, რა მხეცი გინდა, რომ იქ არ ჰყავდეთ, - ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან მიჰყავთო. მეორე დედაქალაქში თურმე ერთი იმოდენა სახლი მდგარა, ფელეკმა თქვა, თავით ზეცას სწვდებო. მესამეში კი ისეთი მაღაზიები ყოფილა, ამ მაღაზიებს ისეთი ლამაზი ვიტრინები ჰქონია, მთელ წელიწადს რომ უყურო, არ მოგებხრდებო.

მინისტრები ძალიან ნაწყენები იყვნენ, უცხოეთის მეფეებმა რატომ ჩვენც არ მიგვიპატიუესო, მაგრამ რას იზამდნენ. ფინანსთა მინისტრი მაინც ემუდარებოდა მათიუმს, არც ფული გამოართვა მეფეებს და არც ხელი მოუწერო რამე ქალაქებზე, უსათუოდ მოგატყუებენო

- ამის ფიქრი ნუ გაქვთ, - უთხრა მათიუმმა. - პატარა ვიყავი და ვერ მომატყუეს, ახლა როგორ მომატყუებენ!

- თქვენო უდიდებულესობავ, ახლა ომი დამთავრებულია, თავს მეგობრებად მოგაჩვენებენ, ჩუმუნად კი ეცდებიან, რამეს გამოგჩნენ და ხელი მოითბონ.

- ვითომ მე არ ვიცოდე! - იუკადრისა მათიუმმა, მაგრამ გულში კი გაუხარდა, რომ გააფრთხილეს, და მტკიცედ გადაწყვიტა, არავითარ ქალაქზე ხელი არ მოეწერა. ახლა მათიუმს თვითონაც ეუცნაურებოდა, რომ მეფეებმა არც ერთი მინისტრი არ მიიწვიეს სტუმრად.

- ფრთხილად ვიქნები, - შეჰპირდა მათიუმში ფინანსთა მინისტრს.

სასახლეში ყველას შურდა, რომ მათიუმში ასე შორს უნდა გამგზავრებულიყო. უკვე დაიწყეს სკივრების ჩალაგება. მკერავებს ახალი ტანსაცმელი მოჰქონდათ. მეწადეები ახალ ფეხსაცმელს მოარბენინებდნენ. ცერემონიამისტერი თავქაჯშეყრილი დაქროდა ზევით-ქვევით, არაფერი დაგვავიწყდესო. ელენკა და სტასეკი სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა ორი ავტომანქანა. ერთში მათიუმ მეფე და კაპიტანი ჩასხდნენ, მეორეში - ექიმი, ელენკა და სტასეკი. რკინიგზის სადგურისკენ მიმავლებს ქალაქის მცხოვრებლები მისალმების შეძახილებით აცილებდნენ. სადგურში სამეფო მატარებელი და მინისტრები ელოდებოდნენ.

მათიუმში ერთხელ უკვე იჯდა სამეფო მატარებელში. მაშინ ომიდან ბრუნდებოდა და ისე იყო დაღლილი, წესიერად არც დაუთვალიერებია. ახლა

კი სულ სხვა ამბავია. ახლა მათიუში გასართობად, თავისი სიამოვნებისთვის მიემგზავრებოდა და საფიქრალი არაფერი ჰქონდა. მხიარულად, სიცილ-ხარხარით ჰყვებოდა, როგორ ემალებოდა პორუჩიკს, ახლანდელ თავის მასწავლებელს. იხსენებდა, როგორ უმწარებდნენ სიცოცხლეს რწყილები. გაიხსენა მაშინდელი წვნიანიც, სამხედრო მინისტრთან შეხვედრაც, როცა მათიუში კიბიდან უყურებდა აი ამ მატარებელს, რომლითაც ახლა მიემგზავრებოდა.

– ო, ამ ადგილას მთელ დღეს ვიდექით. ამ სადგურიდან უკან დაგვაბრუნეს.

სამეფო მატარებელს ექვსი ვაგონი ება. ერთი ვაგონი საძინებელი იყო. ყველას თითო ოთახი ჰქონდა განკუთვნილი. შიგ რბილი საწოლი, პირსაბანი, მაგიდა და სკამი იდგა. მეორე ვაგონი სასადილო გახლდათ. შუაში მაგიდა იდგა, გარშემო სკამები ჰქონდა შემოწყობილი, იატაკზე ხალიჩა ეფინა. მთელი ვაგონი ყვავილებით იყო სავსე. მესამე ვაგონში ბიბლიოთეკა იყო მოწყობილი, მაგრამ ამჯერად, წიგნების გარდა, შიგ მეფის ყველაზე ლამაზი სათამაშოებიც ელაგა. მეოთხეში სამზარეულო იყო. მეხუთე ვაგონით მზარეულები და მსახურები მგზავრობდნენ. მეექვსე ვაგონით სავსე სკივრები მიჰქონდათ.

ბავშვები წამდაუწუმ ფანჯარაში იყურებოდნენ და ერთობოდნენ. მატარებელი მხოლოდ დროდადრო ჩერდებოდა დიდ სადგურებში, რომ ორთქმავალში წყალი ჩაესხათ. ვაგონები ისე მსუბუქად მისრიალებდა, არც გრუხუნებდა, არც ჯაყჯაყებდა.

სადამოთი მგზავრებმა ჩვეულებრივად დაიძინეს, დილით კი უკვე საზღვარგარეთ გაიღვიძეს.

მათიუშია ის იყო ხელპირი დაიბანა და ჩაიცვა, რომ უცხოეთის მეფის ელჩიც წარუდგა მისასალმებლად. თურმე მატარებელში დამე ჩამჯდარიყო, მაგრამ მათიუში მეფე უდროოდ დროს არ შეუწუხებია, ძილით კი მთელ დამეს თვალი არ მოუხუჭავს: რაც საზღვარზე გადმოვიდნენ, მათიუში მეფეზე მზრუნველობა უკვე ამ ელჩს ევალებოდა.

– როდის ვიქნები თქვენი მეფის დედაქალაქში?

– ორ საათში.

მათიუშს სიამოვნებას ჰგვრიდა ელჩის საქციელი: უცხოეთის მეფის ელჩი მათიუშის ენაზე ლაპარაკობდა. თუმც მათიუშს რამდენიმე უცხო ენა ესმოდა და ლაპარაკობდა კიდევ ამ ენებზე, მაგრამ მაინც თავის ენაზე საუბარი უფრო ესალისებოდა და ესიამოვნებოდა.

ძნელია, სიტყვით აიწეროს, როგორ დახვდნენ მასპინძლები. მათიუში უცხო ქვეყნის დედაქალაქში ისე კი არ შედიოდა, როგორც ამ ქვეყნის ქალაქებისა და ციხე-ბურჯების დამმარცხებელი, შედიოდა, როგორც მისი ხალხის გულის დამპყრობი. ამ სახელწიფოს მოხუცი, ჭადარა მეფე, თავისი შვილებითა და შვილიშვილებით, სადგურში ელოდებოდა მათიუშს. იქაურობისათვის რომ შეგეხედათ, რკინიგზის სადგური კი არა, უმშვენიერესი ბაღი გეგონებოდათ, იმდენი ყვავილი მოეზიდათ. ყვავილებითა და ტოტებით დაეწნათ წარწერაც: ‘კეთილი იყოს შენი მობრძანება, პატარა მეგობარო!’ წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები. მათიუშს კეთილ, ბრძენ და მებრძოლ მეფეს უწოდებდნენ. უწინასწარმეტყველეს, ამქვეყნად ყველა სახელმწიფოზე დიდხანს იმეფებო. ვერცხლის ლანგარით პური და მარილი მიართვეს. მკერდზე ბრილიანტისთვლიანი უმაღლესი ორდენი – ლომის ორდენი ჩამოჰკიდეს. მოხუცმა მეფემ ისე გულთბილად გადააკოცნა, მათიუშს თავისი განსვენებული მშობლები გაახსენდა და თვალები ცრემლებით ავესო. უკრავდა ორკესტრი, ფრიალებდა ბაირადები. აღემართათ ტრიუმფალური თაღები. აივნებზე ხალიჩები, და დროშები გადმოეფინათ.

მათიუში ხელში აყვანილი მიიყვანეს ავტომანქანასთან. ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი, გეგონებოდა, მთელი ქვეყნიერება აქ მოსულაო. უფროსებს არც

ბავშვები ჩამორჩებოდნენ: თურმე სკოლიდან სამი დღით დაეთხოვნათ და ისინიც ქუჩაში გამოსულიყვნენ.

მათიუშს თავისი საკუთარი დედაქალაქიც კი არასოდეს ასე არ შეხვედრია.

სასახლეში რომ მივიდნენ, მოედანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. შინ წასვლას არც აპირებდნენ, გინდა თუ არა, მათიუში აივანზე გადმოვიდესო.

– ერთი-ორი სიტყვა გვითხრას! – მოითხოვდა ხალხი.

თითქმის მოსაღამოებელი იყო, მათიუში რომ სასახლის აივანზე გამოჩნდა.

– მე თქვენი მეგობარი ვარ! – გადასძახა ხალხს.

დაიქუხეს ქვემეხებმა, ზეცაში აიჭრნენ შუშხუნები, ცას წითელი, ლურჯი და მწვანე ვარსკვლავები შეაყარეს. აციმციმდა, აბრიალდა ბენგალიური ცეცხლი. იქაურობა ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდით.

მეორე დღით კი მათიუშს ხან მეჯლისს უმართავდნენ, ხან თეატრში მიჰყავდათ, ხან ქალაქკარეთ მიასეირნებდნენ, რომ ლამაზი მთებისა და ციხე-კოშკების ცქერით დამტკბარიყო. ამას მოსდევდა ნადირობა, მერე ჯარების დათვალიერება, მერე ისევ წვეულება და თეატრი.

მოხუცი მეფის შვილიშვილებს უნდოდათ, მთელი თავიანთი სათამაშოები მათიუშისთვის ეჩუქებინათ. ბოლოს, ორი კარგი ცხენი, ვერცხლის პატარა ზარბაზანი და ახალი კინემატოგრაფი აჩუქეს, ზედ საინტერესო სურათებიც მიაყოლეს.

ყველაზე დიდი სიხარული კი შემდეგ ეწვია მათიუშს: მთელი სამეფო კარი ავტომანქანით ზღვაზე გაემგზავრა და თვალის სასეიროდ საზღვაო ბრძოლა გამართეს. მათიუში თავის სიცოცხლეში პირველად იჯდა ადმირალის ხომალდში მის პატივსაცემად ხომალდს “მათიუში” უწოდეს.

ასე ართობდნენ სტუმარს ათ დღეს. მათიუში სიხარულით დარჩებოდა კიდევ კარგა ხანს, მაგრამ ახლა სხვა მეფეს უნდა სწევოდა. ეს სწორედ ის მეფე იყო, მათიუშმა ტყვეობიდან რომ გაათავისუფლა. შეძლებით ეს მეფე პირველზე ღარიბი იყო და სტუმარიც უფრო უბრალოდ, მაგრამ უფრო გულლიად მიიღო.

მეფეს ბევრი მეგობარი ჰყავდა და მათიუშს ყველანი დაუპატიჯა. მერე კი ძალიან საინტერესო მეჯლისი გაუმართა. მეჯლისზე ზანგები, ჩინელები და ავსტრალიელები მოვიდნენ. ზოგი ყვითელკანიანი იყო და პატარა ნაწნავი ჰქონდა, ზოგი შავი იყო და ყურებზე და ცხვირში ნიჟარების ან სპილენძის სამკაულები ეკეთა. მათიუში დაუმეგობრდა ამ მეფეებს. ერთმა მეფემ ოთხი ლამაზი მოლაპარაკე თუთიყუში აჩუქა, მეორემ – ნიანგი და შუშის გალიაში გამომწყვდელი გველი ბოა. მესამემ ორი გამოწვრთნილი მაიმუნი მიჰგვარა. მაიმუნები ისეთ სასაცილო რამეებს აკეთებდნენ, მათიუში სულ სიცილით კვდებოდა.

ამ მეფის დედაქალაქშივე ნახა ქვეყნიერებაზე უდიდესი ზოოლოგიური პარკი. აქ ნახა პინგვინები და მაშინვე ადამიანებს მიამსგავსა. აქვე იყვნენ თეთრი დათვები, დომბები, ინდოეთის დიდი სპილოები, ლომები, ვეფხვები, მგლები, მელიები და ყველანაირი წვრილფეხა მხეცი – ხმელეთისაც და ზღვისაც. აქ ნახავდით ათასნაირ თევზსა და ფრინველს. მარტო მაიმუნები ორმოცდაათი ჯიშისა ჰყავდათ.

– ეს ყველაფერი ჩემმა აფრიკელმა მეგობრებმა მაჩუქეს, – უთხრა მეფემ.

და მათიუშმა მაშინვე გულში ამოიჭრა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, აფრიკელები თავის დედაქალაქში მოეწვია, რომ თვითონაც ჰქონოდა ასეთი პარკი: მე მომწონს, სხვა ბავშვებსაც ხომ მოეწონებათო.

ამასობაში გამგზავრების დრო მოვიდა. მათიუშს ახლაც გული სწყდებოდა, თან კი ფიქრობდა, ნეტავ მესამე მეფე რაღას მაჩვენებს, სწორედ იმის დედაქალაქშია ის დიდი სახლი, ფელეკი რომ მეუბნებოდაო.

მესამე სახელმწიფოში მათიუშს გულთბილად, მაგრამ ძალიან თავდაჭერილად შეხვდნენ... მათიუშს ცოტა არ იყოს გაუკვირდა და ეწვინა. მეფეზე გაიფიქრა, ნეტავ ძუნწი ხომ არ არისო.

სასახლეც სულ არ ჰგავდა მეფის ციხე-დარბაზს, ქალაქის სხვა ლამაზი სახლებისაგან თითქმის არაფრით გამოირჩეოდა.

ერთ მსახურს ხელთათმანები ცოტა შეჭუჭყულიც კი ეცვა. სუფრა კი ერთგან გახედათ და აბრეშუმის ძაფით კოხტად ამოეკემსათ.

მათიუში ყველაზე მეტად მაშინ განცვიფრდა, მეფემ თავისი საგანძური რომ აჩვენა. იმდენი ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვა ნახა, თვალები აუჭრელდა.

– თქვენო უდიდებულესობავ, საშინლად მდიდარი ბრძანებულხართ.

– ოჰ, არა. რომ მოვინდომო და ეს სიმდიდრე ჩემი სახელმწიფოს მცხოვრებლებს დავურიგო, თითოს თითო მონეტა შეხვდება. – ეს ისე თბილად თქვა მეფემ, მათიუშს გული აუთრთოლდა.

ამ სამი მეფიდან ეს მეფე ყველაზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ძალიან სევდიანი ჩანდა.

სადამოლობით თუ თეატრში არ იყვნენ, მეფე ვიოლინოს უკრავდა, ისე სევდიანად უკრავდა, მათიუშს ნაღველი შემოაწვეებოდა ხოლმე და ოხრავდა.

“მეფეები რა სხვადასხვანაირები არიანო”, – გაიფიქრა ერთხელ და მასპინძელს უთხრა:

– თქვენო უდიდებულესობავ, გავიგე, ერთი უზარმაზარი, ძალიან დიდი სახლი გქონიათ.

– დიახ, დიახ. თქვენს უდიდებულესობას იმიტომ არ ვაჩვენე, რომ ის სახლი პარლამენტის შენობაა. რადგანაც თქვენს ქვეყანაში სახალხო გამგებლობა არ არის, მეგონა, პარლამენტით არ დაინტერესდებოდით.

– ძალიან მინდა ამ...პარლამენტის ნახვა.

მათიუშმა ვერ გაიგო, რაზე ლაპარაკობდა მეფე, და ისევ გაიფიქრა:

‘რა უცნაურია! რამდენს მიამბობენ ხოლმე ასე, ორასი, ათასი წლის წინათ მცხოვრებ მეფეებზე, ამასა და ამას აკეთებდნენო, მაგრამ, რატომღაც იმას კი არ მეუბნებიან, რას აკეთებენ მეფეები დღეს, რას წარმოადგენენ, როგორები არიან. ვინ იცის, იქნება ეს მეფეები ადრევე რომ გამეცნო, ომი აგვცდნოდა’.

მეფემ ისევ განაგრძო ვიოლინოს დაკვრა. მათიუში, ელენკა და სტასეკი უსმენდნენ.

– ასე სევდიანად რატომ უკრავს თქვენი მეფური უდიდებულესობა?

– იმიტომ, რომ ცხოვრება სევდიანია, მეგობარო. მეფისთვის კი, მით უმეტეს, ყველაზე სევდიანია.

– მე-ფის-თვის? – განცვიფრდა მათიუში. – მე მგონი, ის ორი მეფე ძალიან მხიარული იყო.

– ისინიც სევდიანები არიან, ძვირფასო მათიუშ, მაგრამ სტუმრებთან თავს ისე იჭერენ, ვითომ ემხიარულებათ. ასეთია წესი, ამას მოითხოვს ეტიკეტი. აბა დაფიქრდით, ახლახან ომი წააგეს და განა შეიძლება, მხიარულად იყვნენ?

– ჰოო, აი თქვენი უდიდებულესობა რატომ ყოფილა დანადგლიანებული!

– ო, არა, ამით მე ყველაზე ნაკლებად შევწუხდი. ის კი არა, თითქმის კმაყოფილი ვარ.

– კმაყოფილი? – უფრო მეტად განცვიფრდა მათიუში.

– დიახ, იმიტომ, რომ მე ომი არ მინდოდა..

–მაშ რატომ ომობდით!

– ვაღდეგული ვიყავი. სხვანაირად არ შემეძლო.

‘დიდი უცნაური მეფეა, – გაიფიქრა მათიუშმა, – ომი არ უნდა, მაინც ომობს და თან უხარია, რომ წააგო. მეტისმეტად უცნაური მეფეა’.

– ომის წაგება ძალიან სახიფათოა, – ისე ამბობდა მეფე, თითქოს თავის თავს ესაუბრებო. – გამარჯვებულს ყველაზე ადვილად ავიწყდება, რისდთვის არსებობს ამქვეყნად მეფე.

– რისთვის არსებობს? – გულუბრყვილოდ ჰკითხა მათიუშმა.

– რა თქმა უნდა, იმისთვის არა, რომ გვირგვინი ატაროს. მეფე იმისთვის არსებობს, რომ თავის ქვეშევრდომებს ბედნიერება მოუტანოს. რით უნდა მოუტანოს ბედნიერება? რითა და, ათასნაირი რეფორმის გატარება შეუძლია.

‘ოჰო, ეს კი საინტერესოა’.

– რეფორმის გატარება ძალიან ძნელი საქმეა, ყველაზე ძნელი საქმეა.

და ვიოლინო ისე სევდიანად აკენესდა, გეგონებოდა, რამე უბედურება დატრიალდა და ტირისო.

იმ ღამეს მათიუშს დიდხანს არ დაეძინა, სულ ფიქრობდა, ლოგინში შამფურივით ტრიალებდა. ყურებში ისევ ვიოლინოს სევდიანი მელოდია ედგა.

‘მას ვკითხავ, მირჩევს რამეს. კეთილი კაცი ჩანს. რეფორმატორი მეფე მქვია და რეფორმა რა არის, არ ვიცი. ის კი ამბობდა, ძალიან ძნელი რამეაო’.

უცებ ისევ სხვა ფიქრი მოეძალა:

‘იქნებ თვალთმაქცობს? იქნებ მოილაპარაკეს, რომ სწორედ ამ მესამე მეფემ მომაწერინოს ხელი რამე აქტზე!’

მათიუშს ძალიან უკვირდა: მასპინძლები არც სესხს ახსენებდნენ და არც სხვა რამეზე ელაპარაკებოდნენ. მეფეები ხომ ერთად იმიტომ მოიყრიან ხოლმე თავს, რომ პოლიტიკასა და ათას საჭირბოროტო საქმეზე ილაპარაკონ! ახლა კი ამის მსგავსიც არაფერი ხდება. იქნებ იმიტომ არ ელაპარაკებიან მათიუშს, რომ პატარაა? თუ ასეა, მაშინ ეს მესამე მეფე რატომ ესაუბრება თანატოლივით!

მათიუშს შეუყვარდა სევდიანი მეფე, ძალიან შეუყვარდა, მაგრამ მთლიანად, მთელი სულითა და გულით მაინც არ ენდობოდა. არ ენდობოდა, იმიტომ, რომ მეფეები ადრევე, ბავშვობიდანვე ეჩვევიან უნდობლობას.

მათიუშმა დიდინით გაიმეორა ვიოლინოს სევდიანი სიმღერა, იქნება მალე დამეძინოსო. უცებ გვერდითა ოთახში ფეხის ხმა გაისმა..

– ‘ჩემი მოკვლა ხომ არ უნდათ?’ – გაუელვა თავში. გაგონოლი ჰქონდა, რომ ზოგჯერ მეფეებს ხაფანგში შეიტყუებდნენ და ვერაგულად კლაუდნენ. ახლა არც კი გახსენებოდა, მაგრამ ამდენმა ფიქრმა და სევდიანმა მელოდიამ საძაგველ გუნებაზე დააყენა.

მათიუშმა სწრაფად აანთო მაგიდის ღამპა, ხელი ბალიშის ქვეშ შეაჯერა და რეკოლვერ მოსინჯა.

– მათიუშ, გღვიძავს?

მათიუშთან სევდიანი მეფე შემოვიდა.

– ვერ ვიძინებ.

– მაშ, ავი ფიქრები პატარა მეფეებსაც უფროთხობს ძილს? – გაუღიმა მეფემ და საწოლის ახლოს ჩამოუჯდა. ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, იჯდა და უხმოდ მისჩერებოდა. მათიუშს გაახსენდა, რომ ძალიან ხშირად სწორედ ასე უცქეროდა ხოლმე მამა. მაშინ არ უყვარდა, როცა მამა ასე უცქეროდა, მაგრამ ახლა სიამოვნებას ჰგვრიდა სევდიანი მეფის ცქერა.

– მათიუშ, გახსოვს, როგორ გაგიკვირდა, მე რომ გითხარი, შენთან ომი არ მინდოდა და მაინც გეომებოდი-მეთქი. იმიტომ გაგიკვირდა, რომ შენ ფიქრობ, რასაც მეფეები მოისურვებენ, ყველაფრის გაკეთება შეუძლიათო.

– სულაც არ ვფიქრობ ასე. მე ვიცი, რომ ბევრი რამის გაკეთებას ეტიკეტი და კანონი გვაიძულებს.

– ჰოო, მაშინ გცოდნია. ასეა. იმ ცუდ კანონებს ჩვენ თვითონ გამოვცემთ ხოლმე და მერე იძულებულები ვართ, ჩვენვე დავემორჩილოთ. – ნუთუ არ შეიძლება კარგი კანონების გამოცემა!

– როგორ არ შეიძლება. შეიძლება კიდევ და აუცილებელიც არის. შენ ყმაწვილი ხარ, მათიუშ, ისწავლე და გამოეცი კარგი, ჭკვიანური კანონები.

მეფემ მათიუშის ხელი აიღო, ხელზე დაიდო, თითქოს თავის დიდ ხელს მათიუშის პაწაწინა ხელთან ადარებსო. მერე ნაზად მოეფერა, დაიხარა და აკოცა.

მათიუშს საშინლად შერცხვა, მეფემ კი ჩუმად და სწრაფად უთხრა:

– მომისმინე, მათიუშ: პაპაჩემმა ხალხს თავისუფლება აჩუქა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. პაპაჩემი ვიღაც ბოროტმა ადამიანებმა მოკლეს. ხალხი კი ბედნიერებას მაინც ვერ ეღივსა. მამაჩემმა თავისუფლების დიდი ძეგლი დადგა. ხვალ გაჩვენებ, ძალიან ლამაზია, მაგრამ ამით რა გამოვიდა, არც ომები შეწყვეტილა და არც ამდენ ღარიბ-ღატაკსა და უბედურს ეშველა რამე. მე კი ავდექი და ეს ვეებერთელა პარლამენტის შენობა წამოვჭიმე. მერე, შეიცვალა რამე? არაფერი. ყველაფერი ისევ ისეა, როგორც იყო.

მეფე უცბად გამოცოცხლდა, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, და მათიუშს უთხრა:

– იცი, რა, მათიუშ, მე მგონი, ძალიან ცუდად ვიქცეოდით, სულ დიდებისთვის რომ ვატარებდით რეფორმებს. მოდი, შენ ბავშვებისთვის სცადე, იქნებ გამოვიდეს რამე... ახლა კი ძილის დროა, პატარავ. გასართობად ჩამოხვედი და მე კი ძილითაც აღარ გაძინებ. ღამე მშვიდობისა!

მეორე დღეს მათიუშს ამ საუბრის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ მეფემ აღარ ისურვა. სამაგიეროდ, დაწვრილებით აუხსნა, რა დანიშნულება ჰქონდა პარლამენტს. როგორც მეფე ამბობდა, პარლამენტის შენობა, მართლაც, ვეებერთელა და ლამაზი იყო. შიგნით კი თეატრსაც ჰგავდა, ტაძარსაც. ამადლებულ ადგილზე მაგიდა იდგა, გარშემო კაცები შემოსხდომოდნენ. მათიუშს თავის სახლში გამართული თათბირები გაახსენდა. განსხვავება ის იყო, რომ აქ ბევრი სავარძელი ჩემწკრივებინათ. შიგ ბატონები ისხდნენ. ამ ბატონებიდან ორატორები წამოდგებოდნენ, შემაღლებულ ადგილზე ავიდოდნენ და, თითქოს ამბიონზე დგანანო, მოჰყვებოდნენ ქადაგებას. გარშემო, ლოჟებში, მინისტრები ბრძანდებოდნენ. გვერდით, დიდ მაგიდასთან, გაზეთის მუშაკებს მოეყარათ თავი.

მეფე და მათიუში დარბაზში სწორედ იმ დროს შევიდნენ, როცა ვიღაცა კაცი ძალიან გაბრაზებული უყვიროდა მინისტრებს:

– არ მოგცემთ ნებას! – თან მაგიდაზე მუშტებს აბრაზუნებდა. – თუ გაგვიგონებთ და დაგვიჯერებთ, ხომ კარგი, თუ არადა, დაემშვიდობეთ მინისტრობას! ჩვენ ჭკვიანი მინისტრები გვჭირდება!

მეორე ორატორი ამბობდა, ჩვენი მინისტრები ძალიან ჭკვიანები არიან, სხვები არ გვჭირდებაო. ატყდა ერთი ჩხუბი და ყვირილი. ვიღაცა კაცმა იღრიალა: ‘ძირს მთავრობა.’, მეორემ მიაყოლა: ‘გრცხვენოდეთ!’ ხოლო მათიუში დარბაზიდან რომ გამოდიოდა, ვიღაცამ დაიძახა: ‘ძირს მეფე!’

– რატომ იჩხუბეს?

– იმიტომ, რომ არავის არ ულხინს ამქვეყნად.

– რა მოხდება, მართლა რომ გაყარონ ის მინისტრები?

– სხვებს აირჩევენ.

– ის ვიღაც რომ ყვიროდა, ‘ძირს მეფეო?!’

– ის სულ ასე ყვირის.

– გიჟია?

– არა, მეფე არ უნდა.

– მერე, შეუძლიათ მეფის ჩამოგდება?

– რა თქმა უნდა.

– მერე რას იზამენ?

– სხვას აირჩევენ.

მათიუმს ეს ამბავი ძალიან საინტერესოდ ეჩვენა, თითქმის ისევე საინტერესოდ, როგორც ზანგების მეფის ვეი-ბინის ნაჩუქარი ორი პაწაწინა მაიმუნი.

ამ ერთი თვის განმავლობაში მათიუმის დედაქალაქის გაზეთები სულ იმას წერდნენ, როგორ ხვდებოდნენ უცხოეთის მეფეები მათიუმს, როგორ უყვარდათ და პატივს სცემდნენ, როგორი საჩუქრები მიართევს. მინისტრებს იმედი ჰქონდათ, ამ მეგობრული ურთიერთობის წყალობით, სულ მოკლე ხანში კარგად დიდხალ ფულს ისესხებდნენ უცხოეთის მეფეებისგან, ამიტომ არ უნდოდათ, მათიუმში მალე დაბრუნებულიყო, ემინოდათ, ემანდ ფულის შესხებაში ხელი არ შეგვიშალოსო.

კიდევ კარგი, უცხოეთის მეფეები არ გაუწყრნენ მათიუმს, სესხის აქტზე ეს რა მიგიწერიაო! რაც კაცობრიობა არსებობს, არც ერთ მეფეს, თვით ყველაზე დიდ მეფესაც კი, თვით რეფორმატორ მეფესაც კი, ოფიციალურ ქაღალდზე არასოდეს მიუწერია: ‘ნუ იქნებით ღორები’.

ბოლოს მინისტრებმა იმდენი მოახერხეს, რომ მათიუმში ერთ თვეს კიდევ დარჩენილიყო საზღვარგარეთ, ვითომ ძალიან გადაღლილი იყო და დასვენება ესაჭიროებოდა. მათიუმში სიხარულით ცას ეწია. მაშინვე თქვა, ზღვაზე წავიდეთო. წავიდნენ ყველანი: მათიუმში, კაპიტანი, სტასეკი, ელენკა და ექიმი. მათიუმს ახლა უკვე სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ჩვეულებრივი მატარებლით იმგზავრა და, სასახლის ნაცვლად, ჩვეულებრივ სასტუმროში ცხოვრობდა. გარდა ამისა, ახლა ‘მეფეს’ კი არა, ‘თავადს’ ეძახდნენ. ამაზე იტყვიან ხოლმე, მეფე ზღვაზე ინკოგნიტოდ ცხოვრობსო; არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც, მეფეს საზღვარგარეთ გამგზავრება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა მიიწვევენ, ხოლო თუ იქ დამოუკიდებლად უნდა ცხოვრება, თავი ისე უნდა დაიჭიროს, ვითომ მეფე არ არის.

მათიუმს ეს ამბავი დიდად არ მოხვედრია გულზე. პირიქით, უხაროდა კიდევ, სხვა ბავშვებთანაც ვითამაშებ და მეც ისეთივე ვიქნები, როგორებიც ისინი არიანო.

დროს შესანიშნავად ატარებდნენ: ბანაობდნენ, ნიჟარებს აგროვებდნენ, ქვიშის სასახლეებს, ციხესიმაგრეებსა და სანგრებს აშენებდნენ. მოესურვებოდათ, ნავით გაისეირნებდნენ, თუ ზღვაზე არ უნდოდათ, ცხენებიც მზად ჰყავდათ. ზოგჯერ კი ტყეში მიდიოდნენ და კენკრას კრეფდნენ, ან არადა სოკოს ახმობდნენ.

იმ ხანებში მათიუმმა შეწყვეტილი სწავლაც განაახლა და დრო უფრო სწრაფად გარბოდა.. სწავლით, როგორც ვითხარით ხალისით სწავლობდა, თავისი მასწავლებელიც ძალიან უყვარდა, ამიტომ სამეცადინოდ გამოყოფილი სამი საათი გუნებას სულაც არ უფუჭებდა.

სტასეკი და ელენკა სულითა და გულით შეუყვარდა. ორივენი კარგად აღზრდილი, ზრდილობიანი ბავშვები იყვნენ, მათიუმს თითქმის არასოდეს არ ეჩხუბებოდნენ, ან ძალიან იშვიათად წაკინკლავდებოდნენ და მალევე შერიგდებოდნენ ხოლმე. ერთხელ მათიუმს და ელენკას სოკოზე მოუვიდათ ჩხუბი. დიდი თეთრა სოკო იყო. მათიუმში ამბობდა, მე პირველმა დავინახეო, ელენკა ეუბნებოდა, შენ კი არა, მე დავინახეო. მათიუმს იქნებ დაეთმო კიდევ, – დიდი ამბავი, ერთი სოკო რა არის, თანაც, მეფისთვის, – მაგრამ გაბრაზდა, კვებნა და ტყუილის თქმა რა საკადრისიაო.

– სოკო რომ დავინახე, დავიყვირე: ვაი, შეხედეთ-მეთქი! და თითი გავიშვირე. შენ მერეღა მოირბინე.

– სოკო მე მოვწყვიტე, – თავისას გაიძახოდა ელენკა.

– იმიტომ, რომ შენ ახლოს იდექი. დანახვით კი ჯერ მე დავინახე.

ელენკა გაცეცხლდა, დააგდო სოკო და ზედ ფეხებით შესდგა.

– არ მჭირდება მე ეს სოკო!

მაგრამ იმწამსვე მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა, შერცხვა და ტირილი მორთო.

– ‘რა უცნაურები არიან ეს გოგოები, – გაიფიქრა მათიუშმა, – სოკო თვითონ გასრისა და თვითონვე ტირის’.

ერთხელ სტასეკმა ქვიშის ძალიან ლამაზი ციხესიმაგრე ააშენა და მაღალი კოშკი გაუკეთა. ძნელია ქვიშისაგან მაღალი კოშკის აშენება. ქვიშა აუცილებლად სველი უნდა იყოს. ხოლო თუ გინდა, რომ სველი იყოს, კარგად ღრმად უნდა ამოთხარო. სტასეკმა შუაში ჯოხიც ჩაასო, ქვიშა კარგად დადგესო, მაგრამ მაინც საშინლად გაწვალდა, ვიდრე ააშენებდა. მას უნდოდა, რომ ზღვის ტალღა მისწვდენოდა ციხესიმაგრეს. მათიუშს კი სულ სხვა აზრმა გაუელვა თავში. სტასეკს შესძახა:

– მე ავიღებ შენს ციხესიმაგრეს!

გამოიქცა და ციხესიმაგრეს ზედ დაახტა. სტასეკს გული მოუვიდა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, სხვისი ციხესიმაგრის დანახვაზე მეფეს, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდაო თავის შეკავება. ამიტომ მათიუშს ცოტა ხანს გაებუტა და მალე შეურიგდა.

ზოგჯერ ბავშვებს კაპიტანი დასხამდა და უყვებოდა, როგორ ებრძოდა აფრიკის უდაბნოებში ველურ ტომებს. ზოგჯერ კი ექიმი ესაუბრებოდა ავადმყოფობაზე და ეუბნებოდა, რომ ავადმყოფობა კაცის მტერია; რომ სისხლში ცხოვრობენ პაწაწინა თეთრი ბურთულები. ეს თეთრი ბურთულები ორგანიზმში შეჭრილ სენს ჯარისკაცებივით მიესევინა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავენ. თუ გაიმარჯვეს, – ადამიანი გამოჯანმრთელდება, თუ დამარცხდნენ, – ადამიანი კვდება. ადამიანის ჯირკვლები ძალიან ძალიან ჰგავს ციხესიმაგრეს. მათაც ბევრი დერეფანი, სანგარი და საფარი აქვთ. როცა სენს ასეთ ჯირკვალში შეიტყუებენ, ავადმყოფობას გზაკვალი აებნევა ხოლმე, სისხლის პაწაწინა ჯარისკაცები კი თავს დაესხმებიან და კლავენო.

ზღვაზე სეირნობა-ცურაობაში გოგო-ბიჭებმა იქაური მეთევზეები გაიცნეს. გაიცნეს და დაუმეგობრდნენ კიდევ. მეთევზეებმა ბავშვებს ასწავლეს, როგორ უნდა ამოეკითხათ ცაზე, ამოვარდებოდა ქარიშხალი თუ არა, ან როგორი ქარიშხალი ამოვარდებოდა, ძლიერი თუ სუსტი.

მათიუშს ყველაფერი მოსწონდა, საუბრის მოსმენაც და გართობა-თამაშიც, მაგრამ ხანდახან მაინც მიატოვებდა ყველას, ან სადმე შორს, ტყეში გაიქცეოდა, ან ამხანაგებისგან განზე გადგებოდა, ვითომ ნიჟარებს ეძებდა. მერე მოშორებით ჩამოჯდებოდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რა გაეკეთებინა, სამშობლოში როცა დაბრუნდებოდა.

იქნებ აჯობებდა, ისე მოეწყო თავისი ქვეყანა, როგორც იმ სვედიან მეფეს ჰქონდა მოწყობილი, ვიოლინოს რომ უკრავდა? იქნებ უკეთესიც არის, როცა მეფე და მინისტრები კი არა, ხალხი მართავს სახელმწიფოს? ხომ შეიძლება, მეფე პატარა იყოს, მინისტრებს არც ჭკუა ჰქონდეთ და არც პატიოსნება! მაშინ რა უნდა ჰქნას კაცმა? აი, მაშინდელი არ იყოს, მათიუშმა ციხეში რომ ჩაყარა თავისი მინისტრები, თვითონ კი მარტო დარჩა და აღარ იცოდა, რა ექნა, თავი და ბოლო ველარაფერს გაუგო. სახელმწიფო სხვანაირად რომ ჰქონოდა მოწყობილი, მივიდოდა პარლამენტში და იტყოდა: ის მინისტრები უვარგისები არიან, უფრო უკეთესები აირჩიეთო.

მათიუში ხშირად ფიქრობდა ამაზე და ძალიან უნდოდა, ვინმესთვის რჩევა ეკითხა. ერთხელ სასერნოდ იყვნენ გამოსულები. კარგა ხანს ისეირნეს. ბოლოს ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მათიუში და ექიმი მარტონი დარჩნენ. აი, მაშინ ჰკითხა მათიუშმა:

– ერთი მითხარით, ყველა ბავშვი ჩემსავით ჯანმრთელია?

– არა, მათიუშ. – ექიმი ახლა სახელით მიმართავდა. რადგან მათიუში ზღვაზე ინკოგნიტოდ ცხოვრობდა. – არა, მათიუშ, ძალიან ბევრი ბავშვი სუსტი

და ავადმყოფია. უამრავი ყმაწვილი ცხოვრობს უვარგის, ნესტიან ბინაში. სოფელშიც ვერ მიდიან, რომ ჰაერი გამოიცვალოს. საჭმელი იმათ არა აქვთ და სასმელი, ნახევარჯერ მშივრები არიან. დაავადმყოფლებიან, აბა რა დაემართებათ!

მათიუშმა უკვე კარგად იცოდა, რა იყო ბნელი და ჩახუთული, უჰაერო ბინები. იცოდა, რა იყო შიმშილიც. გაახსენდა, ხანდახან გარეთ, ცივ მიწაზე ძილს რომ ამჯობინებდა ხოლმე გლეხის ჰაერდახუთულ ქოხში ღამის გათევას. ისიც გაახსენდა, გაფითრებული, ფეხებდაბრეცილი ბავშვები რომ მოდიოდნენ მათ ბანაკში და ცოტაოდენ წვნიანს თხოულობდნენ. თვალწინ დაუდგა, რა ხარბად ხერკდნენ ის გაცრეცილი ბავშვები ჯარისკაცულ წვნიანს. მაშინ ფიქრობდა, ყველაფერი ომის ბრალიაო. ახლა კი გაიგო, რომ თურმე მშვიდობიან დროსაც ბავშვებს ისევ ისე სცივათ და ისევ ისე შიათ.

– ნუთუ ვერ მოხერხდება, რომ ყველას კარგი ბინა, ბაღჩა-ბაღი და საჭმელ-სასმელი ჰქონდეთ?

– ძალიან ძნელია.

– მე ვერ მოვახერხებ?

– რა თქმა უნდა, თუ მოინდომე, უსათუოდ მოახერხებ. მეფეს ბევრი რამ შეუძლია. აი ის მეფე ავიღოთ, ვიოლინოს რომ უკრავდა. იმ მეფემ უამრავი საავადმყოფო და ბავშვთა სახლი ააშენა. იმის ქვეყანაში ყველაზე მეტი ბავშვი მიდის სოფლად, ჰაერზე. იცი, როგორი კანონი გამოსცა? ყველა ქალაქი ვალდებულია, ქალაქგარეთ სახლები ააშენოს, რომ სუსტმა ბავშვებმა მთელი ზაფხული იქ გაატარონ.

– ჩვენთან როგორღაა?

– ჩვენთან ასეთი კანონი ჯერ არ გამოუციათ.

– არ გამოუციათ და მე გამოვცემ, – ბრძანა მათიუშმა. – ჩემო კარგო ექიმო, დამეხმარე, ხომ იცი, რომ მინისტრები თავისებურად დაიწყებენ, ძნელი საქმეა, ეს არა გვაქვს, ის არა გვაქვსო. მე კიდევ არ ვიცი, მართალს მეუბნებიან თუ მატყუებენ.

– არა, მათიუშ. მართალს გეუბნებიან, ძნელი საქმეა.

– ვიცი. გახსოვს, შოკოლადი რომ დაგურიგეთ ბავშვებს? მე მინდოდა, მეორე დღესვე დაგვერიგებინა, მაგრამ მინისტრებმა მითხრეს, მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შეგვიძლია დავარიგოთო. დარიგებით კი მაინც დაარიგეს, მაგრამ სამი კვირისა კი არა, ორი თვის შემდეგ ძლივს მოახერხეს.

– შოკოლადის დარიგება უფრო ადვილია.

– თუკი ვიოლინოს დამკვრელ მეფეს არ გასძნელებია, მე რატომ გამიძნელდება!

– იმასაც გაუძნელდა.

– მერე რა, იყოს ძნელი, მე მაინც მოვახერხებ.

სწორედ ამ დროს ზღვაში ვეებერთელა წითელი ლამაზი მზე ჩადიოდა. მათიუშმა გაიფიქრა, ისეთი რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე, რომ ჩემი ქვეყნის ყველა ბავშვი უყურებდეს მზესა და ზღვას, ყველა დასრიალებდეს ნავით, ყველა ბანაობდეს და, თუ უნდათ, სოკოს საკრეფადაც დადიოდნენო.

სეირნობიდან რომ ბრუნდებოდნენ, მათიუშმა თქვა:

– ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ ეს მეფე ასეთი კეთილია, მაშ, იმ ვიღაცამ რატომ დაიყვინძა: ‘ძირს მეფეო?’

– ამქვეყნად ყოველთვის გამოჩნდება თითო-ოროლა განაწყენებული თუ გულნაკლული. კაცი არ მეგულება, მეფეს ყველა ერთხმად აქებდეს და ადიდებდეს.

მათიუშს გაახსენდა. ფრონტზე რომ იყო, როგორ დასცინოდნენ ჯარისკაცები მეფეებს და ათას რამეს ლაპარაკობდნენ. ომში რომ არ წასულიყო, სულ ასე

გონებოდა, ყველას ვუყვარვარო, ისე ძალიან ვუყვარვარ, ჩემს დანახვაზე სიხარულისგან მზად არიან, ქუდები ცას შეახალონო.

ექიმთან საუბრის შემდეგ მათიუშმა სწავლას უფრო მუყაითად მოჰკიდა ხელი და წამდაუწუმ კითხულობდა, შინ როდის უნდა დავბრუნდეთო.

‘უნდა დავიწყო ჩემი რეფორმების გატარება, მეფე მქვია. სხვა მეფეებზე ნაკლები რითი ვარ! ამიერიდან ჩემი ქვეყნის ბავშვებიც სოფელში გაატარებენ ზაფხულს!’

მათიუში სწორედ მაშინ დაბრუნდა დედაქალაქში, როცა მინისტრებს ყველაფერი უკვე დაემზადებინათ სესხის ასაღებად. მეფეს მხოლოდ ხელი უნდა მოეწერა თამასუქზე, სადაც ეწერა, როდის და როგორ გადაიხდიდნენ ვალს.

მათიუშ მეფემ ხელი მოაწერა. სახელმწიფოს მთავარი მოლარე მაშინვე ტომრებითა და სკივრებით გაემგზავრა უცხოეთში ოქრო-ვერცხლის ჩამოსატანად.

მათიუში მოუთმენლად ელოდა ფულს, რომ სამი რეფორმა გაეტარებინა:

1. – ტყეებში, მთებზე და ზღვის პირას უნდა აეშენებინათ ბევრზე ბევრი სახლი, სადაც ღარიბი ბავშვები ზაფხულს გაატარებდნენ.

2. – ყველა სკოლაში უნდა ყოფილიყო საქანელა და კარუსელი (რა თქმა უნდა, მუსიკის თანხლებით).

3. – დედაქალაქში უნდა მოეწყოთ დიდი ზოოლოგიური პარკი, სადაც ეყოლებოდათ ლომები, დათვები, სპილოები, მაიმუნები, გველები და ჩიტები.

მაგრამ მათიუშს იმედი გაუცრუვდა: ფული რომ მიიღეს, მინისტრებმა კაპიკიც კი ვერ მისცეს რეფორმის გასატარებლად. თურმე ერთმანეთში ადრევე გაენაწილებინათ: ამდენი და ამდენი ახალი ხიდების ასაგებად გეჭირდებაო, ამდენი და ამდენი რკინიგზის გასაყვანად გვინდაო, ამდენი – ახალი სკოლის ასაშენებლად, ამდენი კი – საომარი ხარჯების დასაფარავადო.

– თქვენს მეფურ უდიდებულესობას ადრევე რომ ებრძანებინა, რაც სურდა, უფრო მეტს ვისესხებდით, – ეუბნებოდნენ მინისტრები. გულში კი ფიქრობდნენ: კიდევ კარგი, მათიუში თათბირებზე არ ესწრება, თორემ რეფორმებისათვის იმდენი ფული სჭირდება, ამდენს უცხოეთის მეფეები არამც და არამც არ გვასესხებდნენო.

‘მაშ, კარგი, ხომ მომაცყუეთ, ახლა მე ვიცი, რასაც ვიზამ’, – თავისთვის თქვა მათიუშმა. ადგა და წერილი მისწერა იმ მეფეს, ვიოლინოს რომ უკრავდა. წერილში სწერდა:

‘თქვენო უდიდებულესობავ, მე მსურს, ჩემს ქვეყანაში ისეთივე რეფორმები გავატარო, როგორც თქვენ გაატარეთ თქვენს სახელმწიფოში. ამისათვის ბევრი ფული მჭირდება. მინისტრებმა თავისთვის ისესხეს, მე ახლა ჩემთვის მიინდა ვისესხო’.

პასუხს დიდხანს, ძალიან დიდხანს ელოდა. ბოლოს თითქმის იმედიც გადაუწყდა, მაგრამ ერთხელ გაკვეთილზე მოახსენეს, რომ იმ მეფის ელჩი ჩამოვიდა და აუდენციას თხოულობსო. მათიუში მაშინვე გავიდა სეფედარბაზში.

ელჩმა ითხოვა, მეფესთან პირისპირ დარჩენა მსურს, საიდუმლო საქმე მაქვსო. ყველანი რომ გავიდნენ, მათიუშს უთხრა: ჩემი მეფე ფულს გასესხებთ, თუ ისეთ კონსტიტუციას გამოუშვებთ, რომ სახელმწიფოს ხალხი მართავდესო..

– პირადად თქვენ რომ გასესხოთ ფული, შეიძლება დაგვეკარგოს. მთელ ხალხს რომ ვასესხებთ, სულ სხვა ამბავია, – ეუბნებოდა ელჩი, – მაგრამ, მე მგონი, მინისტრები არ დაგთანხმდებიან.– უნდა დამთანხმდნენ, – თქვა მათიუშმა. – სხვანაირად როგორ შეიძლება! იმაზე ხომ დამთანხმდნენ, რომ რეფორმატორი მეფე ვყოფილიყავი!

მართლაც, მინისტრებს შეეშინდათ, ემანდ ისევ საპყრობილეში არ ჩაგვეყაროსო, და იმწამს დათანხმდნენ. თან გულში ამბობდნენ: როცა რამე საქმის გაკეთება დაგეჭირდება, ვიტყვი, რომ ამის გაკეთება ხალხს სურს და

ჩვენ მათ სურვილს წინ ვერ დავუდგებითო; ჩვენ მოვალენი ვართ, ის გავაკეთოთ, რასაც ხალხი გვიბრძანებს, იმდენ ხალხს კი მათიუში საპყრობილესი ხომ ვერ გამოამწყვდევსო.

ქალაქებიდან და სოფლებიდან ყველაზე ჭკვიანი ხალხი დედაქალაქში ჩამოვიდა და დაიწყო თათბირები. დღედაღამ ისხდნენ და თათბირობდნენ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ უნდა გავიგოთ ხოლმე, ამოდენა ხალხს როდის რა მოესურვებაო.

იმ ხანებში გაზეთები სულ ამ სეიმის ამბებით იყო სავსე. იმდენს წერდნენ, სურათებისთვის ადგილიც აღარ რჩებოდათ, მაგრამ მათიუში უკვე კარგად, გამართულად კითხულობდა და სურათები იმდენად აღარ იტაცებდა.

თათბირებზე მოსული ბანკირები ცალკე იკრიბებოდნენ და ანგარიშობდნენ, რამდენი ფული იყო საჭირო ბავშვთა დასასვენებელი სახლების ასაშენებლად, საქანელებისა და კარუსელების გასამართავად.

ესენი რომ ამ ანგარიშში იყვნენ, მთელი ქვეყნიერების ვაჭრებსაც აქ მოეყარათ თავი და თათბირობდნენ, რა ჯიშის მხეცები, გველები და ჩიტები იყო საჭირო ზოოლოგიური პარკისთვის. ყველაზე ხალისიანი ამ ვაჭრების თათბირი იყო და მათიუშიც ყოველთვის ესწრებოდა ხოლმე.

– მე ოთხ ლამაზ ლომს მოგყიდით, – ამბობდა ერთი ვაჭარი.

– მე ყველაზე ველური ვეფხვები მყავს, – ამბობდა მეორე.

– მე ულამაზესი თუთიყუში მყავს, – ამბობდა მესამე.

– ყველაზე საინტერესო გველია, – ამბობდა მეოთხე. – მე მყავს ყველაზე საშიში გველები და ნიანგები. ჩემი ნიანგები დიდებიც არიან და დიდხანსაც ცოცხლობენ.

– მე გაწვრთნილი სპილო მყავს. პატარა რომ იყო, ცირკში გამოდიოდა. რას არ აკეთებდა: ველოსიპედი დაჰყავდა, ცეკვავდა, ბაგირზე გადიოდა და გამოდიოდა. ახლა დაბერდა და ცირკისთვის აღარ გამოდგება. თუ გინდათ, იაფად მოგყიდით. ბავშვები ძალიან გაიხარებენ, შესხდებიან ზედ და ისეირნებენ.

– გთხოვთ, დათვები არ დაივიწყოთ, – შეახსენა დათვების საკითხში განსწავლულმა ვაჭარმა. – თუ გნებავთ, ოთხ ჩვეულებრივ დათვს და ორ თეთრ დათვს მოგყიდით.

თათბირზე ჩამოსული ნადირით მოვაჭრენი გულადი მონადირენი იყვნენ. მათ შორის ერთი ინდიელი გახლდათ და ორი ზანგი. მთელი დედაქალაქის გოგობიჭები გაფაციცებულები უთვალთვალებდნენ ამ უცხოელ სტუმრებს და სინარულისგან ფეხზე აღარ იდგნენ, რომ მათი მეფე ამდენ საოცარ მხეცს ყიდულობდა.

ერთხელ თათბირზე ერთი ზანგი მოვიდა. ისეთი შავი იყო, ისეთი შავი, იმისი მსგავსი ამ ქვეყანაში არასოდეს ენახათ. დანარჩენ ზანგებს ჩვეულებრივ ეცვათ და ევროპულ ენებზე ლაპარაკობდნენ, – ესენი თურმე, ცოტა ხანს აფრიკაში ცხოვრობდნენ, ცოტა ხანს – ევროპაში. ის ზანგი კი ისეთ ენაზე ლაპარაკობდა, ძალიანაც რომ მოგეწადინებინათ, ვერც ერთ სიტყვას ვერ გაიგებდით. ტანზე თითქმის არაფერი ეცვა, რაც ეცვა, ისიც ნიჭარებისაგან იყო შეკოწიწებული, თმაში სპილოს ძვლის იმდენნაირი სამკაული დაებნია, კაცს გაუკვირდებოდა, ეს სიმძიმე თავზე როგორ უჩერდებოდა.

მათიუშის სახელმწიფოში ერთი მოხუცი პროფესორი ცხოვრობდა. ორმოცდაათი ენა იცოდა. ის ზანგი რომ მივიდა, მაშინვე პროფესორთან აფრინეს კაცი, მობრძანდეს, გადაგვითარგმნოს, ამ კუპრივით შავ ზანგს რა უნდაო. დანარჩენმა ზანგებმაც ვერაფერი გაუგეს. თუმცა, ვინ იცის, იქნება გაუგეს კიდევ, მაგრამ არ უნდოდათ ეთარგმნათ, რომ თავისი საქმე არ გაეფუჭებინათ.

მართლაც, თურმე ის ზანგი ნამდვილი თავადი ყოფილიყო. მათიუშს ეუბნებოდა:

– ბაობაბის ხესავით ბუმბერაზო, ზღვასავით ძლიერო, ელვასავით სწრაფო და მზესავით შუქმოსილო მეფეო მათიუშ! მე მოგართვი სიყვარული ჩემი მბრძანებლისა, აგრემც მას უცოცხლია შვიდი ათას წელიწადს და შესწრებია ასი ათას შვილთაშიელს. ჩემი მბრძანებლის ტყეში უფრო მეტი ნადირია, ვიდრე ცაზე – ვარსკვლავი და ჭიანჭველების ბუდეში – ჭიანჭველა. ჩვენი ლომები ერთ დღეში უფრო მეტ ადამიანს მიირთმევენ, ვიდრე მთელი მეფის სასახლე – ერთ თვეში. მეფის სასახლეში კი ცხოვრობენ: მეფე, მისი ორასი ცოლი და ათასი ბავშვი, აგრემც იმათ უცოცხლიათ ხუთი ათას წელიწადს. უბრწყინვალესო მეფეო მათიუშ, ნუ ენდობი ამ მატყუარებს. ამათ ხომ ლომები უკბილო ჰყავთ, ვეფხვები – უკლანჭებო, სპილოები – გადახრჩუებული, ჩიტები – შეღებილი. ჩემი მაიმუნები უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ესენი. ჩემი მეფის სიყვარული კი ამათ სისულელეს აღემატება. ესენი შენგან ფულს თხოულობენ, ჩემს მეფეს კი ფული არ სჭირდება, მის მთებში ისედაც ბევრი ოქროა. მას მხოლოდ ის სურს, რომ ორი კვირით შენთან სტუმრობის უფლება უბოძო. მას ნებაგს, თქვენი მიწები იხილოს, თეთრი მეფეები კი უარს ეუბნებიან, ველურია და მასთან მეგობრობა ჩვენს ღირსებას არ შეეფერებაო.. თუ მონღოლებ და სტუმრად ეწვევი, უსათუოდ დარწმუნდები, რომ სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებ.

ნადირით მოვაჭრებმა რომ დაინახეს, ჩვენი საქმე ცუდად არისო, მათიუშს უთხრეს:

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, იცით, რომ ეს ელჩი კაციჭამიების ქვეყნიდან არის გამოგზავნილი? ჩვენ არ გირჩევთ იქ წაბრძანებას და არც მათ მოპატიუებას.

მათიუშმა პროფესორს სთხოვა, ზანგ თავადს ჰკითხეთ, მისი მეფე მართლა კაციჭამია თუ არისო.

– ო, მზესავით შუქმოსილო მეფეო მათიუშ! მე ხომ მაგახსენეთ, ჩვენთან ლომები ერთ დღეში უფრო მეტ ადამიანს მიირთმევენ, ვიდრე მთელი მეფის სასახლე – ერთ თვეში. მაგრამ ამასაც გეტყვი, ქვიშასავით თეთრო მეფეო მათიუშ, რომ არც შენ და არც შენს ქვეშევრდომებს ჩემი მეფე არ შეგჭამთ. ჩემი მეფე სტუმართმოყვარეა და ურჩევნია, თავისი ორასი ცოლი და ათასი შვილი დაჭამოს, – აგრემც იმათ უცოცხლიათ ხუთი ათას წელიწადს, – ვიდრე შენ თუნდაც ერთი თითი მოგაკვნიტოს ხელზე.

– მაშ კარგი, წამოვალ. – შეჰპირდა მათიუში.

ხელმოცარული ნადირით მოვაჭრენი გაგულისებულები გაემგზავრნენ თავთავიანთ ქვეყანაში.

უფროსი მინისტრი შინ ძალიან გაჯავრებული დაბრუნდა. ისე იყო გულმოსული, ცოლმა შიშისგან ვერც კი ჰკითხა, რა დაგემართათ.

სადილზე მინისტრს ხმა არ ამოუღია. ბავშვები გასუსულები ისხდნენ, ემანდ ჩვენ არ მოგვხვდესო. უფროსი მინისტრი სადილის წინ ყოველთვის ერთ ჭიქა არაყს გადაჰკრავდა ხოლმე, სადილზე კი მხოლოდ ღვინოს სვამდა, მაგრამ დღეს ღვინო განზე გადადგა და ხუთი ჭიქა არაყი გადახუხა.

– გენაცვალე, – ცოლმა გულის კანკალით ამოიღო ხმა, რომ უფრო არ გაეშმაგებინა, –

– ალბათ, ისევ უსიამოვნებას გადაეყარე სასახლეში. ამდენი უსიამოვნება ჯანმრთელობას დაგაკარგვინებს.

– კაცს არ მოსწრებია ასეთი ამბავი! – იფეთქა ბოლოს უფროსმა მინისტრმა.

– შენ იცი, რას სჩადის მათიუში?

ცოლმა ღრმად ამოიოხრა.

– შენ იცი, რას სჩადის მათიუში? სტუმრად მიდის კა-ცი-ჭა-მი-ების მეფესთან. გესმის? აფრიკის ყველაზე ველურ ზანგებთან. იქ ჯერ არც ერთი თეთრი მეფე

არ ყოფილა. გესმის? ჩავა თუ არა, მაშინვე შეჭამენ. უსათუოდ შეჭამენ. ისე ვარ, დანა დამკრა, წვეთი სისხლი არ გამომივა.

– ნუთუ არ შეიძლება, გადაათქმევინო!

– წადი და, თუ გინდა, შენ გადაათქმევინე. მე აღარ მინდა ვირის აბანოში ყურყუტი. მათიუში ჯიუტი და თავპარიანია.

– კარგი, მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს და, რომ შეჭამონ, რა მოხდება?

– ეჰ, დედაკაცო, დედაკაცო! გაიგე, ახლა დიდი საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი: ჯერ ერთი, ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ქვეყანას ხალხი მართავდეს. საამისო ქაღალდზე მეფემ ხელი უნდა მოაწეროს, – ამას მანიფესტი ჰქვია, – მეორეც, საზეიმოდ უნდა გაიხსნას პირველი სეიმი. ვინ მოაწერს მანიფესტზე ხელს, ვინ გახსნის სეიმს, თუ მათიუში იმ ველურის ფაშვში ამოყოფს თავს? ერთი წლის შემდეგ, თუ უნდათ, შეჭამონ, მაგრამ ახლა მათიუში ძალიან გეჭირდება.

მინისტრებს სხვა სადარდებელი და საზრუნავიც ჰქონდათ: ამ სახიფათო მოგზაურობაში მათიუშის მარტოკა გაშვება არ შეიძლებოდა, გაყოლა კი არც ერთს არ უნდოდა.

მათიუში კი ამასობაში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

მთელ ქალაქს მოედო ამბავი, მეფე კაციჭამიების ქვეყანაში მიბრძანდებაო. დიდები სინანულით თავს აქნევდნენ, ბავშვებს კი საშინლად შურდათ.

– თქვენო უდიდებულესობავ, ძალიან გავნებთ, მართლა რომ შეგჭამონ, – უთხრა ექიმმა მათიუშს. – მე მგონი, შამფურზე შეწვავენ თქვენს უდიდებულესობას. და, რადგანაც სიცხეზე ცილები შედედდება ხოლმე, თქვენი უდიდებულესობა...

– საყვარელო ექიმო, როგორც მახსოვს, დღემდე მე მოკლულიც უნდა ვიყო, დახვრეტილიც და ჩამოსრჩობილიც, მაგრამ ყველაფერს თავი დავადწიე. იქნება ეს ველური თავადი მართალს ამბობს! იქნება სტუმართმოყვარენი არიან და არ შემწვან! მე უკვე გადავწყვიტე იქ წასვლა და პირობაც მივეცი, მეფე კი თავისი სიტყვის პატრონი უნდა იყოს.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყდა, რომ მათიუშს გაჰყვებოდნენ ორმოცდაათი ენის მცოდნე პროფესორი და კაპიტანი (სტასეკსა და ელენკას დედა არ უშვებდა, ვაითუ რამე დაემართოთ). გამგზავრების წინ მათ ფელეკი და ექიმი ამოუდგნენ მხარში.

ექიმი არ იცნობდა აფრიკულ სნეულებებს, ამიტომ სასწრაფოდ იყიდა სქელი წიგნი, სადაც ეს სნეულება იყო აღწერილი, და ჩემოდანში საჭირო წამლეულობა ჩააწყო. ის იყო, გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ ერთი ინგლისელი მეზღვაური და ერთიც ფრანგი მოგზაური მათიუშთან მივიდნენ, თუ შეიძლება, ჩვენც წაგვიყვანეთო.

ბარგი ცოტა წაიდეს: იქ არც სათბილობლები სჭირდებოდათ და თანც აქლემებს ბევრ სკივრს ვერ აჰკიდებდნენ.

იარეს, იარეს, იარეს და როდის-როდის ზღვის პირას გავიდნენ, მატარებლიდან გემში გადასხდნენ და ახლა ცურვით განაგრძეს გზა. კარგა ხანს მიცურავდნენ. უეცრად ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. დიდსა და პატარას, ყველას ზღვის ავადმყოფობა დაემართა. ექიმმა პირველად მაშინ გამოიყენა თავისი წამლეულობა, თან გაბრაზებული შესჩიოდა გემის კაპიტანს:

– ნეტავ რა ღმერთი გამიწერა, მეფესთან მკურნალად რამ დამაყენა! მე რომ ჩვეულებრივი ექიმი ვყოფილიყავი, ვიჯდებოდი ჩემთვის კოხტა კაბინეტში და დროდადრო საავადმყოფოში ვივლიდი. ახლა კი, ჩემი დღე და მოსწრება ასე უნდა ვიწანწალო მთელ ქვეყნიერებაზე. სწორე გითხრათ, ჩემი ხნის კაცისთვის ვერაფერი სიამოვნებაა ვინმეს კუჭში მოხვედრა.

ექიმი რომ ამ დღეში იყო, კაპიტანი, პირიქით, თანდათან უფრო მხიარულდებოდა და იხსენებდა, როგორ გაეპარა მშობლებს, როგორ შევიდა

უცხოელთა ლეგიონში და ებრძოდა ზანგებს. კაპიტანი მაშინ მხიარული ჭაბუკი იყო და სისხლი უღუღდა.

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფელეკი ხარობდა.

– თეთრ მეფეებთან რომ მიდიოდი, მაშინ მე არ წამიყვანე. კაპიტნის თოჯინა შვილები ირჩიე, – საყვედურობდა მათიუშს. – როგორც კი კაციჭამიებთან წასვლა დააპირე, იმ თოჯინებმა მაშინვე გიგანეს და მიგატოვეს. ფელეკ, შენ კი უნდა ადგე და წახვიდე!

– ჩემო ფელეკ, შენ მიწვეული არ იყავი. ეტიკეტი კი მოითხოვს, რომ მხოლოდ ისინი წავიდნენ, ვინც მიწვეულები არიან. სტასეკსა და ელენკას ახლაც უნდოდათ წამოსვლა, მაგრამ დედამ არ გამოუშვა, – თავს იმართლებდა დარცხენილი მათიუში.

– მე არ ვბრაზობ, – დაამშვიდა ფელეკმა.

ამასობაში ნავსადგურს მიადგნენ, გემიდან გადმოვიდნენ და ისევ მატარებელში ჩასხდნენ. ორ დღეს კიდევ იარეს მატარებლით. ახლა უკვე გზადაგზა პალმები, ფინიკის, ლელვისა და ბანანის ლამაზი ხეები ხვდებოდათ.

მათიუში აღტაცებისგან ყვიროდა, ზანგი თავადი კი მხოლოდ იღიმებოდა და თეთრ კბილებს ისე აელვარებდა, კაცს უნებურად შიში აიტანდა.

– ჯერ სადა ხართ, ჯერ აფრიკის ტყეები არ დაწყებულა. მალე ნახავთ, რა არის ნამდვილი ტყე.

მაგრამ ტყის მაგივრად უდაბნო იხილეს. საითაც გაიხედავდით, ვერსად ვერაფერს დაინახავდით ქვიშის მეტს. ქვიშა იყო ყველგან. უდაბნო მთლიანად ქვიშის ზღვას ჰგავდა.

იარეს, იარეს და ბოლოს სოფელში შევიდნენ. სოფელში თეთრკანიან ჯარისკაცთა მცირე რაზმი და თეთრკანიან მეპატრონეთა რამდენიმე მაღაზია დახვდათ.

რაზმს გამოუცხადეს, რომ ჩამოსულები მოგზაურები იყვნენ და კაციჭამიების ქვეყანაში მიდიოდნენ.

– კი, ბატონო, რაკი გინდათ, წაბრძანდით, – უთხრა ჩამოსულებს რაზმის მეთაურმა.

– იქ წასული ბევრი გვინახავს, მაგრამ რაღაც არ გვახსოვს, რომ ვინმე უკან დაბრუნებულყო.

– იქნებ ჩვენ დავბრუნდეთ, – გული არ გაიტეხა მათიუშმა.

– თქვენი ნებაა, სცადეთ. ოღონდ მერე მე არ დამაბრალოთ, არ გაგვაფრთხილოთ. იცოდეთ, ის ხალხი, ვისთანაც თქვენ მიდიხართ, ძალიან ველური ხალხია.

ზანგმა თავადმა ამ სოფელში სამი აქლემი იყიდა და თავის ქვეყანაში წავიდა, რომ სტუმრების ჩამოსვლისთვის ყველაფერი მოეგვარებინა. ამათ კი უბრძანა, აქ იყავით და დამელოდეთო.

– იცით, რას გეტყვით, მე ერთი გაქნილი ვინმე გახლავართ და ვერ გამაცურებთ, – უთხრა ჩამოსულებს თეთრკანიანთა გარნიზონის ოფიცერმა. – თქვენ უბრალო მოგზაურები არა ხართ. აბა, მოგზაურებთან რა უნდა ორ პატარა ბიჭსა და ღრმად მოხუცებულ კაცს! ის ველურიც, თქვენ რომ გახლდით, ვიდაც დიდი კაცი ჩანს. ცხვირში ისეთი ნიჟარა უკეთია, როგორსაც მხოლოდ მეფის ოჯახის წევრები ატარებენ.

ჩამოსულები მიხვდნენ, დამაღვა-დაფარვას აზრი აღარ აქვსო, ადგნენ და ყველაფერი უამბეს.

ამ ოფიცერს მათიუშის ამბავი უკვე გაეგო, თურმე რამდენიმე თვეში ერთხელ გარნიზონი გახეთქესა და წერილებს ღებულობდა.

– ჰოო, ეს უკვე სხვა ამბავია. ვინ იცის, იქნება ხელი მოგემართოთ! სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია, მაგრამ წინდაწინ გეუბნებით: ან უკან სულაც ვეღარ დაბრუნდებით, ან საჩუქრებით ყელამდე აივსებით. იმათ

იმდენი ოქრო და ბრილიანტი აქვთ, არც კი იციან, რა უყონ. სარკეში, ჩიბუხში ან ერთ ტომსიკა თოფისწამალში რამდენიმე მუჭა ოქროს იძლევიან.

მოგზაურებს გული მიეცათ. მოხუცი პროფესორი მთელ დღეს ქვიშაზე იწვა და მზეს ეფიცებოდა. ექიმს ეთქვა, შენი დაავადებული ფეხებისთვის მისწრებააო. სადამოობით პროფესორი ზანგებთან მიდიოდა, დაჯდებოდა იმათ ქოხში, ებაასებოდა ხალხს და სულ ახალ-ახალ გამოთქმებს იწერდა უბის წიგნაკში.

ფელეკი ხილის ჭამის მეტს არაფერს აკეთებდა. იმდენს ჭამდა, ექიმი ყოველდღე თითო კოვზ სასაქმებელ ზეთს ასმევდა.

იმ ინგლისელსა და ფრანგს კი მათიუში დროდადრო სანადიროდ დაჰყავდათ. მათიუშმა აქლემზე ჯდომა ისწავლა და სიამოვნებას ჰგვირდა სეირნობა.

ერხთხელ, ღამით, მოგზაურობის კარავში დაფეთიანებული ზანგი მსახური შევარდა: არიქა, თავს გვესხმიან, გაგვეცესო!

– ვაი, მე უბედური, რამ მომიყვანა თეთრკანიანებთან მსახურად! ჩემი ხალხი არ მაპატიებს, მომკლავენ! ვაი, რა მეშველება მე უბედურს.

ყველანი წამოცვივდნენ სამგზავრო საწოლებიდან, სტაცეს ხელი თოფ-იარაღს, ვისაც რა ჰქონდა, და მოლოდინად იქცნენ.

ბნელი ღამე იყო. თვალთან მიტანილი თითი არ ჩანდა. შორს, უდაბნოში, რაღაც ხმაური ისმოდა და თანდათან ახლოვდებოდა, თითქოს ხალხის ბრბო აქვთ მოიწევსო. უცნაური ის იყო, თეთრკანიანთა გარნიზონიდან არც არავინ ისროდა, არც დაბნეულობა ეტყობოდათ.

გარნიზონის უფროსმა კარგად იცოდა ველური ტომების ადათ-წესები და მაშინვე მიხვდა, რომ თავს არავის ესხმოდნენ, მაგრამ ის კი ველარ გამოიცნო, რა ხდებოდა. იდგა და შიკრიკი აფრინა, ყველაფერი გაიგეო.

თურმე ნუ იტყვით, ქარავანი მოდიოდა მეფე მათიუშის წასაყვანად.

სულ წინ უშველებელი სამეფო აქლემი მოირწეოდა. ძურგზე მოხდენილი ფანჩატური ედგა. ამ აქლემს ღამაზად მორთული ასი აქლემი და ზანგთა დიდი ქვეითი რაზმი მოჰყვებოდა.

ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა, გარნიზონის უფროსი გამოცდილი კაცი რომ არ ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, საშინელება იქნებოდა, მას რომ სროლა აეტყხა. მათიუშმა გარნიზონის უფროსს გულითადი მადლობა გადაუხადა გონივრული საქციელისათვის და ორდენი მისცა.

მეორე დღეს დილაადრიან გაუდგნენ გზას. ძნელი გზა ჰქონდათ გასაგლეელი. პაპანაქება სიცხე იდგა. ზანგებს რა უშავდათ, სიცხეს შეჩვეულები იყვნენ, თეთრკანიანებს კი სუნთქვაც უჭირდათ.

მათიუში თავის მშვენიერ ფანჩატურში იჯდა. ორი შავი ზანგი სირაქლემას ფრთის მარათი უნიავებდა. ქარავანი ნელა მიირწეოდა. გამოცილებელი მოუსვენრად იყურებოდა აქეთ-იქით, ემანდ გრიგალი არ ამოვარდესო. ქარბორბალა თურმე მოგზაურებს გავარვარებულ ქვიშას აყრის ცხვირ-პირში. ყოფილა შემთხვევა, როცა მთელი ქარავანი დაუმარხავს და ყველანი დაღუპულან.

მთელ დღეს მგზავრები ისე მიდიოდნენ, ხმას აღ იღებდნენ. გუნება მხოლოდ სადამოობით გამოუკეთდებოდათ ხოლმე, როცა ცოტათი აგრილდებოდა.

ექიმი რაღაც გამაგრილებელ ფხვნილს ასმევდა მათიუშს, მაგრამ დიდად ვერაფერს შველოდა. მათიუში ხომ ომში იყო გამოწრთობილი, ბევრი გაჭირვებაც გადაეტანა, მაგრამ პაპანაქებაში მოგზაურობა ყველაზე დიდ სიძნელედ და გაჭირვებად ეჩვენებოდა. თავი ასტკივდა, ტუჩები დაუსკდა, ენა ისე გაუშრა, გეგონებოდა, ხისა აქვსო. მზე მოეკიდა, გახდა, თეთრად აელვარებული ქვიშისგან თვალები დაუწითლდა და ანთება დაემართა, კანზე კი წითელი ლაქები დაასხდა და ქავილით აგიჟებდა. ძილითაც მოუსვენრად ეძინა, საშინელი

სიზმრები სტანჯავდა. ხან ესიზმრებოდა, ვითომ კაციჭამიები ჭამდნენ, ხან ესიზმრებოდა, რომ კოცონზე წვაგდნენ. ეჰ, წყალი რამდენად კარგია ქვიშასთან შედარებით! და აუწერელი ნეტარებაა გემით მგზავრობა! მაგრამ მეტი გზა არ არის, უკან დაბრუნება არ შეიძლება, სასცილოდ აიგდებენ.

ქარავანი ორჯერ გაჩერდა ოაზისში. რა ბედნიერებაა, მწვანე ხეებს რომ უცქერი კაცი და ტიკებიდან ჩამოსხმული საზიზლარი, თბილი, აყროლებული წყლის ნაცვლად, ცივ წყალს მიირთმევ!

პირველ ოაზისში ორ დღეს იდგნენ. მეორეში კი ხუთ დღეს მოუხდათ მოცდა. აქლემები ისე იყვნენ გასავათებულები, ფეხის გადადგმა უჭირდათ.

– მზე ამ უდაბნოში ოთხჯერ კიდევ ამობრძანდება, ოთხჯერ ჩაესვენება და ჩვენც შინ ვიქნებით, – უხაროდა კაციჭამიების თავადს.

იმ ხუთ დღეს, რაც მეორე ოაზისში გაატარეს, ყველამ სული მოითქვა. იქედან გამგზავრების წინა დღეს ზანგები ისე იყვნენ ღონეზე მოსულები, რომ კოცონები ააგიზგიზეს და ველური საბრძოლო ცეკვა გააჩაღეს.

ბოლო დღეებში მგზავრობა ცოტა გაუადვილდათ. უდაბნო თავდებოდა, ქვიშა ისე ცხელი აღარ იყო, აქა-იქ უკვე ეკლიანი ბუჩქებიც ხვდებოდათ. დროდადრო ხალხიც გამოჩნდებოდა ხოლმე.

მათიუმს გულით ეწადა, იმ ხალხს გაცნობოდა, გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ნებას არ აძლევდნენ. ეუბნებოდნენ, ისინი უდაბნოს ყაჩაღები არიანო. ჩვენ მხოლოდ იმიტომ არ დაგვესხნენ თავს, რომ ჩვენი ქარავანი დიდია, იმ ყაჩაღებს კი პატარ-პატარა ქარავნებზე თავდასხმა უყვართო.

ბოლოს შორს, შორს ტყე გამოჩნდა და სიგრილვე წამოვიდა. როგორც იყო, მგზავრობას ბოლო მოეღო. თუმცა, ვინ იცის, ამის შემდეგ რა მოელოდათ! ცხელ ქვიშაში სიკვდილს კი გადაურჩნენ, მაგრამ ვაითუ ველური ზანგების მსხვერპლნი გამხდარიყვნენ.

კაციჭამიების მეფე და მთელი სამეფო კარი კარგა მანძილზე გამოეგებნენ სტუმრებს. წინ ორკესტრი მოდიოდა, მაგრამ ისე შემზარავად უკრავდა, კინაღამ სტუმრებს ყურები დაუსკდათ. რას არ ნახავდით ორკესტრში: საყვირის ნაცვლად – რაღაც ბუკსა და სტვირებს, დაფდაფების ნაცვლად – რაღაც ქვაბებს. ყურთწამლები ხმაური იდგა, თანაც ზანგები თვითონაც ისე საშინლად ღრიალებდნენ, უდაბნოს მღუმარების შემდეგ შეიძლებოდა კაცი ჭკუაზე შემწლილიყო.

სტუმრების მიღება ღვთისმსახურებით დაიწყო. მოიტანეს ერთი ხის გეჯა. ზედ რაღაც საშინელი ცხოველების გამოსახულებები იყო ამოჭრილი. ქურუმსაც სახეზე საზარელი ნიღაბი ეკეთა. მოჰყვნენ ისევე ღრიალსა და ღმუილს. თარჯიმანმა სტუმრებს აუხსნა, რომ კაციჭამიების მეფე თავის ღმერთებს ავედრებდა მათიუმის თავს; ემუდარებოდა, თქვენ გებარებოდეთ, წყალობას ნუ მოაკლებთო.

ღვთისმსახურება რომ დამთავრდა და მათიუმში აქლემიდან ჩამობრძანდა, კაციჭამიების მეფე და მისი ვაჟიშვილები მთელ ნახევარ საათს არ გაჩერებულან, სულ ხტოდნენ და კოტრილობდნენ, შემდეგ კი მეფემ ასეთი სიტყვით მიმართა მათიუმს:

– ჩემო თეთრო მეგობარო, მაღლობას მოგახსენებ ჩემთან ჩამობრძანებისთვის. მე უბედნიერესი კაცი ვარ დედამიწის ზურგზე, რომ შენ გიმზერ. გთხოვ და გემუდარები, ხელით მანიშნე, თანახმა ვარო, და იმავე წამს აი ამ შუბით გულის გავიგმირავ, რომ ღირსი გავხდე უმაღლესი პატივისა: მე მსურს, შემჭამოს ჩემმა ძვირფასმა სტუმარმა.

ეს რომ თქვა, გრძელი შუბის წვერი მკერდზე მიიბჯინა და მოლოდინად იქცა. მათიუმმა იუარა, არამც და არამც არ შეგჭამო, მე მინდა დავმეგობრდეთ, რომ ერთად ვითამაშოთ და ვისაუბროთო. თარჯიმანმა ყველაფერი გადაუთარგმნა მეფეს.

აბა თუ ასეაო, მეფემ, მისმა ორასმა ცოლმა და შავტუხა შეიღებმა ბლავილი მორთეს, დადგნენ ოთხზე, ასე დადიოდნენ და დანადგლიანებულები გადადიოდნენ ყირაზე. ამით ამბობდნენ, ჩვენი თეთრი მეგობარი არაფრად გვაგდებს და არ ეუყვარვართ, ალბათ არ სჯერა, რომ გემრიელები ვართ და ჩვენი შეჭმა იმიტომ არ სურსო.

მათიუმს ძალიან ეცინებოდა ამ წეს-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც თავი დარბაისლურად ეჭირა, ხმას არ იღებდა.

იმის მოყოლით თავს აღარ შეგაწყენთ, რა ნახა მათიუმმა და რას აკეთებდა კაციჭამიების სამეფო კარზე. ეს ყველაფერი ერთ სქელ წიგნში აქვს აღწერილი განსწავლულ პროფესორს. წიგნს ჰქვია: ორმოცდაცხრა დღე კაციჭამიების ველური ქვეყნის მეფის ბუმ-დრუმის კარზე. აღწერა მოგზაურობის ერთ-ერთმა მონაწილემ, მეფე მათიუმ რეფორმატორის თარჯიმანმა:.

საწყალი მეფე ბუმ-დრუმი რას აღარ აკეთებდა, როგორ აღარ ცდილობდა, რომ მათიუმს მის კარზე ნებივრად და მოლხენით გაეტარებინა დრო, მაგრამ ისეთი ველური გასართობები და თამაშობანი ჰქონდათ, მათიუმში მხოლოდ იდგა და გაოცებული მისჩერებოდა. ზოგჯერ კი უსიამოვნებაც შეიპყრობდა ხოლმე.

ზოგიერთ თამაშობასა და თავშექცევაზე მათიუმმა მთლად უარი თქვა.

მაგალითად, ერთხელ ბუმ-დრუმმა განძსაცავიდან თავისი ძველი თოფი ამოიღო და დიდი ამბით მათიუმს მისცა, რომ მიზანში ესროლა. მიზნად კი თავისი უფროსი ქალიშვილი დააყენა. მათიუმს არ უნდოდა ესროლა. ბუმ-დრუმმა იწყინა და დიდიან-პატარიანად ისევ დამწუხრებულებმა დაიწყეს კოტრიალი. მაგრამ ყველაზე ცუდი მაინც ის იყო, რომ ქურუმი განაწყენდა: თავს მეგობრად გვაჩვენებს, ჩვენთან დაძმობილება კი არ უნდაო, ახლა მე ვიცი, რასაც ვიზამო.

იმ საღამოს მათიუმის ღვინის სასმელ ნიჟარაში ქურუმმა შეუმჩნევლად საწამლავი ჩაასხა.

ვინც ამ საწამლაგს დაღევდა, იმავე წამს ყველაფერი ჯერ წითლად მოეჩვენებოდა, მერე ლურჯად, შემდეგ მწვანედ, ბოლოს შავად და კიდევ ეთხოვებოდა წუთისოფელს.

იმავე საღამოს მათიუმში მეფის კარავში ბრძანდებოდა, ოქროს მაგიდასთან ოქროს სავარძელში იჯდა და ამბობდა,

– რატომ გაწითლდა ყველაფერი? კაციჭამიებსაც წითელი ფერი აქვთ, გარშემო ყველაფერი წითელია.

ამის თქმა და ექიმის ფეხზე წამოვარდნა ერთი იყო. იდგა და შეძრწუნებული იქნებდა ხელებს. თურმე წიგნებში ამოეკითხა ამ საწამლაგის ამბავი და ახსოვდა, რომ ყველა აფრიკული სნეულების სამკურნალო წამალი არსებობდა, ამ საწამლაგის საწინააღმდეგო კი არავინ არაფერი იცოდა. ექიმი იდგა და შველა არ შეეძლო. ექიმი სრულიად უძწეო იყო.

მათიუმს აზრადაც არაფერი მოსვლია, იჯდა ოქროს სავარძელში და მხიარულად ლაპარაკობდა:

– ახლა უკვე ყველაფერი გაღურჯდა. აუჰ, როგორ გალამაზდა!

– პროფესორო, – იყვირა ექიმმა, – უთხარით ამ ველურებს, რომ მათიუმში ვიღაცამ მოწამლა!

პროფესორმა სასწრაფოდ გადათარგმნა ექიმის ნათქვამი. მეფემ თავში ხელები იტაცა, ერთი საცოდავად გადაკოტრიალდა და კარვიდან ისარივით გავარდა.

– აჰა, დალიე, თეთრო მეგობარო, – იმავე წამს ისევ უკან შემოიჭრა მეფე და მათიუმს სპილოს ძვლის თასით რაღაც მწარე და მჟავე სასმელი გაუწოდა.

– ფუჰ, რა საზიზღრობაა! არ მინდა, – აყვირდა მათიუმში. – ვაიმე, ყველაფერი მწვანედ მეჩვენება! ოქროს მაგიდაც მწვანეა, ექიმიც მწვანეა...

ბუმ-დრუმმა აიტაცა მათიუში, მაგიდაზე დააწვინა, კბილები სპილოს ძვლის ისრით გაუხსნა და პირში ძალად ჩაასხა მწარე სასმელი.

მათიუში სხმარტალებდა, იფურთხებოდა, მაგრამ წამალი მაინც ჩაყლაპა.

ჩაყლაპა და ამან გადაარჩინა.

მართლაც, თვალწინ უკვე შავი წერტილები უტრიალებდა. ბედზე, მხოლოდ ექვს შავ წერტილს ხედავდა, დანარჩენი წერტილები ჯერ კიდევ მწვანე იყო. და მათიუში ცოცხალი დარჩა, ოღონდ, ერთი ეს არის, მთელ სამ დღე-ღამეს ისე ეძინა, თვალი არ გაუხელია.

ქურუმთ ქურუმი სირცხვილისაგან იწვოდა, ეს რა ჩავიდინე, რად მოვწამლეო, მაგრამ მათიუშიმა ყველაფერი აპატია. ქურუმი შეჰპირდა, რომ, სამაგიეროდ, გადასარევე მაგიურ ფოკუსებს აჩვენებდა, თუმცა სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ შეეძლო იმ ფოკუსების ჩვენება.

ყველანი ქოხის წინ დასხდნენ, ძირს ვეფხვის ტყავები დაფინეს და ჯადოქარმა დაიწყო თავისი ფოკუსები. ბევრი ფოკუსი ისეთი იყო, მათიუშიმა ვერაფერი გაუგო, ვერც თავი და ვერც ბოლო. ზოგიერთი კი აუხსნეს და გააგებინეს.

ჯადოქარმა ერთი ასეთი ფოკუსი უჩვენა: კოლოფიდან პაწაწინა გველის მსგავსი რაღაც ქვეწარმავალი ამოიყვანა და ხელზე დაისვა. ქვეწარმავალი თითზე შემოეხვია, ძაფივით წვრილი ენა გამოყო, რაღაც უცნაურად დაიშიშინა, თითზე წურბელასავით მოეკიდა და ბოლო ასწია. ჩოტა ხნის შემდეგ ქურუმმა ქვეწარმავალი მოიშორა და მაყურებელს თითზე სისხლის წვეთი დაანახვა.

მათიუშს სხვა ფოკუსები უფრო საინტერესოდ ეჩვენებოდა, მაგრამ შეამჩნია, რომ ველურები ამ ფოკუსს ისე უყურებდნენ, როგორც უდიდეს ხელოვნებას.

ბოლოს მათიუშს აუხსნეს, ეს ქვეწარმავალი თვით ჯიქზე და აფთარზე საშინელი არსებაა, მისი დაკბენილი კაცი ერთ წამში თავდებაო.

ქურუმი ამ ფოკუსს რომ მორჩა, ახლა შუაგულ ცეცხლში შევიდა. შევიდა თუ არა, ცხვირიდან და პირიდან ცეცხლი გადმოუშვა.

მის შემდეგ სტვირი დაუკრა და ორმოცდაცხრა უზარმაზარი გველი აცეკვა.

მერე ერთ ვეებერთელა ასწლოვან პალმასთან დადგა და შეუბერა. შეუბერა და შეუბერა. პალმა ნელ-ნელა გადაიხარა, გადაიხარა და ბოლოს ჭახანით გადატყდა. შემდეგ ორ ხეს შუა ჰარში ჯოხით ხაზი გაავლო და ზედ ისე გაიარა, გეგონებოდა, ფიცარზე დადისო. შემდეგ სპილოს ძვლის ბურთი ჰაერში აისროლა და თავი შეუშვირა. ბურთი ჩამოვარდა, თავზე დაეცა და შიგ უკვალოდ გაქრა. შემდეგ ქურუმი ბორბალივით დატრიალდა. ძალიან სწრაფად და დიდხანს ტრიალებდა. როცა გაჩერდა, ყველამ დაინახა, რომ ქურუმს ორი თავი და ორი პირისახე ჰქონდა. ერთი პირისახე უცინოდა, მეორე უტიროდა. ამის შემდეგ ქურუმმა ერთ პატარა ბიჭს ხმლით თავი წააცალა, ყუთში ჩააწვინა და გარშემო ველური ცეკვით შემოუარა რამდენჯერმე. ბოლოს ყუთს ფეხი წაჰკრა. მაშინვე შიგ ვიდაცამ სტვირი ააკვნესა. ქურუმმა ყუთს თავი ახადა. ბიჭი ისე იწვა, თითქოს არაფერი მომხდარაო. ყუთს თავი რომ აეხადა, ხელად წამოსტა და ტანვარჯიშს შეუდგა. ასევე მოექცა ქურუმი ჩიტს: ჯერ მადლა ააფრინა, ცაში, მერე ისარი სტყორცნა. ისარგაყრილი ჩიტი ძირს ჩამოვარდა. ჩამოვარდა თუ არა, უმაღლვე ნისკარტით ისარი გამოიძრო, ქურუმთან მიფრინდა და გაუწოდა. შემდეგ კარგა ხანს დასტრიალებდა თავზე.

მათიუშიმა გაიფიქრა, ნამდვილად ღირდა მოწამვლა, იმდენი ფოკუსი ვნახეო. თავისი უცნაური მეგობრის ქვეყანა მათიუშიმა ოთხივ კუთხივ შემოიარა. ხან აქლემით მოგზაურობდა, ხან სპილოთი დაბრძანდებოდა. დიდ ღამაზე ტყეებში გაშენებული უამრავი ზანგური სოფელი მოინახულა. სად არ იყო, რა არ იხილა და ქვის სახლი არსად უნახავს, ყველგან ქოხები ედგათ, ყველგან პირუტყვი და ხალხი ერთად ცხოვრობდა აუწვერელ სიბინძურეში. ავადმყოფებიც ბევრნი

იყვნენ. და ადვილად კი შეიძლებოდა მათი განკურნება! ექიმი ზანგებს წამლებს აძლევდა. გახარებული ზანგები დიდ მადლობას უხდიდნენ. ტყეში, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნადირისაგან დაგლეჯილი ან შხამიანი გველებისგან დაკბენილი ზანგების გვამები ეყარა.

ზანგები ყველგან გულებილად ხვდებოდნენ მათიუშს, თავს ევლებოდნენ. მათიუშს გული ეწვოდა მათი საცოდაობით. სულ ის უკვირდა, იმდენი ოქრო და ბრილიანტი აქვთ, ბავშვები კენტებივით ათამაშებენ, და რატომ რკინიგზები არ გაჰყავთ, რატომ ელექტროსინათლეს არ გამოიყვანენ, ან კინემატოგრაფი რატომ არა აქვთ, რატომ კარგ სახლებს არ იშენებენ, თოფებს მაინც რატომ არ ყიდულობენ, რომ საშინელი ნადირისაგან თავი დაიცვანო.

მაგრამ მალე თვითონვე გაახსენდა მათი ტანჯვის მიზეზი: თეთრკანიანებს ეშინოდათ ზანგებისა და დახმარების ხელს არ უწვდიდნენ. მათიუშმა გულში ამოიჭრა, შინ დავბრუნდები თუ არა, მაშინვე გაზეთით მივმართავ ხალხს, რომ ვინც უძუშეგარია, აქ გამოემგზავროს, ზანგებთან, და რკინიგზებიც გაუყვანოს ამ ხალხს, ქვის სახლებიც აუშენოსო.

მათიუში ამაზე ხომ წუხდა, კაციჭამიებს რით დავეხმარო, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, ჩემი რეფორმებისთვის ფული როგორ ვიშოვო.

ერთხელ ოქროს საბადოებს ათვალიერებდნენ. მათიუშმა მეფე ბუმ-დრუმს სთხოვა, ცოტადენი ოქრო მასესხეო. ბუმ-დრუმს სიცილად არ ეყო: მე ოქრო სულაც არ მჭირდება, იმდენი წაიღე, რამდენსაც შენი აქლემები მოერევიანო.

– როგორ, ჩემს მეგობარს ვასესხო? არა და არა! თეთრ მეგობარს შეუძლია ყველაფერი წაიღოს, რაც მის სულსა და გულს ეამება. ბუმ-დრუმს უყვარს თავისი პატარა თეთრი მეგობარი და სიკვდილამდე მისი მონა-მორჩილი მსახური იქნება.

ამასობაში მათიუშის გამგზავრების დრომ მოაწია. კაციჭამიების მეფემ პატივსაცემად მეგობრობის ზეიმი მოუწყო.

საერთოდ, წელიწადში ერთხელ ზანგები დედაქალაქში იყრიდნენ ხოლმე თავს, რომ მასთან აერჩიათ ისინი, ვინც იმ წელიწადს სამეფო კარს უნდა შეეჭამა. რჩეულნი სიხარულს ვერ მაღავენენ, დაწუნებულები კი ჯავრით აღარ იყვნენ. რჩეულნი სიხარულის ველურ ცეკვას ასრულებდნენ. დაწუნებულნი ოთხზე დგებოდნენ და ასე დადიოდნენ (ეს იყო სამგლოვიარო ცეკვა), თან ისე ნაღვლიანად მღეროდნენ, გეგონებოდათ, ტირიანო.

მის შემდეგ მეფემ წვეტიანი ნიჟარით თითი გაიკაწრა. მათიუშმაც გაიკაწრა თითი და კაციჭამიების მეფემ მისი შუათითიდან სისხლი ალოკა. მათიუშს კი მეფის შუათითიდან უნდა აელოკა სისხლი. ეს ცერემონიალი სულაც არ მოსწონდა, მაგრამ რა ექნა! კარგად ახსოვდა, ამას წინათ ქურუმმა რაც აწვნევინა, ამიტომ ყველაფერს უსიტყვოდ აკეთებდა.. სისხლგაცვლას სხვა ცერემონიალები მოჰყვა: ჯერ გველებითა და ნიანგებით სავსე ტბაში ჩაუძახეს მათიუში. მეფე ბუმ-დრუმი წამსვე თან გადაჰყვა და ტბიდან უვნებელი ამოიყვანა.

მის შემდეგ მათიუშს სხეულზე რაღაც ცხიმი წაუსვეს და აბრიალებულ ცეცხლში შეახტუნეს. ბუმ-დრუმმაც თვალის დახამხამებაში ისკუპა და ცეცხლიდან ისე სწრაფად გამოიტაცა, ბიჭს მხოლოდ თმა შეეტრუსა, თვითონ კი სულაც არაფერი დაშავებია. ბოლოს მათიუში ყველაზე მაღალი პალმიდან ჩამოახტუნეს, ბუმ-დრუმმა კი ისე მარჯვედ დაიჭირა, ოდნავადაც არაფერი სტკენია.

პროფესორმა ყველაფერი აუხსნა მათიუშს: სისხლის ალოკვა იმას ნიშნავს, უდაბნოში უწყლოდ დარჩე, მეგობარი საკუთარ სისხლს გაიღებს და დაგალევიანებსო. სადაც არ უნდა გემუქრებოდეს ხიფათი, – საშინელი ნიანგებით სავსე წყალში, ცეცხლსა თუ ჰერში, – შენი ძმობილი ბუმ-დრუმი სიცოცხლეს გაწირავს და შენ გადაგარჩენსო.

– ჩვენ, თეთრკანიანები, ყველაფერს ქაღალდზე ვწერთ, – ეუბნებოდა პროფესორი, – ამათ კი წერა-კითხვა არ იციან და ამ ცერემონიალებით დებენ ხელშეკრულებას.

მათიუშს გული სწყდებოდა, რომ მეგობრები უნდა დაეტოვებინა და გამგზავრებულყო, მაგრამ რას იზამდა. ეს კია, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უცხოეთის მეფეები დაერწმუნებინა, კაციჭამიები ველურები არიან, მაგრამ ძალიან კარგი ხალხია, ურიგო არ იქნება, თუ ამ ხალხს დაუმეგობრდებით და შემწეობის ხელს გაუწვდითო. მანმადე კი ერთი რეფორმის გატარება იყო საჭირო: რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ზანგებისთვის კაციჭამიობა უნდა მოეშლევინებინა.

– ძმაო ბუმ-დრუმ, ძალიან გთხოვ მოეშვი კაციჭამიობას, გადაეჩვიე, – ეხვეწებოდა მათიუში გამგზავრების წინა საღამოს.

დიდხანს, ძალიან დიდხანს არწმუნებდა ბუმ-დრუმს, კაციჭამიობა კარგი არ არისო, უსათუოდ რეფორმე უნდა გაატარო და ადამიანების ჭამა აკრძალო, მაშინ თქვენთან ბევრი თეთრკანიანი ჩამოვა, აქაურობას მოგიწესრიგებენ და თქვენს მშვენიერ ქვეყანაში ბედნიერად იცხოვრებთო.

ბუმ-დრუმი ნაღვლიანად უსმენდა მათიუშს. ბოლოს უთხრა, ერთმა მეფემ უკვე სცადა ასე მოქცეულიყო და ამის გულისთვის მოწამლესო. ეს რეფორმა ძნელი გასატარებელია, მაგრამ კიდევ მოვიფიქრებო.

საუბრის შემდეგ მათიუშმა ცოტა ხნით ტყეში გაისეირნა. მთვარე ზღაპრულად ღამაში იყო. ღამაში იყო გარინდებული ტყე. მათიუშს უეცრად რაღაც შრიალი თუ ჩუჩუნის შემოესმა. იფიქრა, ნეტავი რა არის, გველი თუ ვეფხვიო, მაგრამ არ შეჩერებულა. მალე ისევ შემოესმა შრიალი. ამკარად ვიღაც მიჰყვებოდა კვალდაკვალ, მათიუშმა რევოლვერზე იტაცა ხელი და სმენად იქცა.

თურმე ნუ უტყვი, კაციჭამიების მეფის ასული, პატარა ზანგი გოგონა, მხიარული კლუ-კლუ მისდევდა! მთვარის შუქზე მათიუშმა ადვილად იცნო და გაუკვირდა.

– აქ რა გინდა, კლუ-კლუ? – ზანგურად ჰკითხა მათიუშმა. ცოტ-ცოტა უკვე ესმოდა ზანგური ენა და ლაპარაკობდა კიდევ.

– კლუ-კლუ კიკი რეც, კლუ-კლუ კინ ბრუნ.

კლუ-კლუ კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ მათიუშმა ვერაფერი გაიგო. მხოლოდ აი ეს სიტყვები დაამახსოვრდა: კიკი, რეც, ბრუმ, ბუზ, კინ.

კლუ-კლუ ძალიან დანადგლიანებული იყო და ტიროდა. მათიუშს შეებრალა პატარა კლუ-კლუ, ალბათ, რამე აწუხებსო, ადგა და თავისი საათი, სარკე და პატარა ბოთლი აჩუქა, მაგრამ კლუ-კლუ მაინც ტიროდა.

ნეტავ რა დაემართა?

შინ მობრუნებულმა მათიუშმა პროფესორს ჰკითხა კლუ-კლუს ამბავი. პროფესორმა უთხრა, კლუ-კლუს ძალიან უყვარხარ და შენთან ერთად წამოსვლა უნდაო.

მათიუშმა პროფესორს სთხოვა, კლუ-კლუს გააგებინეთ, რომ მარტოკას ვერ წავიყვან. მეფე ბუმ-დრუმი შეიძლება ევროპაში მივიწვიოთ და მაშინ წამოვიდეს, თავის მამიკოს გამოჰყვესო.

ეს იყო და ეს, მათიუშს ამის მეტად აღარ გახსენებია პატარა კლუ-კლუ. გამგზავრების წინ უამრავი საქმე გამოუჩნდა. ხუთასი აქლემი დაასაპაღნეს. ხუთასი აქლემით მიჰქონდათ ოქრო და ძვირფასი თვლები, ხილი და სასმელი. მინისტრებისთვის საჩუქრებიც არ დავიწყებიათ. ათასნაირი აფრიკული დელიკატესი, ღვინო და სიგარები მოემარაგებინათ. მათიუში მოეღებარაკა ბუმ-დრუმს, სამი თვის შემდეგ გალიებს გამოვგზავნი, რომ ჩემი ზოოპარკისთვის გარეული ცხოველები წავიყვანო. მერე გააფრთხილა, შეძლება

თვითმფრინავით ზოგი რამ გამოვიგზავნოთ და არ შეშინდეთ, თუ დიდი რკინის ჩიტით თეთრკანიანი კაცი ჩამოფრინდესო.

დილით ადრიადად აიკრეს გუდა-ნაბადი. სამშობლოში მიმავლებს ისევ ის ძნელი გზა ედოთ წინ, მაგრამ ყველანი უკვე გამოწრთობილ-გამოკაუებულები იყვნენ და უდაბნომ ბევრი ვერაფერი დააკლო მოგზაურებს.

ვიდრე მათიუში სამშობლოში დაბრუნდებოდა, მისმა მინისტრებმა კონსტიტუცია შეადგინეს და მეფის ჩამობრძანებას დაელოდნენ.

ელოდნენ და ელოდნენ. თვალი და გული გადაელიათ მოლოდინისაგან, მაგრამ მათიუში არ ჩანდა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა. როგორც იყო, ის გაიგეს, რომ აფრიკის სანაპიროებს მათიუში გემით მისდგომია, შემდეგ მატარებლით უმგზავრია ზანგების უკანასკნელ სოფლამდე, რომლის გადაღმაც უკვე უდაბნო იწყებოდა. ერთხანს იქ, იმ სოფელში დაბანაკებულა და თეთრკანიანთა გარნიზონის ოფიცერთან უსაუბრია. მერე ამავე სოფელში მიუკითხებია კაციჭამიების აქლემების ქარავანს. ამის შემდეგ რა მოხდა, აღარავინ იცოდა.

ამ ამბავში რომ იყვნენ, უცბად დეპეშა მოვიდა, მათიუშ მეფე ცოცხალია და გემით მოემგზავრებაო.

– ყველაფერში ბედი სწყალობს! – შურს ვერ მაღავენენ უცხოელი მეფეები.

– ბედნიერი ვარო, მაგან უნდა თქვას, – ამბობდნენ მინისტრები და გულდანძიმებულები ოხრავდნენ: ომიდან რომ დაბრუნდა, ძლივს ვუძლებდით, კაციჭამიების ქვეყნიდან რომ დაბრუნდება, ალბათ, უფრო უარესი დღე დაგვადგებაო.

– ომიდან რომ დაბრუნდა, ყველანი საპატიმროში ჩავსვსა, ახლა ვინ იცის, იქ რა ჭკუაზე დადგა, იქნება შეგვჭამოს კიდევცო.

მათიუში კი დიდად ნასიამოვნები ბრუნდებოდა მოგზაურობიდან. მზე მოჰკიდებოდა, გაზრდილიყო და სანაქებო მადაზედაც გახლდათ. რა თქმა უნდა, არ იცოდა, მის ჩამოსვლამდე მინისტრები რას ლაპარაკობდნენ, ჰოდა, იფიქრა, მოდი, გავეხუმრებო. სამეფო საბჭო რომ შეიკრიბა, მინისტრებს ჰკითხა:

– რკინიგზები შეაკეთეთ?

– შევაკეთეთ, – უპასუხა გზათა მინისტრმა.

– კარგია. შეკეთებული რომ არ დამხვედროდა, თქვენს თავს უსათუოდ ნიანგის საწებელში მოვახარშინებდი. ახალი ფაბრიკები თუ ააშენეთ?

– ბევრი ავაშენეთ. – მიუგო მრეწველობის მინისტრმა.

– კარგია, რომ ავიშენებიათ, თორემ თქვენგან ბანანით შეზავებულ შემწვარ-მოსრაკულს მოვამზადებინებდი.

მინისტრები დამფრთხალები, ელდანაცემები მისჩერებოდნენ. მათიუშს ხარხარი აუტყდა.

– ბატონებო, ჩემი ნუ გეშინიათ, – დაამშვიდა შიშნაჭამები. – არც მე დაფხვეულვარ კაცის ჭამას და იმედი მაქვს, ჩემს მეგობარსაც ხელს ავაღებინებ ამ ველურ ჩვეულებაზე.

ბოლოს მათიუშმა თავისი თავგადასავალი უამბო. მინისტრები, ალბათ, არ დაუჯერებდნენ, იფიქრებდნენ, ყველაფერს იგონებსო, მაგრამ მათიუშმა თან ჩამოიტანა მთელი ერთი მატარებელი ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვალი. ხოლო მეფე ბუმ-დრუმის გამოგზავნილი შესანიშნავი სიგარები და უგემრიელესი აფრიკული ღვინოები რომ მიიღეს საჩუქრად, მინისტრებს შუბლი გაეხსნათ და ისეთ კარგ გუნებაზე დადგნენ, თქვენი მოწონებული.

ამის შემდეგ სახელდახელოდ წაიკითხეს მანიფესტი, რომლითაც მათიუში ხალხს მოუწოდებდა, ხელი მოეკიდათ სახელმწიფოს მართვისათვის. ამიერიდან გაზეთებში ყოველთვის ეწერება, რის გაკეთება სწადიათ მინისტრებსა და მეფეს.

ხალხს კი შეუძლია, გაზეთში გამოაქვეყნოს ან სემინარზე თქვას თავისი აზრი, იწონებს მათ საქციელს თუ არაო.

– კარგი, ასე იყოს, – ბრძანა მათიუშმა. – ახლა ის ჩაიწერეთ, რაც ბავშვებისთვის მსურს გავაკეთო. მე უკვე მაქვს ფული და შემოდის ბავშვებს მივხედო. მაშ ასე, ყველა ბავშვს ზაფხულში ორ-ორი ბურთი მიეცემა, ზამთარში – თითო წყვილი ციგურები. ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ბავშვებს თითო კანფეტს და თითო შაქარმოყრილ ნამცხვარს დავურიგებთ. საქანელა და კარუსელი ყველა სკოლაში უნდა იყოს. ამას გარდა, წიგნსა და რეკულის მიედევლებს მაღაზიამ თითო ლამაზი ფერადი სურათი უნდა აჩუქოს ხოლმე. ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია, მე სხვა რეფორმების გატარებასაც ვაპირებ. ჯერჯერობით კი გთხოვთ, გამოიანგარიშოთ, რა თანხა დაჯდება ეს რეფორმები და რა დრო დასჭირდება განსახორციელებლად, ერთი კვირის შემდეგ პასუხი მომახსენეთ.

წარმოიდგინეთ, რა სიხარულის ჟივილ-ხივილი შეუდგებოდათ სკოლაში, ამ ამბავს რომ გაიგებდნენ!

ვინც წერა-კითხვა იცოდა, მათიუშს წერილებს სწერდა, სთხოვდა, ესა და ესეც მიმართა. ბავშვების წერილები მეფის კანცელარიაში ტომრებით მოჰქონდათ.

მდივანი ხსნიდა წერილებს, კითხულობდა და ყრიდა. მათიუშმა არ იცოდა, რომ ყველა სამეფო კარზე ასე ხდებოდა. ერთხელ მსახურს კალათით ქაღალდები მიჰქონდა სანაგვეზე გადასაყრელად. მათიუშმა თვალი შეასწრო და გაიფიქრა, იქნება რამე იშვიათი მარკაც ურევიაო. უკვე კარგა ხანია, მარკებს აგროვებდა, ერთი ალბომი სავსეც კი ჰქონდა. მსახურს ჰკითხა:

– ეს რა წერილები და ქაღალდები მიგაქვს?

– აბა მე რა ვიცი, – მიუგო მსახურმა.

მათიუშმა კალათში ჩაიხედა, კონვერტები დაათვალიერა და განცვიფრდა: თურმე მის სახელზე გამოგზავნილი წერილები ყოფილიყო. იმწამს უბრძანამ მსახურს, წერილები ჩემს ოთახში შეიტანეო, და მდივანი გამოიძახა.

– ბატონო მდივანო, ეს რა ქაღალდებია? – ჰკითხა მათიუშმა.

– თქვენი მეფური უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი უბრალო წერილები გახლავთ.

– და თქვენ უბრძანეთ, რომ გადაეყარათ?

– ყოველთვის ასე ვიქცეოდით.

– ძალიან ცუდად მოქცეულხართ! – აენტო მათიუში. – რაკი წერილები ჩემს სახელზეა გამოგზავნილი, მაშ, ცოდნითაც, მარტო მე მეცოდინება, უბრალოა თუ ბრალიანი. გთხოვთ, ამიერიდან ჩემი წერილები პირდაპირ მე შემომიგზავნოთ.

გადაყვრი თუ არ გადაყვრი, ჩემი ნება იქნება.

– თქვენო უდიდებულესობავ, მეფეები ისედაც უამრავ წერილს დებულობენ და, ხალხმა რომ გაიგოს, ჩვენს წერილებს თვით მეფე კითხულობსო, იმდენი მოზღვაგდება, ვერა კაცი იმას ვერ მოერევა. ათი კაცი ახლაც ამ საქმეზეა დაყენებული. სხვას არაფერს აკეთებენ, მარტო კითხულობენ და არჩევენ, რომელი წერილია საყურადღებო.

– რომელი წერილია საყურადღებო? – ეკითხება მათიუში.

– საყურადღებოა უცხოელი მეფეების, სხვადასხვა მეფაბრიკებისა და დიდი მწერლების წერილები.

– უბრალო წერილები რომელია?

– თქვენს მეფურ უდიდებულესობას ყველაზე ხშირად ბავშვები სწერენ. ვისაც რა მოეპრიანება, დაჯდება და წერს. ზიგიერთი ისე ჯღაბნის, კაცი ვერ გაიგებს, შიგ რა წერია.

– მაშ კარგი, რაკი თქვენ გიჭირთ ბავშვების წერულების კითხვა, მე წავიკითხავ, ის ათი კაცი კი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეთ. ისე კი, რომ

იცოდეთ, მეც ბავშვი ვარ, მაგრამ სამი დიდი მეფე დავამარცხე ბრძოლაში და ისეთ ადგილებშიც ვიმოგზაურე, სადაც ვერავინ ბედავს ფეხის გადადგმას.

მეფის მდივანმა ხმა არ ამოიღო, თაყვანი სცა და ოთახიდან გავიდა. მათიუში წერილებს ჩაუჯდა.

მათიუშ მეფეს ისეთი ხასიათი ჰქონდა, თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, მთელი სულითა და გულით უნდა ეკეთებინა.

საათი სააღს მისდევდა, მათიუში კი იჯდა და თავაულებლად კითხულობდა.

ცერემონმაისტერი რამდენჯერმე შეიხედა მეფის კაბინეტში კარის ჭუჭრუტანიდან, ნეტავ რას აკეთებს, რატომ სადილად არ გამობრძანდებაო, მაგრამ ქაღალდებში თაყნარგულს რომ დაინახავდა, შიშით კარის შეღებასაც ვერ ბედავდა.

მათიუში ძალიან მალე დარწმუნდა, რომ ამდენ წერილს მარტოკა ვერ აუვიდოდა. ძოგი ძალიან გაუგებრად იყო დაწერილი. ასეთ წერილებს მათიუში ხელად განზე გადადებდა ხოლმე. ზოგჯერ კი ღამაზად, სასიამოვნოდ და ჭკვიანურად დაწერილი წერილიც ხვდებოდა. ერთი ბიჭი სწერდა, ციგურებს რომ მივიღებ, ამასა და ამას ვიზამო. მეორე ბიჭი თავის სიზმარს უყვებოდა. მესამე იწერებოდა, გადასარევი მტრელები და ბაჭიები მყავს, ორი მტრედი და ერთი ბაჭია მინდა გაჩუქო, მაგრამ არ ვიცი როგორ მოვახერხო.. ერთ გოგონას პაწაწინა ლექსი დაეწერა მათიუშზე და თავის დახატულ სურათთან ერთად გამოეგზავნა. მეორე გოგონა თავის თოჯინაზე სწერდა, ძალიან გაუხარდა, რომ სულ მალე პატარა დაიკო ეყოლებაო. ბევრ წერილში ნახატები იღო. ერთმა ბიჭმა მთელი ალბომი გამოუგზავნა საჩუქრად. ალბომზე ეწერა: “ მეფე მათიუში კაციჭამიების ქვეყანაში!” ნახატები სინამდვილეს დიდად არ მიემსგავსებოდა, მაგრამ ძალიან ღამაზები იყო და მათიუში სიამოვნებით ათვალიერებდა.

ბავშვების უმრავლესობა კი წერილებში ათას რამეს სთხოვდა. ერთი ეხვეწებოდა, პონი გამომიგზავნეო, მეორეს ველოსიპედი უნდოდა, მესამეს – პოტოპარატი. მეოთხე ეკითხებოდა, არ შეიძლება, პატარა ბურთის ნაცვლად ფეხბურთის სათამაშო ტყავის ბურთები დაგვირიგოო? ერთი გოგონა სწერდა, დედა ავად მყავს, ჩვენ კი ძალიან ღარიბები ვართ და წამლებს ვერ ვყიდულობთო. ვიღაც ბიჭი იწერებოდა, ფეხსაცმელი არა მაქვს და სკოლაში ვერ დავდივარო. წერილში ნიშნების ფურცელიც ჩაედო, რომ მათიუშს ვერ გაეგო, როგორ სწავლობდა.

მათიუშმა ომის დროს კარგად გაიგო ფეხსაცმლის ყადრი და ახლა გაიფიქრა, ხო მარ აჯობებდა, ბავშვებისთვის თოჯინებისა და ბურთების მაგივრად ფეხსაცმელი დაგვერიგებინაო.

დიდხანს კითხულობდა წერილებს. შიმშილმა რომ შეაწუხა, დარეკა და მსახურს უბრძანა, ვახშამი კაბინეტში მომართვი, სასწრაფო საქმე მაქვს, დრო არ მყოფნისო.

თითქმის შუადამემდე კითხულობდა. ცერემონმაისტერი ისევ წამდაუწუმ შეიხედავდა ხოლმე ჭუჭრუტანაში, რატომ დასაძინებლად არ გამობრძანდებაო. მასაც და სხვა მსახურებსაც თვალები ებლიტებოდათ ძილისაგან, მაგრამ მეფეზე ადრე ხომ ვერ დაიძინებდნენ!

თხოვნის წერილებს მათიუში ცალკე აგროვებდა. აბა რა ვქნაო, – ფიქრობდა, – იმ გოგონას ავადმყოფ დედას უწამლოდ ხომ ვერ დავტოვებ! იმ ფეხშიშველა ბეჯით მოსწავლესაც ფეხსაცმელი ხომ უნდა გავუგზავნო!

მათიუშს თვალები ასტივდა ამდენი კითხვით. გაურკვეველად დაწერილ წერილებს უკვე წაუკითხავად აწყობდა გვერდზე. კაცმა რომ სიმართლე თქვას, კარგად არ იქცეოდა. სულ ცოტა ხნის წინათ თვითონაც ბატიფეხურად წერდა, მაგრამ სახელმწიფო მნიშვნელობის ქაღალდებს კი აწერდა ხელს. ვინ იცის, იქნება ამ ბავშვებს დიდი საქმეც ჰქონდათ მათიუშთან! რა ექნათ, ისე წერდნენ,

როგორც შეეძლოთ. იმათი ბრალი ხომ არ იყო, რომ ჯერ კარგი წერა არ იცოდნენ.

“კანცელარიის მოსამსახურეებს ვუბრძანებ, სუფთად გადამიწერონ გაურკვეველად დაწერილი წერილები”, – გაიფიქრა მათიუშმა.

მაგრამ, რამდენიმე საათი რომ გავიდა და მაგიდაზე ერთი ორასი წერილი კიდევ იდო, საბოლოოდ დარწმუნდა, ამდენ წერილს ვერ მოერეოდა.

“ხვალ, მე მგონი, დავამთავრებ”, – გაიფიქრა და საძინებელ ოთახში ფრიად დამძიმებული გავიდა.

მათიუშს კარგად ესმოდა, რომ წერილების საქმე ცუდად ჰქონდა. ყოველდღე თუ ამდენი წერილი წაიკითხა, სხვა აღარაფრისთვის დარჩება დრო! არადა, სანაგვეზე გადაყრა საშინელი ღორობაა. მაინც, რატომ მოდის ამდენი წერილი?

მეორე დღეს მათიუშში სისხამ დილით ადგა, მარტო ერთი ჭიქა რძე მიირთვა და მაშინვე კაბინეტისკენ გაეშურა.

იმ დღისით გაკვეთილები არ ჰქონდა, ამიტომ წერილებს შუალამემდე კითხულობდა და ისე დაიღალა, თითქოს სამხედრო ლაშქრობაში ყოფილიყოს ან უღაბნოში ემოგზაუროს. მოშიებული მათიუშში უკვე სადილზე ფიქრობდა, რომ ამ დროს კაბინეტში სახელმწიფო მდივანი შემოვიდა. მას ოთხი კაცი შემოჰყვა.

– თქვენი მეფური უდიდებულესობისთვის დღევანდელი კორესპონდენციაა, – მოახსენა მდივანმა.

მათიუშს მოეჩვენა, რომ მდივანმა ამ სიტყვებზე ჩაიციინა. აბა თუ ჩაიციინაო, ისე გაცეცხლდა, იატაკს ფეხი დაჰკრა და იყვირა:

– ეს რა ამბავია, ასი კაციჭამიასი და ნიანგების კერძებო! ჩემი დაბრძავება ხომ არ გინდათ?! ერთ ტომარა წერილს ვერც ერთი მეფე ვერ წაიკითხავს! როგორ ბედავთ მეფის გამასხარავებას? ყველას ციხეში ჩაგყრიო!

რაც უფრო მეტს ყვიროდა, მით უფრო კარგად ესმოდა, რომ არ იყო მართალი, მაგრამ რა ექნა, არ უნდოდა, ფარხმალი დაეყარა.

– თქვენი მოსამსახურებო მუქთახორები არიან, თითის განძრევაც არ უნდათ, წერილების სანაგვეზე გადაყრა ემარჯვებათ მხოლოდ, ან არადა, ჩემთან შემორბენინება.

საბედნიეროდ, ამ დროს უფროსი მინისტრი შემოვიდა კაბინეტში და მოსამსახურეებს უბრძანა, წერილების ტომარა გაეტანათ. მდივანს კი მეორე ოთახში უნდა მოეცადა, ვიდრე უფროსი მინისტრი მეფეს კორესპონდენციების თაობაზე მოეთათბირებოდა.

– ბატონო უფროსო მინისტრო, მე ვერ მივცემ იმის ნებას, რომ ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილები დაუკითხავად გადაყარონ სანაგვეზე. ნუთუ არ უნდა ვიცოდე, რა უჭირთ ჩემი ქვეყნის ბავშვებს? მაშ იხ კარგია, რომ ბიჭს ფეხსაცმელი არა აქვს და სკოლაში ვერ დადის? ეს უსამართლობაა. მე განცვიფრებული ვარ იუსტიციის მინისტრის საქციელით, როგორ ეგუება ამ ამბავს? მართალია, ჩემი მეგობარი მეფე ბუმ-დრუმიც ფეხშიშველი დადის, მაგრამ იმათთან ცხელი ჰავაა, თანაც ისინი ველურები არიან.

დიდხანს თათბირობდნენ მათიუშ მეფე და უფროსი მინისტრი. რამდენჯერმე მდივანიც გამოიძახეს, როგორც დიდი გამოცდილების კაცი; თურმე მთელი ოცი წლის განმავლობაში მათიუშის მამისა და პაპის წერილები სულ იმის ხელში გადიოდა.

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, თქვენი პაპა ყოველდღე ას წერილს ღებულობდა. მაშინ კარგი დრო იყო. მთელ სახელმწიფოში მხოლოდ ასე ათასმა კაცმა იცოდა წერა. მას შემდეგ, რაც მეფე შტეფან ბრძენმა სკოლები გახსნა, ორმა მილიონმა კაცმა ისწავლა წერა და ყოველდღე უკვე ექვსასიდან ათასამდე წერილი მოდიოდა. ამდენ წერილს მარტოკა ვეღარ ვერეოდი და ხუთი

თანაშემწე ავიყვანე. ხოლო მას შემდეგ, რაც დიდად მოწყალე მათიუმ მეფემ სახანძრო რაზმის კაპიტნის გოგონას თოჯინა აჩუქა, წერილებს ბავშვებიც წერენ და გზავნიან. ყოველდღიურად ხუთი ათასიდან ათი ათასამდე წერილს ვღებულობთ. ყველაზე ბევრი წერილი ორშაბათობით მოდის. კვირობით ბავშვები სკოლაში არ დადიან, დრო ბევრი აქვთ, თანაც ძალიან უყვართ მეფე, პოდა, სხედან და სწერენ წერილებს. ამდენ წერილს ვეღარ ერევა ჩემი ხალხი. მინდოდა, თქვენი უდიდებულესობისთვის მეთხოვა, კიდევ ხუთი კაცი მოგეცათ ჩვენთვის, მაგრამ...

– ვიცი, ვიცი, – გააწყვეტინა მათიუმმა. – მერე, რა ყრია ამ კითხვაში, თუ წერილებს სანაგვეზე გადაუძახებთ?

– წერილები აუცილებლად უნდა იკითხებოდეს, იმიტომ რომ, ყველა წერილი ინომრება, შემდეგ ეს ნომერი იწერება ერთ დიდ სპეციალურ წიგნში. ამ წიგნშივე იწერება, ვინ რას წერს წერილში.

მათიუმს უნდოდა გაეგო, მრთაღს ამბობდა მდივანი თუ არა, და ჰკითხა:

– გუშინდელ წერილებში, მსახურს გადასაყრელად რომ მიჰქონდა, ვინმე ფეხსაცმელს ხომ არ თხოულობდა?

– არ მახსოვს, მაგრამ შეიძლება გაგიგოთ.

ორმა მოსამსახურემ ერთი დიდი წიგნი შემოიტანა. შიგ, მართლაც, 47.000.000.000. ნომერზე ეწერა სახელი, გვარი და მისამართი იმ ბიჭისა. წერილის შინაარსის გრაფიკში კი ჩაწერილი იყო: ბიჭი თხოულობს ფეხსაცმელს, რომ სკოლაში იაროს.

– ოცი წელიწადია აქ ვმსახურობ და ჩემს კანცელარიაში ყოველთვის ყველაფერი წესიერად კეთდებოდა.

მათიუმში სამართლიანი მეფე იყო, მდივანს ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– გულითად მადლობას გიძღვნი.

ამ თათბირზე გადაწყდა, რომ წერილებს ისევ მოსამსახურეები წაიკითხავდნენ, როგორც აქამდე კითხულობდნენ. ყველაზე საყურადღებო წერილებს მათიუმისთვის გადაარჩევდნენ, მაგრამ ას წერილზე მეტი არ უნდა გადაერჩიათ. რომელ წერილებშიც რამე თხოვნა ეწერა, იმ წერილებს ცალკე წაიკითხავდნენ. ორი მოსამსახურე კი შეამოწმებდა, მართალი ეწერა შიგ თუ არა.

– ეს ბიჭი იწერება, ფეხსაცმელი ძალიან მჭირდებაო. და ვიცით, იქნებ ტყუის. ვაითუ მეფემ ფეხსაცმელი გაუზზავნოს, იმან კი გაყიდოს და რაღაც სულელური ხარახურა იყიდოს?!

მათიუმმა გულწრფელად აღიარა, გონივრული მოსაზრებააო. მაშინვე გაახსენდა, ომის დროს იმათ რაზმში ერთი ჯარისკაცი ჩექმებს რომ ყიდდა, არაყს ყიდულობდა, მერე კი ისევ იხვეწებოდა, ჩექმები მომეცით, ისინი უკვე დამიცვდაო.

ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანებს ვერ ენდობი, მაგრამ რას იზამ!

– შეიძლება ასე მოვიქცეთ: მოსამსახურეები რომ დარწმუნდებიან, მთხოვნელი მართაღს იწერებაო, სამეფო კანცელარია იმ ბავშვს სასახლეში მოიყვანს და თქვენი უდიდებულესობა აუდენციაზე პირადად გადასცემს იმას, რასაც ბავშვი თხოულობს.

‘ეს კარგი აზრია, – გაიფიქრა მათიუმმა, – მე მინდა, აუდენციაზე მარტო ელჩები და მინისტრები კი არა, ბავშვებიც მივიღო’

ამრიგად, მათიუმმა ახლა უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა მას, როგორც ბავშვების მეფეს. დილით თორმეტი საათამდე გაკვეთილები იქნებოდა. თორმეტი საათზე – სამეფო საუზმე. შემდეგ – ერთსაათიანი აუდიენცია ელჩებისა და მინისტრებისათვის. ამის შემდეგ, სადილობამდე, წერილებს წაიკითხავდა. ნასადილევს ბავშვებისთვის მოაწყობდა აუდიენციას, შემდეგ მინისტრებთან

ითათბირებდა ვახშობამდე. ნავახშმევს უკვე ძილის დროც დაუდგებოდა და დაიძინებდა.

გეგმა რომ შეადგინა, გული სევდით ავესო: ერთი საათი რა არის, ერთი საათიც არ დარჩა სათამაშოდ! მაგრამ რას იზამდა! მერე რა, რომ პატარა იყო, მაინც მეფე ეთქმოდა, მეფე კი თავის თავზე კი არა, სხვებზე უნდა ზრუნავდეს.

“მე ხომ სამოგზაუროდ ვიყავი! რამდენი საინტერესო რამე ვნახე: მთელი თვე ზღვაზე გავატარე, კაციჭამიების ქვეყანა მოვიარე. ახლა არაფერი დაშავდება, რომ გართობის ნაცვლად სამეფო საქმეს მოგკიდო ხელი”, – თქვა და კიდევ შეასრულა.

დიდდილობით მუყაითად სწავლობდა, შემდეგ წერილებს უკითხავდნენ. მოსამსახურე ძალიან სწრაფად კითხულობდა წერილებს. მათიუშს დიდხანს ერთ ადგილზე ჯდომა უჭირდა, ადგებოდა, შემოიწყობდა ზურგზე ხელებს, კაბინეტში ბოლთას სცემდა და ისე უსმენდა. ექიმმა ურჩია, კარგი ამინდი როცაა და თბილა, სამეფო ბაღში წაიკითხო წერილები. მართლაც ასე იქცეოდნენ და ბაღში კითხვა ძალიან დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა.

უდიენციებს აუარება ხალხი ესწრებოდა, ხან უცხოეთის ელჩები მოდიოდნენ და ეკითხებოდნენ, როდის მოიწვევთ პირველ პარლამენტს, რომ ჩამოვიდეთ და ვნახოთ, ხალხი ქვეყნის მართვას როგორ დაიწყებსო. ხან მინისტრები და მეფაბრიკეები მოდიოდნენ და ეუბნებოდნენ, საქანელებისა და კარუსელების საქმეს გვინდა მოგკიდოთ ხელი და რას ინებებთ, როგორ გავაკეთოთო. ზოგჯერ ველური ტომებიდან მოდიოდა ხალხი, რომ მათიუშისათვის მოესხნებინათ, ჩვენს მეფეებს შენთან მეგობრობა სწადიათო. თუ მათიუშ მეფე ბუმ-დრუმთან მეგობრობს, კაციჭამიების მეფესთან, ალბათ, არც ჩვენ აგვიგდებას აბუჩად. ველურები კი ვართ, მაგრამ ადამიანების ჭამაზე ხელი ავიდეთო.

– უკვე ოცდაათი წელიწადია, ჩვენთან ადამიანებს აღარ ჭამენ, – ამბობდა ერთი ველური.

– ჩვენთან საბოლოოდ ამ ორმოცი წლის წინათ შეჭამეს ადამიანი. ესეც გამონაკლისი შემთხვევა იყო. ერთი ზარმაცი და უმაქნისი ვინმე გახლდათ, იმისგან მაინც სახირო არაფერი გამოდნებოდა. ხოდა, მეხუთედ რომ ასამართლებდნენ უქნარობისთვის, ისე იყო ჩასუქებული, ერთხმად მიუსაჯეს შეჭმა.

მათიუშ მეფე ახლა უკვე ძალიან ფრთხილობდა, თავისით არავის არაფერს ჰპირდებოდა. ველურების თხოვნა მოსამსახურეს სიტყვასიტყვით ჩააწერინა, მათ კი უთხრა, საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა მოვეთათბირო, საერთოდ, ყველაფერი მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამოირკვევა და პასუხს ერთი კვირის შემდეგ მიიღებთო.

ბავშვთა აუდიენცია ყოველთვის ძალიან ხალისიანი იყო. სეფედარბაზში რიგრიგობით უშვებდნენ გოგო-ბიჭებს და მათიუში პირადად გადასცემდა ხოლმე საჩუქარს. ყველა ბავშვს თავისი ნომერი ჰქონდა. იგივე ნომერი ეწერა მისთვის განკუთვნილ საჩუქარზე. ისე რომ, სანიმუშო წესრიგი იყო დამყარებული და ყველა კმაყოფილი გამოდიოდა დარბაზიდან.

ერთმა ბავშვმა თბილი პალტო მიიღო, – მეორემ – სახელმძღვანელო წიგნები. გოგონების უმრავლესობა სავარცხელსა და კბილის ჯაგრისს თხოულობდა. ვისაც ხატვა ემარჯვებოდა, საღებავები მისცეს. ერთი ბიჭი ვიოლინოს თხოულობდა; დიდი ხანია ტუჩის გარმონს ვუკრავ და მომბეზრდაო. ამ ბიჭის რიგი რომ დადგა და სეფედარბაზში შეუშვეს, იქაც დაუკრა ის თავისი ტუჩის გარმონი. მათიუშმა ლამაზ ფუტლიარში ჩადებული ახალი ვიოლინო აჩუქა. ბიჭი სიხარულით ცას ეწია.

ზოგჯერ რომელიმე ბავშვი აუდიენციაზე ისეთ რამესაც თხოულობდა, რასაც წერილში არ წერდა. ამ ბავშვებზე მათიუშს გული მოსდიოდა.

ერთ გოგონას მათიუშმა ახალი კაბა აჩუქა დეიდის ქორწილში წასასვლელად. ამ გოგონამ არც აიღო, არც დაიღო, მათიუშს სთხოვა, იმოდენა თოჯინა მანუქეცას სწვდებოდესო.

– შენ ჩერჩეტი გოგო ხარ, – უთხრა მათიუშმა, – იცოდე, თუ ბევრს მონდომებ, კაბასაც დაკარგავ.

მათიუში უკვე საკმაოდ გამოცდილი მეფე გახლდათ და მისი გასულელება ისე ადვილი აღარ იყო, როგორც უწინ.

ერთხელ, წირვის შემდეგ გამართულ აუდიენციაზე, მათიუშს რაღაც უცხო ხმაური შემოესმა მისაღები ოთახიდან. თავდაპირველად არ გაჰკვირვებია. ბავშვები უკვე შეჩვეულები იყვნენ აუდიენციაზე მიღებას და მოსაცდელში მაინცდამაინც წყნარად არ ისხდნენ ხოლმე. მაგრამ ეს ხმაური განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ხმაურისაგან. თითქოს ვიღაცეები ჩხუბობენო. მათიუშმა მსახური გაგზავნა, გამიგე, რა მოხდაო. მსახურმა მოახსენა, ვიღაცა კაცი გაჯიუტდა, გინდათ თუ არა, მეფესთან შემოვიტოო. მათიუშს ძალიან მოუნდა გაეგო, ვინ იყო ის კაცი და რატომ მოითხოვდა მეფესთან შესვლას. მსახურს უბრძანა, დარბაზში შემოეყვანა.

შემოვიდა იღლიაში პორტფელამოხრილი გრძელთმიანი ახალგაზრდა კაცი და არც კი მისაღმებია, მაშინვე ხმამაღლა დაიწყო:

– თქვენო მეფურთ უდიდებულესობავ, მე ჟურნალისტი გახლავართ. ესე იგი, გაზეთში ვწერ. მთელი ერთი თვე იქნება, აუდიენციაზე მოხვედრას ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამომივიდა, არ მიშვებენ, ხვალ მოდიო, მეუბნებიან. ხვალ” რომ მოვალ, ისევ იმას მეუბნებიან, მეფე გადაღლილია და ხვალ მოდიო. დღეს ვიფიქრე, მსახურებს მოვატყუებ, ვეტყვი, რომ ერთ-ერთი ბავშვის მამა ვარ-მეთქი. მეგონა, ასე მაინც მოვახერხებდი შემოსვლას, მაგრამ მსახურმა მიცნო, თავი მოიკლა და არ შემომიშვა. არადა, ძალიან დიდი საქმე მაქვს. საქმე კი არა, საქმეები. დარწმუნებული ვარ, თქვენი უდიდებულესობა ყურს მომაპყრობს.

– კარგი, ცოტა ხანს მოიცადეთ, ვიდრე ბავშვებს გავისტუმრებდე. ახლა იმათი მიღების საათებია, შემდეგ კი თქვენ მოგისმენთ, – უთხრა მათიუშმა.

– თქვენი უდიდებულესობა თუ ნებას მიბოძებს, სეფე-დარბაზში დავრჩები, ხელს არ შევიშლით. ხვალ კი გაზეთში გამოვაქვეყნებ, როგორ მიმდინარეობს აუდიენცია მეფესთან. გაზეთის მკითხველს ასეთი ამბების გაგება ძალიან უყვართ.

მათიუშმა ბრძანა, ჟურნალისტისთვის სკამი დაედგათ. ჟურნალისტიც მთელი აუდიენციის განმავლობაში სულ რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში.

– ნება იბოძეთ და მომახსენეთ, რა გნებავთ, გისმენთ, – მიუბრუნდა მათიუში, როცა ბოლოს შემოსული ბიჭიც გავიდა სეფე-დარბაზიდან.

– მეფეო, – დაიწყო ჟურნალისტმა, – დიდ დროს არ წაგართმევთ, მოკლედ მოგახსენებთ.

თქმით კი ასე თქვა, მაგრამ ლაპარაკით ძალიან დიდხანს და ჭკვიანურად ლაპარაკობდა. მათიუში გულისყურით უსმენდა. ბოლოს გააწყვეტინა.

– როგორც ვატყობ, თქვენ მართლაც დიდი საქმე გქონიათ. გთხოვთ, ვახშამზე დამეწვიოთ. შემდეგ ჩემს კაბინეტში გავალთ და იქ დაამთავრებთ.

ჟურნალისტი ღამის თერთმეტ საათამდე ლაპარაკობდა. მათიუში კი ზურგზე ხელებშემოწყობილი ბოლთას სცემდა კაბინეტში და ყურს უგდებდა. პირველად ხედავდა კაცს, რომელიც გაზეთში წერილებს წერდა. ბოლოს თავის თავს გამოუტყდა, რომ, მართალია, ჟურნალისტი ბავშვი არ იყო, მაგრამ ჭკვიანი კაცი გახლდათ და სრულებით არ ჰგავდა მის მინისტრებს.

– თქვენ მხოლოდ წერთ თუ ხატავთ კიდევ?

– არა, ყველა გაზეთის რედაქციაში ასეა: ზოგი წერს, ზოგი ხატავს. თქვენო უდიდებულესობავ, თუ მოისურვებთ და გაზეთში გვეწვევით, ბედნიერად ჩავთვლით თავს.

მათიუში სასახლიდან იმდენ ხანს არ გასულა გარეთ, რომ, მოწვევაზე უარი არ უთქვამს, მეორე დღესვე წაბრძანდა რედაქციაში.

გაზეთის რედაქციის შენობა მათიუშის პატივსაცემად დროშებით, ხალიჩებითა და ყვავილებით მოერთოთ. პირველ სართულზე უზარმაზარი მანქანები იდგა, რაზედაც გაზეთებს ბეჭდავდნენ. მეორეზე კანტორა იყო. იქედან გაზეთებს ფოსტაში გზავნიდნენ და ყიდდნენ. ცალკე მოეთავსებინათ განცხადებების მიმღები და ფასის გადამხდევინებელი მაღაზია. მის მაღლა უკვე რედაქცია გახლდათ. ყველა მაგიდასთან ვიღაც იჯდა და რაღაცას წერდა. იმათ დაწერილს უმაღვე ბეჭდავდნენ ქვემო სართულზე. რედაქციაში ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოდიოდა დეპეშები, განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი, ზემოთ-ქვემოთ დაქროდნენ გათხუპნილ-ამოგანგლული ბიჭები, დაწერილ ქაღალდებს სტამბაში მიაბრუნებდნენ. ზოგან წერდნენ, ზოგან ხატავდნენ, ზოგან მანქანები გუგუნებდნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც ომში ხდება, შეტევის დროს. მათიუშს ვერცხლის ლანგრით მიაბრუნეს ახალი გაზეთი. შიგ მისი სურათი იყო დაბეჭდილი. სურათში მათიუში აუდიენციაზე იღებდა ბავშვებს. გარდა ამისა, გაზეთში სიტყვა-სიტყვით დაეწერათ ბავშვებისა და მათიუშის საუბარი.

მათიუშმა ორი საათი გაატარა რედაქციაში და აღტაცებული დარჩა. განსაკუთრებით ის მოეწონა, რომ საქმე ელვის სისწრაფით კეთდებოდა. ახლა უკვე აღარ უკვირდა, რატომ ეწერა გაზეთში ყველაფერი: სად რა ხანძარი გაჩნდა, სად რა ქურდობა მოხდა, რა უბედურება დატრიალდა ან რას აკეთებენ მთელი ქვეყნიერების მეფეები და მინისტრები.

ჟურნალისტი მართალი ყოფილა, გაზეთებმა თურმე ყველაფერი იციან. საოცრად ხელად აღწერეს, რას აკეთებდა მათიუში, უფსოეთის მეფეებთან რომ იყო სტუმრად. ამას წინათაც ძალიან მარჯვედ გაიგეს, მათიუში კაციჭამიების ქვეყნიდან ბრუნდებო, და უმაღვე გამოაქვეყნეს.

– მაშ ის რატომ აღარ იცოდით, მე რომ ფრონტზე გავიპარე და ჩემ მაგივრად აქ ფაიფურის თოჯინა ჰყავდათ?

– ო, მშვენივრად ვიცოდით, მაგრამ, რაც ვიცით, ყველაფერს კი არ ვწერთ! გაზეთში მხოლოდ ის იწერება, რაც საჭიროა, დანარჩენი ამბები ჩვენთვის ვიცით. არ შეიძლება, ხალხმა ყველაფერი გაიგოს. ყველაფერის გახშიანება არც საზღვარგარეთ ივარგებს.

იმ საღამოს მათიუში კიდევ დიდხანს ესაუბრა ჟურნალისტს.

მაშ ასე:

ეს ყველაფერი, რასაც მათიუში აკეთებს, რეფორმა არ არის და არც მათიუშია რეფორმატორი, მაგრამ შეიძლება ისე მოიქცეს, რომ რეფორმატორი გახდეს. თუ მას სურს, სახელმწიფოს მართავდეს ხალხი ორი სეიმი უნდა ჩამოაყალიბოს: ერთში უფროსები იქნებიან, მეორეში – ბავშვები. ბავშვებს უფლება უნდა ჰქონდეთ, მათაც აირჩიონ დეპუტატები და გულახდილად თქვან, რა ურჩევიათ: შოკოლადი, თოჯინები და ჯიბის დანები, თუ სხვა რამე. იქნება კანფეტი ურჩევნიათ, ან ფესხაცმელი! ან იქნება ფული უფრო უნდათ, რომ რაც გაუხარდებათ ის იყიდონ.

გარდა ამისა, დიდებისთვის გამოდის გაზეთები? ჰოდა, რაკი დიდებისთვის გამოდის, ბავშვებისთვისაც უნდა გამოდიოდეს ყოველდღიური გაზეთი. გაზეთი რომ ექნებათ, მეფეს ყოველთვის ხმას მიაწვდნენ, რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს, და მეფეც მარტო იმას აღარ გააკეთებს, რაც თვითონ მოეპრიანება. უგაზეთოდ მეფე ვერასოდეს ვერ გაიგებს, ვის რა სურს. გაზეთმა ყველაფერი იცის. იმისი არ იყოს, მაშინ შოკოლადი რომ დაურიგეს ბავშვებს. თურმე ყველას კი არ მიუღია! სოფლებში მოსამსახურეებს თვითონ შეუჭამიათ, ბავშვებს კი არც სცოდნიათ, რომ მათთვის შოკოლადი უნდა დაერიგებინათ. თავისი გაზეთი რომ ჰქონდათ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეცოდინებოდათ.

მათიუშისთვის ეს ამბავი ისე ნათელი იყო, ეგონა, დიდი ხანია, მეც ამას ვფიქრობდიო. ოთხი საღამო გაატარა ჟურნალისტთან, ოთხ საღამოს ეთათბირა, ყველაფერი აწონ-დაწონა და პირველსავე მინისტრთა საბჭოს სხდომაზე სიტყვა მოითხოვა.

– ბატონო მინისტრებო! – დაიწყო მათიუშმა და, რაკი დიდხანს ლაპარაკს აპირებდა, წყალი მოსვა. – ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სახელმწიფოს მართავდეს ხალხი. ჩვენ გვინდა, რომ ხალხი ამბობდეს, რა უჭირს და რა ულხინს. მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, ბატონებო, რომ ‘ხალხში’ მარტო დიდები არ იგულისხმევა. ხალხში ბავშვებიც არიან. ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე მილიონი ბავშვი ცხოვრობს და სახელმწიფოს მართვაში ისინიც უნდა მონაწილეობდნენ. ამიტომ საჭიროა, ორი პარლამენტი არსებობდეს: – ერთი დიდებისათვის, სადაც დეპუტატები და მინისტრებიც ბავშვები უნდა იყვნენ. მე ვარ მეფე დიდთა და ბავშვთა, მაგრამ თუ დიდებს მეტისმეტად ვეპატარავები, ადგნენ და თავიანთთვის დიდი მეფე აირჩიონ, მე კი ბავშვების მეფედ დავრჩები.

მათიუშმა ოთხჯერ დალია წყალი და კარგა დიდხანს ილაპარაკა, მინისტრები მიხვდნენ, რომ აღარ ხუმრობდა; უკვე შოკოლადის, ციგურებისა და საქანელას ამბავი კი არ აღელვებდა, ამჯერად ძალიან სერიოზული რეფორმის გატარება ელო გუნებაში.

– ვიცი, რომ ძნელია. ყველა რეფორმის გატარება ძნელია, მაგრამ, მაინც უნდა დაიწყოთ. თუ ყველაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი, ჩემი შვილი და შვილიშვილი დაამთავრებენ. – ასე დაასრულა მათიუშმა თავისი სიტყვა.

მინისტრებმა თავი ჩაქინდრეს. ასე დიდხანს და ჭკვიანურად მათიუშს ჯერ არ ულაპარაკია. სწორედ რომ მართალი თქვა: ბავშვებიც ადამიანები არიან. ჰოდა, რაკი ადამიანები არიან, მაშ, სახელმწიფოს მართვის უფლება იმათაც აქვთ. მაგრამ როგორ უნდა მართონ? ძალიან თავქერქეტები რომ არიან? შეძლებენ?

მინისტრები დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ: ვერც ხმამაღლა ეთქვათ, ბავშვები თავქერქეტები არიანო, რადგან მათიუშიც ბავშვი იყო, არადა, არც გაჩუმება ივარგებდა. ბოლოს იფიქრეს, ‘ცდა ბედის მონახევრეაო’, და მათიუშს უთხრეს: ბავშვებისთვის გახეთის დაარსება შეიძლება, თქვენმა უდიდებულესობამ საკმარისი რაოდენობის ჩამოიტანა, ისე რომ, ფული არის, მაგრამ წერილებს ვინ დაწერს, გახეთში ვინ იმუშავებს?

– ჟურნალისტი უკვე მყავს. მინისტრი ფელეკი იქნება.

მათიუშს გულით ეწადა, ფელეკი დაერწმუნებინა, რომ მის მეგობრობაზე ხელი არ აუღია. აბა, რა ექნა, ფელეკი წამდაუწუმ ეუბნებოდა:

– ბატონო წყალობა – კარამდისო. ომში, ტყვიების, წვიმაში, ფელეკი იყო კარგი. მეჯლისებზე, თეტრში და ზღვაზე გასართობად სტასეკი და ელენკა სჯობია. მაგრამ კაციჭამიების ქვეყანაშიც ისევ ფელეკი გაემგზავრა. იქ წასვლა ხომ საშიში იყო, სტასეკსა და ელენკას თავიანთი დედიკო როგორ გაუშვებდა! რას ვიზამ, მამაჩემი კაპიტანი არ არის, მე უბრალო ოცმეთაურის შვილი გახლავარ. ვინ იცის, იქნებ კიდევ რაიმე ხიფათს წააწყდებ, მაშინ ისევ ფელეკი დაგჭირდება.

ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ქედმაღლობასა და უმადურობას გწამებენ. მაგრამ ახლა მათიუშს საშუალება მიეცა, ფელეკი დაერწმუნებინა, მარტო ჭირში კი არ მახსოვარ, ლხინშიც გახსენებო. ესეც რომ არ იყოს, ფელეკი სულ ერთთავად ბავშვებში თამაშობდა, სულ ერთთავად ქალაქის ქუჩებს ურბენდა, ამხანაგებიანად, ჰოდა, თუ ეცოდინება, ისევ იმას ეცოდინება, ყველაზე მეტად რა სჭირდება ბავშვებს.

საბრალო მათიუში! როგორ უნდოდა, ნამდვილი მეფე ყოფილიყო! როგორ ოცნებობდა, თვითონ ემართა სახელმწიფო! როგორ სწყუროდა, ყველაფერი

გაეგო, ყველაფერს მიხვედრილიყო! და აუხდა საწადელი, აუსრულდა სურვილი, მაგრამ არ იცოდა, რამოდენა საზრუნავი, რამოდენა გულისტკივილი და ნაღველი დაატყდებოდა თავს.

მათიუშის სახელმწიფოს საშინაო ცხოვრება ნანატრივით აეწყო: ტყეებში ბავშვთა დასასვენებელი სახლების მშენებლობა იყო გაჩაღებული. მშენებლებს, კალატოზებს, დურგლებსა და მეღუმეღეებს, სახურავის ოსტატებს, ზეინკლებსა და მეშუშეებს სამუშაო თავსაყრელი ჰქონდათ, კარგ გასამრჯელოსაც იღებდნენ და სიხარულით ევსებოდათ გული. ამუშავდა ხე-ტყის სახერხი, აგურისა და მინის ქარხნები, საგანგებოდ ააშენეს ციგურების ფაბრიკა, ააშენეს კანფეტისა და შოკოლადის ოთხი ახალი დიდი ფაბრიკაც. არეული ცხოველებისთვის გალიები და შესაფერისი ვაგონებიც მოამზადეს, რომ რკინიგზით ჩამოეყვანათ დედაქალაქში. ძალიან ძნელი იყო და ძვირიც დაუჯდათ. ვაგონების გაკეთება სპილოებისა და აქლემისათვის. შესაფერისი ვაგონი გაუკეთეს გრძელკისერა შირაფსაც. ქალაქგარეთ მეზღვეებმა ზოოლოგიური პარკი გააშენეს. წამოიჭიმა ორი დიდი შენობაც, სადაც ქვეყნის ყველა კუთხიდან მოიყრიან თავს დეპუტატები, რომ ითათბირონ, როგორ მართონ სახელმწიფო ან რა კანონები გამოცენ.

სეიმის ერთი შენობა დიდებისთვის აშენდა, მეორე – ბავშვებისთვის. ბავშვთა პარლამენტში ყველაფერი ისევე იყო მოწყობილი, როგორც დიდების პარლამენტში, ერთი ე სარის, კარებს სახელურები ცოტა დაბლა ჰქონდა მიმაგრებული, რომ ყველაზე პატარა დეპუტატსაც კი თვითონ გაეღო. სკამებიც დაბლები იდგა, ბავშვებმა ფეხები ჰაერში არ იქნიონო. ფანჯრებიც დაბლა დაეყენებინათ: როცა თათბირი მოსაწყენი იქნება, ბავშვებმა გარეთ გაიხედონო.

ყველანი გახარებულები იყვნენ: ხელოსნები და მუშები თავიანთ ბედს შენატროდნენ, რა კარგია, სამუშაო გვაქვსო. მეფაბრიკეები შემოსავალს შეჰხაროდნენ, ბავშვებს უხაროდათ, მეფე ჩვენზე ფიქრობს, ჩვენზე ზრუნავსო.

ან როგორ არ გაიხარებდნენ, როცა უკვე საკუთარი გაზეთიც კი ჰქონდათ და ვინც კითხვა იცოდა, ყველა კითხულობდა. წერიტაც, ვისაც რა უნდოდა, იმას წერდა გაზეთში. ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, თავგამოდებით სწავლობდა, რომ ისიც გაეგო, რა ხდებოდა, და თვითონაც დაეწერა წერილი.

მშობლები და მასწავლებლები სიხარულით აღარ იყვნენ, ბავშვები გაბეჯითდნენო. სკოლებში ცემა-ტყეპა და ჩხუბი იშვიათად იმართებოდა; ყველა ცდილობდა, ამხანაგებისთვის თავი შეეყვარებინათ, რომ დეპუტატად აერჩიათ.

მათიუში ახლა უკვე მარტო ჯარს კი არა, მთელ ხალხს უყვარდა. ყველანი განცვიფრებულები იყვნენ, ამ ერთი ბეწომ ასეთი კარგი მეფობა როდის ისწავლაო.

აბა რა იცოდა ხალხმა, რამდენი საზრუნავი ჰქონდა მათიუშს. ყველაზე ცუდი მაინც ის იყო, რომ უცხოეთის მეფეები თანდათან სულ უფრო მეტად სივდებოდნენ შურით.

– ვითომ რა სწადია? – ამბობდნენ დაბოღმილები. – ამდენი ხანია ვმეფობთ და იმას კი უნდა, რომ ახლავე პირველი მეფე გახდეს! სხვის ხარჯზე ხელგაშლილობა და გულკეთილობა ადვილია. ოქრო ბუმ-დრუმმა მისცა, იმას რა ენადვლება, როგორც სურს, ისე ხარჯავს. ან ის სად გაგონოლა, რომ თეთრკანიანი მეფე კაციჭამიებთან მეგობრობდეს?

ეს ამბავი მათიუშმა უკვე იცოდა თავისი ჯაშუშებისაგან. საგარეო საქმეთა მინისტრი აფრთხილებდა, შეიძლება ომი ატყდესო. მათიუშს სულაც არ სურდა ომი, არ უნდოდა, საქმეს მოსწყვეტოდა. აბა რა გამოვიდოდა? ხელოსნებს ისევე ჯარში უკრავდნენ თავს და სახლები დასამთავრებელი დარჩებოდა. მათიუშს კი სულითა და გულით სწადდა, ამ ზაფხულსვე გაეყვანა ბავშვები სოფლად, დასასვენებელ სახლებში, შემოდგომაზე კი ორივე სეიმი მოეწვია, დიდებისაც და ბავშვებისაც.

ზურგზე ხელებშემოწყობილი მათიუში ბოლთას სცემდა კაბინეტში და საგარეო საქმეთა მინისტრს ეკითხებოდა:

– როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ომი არ იყოს?

– როგორ და, უცხოეთის მეფეები ერთმანეთს უნდა წაეკიდნენ, ყველაზე ძლიერები კი მათიუშს დაუმეგობრდნენ.

– უჰ, რა კარგი იქნებოდა! მე მგონი, ის სევდიანი მეფე ვიოლინოს რომ უკრავდა, უარს არ გვეტყვის მეგობრობაზე. მახსოვს, მაშინ მეუბნებოდა, შენთან ომი სულაც არ მინდოდა. ომის დროს რეზერვში იდგა და მეც ყველაზე ნაკლებად ის დავაზარადა. ამ ჩემი რეფორმების გატარებაც სწორედ მან მირჩია.

– ძალიან კარგ ამბავს ბრძანებთ, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, – უთხრა საგარეო საქმეთა მინისტრმა. – დიას, სევდიანი მეფე უარს არ გვეტყვის მეგობრობაზე, მაგრამ ორი კი სამუდამოდ გადავიმტერეთ.

– რატომ? – ჰკითხა მათიუშმა.

– ერთი იმით არის განაწყენებული, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხმა უნდა მართოს სახელმწიფო.

– მერე, იმას რა ესაქმება?!

– როგორ რა ესაქმება! მისმა ხლხმა რომ გაიგოს ჩვენი ხალხის ამბავი, თვითონაც მოინდომებს ქვეყნის მართვას. იტყვის, ჩამორჩენილები რატომ უნდა ვიყოთ, მეფეს თავის ჭკუაზე აღარ აპარპაშებს, და მოხდება რევოლუცია.

– მეორეს რაღა დავუშავეთ!

– მეორეს? მეორესთან შეიძლება მოლაპარაკება. ყველაზე მეტად იმით არის გაცეცხლებული, რომ ველურ მეფეებს ჩვენ უფრო ვუყვარვართ, ვიდრე ის. უწინ შავკანიანი და ყვითელკანიანი მეფეები იმას უგზავნიდნენ საჩუქრებს, ახლა ჩვენ გვიგზავნიან. მაგრამ მასთან მორიგება შეიძლება, თუ ყვითელკანიან მეფეებს იმას დავუთმობთ, ჩვენ კი შავკანიან მეფეებთან ვიმეგობრებთ.

– კარგი, ვცადოთ. მე ომი არ მინდა, – მტკიცედ თქვა მათიუშმა.

იმავე საღამოს მათიუშ მეფემ წერილი მისწერა სევდიან მეფეს.

“ჩემი ჯაშუშებისაგან გავიგე, თურმე უცხოეთის მეფეებს ჩემი შურთ, რომ ბუმდრუმი ოქროს მიგზავნის. დღეს თუ ხვალ, ალბათ, თავსაც დამესხმიან და ამიტომ გთხოვთ, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, ჩემთან იმეგობროთ, იმათ კი დაემდუროთ”.

დაწვრილებით სწერდა თავისი რეფორმის ამბავსაც და რჩევას ეკითხებოდა, ამის შემდეგ რა ვქნა, როგორ მოვიქცეო. ისიც მისწერა, უამრავი საქმე მაქვს, მეფობა ძალიან ძნელი ყოფილაო. ბოლოს ემუდარებოდა, თუ პარლამენტში ვინმემ დაიძახოს ‘ძირს მეფე!’ გულზე არ მოიხვედროთ, ვინ იცის, იქნებ ის კაცი რაღაცით არის უკმაყოფილო, იქნებ მეფემ ის არ გაუკეთა, რაც მას სურდა! სამაგიეროდ, დანარჩენები კმაყოფილები არიანო.

შუალამე გადასული იყო, წერა რომ დაამთავრა. იდგა და სასახლის აივანზე გავიდა. დიდხანს, ძალიან დიდხანს გაჰყურებდა თავის დედაქალაქს. ქუჩებში ფარნები ენთო. ფანჯრები ჩაბნელებული იყო. ყველას ეძინა.

მათიუშმა გაიფიქრა:

‘ბავშვები უკვე წვანან და მშვიდათ სძინავთ. მარტო მე არ მძინავს. მარტო მე უნდა ვიჯდე და მთელ დამეს წერილები ვწერო, რომ ომი თავიდან ავიცილოთ; რომ წყნარად დავამთავროთ ბავშვთა დასასვენებელი სახლების მშენებლობა და ბავშვები ზაფხულში ქალაქგარეთ გავგზავნოთ. ყველა ბავშვი მხოლოდ თავის სათამაშოებსა და გაკვეთილებზე ფიქრობს, მე კი სწავლის დროც არა მაქვს. მე მთელი ჩემი ქვეყნის ბავშვებზე უნდა ვიფიქრო’.

მათიუში თავის გასართობ ოთახში შევიდა. მივიწყებული სათამაშოები დამტვერილი ყვარა საწყლად.

– ჩემო ჯამბაზო, რამდენი ხანია, შენთან აღარ მითანაშია, – მიეაღერსა თავის ჯამბაზს. – ნაწყენი ხარ, ხომ? ეჰ, რას ვიზამთ! შენ რა გიშავს, ხის ჯამბაზი ხარ, თუ არავინ გაგტყუა, წევხარ შენთვის, მეტი არაფერიც არ გინდა. მე კი ნამდვილ ადამიანებზე, ცოცხალ ადამიანებზე უნდა ვიზრუნო. იმათ ბევრი რამ სჭირდებათ.

მერე საძინებელ ოთახში გავიდა, დაწვა და სინათლე ჩააქრო, მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ ერთი უცხოელი მეფისთვის წერილი არ მიუწერია. არადა, უსათუოდ უნდა მიწერა. აზიელ ყვითელკანიან მეფეებთან შენ იმეგობრე, ჩემი აფრიკელი მეგობრები მე დამიტოვეო.

რა ექნა? ორივე წერილი აუცულებლად ერთად უნდა გაიგზავნოს, სხვა დროისთვის გადადება არ შეიძლებოდა. ერთიც ვნახოთ და, ვიდრე წერილებს მიიღებდნენ, ომი დაეწყოს!

მათიუში ადგა. დაღლილობისაგან თავი უსკდებოდა, მაგრამ მაინც გათენებამდე წერდა უცხოელ მეფესთან გასაგზავნად დიდ წერილს

იმ დღისით ზღვისპირა ქალაქიდან დეკემბერი მოვიდა, მეფე ბუმ-დრუმმა ერთი გემი ოქრო და გარეული ცხოველები განოგვატანა, მაგრამ უცხოეთის მეფე თავის სახელმწიფოზე გავლის ნებას არ გვაძლევსო.

იმავე დღეს მობრძანდნენ უცხოეთის მეფეების ელჩები და თქვეს, სულაც არ გვეპიტნავენა კაციჭამიების საჩუქრებს ჩვენს სახელმწიფოზე რომ გამოატარებთ ხოლმეო. ერთხელ რომ მოგეცით ნება, ვითომ რაო, არ გეყოს? სულ თქვენი ყურმოჭრილი მონები კი არ ვიქნებითო! მათიუში ამ ბოლო ხანებში თავს გავიდა. რაკი ერთხელ გვაჯობა. იმას ჰგონია, ეს არის, მორჩა და გათავდაო. სულაც არა! სულ ახალთახალი ზარბაზნები ვიყიდეთ, მათიუშისა აღარ გვეშინიაო.

ერთი სიტყვით, ელჩები ისე ლაპარაკობდნენ, იფიქრებდით, გუნებაში ნამდვილად ჩხუბის ატეხა უდევო. ერთმა ელჩმა ფეხიც კი დაჰკრა იატაკს. ცერემონიისტერმა მაშინვე შენიშვნა მისცა, ეტიკეტი კრძალავს ასეთ საქციელს, როცა მეფეები ელაპარაკებიანო.

მათიუში მრისხანებისაგან ჯერ წამოენთო, – მის ძარღვებში ხომ ჰაინრის უსწრაფესის სისხლი ჩქეფდა! – როცა ელჩებმა წამოაყრანტალეს, ჩვენ მათიუშისა აღარ გვეშინიაო, კინაღამ იყვირა, არც მე მაცაცხცახებს თქვენი შიშით, თუ გინდათ, ვცადოთ, და ნახავთ, ვინ ვის აჯობებსო.

წუთიც არ გასულა, რომ მათიუში ახლა გაფითრდა და, ვითომ ვერ მიხვდა, ელჩებს რა უნდოდათ, მშვიდად თქვა:

– ბატონო ელჩებო, ტყუილებრადოდ ცხარობთ და ბობოქრობთ. მე სულაც არ მსურს, თქვენს მეფეებს შიშისზარს ვცემდე. წუხელ ორი წერილი დავწერე. თქვენს მეფეებს ვწერ, რომ მათთან მეგობრობა მნებავს. ძალიან გთხოვთ, ეს წერილები გადასცეთ. დღესვე დავწერ მესამესაც. თუ მაინცდამაინც არ გინდათ, რომ თქვენს სახელმწიფოზე უფასოდ დაგდიოდეთ და ბუმ-დრუმის საჩუქრებს ვეზიდებოდეთ, ბაჟს გადაგიხდით. არ ვიცოდი, თუ ასე ძალიან წუხდებოდნენ თქვენი მეფეები.

წერილები დახურულ-დაბეჭდილი იყო და ელჩებმა ვერ წაიკითხეს, რას სწერდა მათიუში მათ მეფეებს, ამიტომ არაფერი უთქვამთ, რაღაცა წაიბურტყუნეს და დარბაზიდან გავიდნენ.

მათიუშს კი ამის შემდეგ თათბირი ჰქონდა ჯერ ჟურნალისტთან, შემდეგ – ფელეკთან, მერე მინისტრებსაც ეთათბირა. ამას მოჰყვა აუდიენცია, ქალაქლებზე ხელის მოწერა და ბოლოს – ვიტოლდ დაუმარცხებლის დროს მოგებული ერთი ბრძოლის წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი ჯარის დათვალიერება.

სადამოთი უკვე ისე იყო დაქანცული და ფერდაკარგული, ექიმს გულს შემოეყარა.

– ჯანმრთელობას უნდა მოუფროთხილდეთ, – უთხრა ექიმმა. – თქვენი უდიდებულესობა ცოტას მიირთმევს, ცოტა სძინავს. თქვენი უდიდებულესობა იზრდება, მოზარდია, შეიძლება ჭლექი შეეყაროს და პირიდან სისხლი ამოაღებინოს.

– გუშინ უკვე ამომივიდა სისხლი.

ექიმი უარესად შეშფოთდა, მაშინვე გასინჯა მათიუში და გამოარკვია, რომ სისხლი მართლა კი არ უღებინებია, თურმე კბილი მოუცვლია და სისხლიც ამიტომ წამოსვლია პირიდან.

– კბილი რა იქნა? – ჰკითხა ცერემონმაისტერმა.

– სანაგვე კალათში ჩავაგდე.

ცერემონმაისტერს ხმა არ ამოუღია, მაგრამ გულში გაიფიქრა: ‘რა დრო დადგა! მეფის კბილებს სანაგვეზე ყრიან!’ სამეფო კარის ეტიკეტი მოითხოვდა, მეფის კბილები ოქროში ჩაესვათ, ბრილიანტებით მოჭედოდა ყუთში ჩაეღოთ და ეს ყუთი განძთსაცავში შეენახათ.

მათიუშს უსათუოდ თავი უნდა მოეყარა მეფეებისათვის. ნამდვილად საჭირო იყო, ყველა ერთად მოეწვია თავის ქვეყანაში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თვითონ უკვე იყო მათთან სტუმრად და ახლა წესი მოითხოვდა, ისინი მოეპატიუებინა. მეორეც, მაინცადმაინც მათი თანდასწრებით სურდა, სახეიმოდ გაეხსნა პარლამენტის პირველი სხდომა. გარდა ამისა, ახალი ზოოპარკიც ხომ უნდა ეჩვენებინა! რაც მთავარია, უნდა მოეთათბირა, სწადათ მასთან მეგობრობა თუ არა.

დაიგზავნა წერილები, დაიგზავნა დეპეშები. მიქროდნენ და მოქროდნენ მინისტრები. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ომისა და მშვიდობის ბედი წყდებოდა: ან დამეგობრდებოდნენ და მშვიდობა გაიმარჯვებდა, ან ერთმანეთს უგანებდნენ და ახალი ომი ატყდებოდა. თუ მშვიდობა გაიმარჯვებდა, ცხოვრება კარგად აეწყობოდა. ყველას ეჩნებოდა სამუშაო, ყველა მიიღებდა კარგ გასამჯელოს, ყველაფერი იაფი და კარგი იქნებოდა.

მათიუშის სასახლეში დღედაღამ არ წყდებოდა სხდომები. დღედაღამ თათბირობდნენ უცხოეთის მეფეთა სასახლეებშიც.

ერთხელ ერთი ელჩი ეახლა მათიუშს და უთხრა:

– ჩემს მეფეს სურს, თქვენს უდიდებულესობასთან სიამტკბილობა ჰქონდეს.

– თუ ასეა, მაშ, იმ ახალ ჯარს რისთვის ამზადებს, ან იმ ციხესიმაგრეებს რისთვის აშენებს! ვისაც ომი არ უნდა, არც ახალ ციხესიმაგრეებს აშენებს.

– ჩემმა მეფემ ერთი ომი უკვე წააგო, – მიუგო ელჩმა. – თავისთავად ცხადია, ახლა უკვე უნდა იფრთხილოს. სიფრთხილე იმას არ მოასწავებს, რომ ჩემი მეფე თავს დაესხმება მათიუშ მეფეს.

მაგრამ ჯაშუშებს მათიუშთან ამბავი მოჰქონდათ, ყველაზე მეტად ეს მეფე იმუქრებოდა. თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, ეს მეფე მოხუცებული, მოღლილ-მოქანცული იყო და მათიუშთან ომი იმდენად მას არ უნდოდა, რამდენადაც მის უფროს ვაჟიშვილს, ტახტის მემკვიდრეს. მათიუშის ჯაშუშებს მამაშვილის საუბარიც კი მოესმინათ.

– მამაჩემო, შენ უკვე მოხუცდი და დაუძღურდი, – ეუბნებოდა შვილი, – ის დროა, ტახტი მე დამითმო. მაშინ ნახავ, რა სეირს ვუჩვენებ მათიუშს!

– რა იყო, რა დაგიშავა იმ ბიჭმა, მშვენიერი ბავშვია, – ამბობდა მამა. – მე ძალიან მომწონს.

– შენ ‘მომწონს, მომწონს’ იძახე, იმან კი სევდიან მეფეს ჩვენზე მისწერა, ზურგი აქციე, ჩემთან იმეგობრეო. მეორე მეფეს ყვითელკანიანი მეფეები უნდა გადაუღოცოს, ბუმ-დრუმსა და დანარჩენ აფრიკელ შავკანიან მეფეებს თავისთვის იტოვებს. მერე, ჩვენ ვინდა გვეყოლება, ჩვენ ვინდა გამოგვიგზავნის ოქროსა და საჩუქრებს? როგორც კი მარტონი დავრჩებით, ორივე მეფე მათიუშს

დაუძმაკაცდება და სამივენი თავს დაგვესხმიან, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ორი ახალი ციხესიმაგრე ავაშენოთ და ლაშქარიც გავზარდოთ.

ტახტის მემკვიდრეს თავისი ჯაშუშები ჰყავდა, ამიტომ ყველაფერი იცოდა. მოხუც მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა, შვილს ლაშქრის გაზრდაზეც უნდა დასთანხმებოდა, ციხესიმაგრეების აშენებაზედაც. მოხუცს ეშინოდა, თუ ომი მართლა დაიწყო და კიდევ დავმარცხდი, ჩემი ვაჟიშვილი უსათუოდ მისაყვედურებს: ხომ გეუბნებოდი, შენ რომ ტახტი და გვირგვინი ჩემთვის მოგეცა, ასე არ დაგვემართებოდაო!

ისე მიიწურა შემოდგომა და ისე გავიდა ზამთარიც, კაციშვილმა არ იცოდა, ვინ ვის დაუმეგობრდებოდა.

ამასობაში მათიუშმა წერილები დაუგზავნა მეფეებს და სტუმრად მიიწვია. ახლა რაღას იზამდნენ უცხოეთის მეფეები? ანდა გულახდილად ეთქვათ, ეწვეოდნენ თუ არა.

ისინიც ადგნენ და ასეთი პასუხი გაუგზავნეს:

‘რა თქმა უნდა, ყველანი დიდი სიხარულით გეახლებით, თუ ერთ პირობას შეასრულებთ: ჩვენ არ გვსურს, ბუმ-დრუმი დაპატიჟოთ. ჩვენ, თეთრკანიანი მეფეები, მაგიდასთან კაციჭამიების გვერდით ვერ დავსხდებით. კარგი აღზრდა და მეფური ღირსება ველურებთან დამძობილების უფლებას არ გვაძლევს’.

საბრალო მათიუში დიდად შეურაცხყოფილი დარჩა ასეთი პასუხით. ისე გამოდიოდა, რომ მათიუში ცუდად იყო აღზრდილი და პატავმოყვარეობის ნატამალიც არ გააჩნდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ურჩია, თავი ისე დაეჭირათ, ვითომ არც არაფერი შეგვიძინევიან და ვერც ვერაფერს მივხვდითო, მაგრამ მათიუში უარზე დადგა.

– არამც და არამც! თუ არ უნდათ, ნუ უნდათ. იმათ მარტო მე კი არა, ჩემი მეგობარიც შეურაცხყვეს. ჩემმა მეგობარმა კი ერთგულება შემომფიცა და ვიცი, ყოველთვის მზად არის, ჩემთვის სიცოცხლე გაწიროს. იმას რა დამავიწყებს, თავისი სიყვარულის დასადასტურებლად რომ შემომთავაზა, შემჭამეო! რაც მართალია, მართალია, ძალიან ველურია, მაგრამ სულითა და გულით უნდა, რომ გამოსწორდეს. ბუმ-დრუმი ჩემი ნამდვილი მეგობარი გახლავთ და მენდობა კიდევ. ჩვენ ერთმანეთთან ჯაშუშებს არ ვგზავნი. თეთრკანიანი მეფეები კი ცბიერები და შურიანები არიან. ავღებები და ყველაფერს მივწერ, რასაც მათზე ვფიქრობ.

საგარეო საქმეთა მინისტრს ელდა ეცა.

– თუ თქვენს მეფურ უდიდებულესობას ომი არ სურს, ასეთი პასუხის გავზავნა არ უნდა ინებოს. ამის მიწერა და ომის გამოცხადება ერთი იქნება. პასუხის გაგზავნა შეიძლება, მაგრამ ცოტა სხვანაირად უნდა დაიწეროს.

ეს ღამეც უძილოდ გაატარა მათიუშმა. თავლი არ მოუხუჭავთ მის მინისტრებს. ისხდნენ და ფიქრობდნენ, როგორი პასუხი მიეწერათ უცხოეთის მეფეებისთვის.

მაშ ასე:

მეფე მათიუში სწორედ იმიტომ დაუმეგობრდა ბუმ-დრუმს, რომ ამ კაციჭამიების მეფეს ხელი აეღო კაციჭამიობაზე, ადამიანის ჭამას გადასჩვეოდა.

ბუმ-დრუმმა სიტყვა მისცა, გადაეჩვენეო. თუ ბუმ-დრუმმა სიტყვა გატეხა, მიზეზი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ეშინია, ქურუმებმა არ მოწამლონ. ზანგთა ქურუმებს სულაც არ ეპრიანებათ, რომ ველურმა ხალხმა ველურობა მოიშალოს. ასეა თუ ისე, მათიუში უსათუოდ გაიგებს, ბუმ-დრუმი გადაეჩვია თუ არა კაციჭამიობას და მაშინვე აცნობებს თეთრკანიან მეფეებს.

წერილის ბოლოს მათიუში წერდა:

‘ვარწმუნებ თქვენს მეფურ უდიდებულესობებს, რომ მეც ძვირად მიღირს ჩემი ღირსება, ჩემი შავი მეგობრის პატიოსნებაც და მზად ვარ, საკუთარი სისხლი და სიცოცხლე გავწირო ამ ღირსების დასაცავად.’

მათიუშმა ამით მიახვედრა უცხოეთის მეფეები, რომ ცოტა ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, რომ მეფე მათიუში არავის მისცემდა შეურაცხყოფის უფლებას. მართალია, ომი არ უნდოდა, მაგრამ თუ საჭირო გახდა, უკან არ დაიხევს.

უცხოეთის მეფეებმა მოასწრეს: თუ ბუმ-დრუმი კაციჭამიობას გადაეჩვია, ჩვენთან ერთად მოიპატიუთ, თანახმანი ვართო.

უცხოეთის მეფეებს, უფრო სწორად, იმ პირველ მეფეს, მოლაპარაკების გაჭიანურება სურდა, რომ ამასობაში ციხესიმაგრეების აშენება მოესწრო.

მეფეები ასე ფიქრობდნენ: 'თუ მათიუში მოგვწერს, ბუმ-დრუმი კაციჭამია აღარ არისო, ჩვენ მივწერთ, რომ შავკანიანი მეფეები ცრუობენ, ვერაგები და გაუტანლები არიან, იმათზე მინდობა არ შეიძლება, ამიტომ ვერ გეახლებითო'.

რა იცოდნენ იმ მეფეებმა, რომ მათიუში ახალ ოინს უწყობდა.

მათი პასუხი რომ წაიკითხა, მაშინვე ბრძანა:

– სასწრაფოდ მიფრინავ ბუმ-დრუმთან, საკუთარი თვალით უნდა ვნახო და დავრწმუნდე, რომ ადამიანის ხორცს აღარ ჭამს.

მინისტრები ამაოდ ცდილობდნენ, გადაეთქმევინებინათ. ამაოდ ეუბნებოდნენ, სახიფათო გზას ადგებით, ვინ იცის, რა მოხდება: ხომ შეიძლება, ქარი ამოვარდეს და თვითმფრინავი დედამიწას დაანარცხოს! ხომ შეიძლება, მფრინავს გზა-კვალი აებნეს, ან უდროო დროს ბენზინი გაუთავდეს, ან არადა, თვითმფრინავს რაღაცა მოეშალოსო.

ის ფაბრიკანტიც კი, ვისაც თვითმფრინავი უნდა გაეკეთებინა და კარგ გამორჩენასაც ელოდა, ის ფაბრიკანტიც კი აფრთხილებდა მათიუშს:

– მე იმედს ვერ მოგცემთ, რომ თვითმფრინავი ხუთ დღეს იფრენს და არაფერი მოეშლება. თვითმფრინავები, საერთოდ, ცივ ქვეყნებში დაფრინავენ მხოლოდ. ჩვენ არ ვიცით, სიცხეს როგორ გაუძლებს, მოეშლება რამე თუ არა. ხომ შეიძლება, რომელიმე ხრახნი გაუტყდეს. მერე რა უნდა ქნათ, უდაბნოში სად ნახავთ მექანიკოსს, რომ დაზიანებული თვითმფრინავი შეაკეთოს?

ამას გარდა, თვითმფრინავს მხოლოდ ორი კაცის წაყვანა შეუძლია. ერთი იქნება მფრინავი, მეორე – მათიუში. მერე ბუმ-დრუმს რა უნდა გააგებინოს, თუ ორმოცდაათი ენის მცოდნე პროფესორი თან არ იახლა?

მათიუში ყველაფერზე თავს იქნევდა, მართალია, მესმის, რომ ძალიან ძნელი და სახიფათო მოგზაურობა მელის, შეძლება დავიღუპო უდაბნოს ქვიშაში, უპროფესოროდაც დიდად გამოჭირდება, მაგრამ ბოლოს მაინც ისა თქვა, რაკი გაფრენა ვინებუ, მაშ, კიდევ გაფრინდებიო.

ფაბრიკანტს სთხოვა, ფული არ დაზოგო, საუკეთესო ოსტატები მოიწვიე, საუკეთესო მასალა და ხელსაწყო იშოვე, რომ თვითმფრინავი სწრაფადაც ააგო, კარგიც იყოსო.

ფაბრიკანტმა ყველა შეკვეთა განზე გადადო და ამ საქმეს დაუტრიალდა. საუკეთესო მექანიკოსები სამ ცვლად მუშაობდნენ. მთავარმა იუინერმა ყველაფერი კარგად გამოიანგარიშა, ისე კარგად გამოიანგარიშა, რომ ბოლოს ჭკუაზე შეიშალა და მეტი გზა არ იყო, ორი თვე საავადმყოფოში უნდა გაეტარებინა.

მათიუში ყოველდღე დაბრძანდებოდა ფაბრიკაში სამეფო ავტომანქანით. მივიდოდა, დაჯდებოდა, რამდენიმე საათს იჯდა და გუჟამოდგინედ ათვალიერებდა ყველა მილაკსა და ხრახნს.

ადვილად წარმოიდგენთ, რა მითქმა-მოთქმა ატყდებოდა საზღვარგარეთაც და მის ქვეყანაშიც, როცა ეს ამბავი გახშიანდა. გაზეთებს სულ მათიუშის მოგზაურობა ეკერა პირზე, სხვა აღარაფერზე წერდნენ, მათიუშს ზოგი 'ჰაერის მეფეს' უწოდებდა, ზოგი 'უდაბნოს მეფეს' ეძახდა. ზოგი 'დიდ მათიუშად' იხსენიებდა, ზოგი 'მათიუშ გადარეულად' ნათლავდა.

– ახლა კი დადგა აღსასრულის უამი, – ამბობდნენ მოშურნენი.

– ორჯერ ბედმა გაუღიმა, ახლა კი გადაჰყვება თავის ოინებს.

ამასობაში მათიუში უკვე მფრინავს დაეძებდა. დიდი ძებნის შემდეგ ორნი აეხლნენ. ერთი იყო უფესო და ცალთვალა ხნიერი კაცი, მეორე გახლდათ ფელეკი.

ეს უფესო მფრინავი ფაბრიკაში უფროს მექანიკოსად მუშაობდა და თვითმფრინავი თურმე მას აეწყო. კარგა გამოცდილი მფრინავი იყო. ჯერ კიდევ მაშინ დაფრინავდა, როცა თვითმფრინავი ასე სრულყოფილი არ იყო და წარამარა ვარდებოდა. თვით ეს თვითმფრინავი შვიდჯერ ჩამოვარდნილა. ოთხჯერ მხოლოდ მძიმედ დაშაგებულა, დასახინრებით არ დასახინრებულა. მესუთედ რომ ჩამოვარდნილა, ცალი თვალი დაუკარგავს. მეექვსე ჩამოვარდნაზე ფეხები მომსხვევრია, მეშვიდეზე ნეკნებიც ჩამტვრევია, ტვინიც ისე შერყევია, მეტყველება წართმევია და მთელ წელიწადს საავადმყოფოში წოლილა. ახლაც, ცოტა არ იყოს, გაურკვეველად ლაპარაკობდა. მეშვიდე ჩამოვარდნაზე ფრენის ხალისი სრულიად დაუკარგავს, მაგრამ თვითმფრინავი მაინც ძალიან ჰყვარებია. ჰოდა, რაკი ფრენა აღარ შეეძლო, თურმე ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, რომ საკუთარი ხელებით მაინც ეკეთებინა თვითმფრინავი და ცქერით მაინც გამძღარიყო.

ეს კი ასე იყო, ფრენა აღარ შეეძლო, მაგრამ, არაფერიც არა უშავს რაო, – ამბობდა, – მათიუში მეფეს მაინც გადავაფრენო: ხელები ღონიერი მაქვს, ეს ერთადერთი თვალიც წყვილ თვალზე უკეთესად მიჭრისო.

ფელეკი მიხვდა, რომ ასეთ გამოცდილ მფრინავს მეტოქეობას ვერ გაუწევდა, გარდა ამისა, ისიც სხვებივით ფიქრობდა: გაფრენა ადვილია, უკან დაბრუნება – ძნელიო.

ხოდა, თვითმფრინავი სიხარულით დაუთმო ცალთვალა მფრინავს

მაშ, ასე: გადარეულმა მათიუშმა და მისმა უფესო ამხანაგმა კაციჭამიების ქვეყნისაკენ აიღეს გეზი.

თეთრკანიანთა გარნიზონის ოფიცერი ტელეგრაფისთან იჯდა, ჩიბუხი გაეჩაღებინა და მასლაათობდა.

– აი, ამას ჰქვია ძალღუმადური ცხოვრება. ზიხარ ამ უდაბნოში ზანგებთან და არაფერი გაგეგება, რა ხდება ქვეყანაზე. რაც ის მათიუში აქ ბრძანდებოდა, იმ დღიდან მოყოლებული, ბუმ-დრუმისგან ტომრობით ოქროს ეზიდებიან, გალიებით კი გარეული ცხოველები მიჰყავთ და უარეს დღეში ჩავცვივდით. მაშ იმ გარეულმა ცხოველებმა მათიუშის დედაქალაქში უნდა იცხოვრონ და მე, ადამიანმა, ამ უდაბნოში უნდა გავატარო ჩემი წუთისოფელი? წინ ზანგები მაინც აუჯანყდებოდნენ ხოლმე და დროდადრო იმათ ვებრძოდით. რაც მათიუშს დაუმეგობრდნენ, ისე არიან მიყუჩებულები, თავდასხმა რა არის, აღარც კი გვახსოვს. ეშმაკმა იცის, რას ვუსხედვართ აქ, რას ვაკეთებთ! კიდევ ერთი-ორი წელიწადი და, ალბათ, სროლაც დაგვაავიწყდება.

ტელეგრაფისტს რაღაც უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ამ დროს ტელეგრაფი ახმინდა.

– ოჰო, რაღაც დეპეშაა!

აპარატი მუშაობდა, ქაღალდის თეთრ ლენტაზე ასოები იწერებოდა.

– ვაჰ, რა საინტერესო ამბავია!

– რა იყო, რა მოხდა!

– ჯერ არ ვიცი, აი: ხვალ თექვსმეტ საათზე მატარებლით მობრძანდება მათიუში მეფე, რომ თვითმფრინავით გადაუფრინოს უდაბნოს და მეფე ბუმ-დრუმის ქვეყანაში ჩაფრინდეს. თვითმფრინავიც მატარებლით იგზავნება. საჭიროება მოითხოვს, მატარებლიდან გადმოღების დროს თვითმფრინავს რომელიმე გორგოლაჭი დაუზიანდეს, რომ მათიუში მეფემ გაფრენა ვეღარ შეძლოს. სრულიად საიდუმლოდ.

– მივხვდი. ალბათ, ჩვენს მეფეებს არ ეპიტნავენათ მათიუშისა და ბუმ-დრუმის მეგობრობა. ძალიან უგემური ბრძანებაა. თვითონ არ უნდათ კაციჭამიებთან მეგობრობა და მათიუშსაც ხელს უშლიან. მაგრამ რას ვიზამ, მე ოფიცერი ვარ და ბრძანება უნდა შევასრულო.

ოფიცერმა მაშინვე გამოიძახა ერთგული ჯარისკაცი და უბრძანა, მეზარგულივით გადაიციო.

– რკინიგზაზე მეზარგულები სულ ზანგები არიან. მათიუში თეთრკანიანს რომ დაგინახავს, ალბათ, ზანგებზე მეთვალყურეობას დაგაგალებს, არაფერი გააფუჭონო. შენ კი თვითმფრინავს რომელიმე გორგოლაჭი უნდა მოხსნა, რომ დაზიანდეს და ვეღარ აფრინდეს.

– მესმის! – მოახსენა ჯარისკაცმა, გადაიცვა და სადგურში წავიდა.

მათიუში ჩამობრძანდა. ზანგები მაშინვე შემოეხვივნენ. მათიუში ხელებით ანიშნებდა, თვითმფრინავი უნდა გადმოვიღოთ, ოღონდ ფრთხილად, რომ არაფერი დაუზიანოთო. ხელებით კი ანიშნებდა, მაგრამ მაინც ეშინოდა, ვაითუ ვერ გამოვიღო. ამ დროს თეთრკანიანი კაცი დაინახა და ძალზე გაიხარა, იმწამსვე სთხოვა:

– კარგ გასამრჯელოს მოგართმევთ, ოღონდ ყველაფერი აუხსენით და თვალყური ადევნეთ.

ამასობაში კაპიტანმაც მოირბინა, ვითომ იმწუთას გაეგო მათიუშის ჩამობრძანების ამბავი.

– რა ბრძანეთ? თვითმფრინავით? უჰ! აი ეს არის დიდებული მგზავრობა! როგორ, ხვალვე? და გეჩქარებათ, ერთ-ორ დღეს ჩვენთან დარჩეს თქვენი მეფური უდიდებულესობა, დაისვენეთ. აბა, წამობრძანდით, ბატონებო, საუზმეზე გვეწვიეთ.

მათიუში სიამოვნებით დაეთანხმა, მაგრამ მფრინავი ვერაფრით ვერ დაიყოლიეს.

– მე მირჩევნია, ეს ჩემი ერთადერთი თვალი ამათ ვადევნო, რომ არაფერი გააფუჭონ.

– მე ვადევნებ თვალყურს, – შესთავაზა გადაცმულმა ჯარისკაცმა.

მაგრამ უფესო მფრინავმა შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი: ვიდრე თვითმფრინავის ნაწილებს არ გადმოიტანენ და არ ავაწყობთ, არამც და არამც აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო.

აბა რაღას იზამდნენ, რაკი გაჯიუტდა, ადგნენ და თავი გაანებეს.

ზანგებმა ცალკე თვითმფრინავის ფრთები გადმოიღეს, ცალკე – ძრავას ყუთი, ცალკე – პროპელერი, და აწყობას შეუდგნენ. მფრინავი თვალს ადევნებდა. გადაცმულმა ჯარისკაცმა ათასნაირად სცადა, როგორმე თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ვერადა ვერ მოახერხა. მეტი გზა არ ჰქონდა, ძილის მომგვრელი სიგარა უნდა შეეთავაზებინა, მფრინავმა ერთი-ორი ნაფაზი დაარტყა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა.

– ეძინოს, ცოდვია, მგზავრობამ დაქანცა. თქვენც კარგად წაიმუშავეთ, რაც მართალია, მართალია. აჰა, ფული, წადით და არაყი გადაჰკარით.

ზანგები წავიდნენ. მფრინავს ეძინა. ჯარისკაცმა ყველაზე საჭირო გორგოლაჭი მოხსნა თვითმფრინავს. უიმისოდ თვითმფრინავი ვერ გაფრინდებოდა. წაიღო ის გორგოლაჭი და პალმის ძირას ქვიშაში ჩაფლა.

ერთი საათის შემდეგ მფრინავს გაეღვიძა და დარცხვენილი წამოხტა, ეს როგორ დამემართა, რომ გახურებული მუშაობის დროს ჩამეძინაო. მაშინვე ისევ სამუშაოს მიუბრუნდა, თვითმფრინავის აწყობა დაამთავრა და ზანგებს ბანაკთან მიაგორებინა.

– აბა, როგორ არის საქმე! – ჰკითხა ოფიცერმა გადაცმულ ჯარისკაცს.

– კარგად. მოხსნილი გორგოლაჭი პალმის ძირას ჩაფვალი, თუ გნებავთ აქ მოგართმევთ, – მიუგო ჯარისკაცმა.

– არა, არ მინდა, ისევ იქ იყოს.

დილით ჯერ მზე არ ამოწვერილიყო, რომ მათიუში საგზაო სამზადისს შეუდგა. ორი რევოლვერი და ოთხი დღის სამყოფი საჭმელ-სასმელი მოიმარაგა. თვითმფრინავში ბენზინი ჩაასხეს, ძრავას გასაპოხად ზეთის თადარიგიც დაიჭირეს. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი მიჰქონდათ, რომ თვითმფრინავი არ გადაეტვირთათ.

– ყველაფერი მზად არის, შეიძლება გაფრენა.

მაგრამ ეს რა ამბავია? ძრავა არ მუშაობს! ნეტავ რა მოხდა? ფრინავმა საკუთარი ხელით ააწყო, ძრავა საკუთარი ხელით ჩაუდგა თვითმფრინავს!

– გორგოლაჭი აკლია! – იყვირა მფრინავმა. – ვინ მოაძრო გორგოლაჭი!

– რა გორგოლაჭი! – ჰკითხა ოფიცერმა.

– აი, ამ ადგილას ჰქონდა გორგოლაჭი. უიმისოდ თვითმფრინავი ვერ გაფრინდება.

– ზედმეტი გორგოლაჭი არ წამოვიღიათ?

– რატომ უნდა წამომეღო, გიჟი ხომ არ ვიყავი! მე ის წამოვიღე, რაც შეიძლება გზაში დაზიანდეს ან გატყდეს. ის გორგოლაჭი არც გატყდებოდა და არც დაზიანდებოდა.

– იქნება თავიდანვე დაავიწყდათ იმ გორგოლაჭის ჩახრახნა.

– აბა რას ამბობთ! მე თვითონ ჩახრახნე ფაბრიკაში. გუშინაც, ყუთიდან ძრავას რომ იღებდნენ, ჩემი თვალით ვნახე, ნამდვილად ჰქონდა. ვიღაცამ განგებ მოხსნა, დარწმუნებული ვარ.

– თუ გორგოლაჭი ბრჭყვიალა იყო, ზანგები წაიღებდნენ. ძალიან უყვართ ბრჭყვიალა ნივთები.

მათიუში დანადგლიანებული და კრიჭაშეკრული იდგა თვითმფრინავთან. უეცრად თვითმფრინავის ფრთასთან, რაღაც ბრჭყვიალა ნივთი დაინახა.

– ის რა ბრჭყვიალებს? გაიხედეთ, ბატონებო!

იმათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ის ბრჭყვიალა ნივთი აიღეს და დაკარგული გორგოლაჭი გამოდგა.

– ეს რა ეშმაკურ-ქაჯური ქვეყანაა! რა უცნაური ამბები ხდება! – აყვირდა მფრინავი. – ამ ხნის კაცი ვარ და, არ მახსოვს, მუშაობის დროს ჩამძინებოდეს, გუშინ კი ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩამეძინა. ჩემს თვითმფრინავს რა არ დაზიანებია, რა არ გასტეხია, მაგრამ არასოდეს ეს გორგოლაჭი არ მოხსნია. ყველაზე მაგრად ეს არის ჩახრახნილი. ან აქ საიდან გაჩნდა, ვერაფერი გამიგია.

– უნდა ავჩქარდეთ, – უთხრა მათიუშმა, – ისედაც ერთი საათი დაგვეკარგა.

ესენი ხომ იყვნენ გაოცებულები, მაგრამ ოფიცერიც გაოგნებული იდგა. ყველაზე მეტად კი მაინც ის გადაცმული ჯარისკაცი იყო განცვიფრებული. მებარგულის ტანსაცმელი უკვე გაეხადა, თავისი ჩაეცვა და ცოტა მოშორებით დამდგარიყო.

‘ნამდვილად იმ შავი ქაჯების მაიმუნობაა!’ – გაიფიქრა ზანგებზე და მართალიც გახლდათ.

ზანგებმა ფული რომ გამოართვეს, მაშინვე დუქანში შევიდნენ, დასხდნენ და ისევ იმ უცნაურ მანქანაზე გააბეს საუბარი, მატარებლიდან რომ გადმოტვირთეს.

– მთლად ჩიტსა ჰგავს. ამბობენ, თეთრი მეფე ამ მანქანით კაციჭამია ბუმ-დრუმთან უნდა გაფრინდესო.

– რას აღარ გამოიგონებენ ეს თეთრკანიანები! – გადააქნიეს თავი.

– მე თუ მკითხავთ, თერღი ჩიტი კი არა, თეთრი მებარგული უფრო საკვირველია, – თქვა ერთმა მოხუცმა ზანგმა. – ოცდაათი წელიწადია, სულ თეთრებთან ვმუშაობ, და არ მახსოვს, რომელიმე თეთრკანიანს შავკანიანი მუშა მებრალეობდეს ან ფული სამუშაოს დამთავრებამდე მიეცეს.

– ან საიდან გაჩნდა! ვითომ იმათ ჩამოჰყვა?

– დაგიდებთ სანაძღვოს, ვინმე აქაური იქნება გადაცემული. თეთრკანიანის კვალობაზე ძალიან კარგად იცის ჩვენი ენა.

– ვერ შეამჩნიეთ, უფესო მექანიკოსმა იმისი მიცემული სიგარა რომ მოსწია და მაშინვე ჩაეძინა? ალბათ, ძილის მომგვრელი სიგარა იყო.

– ნამდვილად რაღაც ამბავია, – დაასკვნა ყველამ.

სამუშაო რომ დამთავრდა, თეთრკანიანი მეზარეული წავიდა, ზანგები კი იმ პალმის ძირას დასხდნენ, სადაც გორგოლაჭი იყო ჩაფლული. უეცრად ერთმა ზანგმა დაიბახა:

– უყურეთ, ქვიშაზე ახალი ნაკვალევია! ეტყობა, რაღაცა ჩაფლეს. ძალიან კარგად მახსოვს, რომ მატარებლის მოსვლამდე ქვიშაზე ნაფეხურები არ იყო.

მაშინვე გადათხარ-გადმოთხარეს იქაურობა და გორგოლაჭი იპოვეს და ყველაფერს მიხვდნენ.

რა უნდა ექნათ? თეთრკანიანები მათიუშს რაღაცა ხრიკს უდებენ, მზაკვრობენ, ზანგებს კი უყვართ. რაც მათიუშს გარეული ცხოველები თავის ყვეყანაში მიჰყავს, ზანგებს სამუშაო არ გამოლევიათ: აქლემებს მძიმე გალიები, ყუთები და ტომრები უნდა ჩამოსხნან და ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის ვაგონებში აზიდონ ხოლმე. სამუშაოც აქვთ, გასამრჯელოსაც კარგს იღებენ.

რა ქნან? მივიდნენ მათიუშთან და მისცეს ეს გორგოლაჭი? თეთრკანიანთა გარნიზონის ოფიცერმა რომ თვალი შეასწროს, მკაცრად დასჯის ყველას. ითათბირეს, ითათბირეს და დათქვეს, რომ ღამით მიპარულიყვნენ ბანაკში და გორგოლაჭი იქ მიეგდოთ.

როგორც მოილაპარაკეს, ისევე მოიქცნენ. და, აი, თუმცა მათიუშს სამი საათი დაავიანდა, მაგრამ კეთილი ზანგების შემწეობით ბოლოს მაინც გააგრძელა გზა.

იცით რა არის გზის აბნევა?

ვისაც არ გამოუცდია, ის ვერ გაიგებს, რა საშინელებაა გზის აბნევა. თუ ტყეში აგებნა გზა, ირგვლივ ხეები მაინც გარტყია, შეძლება იარო, იარო და ან ქოხს წააწყდეს სადმე, ან მეტყვევის საყარაულოს. ტყეში კენკრაც შენს ხელთაა და წყაროც; თუ მოგწყურდა, დაღევ, წყურვილს მოიკლავ და ან ხის ძირას მიიძინებ. თუ გემს დაეკარგა გზა, გემზე ხალხია, შეუძლიათ გამხიარულება, ნუგემისცემა, სურსათის მარაგიც აქვთ, ბოლოს სადღაც რომელიმე კუნძულიც გამოჩნდება. მაგრამ ჰაერში, უდაბნოს თავზე რომ კაცს გზა აგებნევა, ეს ყველაზე დიდი საშინელებაა. ვის რა უნდა ჰკითხო ან რა უნდა დაინახო, ცაში ხარ, უდაბნოს თავზე! ძალ-ღონის მოსაკრებად თვალსაც კი ვერ მოატყუებ.

ზიხარ ამ უცნაურ ფრინველში და ფიქრობ: აჰა, ისარივით მიქრის ფრინველი და არავინ იცის, საით მიქრის. ასე იფრენს, ვიდრე ბენზინი და ზეთი არ გამოელევა. მერე კი სასიკვდილოდ განწირული დაენარცხება დედამიწაზე. ამ გოლიათის სიკვდილთან ერთად გაქრება ყოველგვარი იმედი და შენც სიკვდილი მოგეღის უდაბნოს გავარგარებულ ქვიშაზე.

ორი დღის წინ მეორე ოაზისს გადაუფრინეს. დღეს, დილის შვიდ საათზე, მესამე ოაზისზე უნდა გადაეფრინათ, ოთხ საათზე კი ბუმ-დრუმის ქვეყანაში უნდა ყოფილიყვნენ. ეს საათები მათიუშის ქვეყნის ოცმა განსწავლულმა პროფესორმა გამოითვალა. გამოითვალეს ზუსტად, ისე, რომ ქარის სიძლიერის გათვალისწინებაც არ დავიწყებიათ. მიმართულება ერთი ჰქონდათ, ჰაერში არავითარი დაბრკოლებების გვერდის ახვევა არ სჭირდებოდათ.

მაშ, რა მოხდა?

დილის შვიდ საათზე მესამე ოაზისზე უნდა გადაეფრინათ.

ეს იყო საბოლოო ოაზისი. ახლა უკვე რვას ოცი წუთი აკლია, ქვემოთ კი ისევ ქვიშის უდაბნო გაჭიმულიყო.

– დიდხანს შეგვიძლია ფრენა?

– ბევრი-ბევრი, ექვს საათს გავძლოთ. ბენზინი უფრო დიდხანს გვეყოფოდა, მაგრამ ეს მზაკვარი იმდენ ზეთს ყლაპავს, აღარ ვიცი, რა ვუყო. თუმცა რა გასაკვირია, სცხელა და სწყურია, რა ქნას!

ორივემ უკვე კარგად იცოდა, რა იყო წყურვილი: წყლის მარაგი უთავდებოდათ.

– თქვენმა უდიდებულესობამ მიირთვას წყალი, მე უფრო ცოტა მჭირდება, ფეხები შინ დამრჩა და იმათ წყალი არ უნდათ. უჰ, საიქიოს როგორ გამიჭირდება ხოხვით შინ დაბრუნება და ფეხების მოძებნა!

ხეიბარი ვითომ ხუმრობდა, მაგრამ მამაცი მფრინავის თვალეში მათიუშმა ცრემლი დაინახა.

– რვას თხუთმეტი წუთი აკლია.

– რვას ათი წუთი აკლია.

– რვა საათია.

ოაზისი კი ისევ არ ჩანდა.

ქარიშხალი მაინც რომ ამოვარდნილიყო ან სხვა რამე უბედურება მომხდარიყო, კიდევ ჰო, კაცს გული არ დასწყდებოდა, უაზროდ ვიღუპებო.

მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. პირველ ოაზისს ათი წამით ადრე გადაუფრინეს, ოთხი წამით გვიან გადაიფრინეს მეორე ოაზისზე. ახლა ისევ იმ სინქარით მიფრინავენ და ხუთი წუთით რომ დაეგვიანათ, კიდევ არა უშავდათ რა, მაგრამ ხუთი წუთით კი არა, უკვე ერთი საათით იგვიანებდნენ.

მერე რა დროს! თითქმის მგზავრობის დასასრულს. მათიუშის ეს სახიფათო მგზავრობა დღეს უნდა დამთავრებულიყო. ყველაფერი ამ მოგზაურობაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ რა გამოვიდა?

– მიმართულება რომ შევიცვალეთ, არ ივარგებს? – ურჩევს მათიუში მფრინავს.

– მიმართულების შეცვლა ადვილია, ჩემი თვითმფრინავი დამჯერეა, ერთი თითის გატოკებაა საჭირო. და ლამაზად მიფრინავს! მისი ბრალი არ არის, რაც მოხდა. ნუ ჯავრობ, ჩემო ბარტყო, მიმართულება შეეცვალა? რატომ? ან რა მიმართულებით შეეცვალა? ჩემი აზრით, ისევ იმავე მიმართულებით უნდა ვიფრინოთ. ვინ იცის, იქნება ამაშიც რაღაცა გვიმაიმუნეს და გვიმზაკვრეს, იმ გორგოლაჭის მოხსნისა არ იყოს. ან როგორ დაიკარგა და ან საიდან გამოჩნდა ისევ, ჰა? ძრავას ისე სწყურია. აჰა, ერთი ჭიქა ზეთი, სულელო, და გახსოვდეს, რომ ლოთობას უბედურება მოსდევს. შენ, მით უმეტეს, შავი დღე მოგელის, შე საწყალო.

– ოაზისი! – იყვირა მათიუშმა.

– მით უკეთესი, – წყნარად თქვა მფრინავმა, ეს კაცი ბედნიერების დროსაც ისევე მშვიდი იყო, როგორც ერთი წუთის წინ, უბედურების უამს.

– ოაზისია და ოაზისი იყოს. ერთი საათით და ხუთი წუთით დავიგვიანეთ. არაფერიც არა უშავს რა. სამი საათით მეტი დრო გვაქვს, ვიდრე საჭიროა. ყველაფერი იმის ბრალია, რომ ქარი გვიშლის ხელს. აბა, ახლა ერთად დავლიოთ. – მფრინავმა წყალი გამოცალა და ძრავაშიც უხვად ჩაასხა ზეთი.

– თქვენო უდიდებულესობავ, ინებეთ და მათხოვეთ ეგ დურბინდი, რომ ჩემი ერთადერთი თვალითაც დავინახო ის საოცრება. ეჰ, კარგი ხეები კი უდგას ბუმ-დრუმს! ვითომ თქვენი მეფური უდიდებულესობა დარწმუნებული ბრძანდება, რომ ბუმ-დრუმმა კაციჭამიობა მოიშალა? თუ შეგჭამენ და შეგაქებენ მაინც, გემრიელი ხარო, კიდევ არა უშავს. მაგრამ მე ნამდვილად გახეხეშებული და ძარღვიანი ხორცი მექნება, თანაც უფეხო გახლავართ და წონით ნაკლებს ვიწონი. ჩემი დამსხვრეული ნეკნების ბულიონიც გემრიელი არ გამოუვათ.

მათიუში განცვიფრებული იყო, ამ ჩუმ კაცს მთელ გზაზე კრინტი არ დაუძრავს, ახლა როგორ გამხიარულდა და ენად გაიკრიფაო.

– თქვენი უდიდებულესობა დარწმუნებულია, რომ ეს ის ოაზისია? ვაითუ ისევე იმ წყეულ ქვიშაში ამოვყოთ თავი? არ ჯობია, აქ დავეშვათ?

მათიუშმა დაბეჯითებით არ იცოდა, ის ოაზისი იყო თუ არა, მაღლიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. მაგრამ აქ დაშვება მაინც არ შეიძლებოდა. ან უდაბნოს ყაჩაღებს გადაეყრებოდნენ, ან ნადირის ლუკმა გახდებოდნენ.

– მოდი, ცოტა დაბლა დავეშვათ და კარგად დავათვალიეროთ იქაურობა.

– კარგი, – დაეთანხმა მათიუში.

ვიდრე ამ ადგილს მიუახლოვდებოდნენ, ძალიან მაღლა მიფრინავდნენ, რომ თვითმფრინავი სიცხეს არ შეეწუხებინა და ზეთი დაეზოგათ. მის შემდეგ კი დაზოგვა უკვე აღარ სჭირდებოდათ, სულ რამდენიმე საათის გზა დარჩენოდათ.

თვითმფრინავი ათუხთუხდა, აცახცახდა და დაეშვა.

– ეს რა არის! – გაუკვირდა მათიუშს და მაშინვე დაიყვირა, – ჩქარა ავფრინდეთ, მაღლა ავფრინდეთ!

იმავე წუთს ათიოდე ისარი გაერტო თვითმფრინავის ფრთებში.

– ხომ არ დაიჭერი? – შეშფოთებით ჰკითხა მათიუშმა მფრინავს.

– არა. კარგად კი გვხვდებიან, ჩემმა მზემ.

რამდენიმე ისარმ აკიდევ გაიშხუილა, და თვითმფრინავიც ზევით აიჭრა.

– ახლა კი მჯერა, რომ სწორედ ის ოაზისია. უდაბნოს ყაჩაღები შორს არ მიდიან. შორს არაფერი საქმე არა აქვთ. ბუმ-დრუმის ტყეების ახლომასლო დაძრწიან და უახლოეს ოაზისში დაბანაკდებიან ხოლმე.

– რა თქმა უნდა. ბუმ-დრუმი ახლაც ისევე გამოგვამგზავრებს, როგორც მაშინ. ზეთი იქნება გვეშოვა კიდევ, მაგრამ ბენზინი ნამდვილად არა აქვთ.

– თუ ასეა, ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ, – თქვა მფრინავმა. – წესიერი მემანქანე როცა იგვიანებს, მატარებელს უფრო სწავად გააქროლებს ხოლმე, რომ თავის დროზე მივიდეს ადგილზე. მეც ასე მოვიქვევი: ავღგები და მთელი სისწრაფით ვიფრენ, რომ განრიგის მიხედვით ჩავფრინდე დანიშნულ ადგილზე. ვიც იცის, იქნება ეს ჩემთვის უკანასკნელი ფრენაც არის, ამიტომ შემთხვევა უნდა გამოვიყენო.

და ძრავაც ისეთი სისწრაფით აამუშავა, ერთ წუთში ოაზისიც შორს მოიტოვა და ყაჩაღებიც.

– ისრები დაუშავებს რამეს თვითმფრინავს?

– სულაც არა. ეკიდნენ და იქანაონ.

მიფრინავდნენ და მიფრინავდნენ, მიფრინავდნენ და მიფრინავდნენ. კარგად გაზეთილი ძრავა შესანიშნავად მუშაობდა. მაშინდელივით ახლაც თანდათან გამოჩნდა ბუჩქნარი და ჯუჯა ხეები.

– ო-ჰო-ჰო-ჰო! ჩემს ცხენს თავისი თავლის სუნი ეცა, – ხუმრობდა მფრინავი.

დარჩენილი წყალი დალიეს და საჭმელიც მიირთვეს, რომ მშივრები არ ჩაფრენილიყვნენ: ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა საზეიმო შეხვედრა და როდის მოიცლიდნენ მასპინძლები, რომ დაეპურებინათ. ესეც რომ არ იყოს, აბა, რა საქციელია, სტუმრად მშიერი მიხვიდე, იქნება ზანგებმა იფიქრონ კიდევ, ჩვენთან სასმელ-საჭმელისთვის ჩამოსულანო.

ჭამა-სმა რომ მოათავეს, სვლა შეანელეს და ფრთხილად დაეშვნენ. მათიუშმა შორიდანვე იცონ ბუმ-დრუმის ტყეების რუხი ზოლი.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ტყეში რამე მდელი თუ მოიძებნება, რომ დავეშვათ? ხეებზე ხომ არ დავეშვებით! მართალია, ერთხელ ტყეში დავეჯექი, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, მე კი არ დავეჯექი, თვითმფრინავმა გადმომსვა. სწორედ მაშინ დამეხსოვრა ცალი თვალი. მაშინ მეც ჯელი გახლდით, თვითმფრინავებიც ახალგაზრდები და ურჩები იყვნენ.

ხედ სასახლის წინ, უკეთ რომ ვთქვათ, მეფის კარვის წინ, დიდი მდელი იყო.

– ცოტა მარჯვნივ! – ბრძანა დურბინდმომარჯვებულმა მათიუშმა. – შორს წახვედით, გთხოვთ, მოაბრუნოთ. მარცხნივ, ოდნავ მოუხვიეთ, კარგია.

– ო, ვხედავ, მდელია, მაგრამ ეს რა ამბავია!

– აფრინდი მალლა! – იყვირა გულგახეთქილმა მათიუშმა.

ისევ მალლა აფრინდნენ. ქვემოდან ისეთი ყვირილი ისმოდა, გეგონებოდათ, მთელი ტყე ღრიალებსო. მდელი ხალხით იყო სავსე, ნემსი არ ჩავარდებოდა. იღგნენ და ყვიროდნენ.

– რაღაცა ამბავია. ან ბუმ-დრუმი გარდაიცვალა, ან რაიმე დღესასწაული ექნებათ.

– კარგი, მაგრამ ჩვენ რა უნდა ვქნათ, იმათ თავებზე ხომ არ დავეშვებით?!

– მეტი გზა არ არის, მანმადე უნდა ვიფრინოთ მალლა-დაბლა, სანამ არ მიხვდებიან, რომ ადგილი უნდა მოგვცენ.

შვიდჯერ აფრინდნენ და შვიდჯერ დაეშვნენ. ბოლოს ველურები მიხვდნენ, რომ ამ დიდ ფრინველს მდელიზე დაჯდომა უნდოდა. მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტნენ და თვითმფრინავიც დაჯდა.

მათიუში თვითმფრინავიდან გადმოვიდა. დადგა თუ არა მიწაზე ფეხი, ერთი რაღაც გაბურძენილი არსება ეცა და კისერზე ისე მოეხვია, კინაღამ დაახრჩო.

მათიუში ცოტა ხანს იდგა, რომ გონს მოსულიყო. ამასობაში თავბრუსხვევამაც გაუარა და თავის ლოყასთან ზანგი ბავშვის ხუჭუჭა თმა დაინახა. ბავშვმა თავი რომ ასწია და თვალებში შეხედა, მათიუშმა მაშინვე იცნო მეფის ასული, საყვარელი კლუ-კლუ.

მათიუში გაოგნებული იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა, ეს რა ამბავიაო. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ჯერ ეგონა, სიზმარს ვხედავო, მერე იფიქრა, კინოს ვუყურებო.

ჯერ აფრიკული თოკებით ხელფეხშეკრული ბუმ-დრუმი დაინახა, ფიჩხის გროვაზე იწვა. გვერდით შავი ქურუმები ედგნენ. საშინელი სანახავი იყო: ორი ფრთა ჰქონდა, ორი თავი, ოთხი ხელი და ოთხი ფეხი. რა თქმა უნდა, გადაცმული ბრძანდებოდა, ერთ ხელში ფიცარი ეჭირა, ზედ ადამიანის სისხლით რაღაც ეხატა თუ ეწერა. მეორე ხელით ანთებული ჩირადდანი მოემარჯვებინა. მათიუში მიხვდა, რომ ბუმ-დრუმის დაწვა უნდოდათ. იქვე იდგა ორასი გათოკილი ცოლი. ორასივეს ხელში შხამიანი ისარი ეჭირა და წვერი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი.

ბუმ-დრუმის შვილებიც იქ იყვნენ, შემზარავად ბლაოდნენ, ოთხზე იღგნენ, ასე დადიოდნენ და დროდროდ საცოდავად გადატრიალდებოდნენ ხოლმე. მარტო კლუ-კლუ არ ერია მათში, მათიუშთან მისულიყო, ხელში ხელი ჩაეველო, თავისი მამისკენ ეწეოდა და რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ მათიუშს არაფერი გაეგებოდა. ბოლოს, ყოველ შემთხვევისთვის, რვეოლვერ ამოიღო და ჰაერში გაისროლა.

იმავე წუთს ზურგს უკან ყვირილი გაისმა. მიიხედა და დაინახა, რომ მფრინავი ყვიროდა. დაიყვირა, მერე ხელები გაასავსავა, გაღურჯდა და უსულოდ დაეცა მიწაზე.

იშისი დაცემა იყო და, ველურებმა ისეთი ღრიალი მორთეს, მათიუშს ეგონა, ყველანი გაგიჟდნენო. ორთავა ქურუმმა თოკები გადაუჭრა ბუმ-დრუმს, ამას რაღაც ველური ცეკვა მოაყოლა, მერე იმ ადგილას შეუდგა, ბუმ-დრუმი რომ იწვა, და ჩირადდანი ფიჩხს მიადო, ეტყობა, ფიჩხი რაღაც სწრაფად ააღებადი სითხით იყო გაჟღენთილი, მაშინვე აბრიალდა და ალი მოიქნია. მათიუშმა და კლუ-კლუმ ძლივს მოასწრეს უკან გადახტომა, კინაღამ ალი მათაც მისწვდა.

თვითმფრინავი კოცონის შორიახლო იდგა. ცეცხლის ენებმა ცალი ფრთა მოულოკა. მაშინვე ტკაცანიც გაისმა და თვითმფრინავი აფეთქდა. ბუმ-დრუმის ცოლებმა მათიუში ხელში აიტაცეს და ოქროს ტახტზე დასვეს. ბუმ-დრუმი, უმცროსი მეფეები და თავადნი რიგრიგობით მიდიოდნენ, ტახტის საფეხურზე თავს დებდნენ, მათიუშის მარჯვენა ფეხს იღებდნენ და კისერზე სამჯერ ირტყამდნენ, თან რაღაცას ამბობდნენ, მაგრამ მათიუშს მათი ენა არ ესმოდა.

ამის შემდეგ მფრინავის ცხედარი ისეთი სურნელოვანი ზეთით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს, მათიუშს თავბრუ დაესხა.

ნეტავი რა ამბავია, რა სჭირთ, – ფიქრობდა გუნებაში.

არაჩვეულებრივი რაღაცა რომ მოხდა, ცხადი იყო, მაგრამ რა იყო ეს ‘არაჩვეულებრივი რაღაცა?’ ისე გამოდიოდა, თითქოს მათიუშმა სიკვდილისაგან იხსნა ბუმ-დრუმიც და მისი ცოლებიც. თითქოს აღარც მათიუშს ელოდა რამე ხიფათი, მაგრამ ვინ იცის, როდის რა მოეპრიანებათ ამ საოცარ ქვეყანაში.

ან ამდენმა ზანგმა საიდან მოიყარა თავი? რას აპირებენ, რა სწადიათ? ტყეში ათასობით კოცონი დაუნთიათ, ცეკვავენ, თამაშობენ და მღერიან. ყველა ორკესტრი თავისას უკრავს, ყველა ტომი თავის სიმღერებს მღერის.

ზანგების ტანსაცმლით მათიუშში მიხვდა, რომ აქ მარტო ბუმ-დრუმის ქვეშევრდომები არ იყვნენ თავშეყრილნი. ზოგი, ალბათ, ტყის ტომი იყო, – მცენარეების ფოთლებითა და ფრინველების ფრთებით შეკოწიწებული ტანსაცმელი ეცვათ. ზოგს ზურგზე უზარმაზარი კუს ბაკანი მოეგდო, ზოგს მაიმუნის ტყავი ეცვა, ზოგნი კი შიშვლები იყბნენ, ცხვირსა და ყურებში კი სამკაულები ეკეთათ.

მათიუშში მხდალი არასოდეს ყოფილა, რამდენჯერ შეუხედავს სიკვდილისთვის თვალებში, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო: თავის სახლ-კარს მოშორებული მათიუშში ათიათასობით ველურ კაციჭამიაში მარტოსმარტო დარჩა. უმიზეზოდ და უცნაურად დაღუპული თავისი ერთგული ამხანაგი რომ გაახსენდა, გული სიბრალულით აევისო და ხმამაღლა ატირდა.

მათიუშში ღომისა და ვეფხვის ტყავებით მოფარდაგულ ქოხში დააბინავეს.

მარტოკა რომ დარჩა, იფიქრა, ახლა კი ტირილით გულს ვიჯერებ, ვერავინ გაიგებსო, მაგრამ მოტყუვდა. პატარა კლუ-კლუს არ დაუძინია, პატარა კლუ-კლუ ერთი ნაბიჯითაც არ მოსცილებია. მათიუშმა უზარმაზარი ბრილიანტის შუქზე დაინახა კლუ-კლუ. გოგონა მივიდა, თავისი პატარა ხელი მათიუშს თავზე დაადო და ისიც ცხარე ცრემლებით ატირდა.

ო, როგორ ნანობდა მათიუშში და როგორ წუხდა, რომ კაციჭამიების ენა არ იცოდა. რომ სცოდნოდა, კლუ-კლუ ყველაფერს მოუყვებოდა, ყველაფერს აუხსნიდა. გოგონა რაღაცას ეუბნებოდა, ძალიან ნელა, რამდენჯერმე იმეორებდა სიტყვებს, ეგონა, ასე მაინც გაიგებსო. ხელებითაც რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ მათიუშმა მხოლოდ ის გაიგო, რომ კლუ-კლუ მისი ყველაზე ერთგული მეგობარი იყო ამქვეყნად. მიხვდა იმასაც, რომ არც ახლა და არც ამის შემდეგ მათიუშს არაფერი ხიფათი არ მოელოდა.

მათიუშს მთელ ღამეს არ სძინებია, დადლილობამაც კი ვერ უშველა, თვალი არ მოუხუჭავს.

გათენებისას ღრიანცველი ცოტა მიწყდა. მათიუშსაც მაშინდა ჩაეძინა. მაგრამ მალე გააღვიძეს და ისევ ოქროს ტახტზე დააბრძანეს. ზანგებს საჩუქრები მოჰქონდათ მათიუშთან. ისიც მადლობას უხდიდა, იღიმებოდა, თუმცა კარგად ხედავდა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე რაც აქლემებია, ისინიც კი ვერ მოერეოდნენ ამდენ საჩუქარს. ესეც რომ არ იყოს, მათიუშის გამომგზავრების წინ უცხოეთის მეფეებმა განაცხადეს, ჩვენს ქვეყანაზე მხოლოდ და მხოლოდ ნადირთა გალიებს გაგატარებინებთ, მეტს არაფერსო, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

‘აფსუს, რატომ მეც არა მაქვს საკუთარი ნავსადგური?! რამდენი გემი მექნებოდა! – ფიქრობდა მათიუშში. – ახალი ომი რომ დაწყებულიყო და ისევ მე მომეგო, უცხოეთის მეფეებს ვაიძულებდი, ერთი ნავსადგური ჩემთვის მოეცა. მაშინ სამოწყალოდ აღარ გამიხდებოდა საქმე.’

მათიუშში კიდევ ერთ კვირას სიხარულით დარჩებოდა, რომ დაესვენა, მაგრამ არ შეეძლო. ეშინოდა, ვაითუ უჩემოდ ომი დაიწყო. ან იმდენ წერილს რა უნდა უყოს? ყოველდღე ასი წერილი აქვს წასაკითხი და ასი ბავშვი აუდიენციაზე ჰყავს მისაღები.

– ჩემი დაბრუნების დროა, – უთხრა ბუმ-დრუმს, აქლემზე მიუთითა და მერე ხელი ჩრდილოეთისკენ გაიქნია.

ბუმ-დრუმმა გაუგო.

მათიუშმა ახლა მამაცი მფრინავის ცხედარზე ანიშნა, შინ მინდა წავიღო.

ბუმ-დრუმმა გაუგო.

ცხედარს ნელსურნელებით გაუღენთილი ქსოვილი რომ შემოაცალეს, მათიუშმა თავისი მკვდარი ამხანაგი დაინახა: სრულიად გათეთრებული და მარმარილოსავით გამაგრებული იქვა. ცხედარი შავი ხის ყუთში ჩაასვენეს და მათიუშს ხელით ანიშნეს, შეგიძლია წაიღო.

მეორე ყუთში დამწვარი თვითმფრინავის ნაწილები ჩააწყვეს. მათიუშმა ხელით ანიშნა, ამის წაღება არ მინდაო. ბუმ-დრუმმა ისე გაიხარა, გეგონებოდათ, დამწვარი თვითმფრინავი კი არა, უაღრესად ძვირფასი რამე ყოფილიყოს. მათიუშს გაუკვირდა.

მაშ ასე. მათიუში უკვე მიემგზავრება, მაგრამ ყველაზე მეტად რაც უნდოდა, ის მაინც ვერ გაიგო. ვერ გაიგო, ბუმ-დრუმი ადამიანის ხორცს ჭამდა თუ არა. რა ექნა? მეტი გზა არ ჰქონდა, ბუმ-დრუმიც თან უნდა წაეყვანა.

და მათიუშმა ბუმ-დრუმი წაიყვანა. მეფის ქარავანმა ნაცნობი გზით გასწია უდაბნოსაკენ.

მათიუშმა მხოლოდ თავის დედაქალაქში, თავის კაბინეტში გაიგო ის ყველაფერი, რაც კაციჭამიების ქვეყანაში მოხდა. ორმოცდაათი ენის მცოდნე პროფესორმა ასე აუხსნა:

როცა ბუმ-დრუმის ერთ წინაპარს ადამიანის ხორცის ჭამაზე უარი უთქვამს და ამისთვის კიდევ მოუწამლავთ, ველურების ქურუმთ ქურუმს უწინასწარმეტყველებია:

‘დადგება დრო და კაციჭამიები გარდაიქმნებიან. ერთ სადამოს აქ მოფრინდება რკინისგულია დიდი ჩიტი: მარჯვენა ფრთაში ათი მოშხამული ისარი ექნება შერჭობილი.

ეს ჩიტი შვიდჯერ შემოუფრენს სამეფო დედაქალაქის მდებლოს და მერე დაჯდება. ამ ჩიტს ექნება უზარმაზარი ფრთები, ოთხი ხელი, ორი თავი, სამი თვალი და ორი ფეხი. ერთი თავი და ორი ხელი იმ ათი მოშხამული ისრიდან ერთ-ერთი ისრით მოიწამლება და მოკვდება. ამის მერე ორჯერ დაიქუხებს. რის შემდეგაც ქურუმთ ქურუმი კოცონზე დაიწვება. დიდი ჩიტის რკინის გული გასკდება და მისგან დარჩება მხოლოდ მარმარილო, ერთი მუჭა ფერფლი და თეთრკანიანი ადამიანი, რომელიც გახდება შავკანიანი მეფეთა მეფე და იმ დღიდან ზანგი ხელს აიღებს ადამიანის ხორცის ჭამაზე, თეთრკანიანთაგან შეითვისებენ იმათ ხელოვნებას და სიბრძნეს. მანამდე კი, სანამ ის ფრინველი გამოჩნდებოდა, არაფერი არ უნდა შეიცვალოს. ყველა მეფე, ვინც მანამდე მოიწადინებს რამის შეცვლას, უნდა დაიწვას ან მოიწამლოს’.

ბუმ-დრუმმა ცეცხლი აირჩია და სწორედ მაშინ, როცა კოცონი უნდა აეგიზგიზებინათ, ბუმ-დრუმის ორასი ცოლი კი მოეწამლათ, სწორედ მაშინ გამოჩნდა მათიუშის თვითმფრინავი. მათიუშმა ორჯერ დააქუხა რევოლვერი, მფრინავი კი, ჩიტის ორი ხელი და ერთი თვალი, უდაბნოს ყაჩაღების მოწამლულ ისარს წამოედო, კანი გაეკაწრა და დაიდუპა. ქურუმთ ქურუმი თავისი ნებით შედგა კოცონზე. დიდი ფრინველი დაიწვა, მათიუში კი მარტო კაციჭამიებისა კი არა, ყველა შავკანიანი მეფეთა მეფე გახდა. ამიერიდან კაციჭამიები აღარ შეჭამენ ადამიანებს. მათ სურთ, წერა-კითხვა ისწავლონ. აღარც ნიჟარებსა და ძვლებს გაიყრიან ცხვირში, ჩაცმითაც ისევე ჩაიცვამენ, როგორც დანარჩენ ხალხს აცვიაო.

– დიდებულია! – გაუხარდა მათიუშს. – მაშ, მოდი, ბუმ-დრუმმა ასი ზანგი გამოგზავნოს ჩვენთან. ჩვენი თერძები თანსაცმლის შეკერვას ასწავლიან, ჩვენი ხარაზები – ჩექმებისას, ჩვენი კალატოზები კი – სახლის აშენებას. ჩვენ იმათ

გაეუგზავნით გრამაფონს, რომ ლამაზი მელოდიები შეიყვარონ. გაეუგზავნით საყვირებს, დოლებს, ფლეიტებს, მერე კი ვიოლინოებსა და როიალებს. ვასწავლით ჩვენებურ ცეკვებს, ვაჩუქებთ კბილის ჯაგრისებსა და საპონს.

– ვინ იცის, იქნება ბანაობას რომ მიეჩვევიან, ასეთი შავებიც აღარ იყვნენ! თუმცა, კაცმა რომ თქვას, არავის არაფერს უშლის მათი სიშავე.

– მე ვიცი, რასაც ვიზამ, – მთლად გამხიარულდა მათიუში. – ბუმ-დრუმის დედაქალაქში უმავთულო ტელეგრაფს დავდგამ! მაშინ წამდაუწუმ იმსიშორედ მგზავრობა აღარ დაგვჭირდება, საქმეებს აქედანაც მივხედავთ.

მათიუშიმა მაშინვე გამოიძახა სასახლის ოსტატები და უბრძანა, ბუმ-დრუმისთვის ოცი კოსტუმი, ოცი წყვილი ჩექმა და ოცი ქული შეეკერათ.

დალაქმა ბუმ-დრუმს თმა გაჰკრიჭა. ბუმ-დრუმი უარს არაფერზე ამბობდა. ცოტა მაშინ იყო უკმაყოფილო, კბილის პასტა და სურნელოვანი საპნის ნაჭერი რომ შეჭამა. ამის შემდეგ ოთხი მსახური ადევნებდა თვალს, შეცდომით კიდევ რაიმე სისულელე არ ჩაიდინოსო.

მათიუში რომ დავრუნდა, უფროსმა მინისტრმა მეორე დღეს თათბირი მოიწვია. მაგრამ მათიუშიმა სთხოვა, გადადეთო. მშვენიერი ქათქათა თოვლი მოვიდა. სამეფო ბაღში ერთი ოცამდე ბიჭს მოეყარა თავი. ფელეკი და სტასეკიც იქ იყვნენ. ისეთი ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, ისე მხიარულობდნენ, მათიუშს გული ეკუმშებოდა.

– ბატონო უფროსო მინისტრო, მე ხომ გუშინ დავბრუნდი სახიფათო და მძიმე მოგზაურობიდან, – ეუბნებოდა მინისტრს. – ყველაფერი მოვაგვარე. ნუთუ არ შეიძლება, ერთ დღეს დავისვენო? მერე რა, რომ მეფე მქვია, მეც ხომ პატარა ბიჭი ვარ, მეც ხომ მიყვარს გართობა-თამაში. თუ ძალიან აუცილებელი საქმე არ არის და არაფერი დაშავდება, რომ ერთი დღით გადავდოთ, მერჩივნა, ხვალ მოგვეწვია თათბირი, დღეს ბიჭებთან ვითამაშებდი. ისეთი კარგი თოვლია! ალბათ, წელს აღარც მოვა ამის მეტად.

უფროს მინისტრს შეებრაღა მათიუში. მართალია, ნებართვას არ სთხოვდა, მხოლოდ ეკითხებოდა, შეძლება თუ არა, ასე მოვიქცეო, მაგრამ ისე გამოდიოდა, რომ მაინც თამაშის ნებართვას ითხოვდა.

– ერთი დღით გადადება შეიძლება, – უთხრა მინისტრმა.

მათიუში სიხარულისაგან შეხტა და შემოტრიალდა. მაშინვე გაიქცა, ბეწვის მოკლე ქურთუკი ჩაიცვა და ერთი წუთის შემდეგ უკვე გახურებული გუნდაობდა. ბიჭები ჯერ არ ესროდნენ გუნდას, არ იცოდნენ, შეიძლებოდა თუ არა, რომ ესროლათ. მათიუშიმა დაუყვირა:

– რას შევებით! აბა ეს რა თამაშია, მე გესვრით და თქვენ არა! ნუ გეშინიათ, მესროლეთ, მოვახერხებ თავის დაცვას. თოვლის გუნდებია, მოშხამული ისრები ხომ არ არის!

ბოლოს, როგორც იქნა, მორიდდნენ და ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთი ბანაკი თავს იცავდა. ისეთი გნიასი და აურზაური ატყდა, მსახურებიც კი გამოცვივდნენ, რა მოხდაო. მეფე რომ დაინახეს, გაუკვირდათ და ხმამაღლა შებრუნდნენ სასახლეში.

მეფისთვის სახეში რომ არ შეეხედათ, კაციშვილი ვერ იცნობდა, ისე იყო თოვლში ამოგანგლული. რამდენჯერმე ფეხი გაუსრიალდა და თოვლში გადაკოტრილდა. ბიჭებიც არ აკლებდნენ, ესროდნენ ზურგში, თავში, ყურში. მათიუში გაშმაგებული იცავდა თავს.

– იცით, რა! – დაიყვირა უცბად მათიუშიმა. – მოდი, ასე მოვიქცეთ: ვისაც გუნდა მოხვდება, ის იქნება მოკლული და ბრძოლაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ბოლოს იმას მაინც გავიგებთ, ვინ დარჩება გამარჯვებული.

მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, თვალის დახამხამებაში ყველა ‘დაიხოცა’. ახლა ის დათქვეს, ვისაც სამჯერ მოხვდება გუნდა, მოკლული ის იქნებაო.

მართალია, ზოგი ატყუებდა ამხანაგებს და მესამე გუნდის შემდეგაც იბრძოდა, მაგრამ მაინც ახლა უფრო კარგად გუნდაობდნენ. ყურისწამლები ღრიანცელი აღარ იდგა, თოვლსაც უკეთესად აგუნდავებდნენ და დამიზნებითაც უფრო გულდაგულ უმიზნებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეცვალეს თავიანთი ნათქვამი. ახლა მოკლულად ის ითვლებოდა, ვინც ძირს დაეცემოდა.

გადასარევი თამაში გამოუვიდათ.

გუნდაობა რომ მობეზრდათ, ერთი ზორბა თოვლის პაპა გააკეთეს, ხელში ცოცხი დააჭერინეს, თვალებად ნახშირი ჩაუსვეს, ცხვირი სტაფილოსი ამჯობინეს. მათიუში წამდაუწუმ სამეფო სამზარეულოში გარბოდა.

– ბატონო მზარეულო, ორი ნახშირი მომეცით, რა!

– ბატონო მზარეულო, თოვლის პაპას ცხვირი უნდა გავუკეთოთ, ერთი სტაფილო მომეცით, რა!

მათიუშს დანარჩენი ბიჭებიც კისრისტეხით გაჰყვებოდნენ ხოლმე სამზარეულოში. იქ სითბოზე თოვლი დნებოდა და იატაკზე სველი ნაფეხურები რჩებოდა. მზარეული გულზე იყო გახეთქილი.

– ოცდარვა წელიწადია, მეფის მზარეულად ვმუშაობ, და არ მახსოვს, ჩემი სამზარეულო როდისმე ბოსელს დამსგავსებოდეს, – ბუზღუნებდა და თანაშემწეს უცაცხანებდა, სასწაფოდ იატაკი მოწმინდეთო.

მათიუში ამ დროს თავისას ფიქრობდა:

‘აფსუს რატომ ბუმ-დრუმის ქვეყანაში თოვლი არ არის! ზანგ ბავშვებს თოვლის პაპის გაკეთებას ვასწავლიდი’.

ესეც რომ მოიწყინეს, ფელეკმა შესთავაზა, მარხილებით ვისრიალოთო. სასახლეში უფლისწულებისთვის ოთხი მარხილი ჰქონდათ და ოთხი პონი ჰყავდათ. ოთხივე შეაბეს.

– ჩვენ თვითონ წავიყვანთ მარხილებს, – უთხრა მათიუშმა მეჯინიბეებს, – ერთმანეთს შევეჯიბრებით, ვინ პირველი შემოუვლის ბაღს. ხუთჯერ უნდა შემოუჯაროთ.

– კარგი ეგრე იყოს, – თქვეს ბიჭებმაც.

მათიუში ჩაჯდა მარხილში და ის იყო, უნდა გაექროლებინა, რომ მათკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი უფროსი მინისტრი დაინახა.

– ალბათ, ჩემს წასაყვანად მოდის, – ამოიოხრა დანადგლიანებულმა.

ასეც იყო.

– მაპატიეთ, ათას ბოდიშს ვიხდი, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ. ძალიან გული მწყდება, რომ თქვენს უდიდებულესობას თამაში უნდა შევაწყვეტინო.

– რას ვიზამთ, უჩემოდ ითამაშეთ, – უპასუხა მათიუშმა ბიჭებს, მერე უფროს მინისტრს მიუბრუნდა. – აბა, რა მოხდა?

– თქვენი ყველაზე მთავარი ჯაშუში ჩამოვიდა, – ჩურჩულით მოახსენა უფროსმა მინისტრმა. – ისეთი ახალი ამბები ჩამოიტანა, წერილში ვერ მოგწერდათ, ემინოდა, სხვის ხელში არ ჩავარდესო. აუცილებლად უნდა მოვითათბიროთ. ჯაშუში სამ საათში ისევ საზღვარგარეთ მიემგზავრება.

ესენი რომ ამ ლაპარაკში იყვნენ, პირველი მარხილი გადაბრუნდა და ბავშვები თოვლში გადაცვივდნენ. თურმე პონი მარხილში შებმას გადაჩვეულიყო და წინ წასვლის მაგიერ, გვერდზე გახტა გაბრაზებული. მათიუში ნაღვლიანი თვალბით უყურებდა ბავშვებს. ბიჭები ხარხარით წამოიბლაგვებდნენ ნამქერიდან, თოვლი ჩამოიფერთხეს და მარხილს მიუბრუნდნენ, რომ ისიც გადმოებრუნებინათ. რას იზამდა მათიუში, მინისტრს სასახლეში გაჰყვა.

მათიუშს ძალიან უნდოდა, თავისი თავლით ენახა ნამდვილი ჯაშუშუ. აქამდე მხოლოდ მათი ამბები სმენოდა.

ვიდრე ჯაშუშს შემოიყვანდნენ, მათიუში ფიქრობდა, ვინმე ფეხშიშველა ბიჭი ან ზურგზე ტომარამოგდებული ბერიკაცი იქნებოდა, მაგრამ ფრიად ელეგანტური

კაცი შემობრძანდა. თავდაპირველად მიწათმოქმედების მინისტრიც კი ეგონა. ის მინისტრი სოფელში მუშაობდა, თათბირებზე იშვიათად ჩამოდიოდა და მათიუში კარგად არ იცნობდა.

– მე გახლავართ ჯაშუშთა უფროსი პირველ უცხოელ მეფესთან, – თქვა ელეგანტურმა კაცმა. – ახლა იმიტომ გაეხელეთ, რომ გავაფრთხილო თქვენი მეფური უდიდებულესობა: პირველი უცხოელი მეფის ვაჟიშვილმა გუშინ დაამთავრა ციხესიმაგრის მშენებლობა. ამას კიდევ არა უშავს, შარშან ტყეში უჩუმრად ააშენა იარაღის კარგა მოზრდილი ქარხანა და სრულიად მზად გახლავთ ომისთვის. იმას ექვსჯერ მეტი ტყვია-წამალი აქვს, ვიდრე ჩვენ.

– ის არამზადა, ისა! – გული მოუვიდა მათიუშს. – მე ტყეში სახლებს ვაშენებდი, ზაფხულობით ბავშვებმა დაისვენონ – მეთქი, ის კი ყუმბარებსა და ზარბაზნებს აკეთებდა, რომ ჩემს ქვეყანას თავს დაესხას და, რაც მე ავაშენე, იმან მიწასთან გაასწოროს.

– ერთი წუთით მადროვეთ, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, – ეუბნებოდა ჯაშუშთა უფროსი თავისი დაბალი სასიამოვნო ხმით. – მეფის ვაჟს ამაზე დიდი მზაკვრობა ედო გულში. იმან იცოდა, რომ თქვენს მეფურ უდიდებულესობას სეიმის გახსნაზე უცხოეთის მეფეები უნდა მოეწვია. ადგა და ჩვენი მდივანი მოისყიდა, რომ მოსაწვევი ბარათების ნაცვლად ომის გამოცხადების ყალბი ბარათები გაეგზავნა.

– ოჰ, ის გაიძვერა, ისა! მათთან სტუმრად რომ ვიყავი, მაშინვე შევატყვე, რომ ვძულდი, სულითა და გულით ვძულდი.

– კიდევ არ მითქვამს ყველაფერი. ოო, ძალიან ეშმაკი და გაქნილი ვინმეა მოხუცი მეფის ვაჟი. ვინიცობაა მდივანს წერილების შეცვლა ვერ მოეხერხებინა, მეფის ვაჟს ორი ქაღალდი ჰქონდა მომზადებული მათიუშის ყალბი ხელმოწერით. ერთი სევდიანი მეფისთვის უნდა გაეგზავნა, მეორე – ყვითელკანიან მეფეთა მეგობარი მეფისთვის. ახლა კი, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ, მოხუცი მეფის ვაჟიშვილი გავამართლო.

– გაამართლოთ? როგორ უნდა გაამართლოთ ვერაგი და ავაზაკი?

რას იზამთ, ჩვენ თუ ვზრუნავთ ჩვენს ქვეყანაზე, ისიც თავის ქვეყანაზე ფიქრობს და ზრუნავს. ჩვენ გვინდა პირველობა, მათაც უნდათ. ამის გულისთვის გაწყრომა არ შეიძლება. ჩვენ გვევალება ფხიზლად ვიყოთ და დროზე მივხედოთ ყველაფერს.

– მაშ, რა უნდა ვქნა?

– თქვენო უდიდებულესობავ, უცხოეთის მეფეების მოსაწვევ ბარათებზე ახლავე მოაწერეთ ხელი და მე წავიღებ ფარულად ხვალ, სხდომის მერე, თათბირი გამართეთ, როდის და როგორ მოვიწვიოთ-თქო. უცხოეთის მეფეები, ვითომ ბარათები ჯერ არ გაგიგზავნიათ. მდივანს წერილების შეცვლა ადროვეთ, ხელს ნუ შეუშლით. გაგზავნის დრო რომ დადგება, აი, მაშინ გახსენით და მდივანი დააპატიმრეთ.

– იმ ციხესიმაგრეს და იარაღის ქარხანას რაღა ვუყოთ?

– ეჰ, ეგ სისულელეა, – გაუღიმა ჯაშუშების უფროსმა. – ციხესიმაგრე და იარაღის ქარხანა უნდა აფეთქდეს. სწორედ ამის ნებართვის ასაღებად ვეახელი თქვენს უდიდებულესობას.

მათიუში გაფითრდა.

– როგორ შეიძლება, ჯერ ხომ არ არის! ომის დროს სულ სხვაა მტრის ტყვია-წამლის საწყობების აფეთქება. აბა ეს რას ჰგავს, კაცი სტუმად მოიწვიო, თავი ისე მოაჩვენო, თითქოს არაფერი არ იცი, და ასეთი სარმა კი გამოსდო!

– მე მესმის, თქვენი უდიდებულესობა ფიქრობს, ასეთი საქციელი არაკეთილშობილური და უღამაზოაო. თუ თქვენი უდიდებულესობა ნებას არ დამრთავს, მე ამას არ ვიზამ, მაგრამ არა მგონია, სანანებლად არ გაგვიხდეს

საქმე. მეფის შვილს ექვსჯერ მეტი ტყვია-წამალი აქვს, ვიდრე ჩვენ, – უთხრა ჯაშუშების უფროსმა.

მათიუში აღელვებული სცემდა ბოლთას. ბოლოს ჰკითხა:

– როგორ უნდა ააფეთქოთ?

– ქარხნის მთავარი ინჟინრის თანაშემწე მოსყიდული გეყავს. იმ კაცმა ზუსტად იცის, სად რა აქვთ. ერთ პატარა შენობაში ფიცრის საწყობია, სულ ბურბუშელით არის გამოტენილი. აი იმ ბურბუშელას წაეკიდება ცეცხლი და ხანძარი გაჩნდება.

– ხანძარი გაჩნდება და ჩააქრობენ!

– ვერ ჩააქრობენ, – გაეღიმა ჯაშუშების უფროსს და თვალები მოჭუტა. – სწორედ ბედზე, მთავარი წყალსადენი მილი გასკდება და მთელ ფაბრიკაში წვეთი წყალი არ დარჩება. თქვენ მშვიდად ბრძანდებოდეთ, თქვენო მეფურო უდიდებულესობაე.

– მუშები დაიღუპებიან?

– ხანძარი, საერთოდ, ღამლამობით ჩნდება, ისე, რომ, შეიძლება ბევრი ხალხი არ დაიღუპოს. ომი რომ დაიწყოს, ასჯერ, ათასჯერ მეტი ხალხი დაიღუპება.

– ვიცი, ვიცი, – უთხრა მათიუშმა.

– თქვენო მეფურო უდიდებულესობაე, მეტი გზა არ არის, – გაუბედავად ჩაერია საუბარში უფროსი მინისტრი.

– ვიცი, რომ მეტი გზა არ არის, – განრისხდა მათიუში, – მაშ ჩემს ნებართვას რაღას თხოულობთ!

– სხვანაირად არ შეიძლება.

– მეტი გზა არ არის...არ შეიძლება... ნება მიბოძებია, დაწვით ფაბრიკა, მაგრამ ციხესიმაგრეს ხელი არ ახლოთ.

მათიუშმა სასწრაფოდ მოაწერა ხელი სამი უცხოელი მეფის მოსაწვევ ბარათს და თავის ოთახში გავიდა.

მივიდა ფანჯარასთან, დაჯდა, გარეთ გაიხედა. ბაღში სტასეკი, ფელეკი და დანარჩენი ბიჭები მხიარულად დააქროლებდნენ მარხილებს. თავზე ხელები შემოიდო და გაიფიქრა:

‘ახლა კი მივხვდი, რატომ უკრავდა სევდიანი მეფე ვიოლონოს ისე სევდიანად. ისიც გავიგე, მაშინ რატომ არ უნდოდა ომი და რატომ მებრძოდა მაინც’.

სხდომის წინ, რომელზედაც ხელმოწერილი მოსაწვევი ბარათები კონვერტებში უნდა ჩაედოთ და ზედ სამეფო ბეჭედი დაერტყათ, მათიუში ძალიან დელავდა, მოუთმენლად ელოდა სახელმწიფო მდივნის მოსვლას, რომ დაენახა, მოსაწვევი ბარათების ნაცვლად როგორ ჩადებდა ომის გამოსხადების ყალბ ბარათებს. მაგრამ გაოცებული დარჩა, როცა სახელმწიფო მდივანი არ მოვიდა. მის ნაცვლად მდივნის თანაშემწე ეახლა მეფეს.

– მაშ, სახლები მზად იქნება? – შეეკითხა მათიუში

– უსათუოდ მზად იქნება.

– ჩინებულია.

მაშ, ასე. ზეიმი ერთ კვირას გასტანს. პირველ დღეს წირვა-ლოცვა, ჯარების დათვალიერება, დარბაზობა და დიდი სათეატრო წარმოდგენა გაიმართებოდა. მეორე დღეს – დიდების სეიმის გახსნა. მესამე დღეს – ბავშვთა სეიმის გახსნა. მეოთხე დღეს – ზოოლოგიური პარკის გახსნა. მეხუთე დღეს მოეწყობოდა იმ ბავშვთა მსვლელობა, რომლებსაც მთელი ზაფხული სოფლად, მეფე მათიუშის აშენებულ დასასვენებელ სახლებში უნდა გაეტარებინათ.

მექვსე დღეს უცხოელ მეფეთათვის გაიმართებოდა გამოსათხოვარი მეჯლისი. მეშვიდე დღეს კი სტუმრებს გააცილებდნენ.

მეოთხე დღის პროგრამას მათიუშმა დაამატა საბოლოო მოგზაურობაში დაღუპული მამაცი მფრინავის გახსნა და შავკანიან მეფეთა გართობა-სეირნობა.

ყველა სანახაობა-გასართობს ორივე სეიმის დეპუტატები უნდა დასწრებოდნენ. ფელეკი მათიუშის ხელმარცხნივ დაბრძანდებოდა, უფროსი მინისტრი – ხელმარჯვნივ. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათიუშის თვალში დიდების მინისტრი და ბავშვთა მინისტრი თანასწორნი იყვნენ და ამიერიდან ფელეკისთვისაც “ბატონი მინისტრი” უნდა ეწოდებინათ.

ყველაფერი რომ განიხილეს და განსაჯეს, მათიუშმა ხელი მოაწერა უცხოეთის მეფეთა მოსაწვევ ბარათებზე: თეთრკანიან მეფეებს თეთრ ბარათს უგზავნიდა, ყვითელკანიანებს – ყვითელს, შავკანიანებს – შავს. თეთრკანიან მეფეებს შავი მეღნით მისწერა, ყვითელკანიანებს – წითელი მეღნით, შავკანიან მეფეებს – ოქროს მეღნით. შავკანიანი მეფეებისთვის მოსაწვევი ბარათები ბუმდრუმს უნდა წაეღო, ყვითელკანიანებს მათი მეგობარი თეთრკანიანი მეფე გაუგზავნიდა. მაგრამ წინასწარ მოილაპარაკეს, რომ თეთრკანიანი მეფე ყვითელკანიან მეფეთა მოსაწვევ ბარათებს თვითონ დაიტოვებდა. ყვითელკანიანი მეფეები მათიუშს გაუწერებოდნენ და მის მეგობრობაზე ხელს აიღებდნენ.

ცერემონიაისტერმა სამეფო ბეჭდის ყუთი მოიტანა. მოსაწვევ ბარათებს სათითაოდ დებდნენ კონვერტში და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე წითელი და მწვანე ლუქით ბეჭდავდა.

მათიუში გულისყურით ადევნებდა თვალს, უწინ სიცილს ჰგვრიდა წერილების დალუქვის ცერემონიალი. გადაჭარბებულ სიფრთხილედ თვლიდა და გული მოსდიოდა, ძალიან ბევრი დრო სჭირდებოდა. მაგრამ ახლა უკვე იცოდა, რა დიდი ნიშნელობა ჰქონდა.

ყველა წერილი დალუქეს, დარჩა მხოლოდ ის სამი ბარათი. მინისტრებს მობეზრდათ ცერემონიალი, სიგარები გააბოლეს და ხმადაბლა ბაასობდნენ, თუმცა სამეფო ბეჭდით წერილების დალუქვის დროს ლაპარაკი აკრძალული იყო. იმათ არ იცოდნენ, რა უნდა მომხდარიყო. იცოდნენ მხოლოდ მათიუშმა, უფროსმა მინისტრმა და იუსტიციის მინისტრმა. საგარეო საქმეთა მინისტრმა როცა გაიგო, ძალიან ეწყინა, რატომ მეც ადრევე არ მითხარიო.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწე გაფითრდა, მაგრამ ხელები მაინც არ უკანკალებდა. კონვერტებში თეთრკანიან მეფეებთან გასაგზავნი ბარათები უნდა ჩაეღო, ხველა აიტეხა და ვითომ ცხვირსახოცს ეძებდა, ჯიბეები მოიხსრიკა, ამ ძებნაში ისე მარჯვედ ამოაძრო ჯიბიდან ყალბი ბარათები და ნამდვილებიც ისე მარჯვედ შეინახა, ვინც არაფერი იცოდა, ვერაფერს შეამჩნევდა.

– თქვენო უდიდებულესობავ, გთხოვთ, მომიტევეთ, – წყნარად უთხრა მათიუშს, – ჩემს კაბინეტში შუშა იყო ჩამსხვრეული და გავცივდი.

– ო, არა უშავს, – დაამშვიდა მათიუშმა, – თქვენი გაცივება ჩემი ბრალია: ის შუშა გავტეხე, გუნდაობას რომ ვთამაშობდით.

მდივნის თანაშემწე ძალიან ნასიამოვნები ბრძანდებოდა. რომ ასე ყოჩაღად შეცვალა ბარათები. მაგრამ უცბად იუსტიციის მინისტრმა გამოაცხადა:

– ბატონო მინისტრებო, გთხოვთ, მომისმინოთ. ცოტა ხანს თავი მიანებეთ სიგარებს.

ყველანი ერთბაშად მიხვდნენ, რომ რაღაც დიდი ამბავი ხდებოდა.

იუსტიციის მინისტრმა ცხვირზე სათვალე წამოიცვა და სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს მიუბრუნდა:

– კანონის ძალით, თქვენ დაპატიმრებული ხართ, როგორც ჯაშუში და მოლაღალტე. 174-ე პარაგრაფის თანახმად, თქვენ მოგესჯებათ ჩამოსხრჩობა.

მდივნის თანაშემწეს კინაღამ თვალები წამოცვივდა, შუბლზე ოფლმაც დაასხა, მაგრამ თავი მაინც მშვიდად ეჭირა.

– ბატონო მინისტრო, მე არაფერი არ ვიცი, ვარაფერი გამიგია. მე ავად ვარ, მახველებს. ჩემს კაბინეტში შუშა ჩაამსხვრიეს, უსათუოდ შინ უნდა წავიდე და დავწვე.

– არა, ძამიკო, ვერსადაც ვერ წახვალ. ნუ გეშინია, საპატიმროში მოგარჩენენ.

შემოვიდნენ საპატიმროს მცველები და მდივნის თანაშემწეს ხელ-ფეხზე ბორკილები დაადეს.

– რა მოხდა? – კითხულობდნენ განცვიფრებული მინისტრები.

– ამწუთს ყველაფერს გაიგებთ. თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, თუ შეიძლება, ინებეთ და ამ წერილებზე ლუქი ახსენით.

მათიუშმა კონვერტები გახსნა და ყალბი ბარათები ამოიღო.

შიგ ეწერა:

‘ყველა ველური მეფე ჩემი მეგობარია და თქვენ სულაც აღარ მჭირდებით. ერთხელ ხომ დაგამარცხეთ, ახლა მეორედაც ვცდი. მაშინ გაიგებთ, რომ მე უნდა მემორჩილებოდეთ. გიცხადებთ ომს’.

საპატიმროს ერთმა მცველმა თანაშემწეს ცხვირსახოცთან ერთად ჯიბიდან დაჭმუჭნილი ნამდვილი ბარათები ამოაცალა.

შეადგინეს ოქმი და დაპატიმრებულს უბრძანეს, ხელი მოეწერა, რომ ეს ყველაფერი მართალი იყო. ტელეფონით გამოძახებული სახელმწიფო მდივანი გულგადატრიალებული მოვარდა.

– ეს გაიძვერა, ესა! – ყვიროდა შიშით დაზაფრული. – მე მინდოდა მოსვლა, მაგრამ ისე მეხვეწებოდა, თავს იკლავდა, გინდა თუ არა, მე შეგცვლიო. ცირკის ბილეთი მიყიდა, გადასარევი წარმოდგენააო. მე სულელმაც დავუჯერე.

სასამართლოზე ერთბაშად ხუთი გენერალი მობრძანდა.

– ბრალდებულო, თუ სიმართლეს იტყვი, სასჯელი შეგიმსუბუქდებათ. თუ თავის დაძვრენას შეეცდებით და ღობე-ყორეს მოედებით, უარესი დაგემართებათ.

– სიმართლეს ვილაპარაკებ.

– რამდენი ხანია, რაც ჯაშუშობას ეწევით?

– სამი თვეა.

– რატომ გახდით ჯაშუში?

– ბანქოში ფული წავაგე და გადახდა არ შემეძლო. ბანქოს ვალები კი, მოგეხსენებათ, ოცდაოთხ საათში უნდა დაიფაროს... მეც ავდექი და სახელმწიფო ფული ავიღე.

– ესე იგი მოიპარეთ.

– მეგონა, რომ მოვიგებდი და ისევ დავდებდი.

– მერე რა მოხდა?

– ისევ გავაგრძელე ბანქოს თამაში, რომ წანაგები ამენაზღაურებინა, მაგრამ უფრო მეტი წავაგე.

– როდის იყო ეგ ამბავი?

– ნახევარი წლის წინათ.

– მერე რა მოხდა?

– მერე ის მოხდა, რომ სულ მეშინოდა, რევიზი არ დამეცეს თავზე. საპატიმროში არ ჩამაყუდონ-მეთქი. აი მაშინ ვეახელი უცხოეთის მეფეს და ჯაშუშად დავუდექი.

– გასამრჯელოს რამდენს გაძლევდათ?

– ხან ბევრს, ხან ცოტას. თუ ძალიან ყურადსადებ ამბებს ვაცნობებდი, ბევრს მაძლევდა, თუ უბრალო ცნობები იყო, ცოტას მიხდიდა.

– ბატონო მოსამართლე გენერლებო, – დაიწყო იუსტიციის მინისტრმა, – ამ კაცმა პასუხი უნდა აგოს სამი დანაშაულისთვის: პირველი დანაშაულია სახელმწიფო ფულის დატაცება. მეორე – ჯაშუშობა. მესამე დანაშაული ის გახლავთ, რომ მას უნდოდა ომის დაწყება. ომში კი, თქვენც იცით, მრავალი უდანაშაულო ადამიანი იღუპება. 174-ე პარაგრაფის თანახმად, მე მოვითხოვ მის სიკვდილით დასჯას. ბრალდებული სამხედრო პირი არ არის, ამიტომ დახვრეტის მაგივრად შეიძლება ჩამოხრჩობა მიესაჯოს. რაც შეეხება სახელმწიფო მდივანს, უსათუოდ მანაც უნდა აგოს პასუხი თავისი თანაშემწის საქციელისთვის. ცირკში სიარული მეც მიყვარს, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან

სხდომაზე თვითონ უნდა მობრძანებულიყო, ჯაშუში კი არ უნდა გამოეგზავნა! ასეთი დაუდევრობისათვის სანახევრო წლით პატიმრობა უნდა მიესაჯოს.

მოსამართლენი სათაბიროთ გაბრძანდნენ. მათიუში უფროს მინისტრთან მივიდა და ჩურჩულით ჰკითხა:

– ჩვენმა ჯაშუშმა რატომ გვითხრა, წერილებს სახელმწიფო მდივანი შეცვლისო, როცა თანაშემწევს უნდა შეეცვალა?

– ჯაშუშები ყველაფერს ზედმიწევნით სწორად კი ვერ იგებენ! ყველაფერი დაწერილებით რომ გამოიკითხონ, ხალხი დაეჭვდება. ჯაშუში ძალიან ფრთხილად უნდა იყოს.

– ის რა ჭკვიანურად გვირჩია, სხდომას დაუცადეთ, მანამდე არ დააპატიმროთო! – უკვირდა მათიუშს. – მე კი ერთი სული მქონდა, მალე დამეპატიმრებინა.

– მასე არ შეიძლება. ჯობია, თავი ისე მოაჩვენო, ვითომც არაფერი არ იცი, და დამნაშავე დანაშაულის ადგილზე დააპატიმრო, რომ მერე თავის დაძვრენა ვერ მოახერხოს.

ცერემონიისტერმა ვერცხლის ჯოხი სამჯერ დაჰკრა მაგიდას და გენერლები დარბაზში შემობრძანდნენ.

– ასეთი განაჩენი გამოვიტანეთ: სახელმწიფო მდივანს მიესაჯა ერთი თვით პატიმრობა, მის თანაშემწევს კი – ჩამოხრჩობა.

სიკვდილმისჯილმა ისე ხმამაღლა მორთო ტირილი, ისე იხვეწებოდა, შემინდეთ და მაპატიეთო, რომ მათიუშს გული ცოდვით აევსო. მაშინვე ის გაახსენდა, ერთხელ სამხედრო საასმართლომ ისიც რომ გაასამართლა და ცოცხალი მხოლოდ იმიტომ გადარჩა, მოსამართლეებს ერთმანეთში ჩხუბი მოპუვიდათ, დავხვრიტოთ თუ ჩამოვახრჩოთო.

– თქვენს მეფურ უდიდებულესობას შეწყენარების უფლება აქვს. შეიძლება სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეიცვალოს.

მათიუშმა განაჩენს წააწერა:

‘გუცვლი სამუდამო პატიმრობით’.

აბა, გამოიცანით, იმ ღამეს რომელ საათზე დაიძინა მათიუშმა?

რომელზე და, ღამის სამ საათზე.

დილით მათიუშს ჯერ არც კი ესაუზმა, რომ ჟურნალისტი ეახლა.

– მინდოდა, დღევანდელი გაზეთი მომერთმია თქვენი უდიდებულესობისათვის. მე მგონი, თქვენი უდიდებულესობა ნასიამოვნები დარჩება,

– ახალი რამე სწერია?

– აი, ინებეთ, წაიკითხეთ.

– პირველ გვერდზე სურათი იყო დაბეჭდილი: მათიუში ტახტზე იჯდა. ტახტის წინ ათასობით ბავშვს მოეყარა მუხლი, ხელში თაიგულები ეჭირათ. სურათის ქვემოთ ლექსები ეწერა. სახოტბო ლექსები იყო, მათიუშს ქება-დიდებას ასხამდნენ, იმასაც კი ამბობდნენ, სამყაროს გაჩენის დღიდან ასეთი დიდი მეფე არავის მოსწრებიაო. მასვე უწოდებდნენ უდიდეს რეფორმატორს, მზის შვილსა და ღმერთების ძმას.

მათიუშს არც ლექსები მოეწონა, არც სურათი, მაგრამ ხმა არ ამოუღია. კარგად ხედავდა, რომ ჟურნალისტს სურათიცა და ლექსებიც ძალიან ეამაყებოდა.

გაზეთის მეორე გვერდზე ფელეკის სურათი დაბეჭდათ და სტატიაც მიეძღვნათ. სტატიას ერქვა: ‘ფელეკი მსოფლიოში პირველი ბავშვია, რომელიც მინისტრი გახდა’. ფელეკიც ცამდე აჰყავდათ: ისეთი ჭკვიანი და მუყაითია, მათიუშმა ხომ დაამარცხა დიდი მეფეები, ფელეკიც ისევე აჯობებსო დიდ მინისტრებს.

‘დიდებმა ქვეყნის მართვა არ იციან, – ეწერა სტატიაში. – იმიტომ, რომ იმათ უკვე სირბილი აღარ შეუძლიათ და არც სწადიათ. ისინი ხნიერები არიან და ძვლები სტკივათ’.

მათიუშს არც ეს სტატია მოეწონა: ვის რად უნდა ამდენი გუნდრუკის კმევა, როცა ჯერ კაცმა არ იცის, რა მოხდება. კარგი საქციელი არც ხანდაზმულების კიცხვა არისო. რაც მათიუშმა ნამდვილად მოჰკიდა ხელი მართვა-გამგეობას, მას შემდეგ მინისტრებთან შეხმატკბილებით ცხოვრობდა. როცა საჭირო იყო, რჩევას ეკითხებოდა, უჯერებდა კიდევ და ბევრი რამეც ისწავლა მათგან.

გაზეთში ახალი საინტერესო ამბავიც ეწერა.

‘ხანძარი სამეფო ტყეში’.

– საზღვარგარეთის მეფის ყველაზე დიდი ტყე იწვის, – უთხრა ჟურნალისტმა.

მათიუშმა თავი დაუქნია, ვხედავო, და გულდაგულ წაიკითხა ხანძრის ამბავი. თურმე ტყის მკაფავეებს ანთებული პაპიროსი გადაუგდიათ და ამას გაუჩენია საშინელი ხანძარი.

– თუმცა, ძალიან საკვირველი ამბავი კია, – ეუბნებოდა ჟურნალისტი. – ზაფხული რომ ყოფილიყო და ხმელ შეშას გასჩენოდა ხანძარი, კიდევ, ჰო, მაგრამ სულ ახლახან თოვლი იდო, ნეტავ როგორ გაუჩნდა! ამბობენ, ხანძარს რაღაც გუგუნიც აჰყვავსო. ტყე რომ იწვის, არავითარი გუგუნი არ ისმის ხოლმე.

მათიუშმა საუზმე ისე დაამთავრა, არაფერი უპასუხია.

– თქვენი უდიდებულესობა რას ფიქრობს ამ ამბავზე? – ჰკითხა ჟურნალისტმა, – მეტისმეტად საეჭვო ხანძარია.

ჟურნალისტი დაბალი, ძალიან სასიამოვნო ხმით ელაპარაკებოდა. მათიუშმა უნებურად გაიფიქრა:

‘ამასთან ფრთხილად უნდა ვიყო’.

ჟურნალისტმა კი პაპიროსს მოუკიდა და სხვა რამეზე გადაიტანა საუბარი.

– ამბობენ, გუშინ სახლმწიფო მდივანს ერთი თვით პატიმრობა მიუსაჯესო. მე ეს ამბავი გაზეთში არ გამომიქვეყნებია. ბავშვებს სულაც არ აინტერესებთ, რა სჭირთ დიდებს. მათ სამინისტროში რომ იყოს რაიმე არეულ-დარეულობა, მაშინ შეიძლება დაწერა და გამოქვეყნება. თქვენო უდიდებულესობავ, ვერც კი წარმოიდგეთ, რა დიდებული საქმე ჰქენით, ფელეკი მინისტრად რომ დანიშნეთ. ჯარი აღტაცებულია, ოცმეთაურის შვილი მინისტრად დააყენესო. გაზეთის გამყიდველები მშვენივრად იცნობენ ფელეკს! ომის დროს ფელეკიც ხომ ხანდახან გაზეთებს ჰყიდდა. საერთოდ, ბავშვები გახარებულები არიან. ის საცოდავი სახლმწიფო მდივანი რის თაობაზე ჩაჯდა საპატიმროში?

– კანცელარიაში წესრიგი არ ჰქონდა, – ორჭოფულად უპასუხა მათიუშმა. საოცარია, მაგრამ ვიდრე უპასუხებდა, თავში გაუეღვა, ჟურნალისტი ჯაშუშიაო.

ბოლოს ჟურნალისტი წავიდა, მათიუში კი იჯდა და კიდევ დიდხანს ფიქრობდა ამ კაცზე.

‘არა, ყველაფერი მეჩვენება. უძილოც ვარ,, თანაც ამ ბოლო დღეებში იმდენი რამე გავიგე ჯაშუშებზე, ლამის ყველას ეჭვის თავლით შევხედო’.

მაგრამ მეფეების ჩამობრძანების წინ იმდენი საქმე გამოუჩნდა, ეს ამბავი მალე გადაავიწყდა.

მათიუში და ცერემონმაისტერი დღედაღამ თათბირობდნენ. რა არ ჰქონდათ გასაკეთებელი შავკანიანი მეფეებისთვის, ბაღში სახელდახელოდ აწესრიგებდნენ საზაფხულო სასახლეს. ცალკე ააშენეს ერთი პატარა სასახლეც, იქნება რომელიმე ყვითელკანიანი მეფე ჩამოვიდესო.

გარეული ცხოველები ისევ ჩამოჰყავდათ. ეშურებოდნენ, რომ სასწარფოდ დაემთავრებინათ ზოოლოგიური პარკის მოწყობა.

დროდადრო ბავშვების დასასვენებელი სახლებისთვისაც უნდა მიეხედათ, თანაც პარლამენტის ორი დიდი შენობაც ასაგები ჰქონდათ.

მთელ ქვეყანაში დაიწყო დეპუტატთა არჩევნები. ისინი ათი წლისაზე ნაკლები და თხუთმეტი წლისაზე მეტისა არ უნდა ყოფილიყვნენ. ყველა სკოლის უმცროსი კლასები თითო დეპუტატს ირჩევდა. თითო დეპუტატს ირჩევდა უფროსი კლასებიც.

დიდი მღელვარება გამოიარეს, როცა გამოირკვა, რომ სახელმწიფოში ბევრი სკოლა იყო და იმდენი დეპუტატი იყრიდა თავს, ერთ დარბაზში ვერ დაეტეოდნენ. იმრავლა წერილებმა. მათიუში რამდენიმე საათს იჯდა თავის კაბინეტში და თავაუღებლად კითხულობდა. ძალიან ყურადსადები წერილები მოსდიოდა. ბავშვები ათას რამეს ეკითხებოდნენ. მაგალითად:

“შეიძლება თუ არა დეპუტატებად გოგოების არჩევა?”

“რა თქმა უნდა შეიძლება”.

“შეიძლება თუ არა ისეთი დეპუტატის არჩევა, რომ ჯერ კარგად ვერ წერდეს?”.

“სად იცხოვრებენ სოფლებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული დეპუტატები?”

“დეპუტატებისთვის დედაქალაქში სკოლა გაიხსნება თუ არა, რომ სხდომების დროს ისწავლონ და სასწავლო წელიწადი არ დაკარგონ?”

სახელმწიფო მდივანს საპატიმროში ყოფნა შინა პატიმრობით შეუცვალეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მდივანი შინ უნდა მჯდარიყო, მთელ თავს სასეირნოდ ვერ გამოვიდოდა. ერთი ეს იყო, კანცელარიაში მაინც მიდიოდა, იმიტომ, რომ მათიუში უიმისოდ საქმეს თავს ვერ გაართმევდა.

ცერემონიაისტერს თავისი საქმე ჰქონდა. იჯდა და ადგენდა, სად როგორი ტრიუმფალური თაღი უნდა აღემართათ საზღვარგარეთის მეფის პატივსაცემად, ორკესტრს რომელ ქუჩებზე უნდა დაეკრა, როგორი ყვავილები უნდა მოეტანათ. თევშები და დანა-ჩანგალი არ ჰყოფნიდათ და უნდა ეყიდათ. უნდა ეყიდათ ავტომანქანებიც. ისიც გასათვალისწინებელი იყო, თეატრსა და ნადიმზე სად დაესხათ მეფეები. დიდად პატივსაცემი მეფეებისთვის საუკეთესო ადგილები უნდა გამოეყოთ. არც ის ეუნდა მომხდარიყო, რომ ერთმანეთში მტრულად განწყობილი მეფეები ერთად დაესხათ.

ვიდრე სტუმრები ჩამობრძანდებოდნენ, ცხელი ქვეყნებიდან ღვინო, ხილი და ყვავილები მოზიდეს. გამტვერილ-შეჭუჭყული სახლები შედებეს, გზები შეაკეთეს. მათიუშს აღარც ძილი ახსოვდა და აღარც ჭამა, დღედაღამ მუშაობდა.

– თქვენო უდიდებულესობავ, მოიჯარადრე გეახლათ.

– თქვენს უდიდებულესობასთან რჩევა-დარიგების მისაღებად მოვიდა მებაღე.

– მობრძანდა საგარეო საქმეთა მინისტრი.

ჩამობრძანდა ყვითელკანიანი მეფის დესპანი.

– ვიდაც ორ კაცს თქვენი მეფური უდიდებულესობის ნახვა სწადია.

– რა უნდათ? – იკითხა მოთმინებადაკარგულმა მათიუშმა. ეს უკვე მესამედ აწყვეტინებდნენ სადილს.

– შუშუნების თაობაზე მოთათბირება სურთ.

მშიერი და გაჯავრებული მათიუში კაბინეტში გავიდა. ამ ბოლო ხანებში აუდიენციაზე იშვიათად იღებდა სეფედარბაზში; ცერემონიების დრო აღარ იყო.

– რა გნებავთ, ბატონებო? გთხოვთ, მოკლედ მომახსენოთ, დრო არა მაქვს.

– გავიგეთ, სტუმრად ველური მეფეებიც ჩანოლიანო. ჩვენი აზრით, ისეთი რამე უნდა ვაჩვენოთ, ისეთი რამე უნდა გავაკეთოთ, რომ მოეწონოთ. ზოოპარკი იმათ არც სულზე მოხვდებათ, არც გულზე, ნადირი შინაც ბევრი ჰყავთ. თეატრისა არაფერი გაეგებათ...

– კარგი, კარგი, – მიუხვდა მათიუში, – ესე იგი, თქვენ გინდათ, ფეიერვერკი მოაწყოთ?

– სწორედ ეგრე გახლავთ.

ყველა მაღალ სახლზე რაკეტები უნდა დაედგათ. სამეფო ბაღში მაღალ კოშკს ააშენებდნენ. ამას გარდა, წისქვილსაც გამართავდნენ და ხელოვნურ ჩანჩქერსაც.

სადამოთი ეს ყველაფერი აინთებოდა, გაჩირაღდებოდა. კომპიდან წითელი შუშუნები აიჭრებოდა ცაში, მაღლიდან მწვანე და ლურჯი შუშუნები ჩამოცვივდებოდა. დაბლა პატარა წისკვილებით იტრიალებდა და იბრუნებდა მწვანე და წითელი შუშუნები. ფერადი შუშუნები ფერად ყვავილებად გაიშლებოდა, ჩანჩქერი კი ცეცხლის შხეფებით იბრიალებდა.

– აი ნახატები, თქვენო უდიდებულესობავ, თუ ინებებთ თვალის შევლებას.

პიროტექნიკოსებს ას ოცი ნახატი მოეტანათ. მათიუში ათვალიერებდა, ამასობაში კი სადილი უცივდებოდა.

– რა დაჯდება ეს ყველაფერი? – წინდახედულობა გამოიჩინა მათიუშმა. გაახსენდა, რომ ბოლო სხდომაზე ფინანსთა მინისტრი ახალ სესხის აღებაზე ლაპარაკობდა.

იმ სხდომაზე მათიუშმა გაიკვირვა:

– იმდენი ოქრო გვქონდა, რად გვინდა ახალი სესხი?

– მართალს ბრძანებთ, მაგრამ თქვენი მეფური უდიდებულესობის მეფური რეფორმები ძვირი ჯდება.

მართლაც, დაიანგარიშეს: ამდენი და ამდენი ბავშვთა დასასვენებელი სახლები დაჯდა, ამდენი და ამდენი – პარლამენტის ორი დიდი შენობა, ამდენი და ამდენი შოკოლადი ჯდება ყოველთვე, ამდენი კი თოჯინებსა და ციგურებზე იხარჯება.

– კიდევ არა უშავს, თუ უცხოელ მეფეთა დასახვედრად მაინც ვიმყოფინეთ ფული.

– შეიძლება, რომ არ გვეყოს? – შიშმა შეიპყრო მათიუში.

– ნუ შიშობთ, თუ არ გვეყო, ახალ გადასახადებს აკრეფთ. ახლა ყველანი კარგ გასამრჯელოს იღებენ და არ გაუჭირდებათ, ცოტაოდენი ფული სახელმწიფოს მისცენ.

– ეჰ, – ამოიოხრა მათიუშმა, – ჩვენ რომ ნავსადგური და გემები გვქონდეს, ბუმ-დრუმი იმდენ ოქროს გამოგვიგზავიდა, რამდენსაც მოვისურვებდით.

– ამასაც შეიძლება ეშველოს – ჩაერია სამხედრო მინისტრი. – ზარბაზნებზე, თოფებსა და ციხესიმაგრეების მშენებლობაზე ფული არ უნდა დავზოგოთ და მაშინ ნავსადგურიც გამოჩნდება. დიახ, ზარბაზნები შოკოლადსა და თოჯინებზე უფრო მნიშვნელოვანია.

მათიუში გაწითლდა. რაც მართალია, მართალია, რამდენიმე ახალი ციხესიმაგრე ძალიან გამოადგებოდათ. სამხედრო მინისტრი ყოველ თათბირზე ირწმუნებოდა, ბუმ-დრუმის ოქროს ნაწილი მეც მეკუთვნის, ჯარისთვის მჭირდებაო. მაგრამ მათიუში სხვა საქმეებით იყო გატაცებული და ყოველ თათბირზე სთხოვდა, ცოტა მოითმინეო.

მათიუშმა ფეიერვერკის მოწყობებს უწადინოდ მისცა თანხმობა.

– მეტი გზა არ არის, ამის შემდეგ მოვიქცეთ ყაირათით, შემდეგში დავზოგოთ, ახლა კი შავკანიან მეფეებს რამე საინტერესო ვუჩვენოთ.

შუაღამისას მათიუში ლოგინში იწვა და ფიქრობდა: ‘ვინ იცის, იქნება დავაშავე კიდევ, ჯაშუშს იმ ციხესიმაგრის დანგრევის უფლება რომ მივეცი! რაც უნდა იყოს, ერთი ციხესიმაგრით ნაკლები იქნებოდა. თუკი ასე ძალიან უნდათ ომი, ბარემ დაეწყოთ, მოსახდენი მომხდარიყო’. მათიუშმა უკვ ჭკუა ისწავლა, ისევ ძველებურად კი არ მოიქცევა, დამარცხებულ მეფეს უბრძანებს: ‘მე შენ დაგამარცხე და ვაღდებული ხარ, ერთი ნავსადგური და ათი გემი მომცეო!’.

მათიუშმა იცოდა, საზღვარგარეთის მეფეები როგორ ხვდებოდნენ თავიანთ სტუმრებს. კარგად ახსოვდა, რა დიდებულად უმასპინძლეს მასაც, მაგრამ თვითონ ისე საუცხოოდ დახვდა, ისეთი დრო გაატარებინა თავის სტუმრებს, ყველამ ერთხმად აღიარა, მათიუში საოცარი მასპინძელიაო. ბევრი რამე მეფეების ჩამოსვლამდე მოიფიქრა და გააკეთა, ბევრიც მათი იქ ყოფნის დროს

მოიგონა და მოიაზრა. ყოველდღე სულ ახალ-ახალი გასართობები ელოდათ მეფეებს. ეს ნადირობაო, ეს მოგზაურობაო, ხან გაწვრთნილი საცირკო წარმოდგენაო, ხანაც ჭიდაობაში შეჯიბრებაო.

ყველაზე ადრე შავკანიანი მეფეები ჩამოვიდნენ. ღმერთო, რა აურზაური რა აღიაქოთი ატყდა! იმ დალოცვილ ბუმ-დრუმს რომ არ ეთავა, მე დავაშოშმინებ, თვალყურს მე ვადევნებო, ვერავინ ვერაფერს ვერ გახდებოდა.

უბედურება ის იყო, სულ უბრალო საბაბით ზედახოცვას გამართავდნენ ხოლმე და ერთმანეთს კბენდნენ, კაწრავდნენ, თავ-პირს ალექსავდნენ, გაშველებას ვერავინ ასერხებდა. ზოგჯერ კი მეფის მზარეულის მომზადებულ დელიკატესს მიაძღებოდნენ და მერე ტირილით იკლებდნენ იქაურობას, მუცელი გვტკივაო. ექიმმა რომ ურჩია, ერთ დღეს ნურაფერს შეჭამო, კინაღამ დაგიჟდნენ, ატეხეს აყალმაყალი, მიღვეწ-მოღვეწეს, თუკი სადმე სკამი და მინა იყო, ამას გარდა, უბრალო რამეზედაც კი ელდა ეცემოდათ ხოლმე. მეფე ლუმ-ბომ სარკეში თავისი თავი რომ დაინახა, ისე შეეშინდა, წვეთები დააღვეინეს, დამშვიდდესო, მეფე დუნ-კო კიბეზე ჩამოსვლის მაგიერ, მოაჯირზე ჩამოსრიალდა, ძირს ბრაგვანი მოადინა და ფეხი მოიტეხა. გულმოსულმა მეფე მუპმა კი მსახურს თითი მოაკვნიტა. კოპებს ხომ, ნუღარ იტყვიო, ვინ მოთვლის, ვის რამდენი კოპი აჯდა! მეფე პუ-ბუ-რომ თავისი ოცი ცოლი ჩამოიყვანა დაუპატიუებლად. მეფე დულ-კო-ცინმა ოთხი ზანგის ხორცისაგან დამზადებული ძეხვი ჩამოიტანა ფარულად. ძეხვი წაართევს და, რა თქმა უნდა, მეფემ ერთი ყოფა დაიწია, ახტა და დახტა, მეფე ბრა-პუტი ხეზე აძვრა და ხუთ საათს ზედ იჯდა. ჩამოყვანა რომ დაუპირეს, წიხლების ქნევას მოჰყვა, თან იფურთხებოდა და იკბინებოდა. და უნდა ექნათ, გამოიძახეს სახანძრო რაზმი. მესხანძრეებმა ისეთი ძლიერი წყლის ნაკადი მიუშვეს, რომ მეფე ჩამოვარდა ხიდან და ქვემოთ საგანგებოდ მისთვის გაჭიმულ ბადეზე დაეცა.

ბუმ-დრუმი სირცხვილით იწვოდა თავისი თვისტომების მაგივრად და გული შიშით ევსებოდა, ემანდ ზეიმი არ ჩაშალონო.

ჯერ მხოლოდ მათთვის განკუთვნილ საზაფხულო სასახლეში კინკლაობენ და არაუშავს, იკინკლაონ, მაგრამ ვაითუ დარბაზობაზე და საზეიმო წარმოდგენაზე გამართონ მუშტი-კრივი?! მაშინ რაღა ქნას?

უსათუოდ რამე უნდა იღონოს. ან გაჯოხვას შემოიდებს, ან კარცერში ჩასმას.

მათიუში დიდხანს უარობდა, მაგრამ ხელავდა, რომ ბუმ-დრუმს უჭირდა თავისი თანამემამულეების მოთოკვა, და ბოლოს დასტური მისცა.

მეფის სასახლის ერთ ოთახში მუხეუმი იყო მოწყობილი. რა იარაღს არ ნახავდით ამ ოთახში! რაც კი ჰაინრის უსწრაფესს თავისი ქვეშევრდომების დასასჯელად გამოეყენებინა, ყველაფერი აქ იყო თავმოყრილი: თვალების დასათხრელი მახათები, ფრჩხილების დასაძრობი და თითების მოსამტკრევი მარწუხები, ხელ-ფეხის მოსახერხი საშინელი ხერხი, ათასგვარი რკინის ხელსაწყოები, თასმები და ჯოხები. ამის მნახველ კაცს თმა ყალყზე დაუდგებოდა. მათიუშს არ უყვარდა ეს მუხეუმი. ამას გარდა, ბადის მიუვალ ადგილას ღრმა ორმო იყო ამოთხრილი. თურმე შიგ იმ დამნაშავეებს ყრიდნენ, ვისაც შიმშილით სიკვდილს უსჯიდნენ.

ბუმ-დრუმმა იფიქრა, ეს ყველაფერი სათავისოდ გამოეყენებინა. თეთრკანიანი მეფეების ჩამობრძანების წინადღეს ველურები იმ ორმოსთან მიიყვანა, მერე საწამებელი იარაღის მუხეუმიში შერევა და დიდხანს ელაპარაკა.

მათიუშმა ვერ გაიგო, რას ელაპარაკებოდა, მაგრამ ის კი შეატყო, რომ კარგად გაუხეთქა გული. ის დღე იყო და ის დღე, ველურებს არც ქუჩაში და არც ზეიმზე აღარაფერი დაუშავებიათ.

ბუმ-დრუმმა ორჯერ დასაჯა ველური მეფეები. ერთს ათი წკეპლა დაჰკრეს, როცა თეთრკანიან მსახურს თითი მოაკვნიტა, მეორე კი მთელ დღეს რკინის გალიაში ჰყავდათ გამომწყვდეული შუაღამისას ატეხილი აღიაქოთისთვის.

თურმე შუაღამისას სტვირის დაკვრა მოსდომებია და უთქვამს, ვისაც ეძინება, დაიძინოს, მე არ მეძინებაო. სტვირის წართმევა რომ დაუპირებია, კარადაზე ამხტარა და, რაც კი ზედ ლარნაკები და ქანდაკებები მდგარა, თავში დაუშენია ამ ხალხისთვის. თურმე ესეც არ იკმარა, ფანჯრიდან ბაღში გადამხტარა და ზამთრის სასახლის აივანზე ისეთი ხმაური აურეხია, თეთრკანიანი მეფეებისთვის თვალები დაუჭყეცილებია. მაშინვე წამომხტარან ეს მეფეები და მათიუშთან გაქცეულან საჩივლელად, არ გვაძინებსო.

– ის არ კმარა, რომ მაგიდასთან ამ მაიმუნების გვერდით ვსხედვართ და ვუყურებთ, როგორ თქველევინ საჭმელს უჩანგლოდ, როგორ იწმენდენ მიტყლეტილ ცხვირს თითებით, როგორ აფუჭებენ ჰაერს და ჭამის მადას გიკარგავენ! ეს არ კმარა, რომ ახლა ღამითაც არ მოგვისპონ მოსვენება!

მათიუში დიდხანს ამშვიდებდა მეფეებს, დიდხანს არწმუნებდა, ველურები გამოსწორდებიანო: ბუმ-დრუმიც ველური იყო, მაგრამ ორ თვეში სურნელოვანი საპნით ბანაობას მიეჩვია და კბილის ჯაგრისსაც ხმარობსო.

თეთრკანიანი მეფეებიც გაქცევაზე იყვნენ. მათიუშმა რის ვაი-ვაგლახით გადაათქმევინა. შეჰპირდა, ცალკე მაგიდასთან დაგსხამთ, თქვენთან მხოლოდ ხალხში გამოსული ზანგები დასხდებიანო.

შავკანიან მეფეებში მართლაც სამი სრულიად წესიერი და განათლებული მეფე ერია. სამივეს შარვალი ეცვა, საყელო ეკეთა და გრამოფონის მომართვაც კი იცოდნენ.

თეთრკანიანი მეფეები შეიძლება ასე მალე ვერც დაეყოლიებუნათ, ზოგს ნადირობის ჟინი და ზოგს კი ჭიდაობის ნახვის სურვილი რომ არ მოსძალებოდა. ესეც რომ არ იყოს, ყველანი – თეთრკანიანები, შავკანიანები და ყვითელკანიანები, – სულწასულები ელოდებოდნენ ფეიერვერკს.

ყვითელკანიანი მეფეებიდან მხოლოდ ორნი ჩამოვიდნენ. მეფე კიტო-სივო მთლად თეთრკანიანს ჰგავდა, სათვალეს ხმარობდა და ლაპარაკითაც ევროპულად ლაპარაკობდა. მეფე ცინ-დანი თუმცა თეთრკანიანს არ ჰგავდა, მაგრამ არც ველური ეთქმეოდა ცინ-დანმა კარგად იცოდა ეტიკეტი. ერთი ეს იყო, უცნაური ზნე სჭირდა: აუცილებლად ყველას სათითაოდ უნდა მისაღებოდა, სათითაოდ უნდა დამშვიდობებოდა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, მერე რა მოხდა, ცუდს რას აკეთებდა, მაგრამ უნდა იცოდეთ, როგორი მისაღება იცოდა. ჯერ სათითაოდ ყველას თოთხმეტ-თოთხმეტჯერ დაუკრავდა თავს, ამას მოსდევდა თორმეტ-თორმეტი ჩვეულებრივი თავის დაკვრა, შემდეგ – ათი ეტიკეტის თავის დაკვრა, რვა – ცერემონიალური, ექვსი – საზეიმო და ოთხი – დამატებითი. მაშასადამე, სულ გამოდიოდა: $14+12+10+8+6+4=54$ თავის დაკვრა, რასაც ორმოცდაშვიდი წუთი სჭირდებოდა. პირველ თავის დაკვრას ნახევარი წუთი უნდოდა, დანარჩენს – თითო წუთი.

– ჩემი წინაპრები ხუთი ათასი წლის მანძილზე ასე იქცეოდნენ. ასევე მოვიქცევი მეც, – ამბობდა ცინ-დანი.

– კეთილი, მაგრამ ასე შეიძლება მხოლოდ ერთ-ორ მეფეს მიესაღმო, ამდენ ხალხს კი არა! – ედავებოდნენ ევროპელები.

‘რა უცნაურია ეს ქვეყანა, – გაიფიქრა მათიუშმა. – ზოგს ზრდილობის ნასახიც არ გააჩნია, ზოგი კი გადაჭარბებულად ზრდილობიანია. რანაირად უნდა შეუფარდოს კაცმა ერთმანეთს?’

მეფე ცინ-დანს ორი მეცნიერი ახლდა თან. ამ მეცნიერებმა როგორც იყო ჩააგონეს, შავკანიანი მეფეები მისაღმების ღირსნი არ არიანო (ყველაზე ბევრნი ისინი იყვნენ), თეთრკანიან მეფეებს შეიძლება პირადად არ მიესაღმო, საკმარისია, მათ სურათებს დაუკრავო თავი. სასწრაფოდ გადაუღეს სურათები თეთრკანიან მეფეებს და ცინ-დანი ყოველდღე, დილა-საღამო, ამ სურათებს უკრავდა თავს, ერთს რომ დაუკრავდა თავს, მსახურები იმწამსვე სხვა მეფის სურათს მიუმარჯვებდნენ ხოლმე, ცინ-დანი სხვა მეფეებზე ორი საათით ადრე

დგებოდა და ორი საათით ადრე იძინებდა, მაგრამ საუზმეზე მაინც ყოველთვის იგვიანებდა.

შავკანიან მეფეებს ამ მხრივ არა უშავდათ რა, ზოგნი მისაღმების დროს ორჯერ გამოყოფდნენ ენას, ზოგნი – ოთხჯერ, ზოგნი მარჯვენა ხელის შუათითის მარცხენა ნესტოში იყოფდნენ, ზოგნი სამჯერ შეხტებოდნენ და ქუსლებს ზურგში ირტყამდნენ, ზოგნი ექვსჯერ შეხტებოდნენ ხომლე.

მათიუშს ძალიან გაუკვირდა, ბუმ-დრუმმა რომ უამბო, გასულ საუკუნეში შავკანიან მეფეებს თხუთმეტწლიანი ომი ჰქონდათ ერთმანეთთან მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მეფე მისაღმების დროს მარჯვენა ხელის თითს მარცხენა ნესტოში მიყოფდა, მეორე კი პირიქით სჩადიოდაო. მთელი ხალხი ამბობებულა, დავაში თურმე ქურუმები და დანარჩენი მეფეები ჩაერივნენ. ერთნი ამას ამბობდნენ, მეორენი – იმას. დაიწყო ომი. წვაგდნენ და სპობდნენ ქოხებსა და სოფლებს, ხოცავდნენ ქალებსა და ბავშვებს, მიჰყავდათ ტყვედ, შესაჭმელად უყრიდნენ ღომებს. ასე იყო, სანამ ეპიდემიამ არ იფეთქა და შიმშილიანობა არ ჩამოვარდა. მაშინ კი თურმე ბრძოლის თავი უკვე აღარავის ჰქონდა. ომი შეუწყვეტიათ, მაგრამ ყველა თავისი აზრისა დარჩენილა. მას შემდეგ ამ ქვეყნების მეფეები ერთმანეთს არ ესაღმებოდნენ და ახლაც მაგიდასთან შორიშორს ისხდნენ.

ისხდნენ-მეთქი, გითხარით, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა დღე დაადგა საწყალ ბუმ-დრუმს, ვიდრე ველურებს გააგებინებდა, სკამებით ერთმანეთს თავი კი არ უნდა გაუხეთქოთ, სკამები იმიტომ არის, ზედ უნდა დასხდეთო.

ამ სტუმრიანობაში ყველაზე მეტად მაინც მათიუშის დადაქალაქის გოგობიჭები ხარობდნენ. გაკვეთილებზე აღარავინ დადიოდა, სკოლები დაიკეტა.

ველურ მეფეებს მანქანები არ უყვარდათ, ქალაქს სულ ფეხით ურბენდნენ. ყველა მეფეს ბიჭების გუნდი დაჰყვებოდა. პოლიციამაც კარგი სიმწარე გამოიარა იმ დღეებში. ზეიმის შემდეგ პოლიციის პრეფექტი ჩიოდა, გაგხდი, შვიდი კილო დავიკელიო.

– აბა წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიყავით! ის ურჩხულები მთელ ქალაქში აქეთ-იქით დაძვრებოდნენ, ჩვენ კი თვალი უნდა გვედევნებინა, რომ ვინმე ბრიყვს და თავქარიანს ქვა არ ესროლა, ან მანქანა არ დასჯახებოდათ, ან არადა, თვითონ იმ ურჩხულებს ვინმე არ გადაესანსლათ. მე შენ გეძევი, გაუჭირდებოდათ?!

მათიუშმა პრეფექტს ორდენი მისცა. საერთოდ, ამ საზეიმო დღეებში მათიუშმა უამრავი სხვადასხვანაირი ორდენი გასცა. შავკანიანმა მეფეებმა ცხვირზე ჩამოიკიდეს, თეთრკანიანებმა – მკერდზე. ყველანი დიდად გახარებულნი იყვნენ.

მათიუშს კი ერთი უსიამოვნება კიდევ დაატყდა თავს. შავკანიან მეფეებს ნადირობა თაველში არ მოუვიდათ. არც საკვირველია, აბა, ღომებზე, ვეფხვებსა და ნიანგებზე მონადირეებს როგორ მოეწონებოდათ კურდღლებსა და არჩვებზე ნადირობა! შეიძლება თეთრკანიან მეფეებსაც ზოგი რამ მოეწონათ, ზოგიც არ მოეწონათ, მაგრამ კარგად აღზრდილები იყვნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს ყველაფერი მოსწონდათ, ველური მეფეები კი ცუდად აღზრდილები ბრძანდებოდნენ და შეიძლება იფიქრეს კიდევ, მათიუში დაგვცინისო. ისეთი ყურთასმენის წამლები ღრიანცელი ატეხეს, ისე გაცოფებულები იქნევდნენ თავიანთ შუბ-ისრებს, თავზარდაცემული თეთრკანიანი მეფეები მაშინვე ავტომანქანებში ჩასხდნენ, რომ გაპარულიყვნენ. ბუმ-დრუმით თავქაჯ შეყრილი დარბოდა, ხელებს იქნევდა, აღშფოთებულებს აწყნარებდა, ამშვიდებდა. ბოლოს, როგორც იქნა დააშოშმინა.

ასე იყო თუ ისე, ნადირობამ მაინც უფათერაკოდ ჩაიარა. თეთრკანიანმა მეფეებმა ორი ტახტი და ერთი დათვიც მოკლეს და ფიქრობდნენ, შავკანიანი მეფეები ახლა მაინც გაგიგებენ, რომ საშიში ნადირი ევროპაშიც არიო. ის მეფე

კი, რომელმაც დათვი მოკლა, შავ მეფეებს აღარ მოშორებია, სულ თავს იქებდა, ხელით ანიშნებდა, კარგი მსროლელი ვარო, საერთოდ, კარგი მონადირე გახლავართო. ათავლიერებდა მათ მშვილდ-ისრებს და ბოლოს სურვილი გამოთქვა, ღამეს საზაფხულო სასახლეში გაეათევეო. მეორე დღეს კი, საუზმეზე, ერთი ამბით გამოაცხადა, შავკანიანი მეფეები ძალიან საყვარელი ხალხია, იმათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებაო; არავინ იცის, იქნება სწორედ ხელით მირთმეული საჭმელი უფრო გემრიელია, ვიდრე ამ წეტიანი და ცივი ჩანგლებით მირთმეულიო.

თვალთ არნახული და ყურით არგაგონილი ამბავი მოხდა: ბუმ-დრუმის პატარა და გულადი გოგონა კლუ-კლუ მაიმუნების გალით ჩამობრძანდა მათიუშთან.

აი როგორ იყო.

ზოლოტოგური პარკის მოწყობას თითქმის დამთავრებულად თვლიდნენ. ცხოველები თავ-თავის გალიაში ჩასხეს. ოთხშაბათს ზოლოტოგურს სახეიმოდ გახსნიდნენ, ხუთშაბათს კი ბავშვებს გადაულოცავდნენ. ვიდრე ეს მოხდებოდა, სამი მაიმუნი კიდევ უნდა მიეღოთ ყუთით. ისეთი მაიმუნები იყო, ვერც ერთი თეთრკანიანი მეფის სამხეცეში ვერ ნახავდით.

ყუთი ზეიმის დროს უნდა გაეხსნათ. გალიასთან მიიტანეს და ისე დადგეს. რომ გახსნიდნენ თუ არა, მაიმუნები პირდაპირ გალიაში უნდა შემხტარიყვნენ. ხალხმა თავი მოიყარა, დადგნენ და მოლოდინად იქცნენ. ყუთს ფიცარი რომ ააგლიჯეს, ერთი მაიმუნი იმაწამსვე გალიაში შესტა. იმას მეორეც მიჰყვა, მესამე კი არა და არ ჩანდა. ყუთი ოდნავ უკან გასწიეს, რომ გაეგოთ, რა დაემართა მესამე მაიმუნს. იმავე წუთს ყუთიდან პაწია კლუ-კლუ გამოხტა, ბუმ-დრუმს ფეხებში ჩაუვარდა და რაღაცა უთხრა თავის ენაზე.

ბუმ-დრუმი ძალიან ველური აღარ იყო, მაგრამ მაინც ისე გაშმაგდა, კინაღამ სცემა თავის ურჩ გოგონას. ბედზე მათიუში გამოექომაგა, ეს მართალია, კლუ-კლუც ცუდად მოიქცა, რომ შინიდან გამოიპარა. ძალიან დააშავა, რომ ყუთი გახსნა, ერთი მაიმუნი გაუშვა და მის მაგივრად თვითონ შეჯდა შიგ, მაგრამ ხომ დაისაჯა კიდევ! მერე რა, რომ ზანგია! ექვს კვირას ყუთში მაიმუნების გვერდით ჯდომა არც ზანგი ბავშვებისათვის არის დიდი ნეტარების მომგვრელი. კლუ-კლუ, მითუმეტეს მარტო ზანგი ბავშვი კი არა, მეფის ასული გახლდათ და ფუფუნებას იყო მიჩვეული. მთელ კვირას მაიმუნები უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე კლუ-კლუ. მაიმუნებს საჭმელს პატარა სარკმლიდან შეაწვდიდნენ ხოლმე. კლუ-კლუ სარკმელთან შიშით ვერ მიდიოდა, არ დამინახონ და შინ არ დამაბრუნონო.

– მეფეო ბუმ-დრუმ, ჩემო მეგობარო, ბუმ-დრუმ, შენ უნდა იამაყო შენი ასულით, – უთხრა გულაყუჩებულმა მათიუშმა. – თეთრკანიანი გოგონა კი არა, ვერც ერთი თეთრკანიანი ბიჭიც კი ვერ გაბედავს ამისთანა რამეს.

– რაკი ასე იცავ, თუ გინდა, გაჩუქებ ამ თავნებას.

– ძალიან კარგი იქნება, – დაეთანხმა მათიუში. – დარჩეს ჩემს სასახლეში, ისწავლოს. დედოფალი რომ გახდება, ისეთივე რეფორმატორი იქნება შავკანიანებში, როგორც მე ვარ აქ, თეთრკანიანებში.

ერთი საათის შემდეგ კლუ-კლუ უკვე ისე იქცეოდა, გეგონებოდათ, მთელი სიცოცხლე აქ გაუტარებიაო.

ორმოცდაათი ენის მცოდნე პროფესორმა რომ აუხსნა, მათიუში ამას და ამას გაიბრებსო, მაშინვე მიუგო:

– მეც ამას ვფიქრობდი. ჩემო ოქროს, ლომის, ნიანგის პროფესორო. გეხვეწები, ჩქარა მასწავლე თქვენი ენა, თორემ რა გამოვიდა, გრანდიოზული გეგმები მაქვს და ვერ მითქვამს. მოცდა და საქმის გადადება კი არ მიყვარს.

თურმე ნუ იტყვით, კლუ-კლუს უკვე სცოდნოდა ას თორმეტი ევროპული გამოთქმა. მათიუში რომ აფრიკაში იყო სტუმრად, მაშინ ესწავლა.

– განსაცვიფრებლად ნიჭიერია ეს ნამცეცა, – უკვირდა პროფესორს, – გასაოცარი მეხსიერება აქვს.

კლუ-კლუს მარტო ეს გამოთქმები კი არ ხსომებია, თურმე ისიც ახსოვდა, ვისგან გაიგონა და ვისგან ისწავლა. გალიაში ჯდომის დროსაც რამდენიმე სიტყვა ესწავლა, მეზღვაურებისგან.

– ფუჰ, კლუ-კლუ, სად ისწავლე ამისთანა საძაგელი სიტყვები! – ეუბნებოდა პროფესორი. – ალბათ, არც იცი, რას ნიშნავს.

კლუ-კლუ ყვებოდა:

– ეს სამი სიტყვა მეზღვაულმა თქვა, როცა გალიას ზურგზე იკიდებდა. ეს ოთხი სიტყვა კი მაშინ თქვა, რაღაცას ფეხი რომ წამოკრა და კინაღამ დაეცა. ამას კი ჩვენი ზედამხედველი ამბობდა ხოლმე, საჭმელს რომ გვაძლევდა. ამას კი მთვრალი მეზღვაურები ყვიროდნენ.

– ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ასეთი სიტყვებით შეგხედნენ თეთრკანიანები, კლუ-კლუ, – უთხრა პროფესორმა. – ეცადე, მალე დაივიწყო. ჩვენ, თეთრკანიანებმა, ლამაზი ლაპარაკიც ვიცით. ჩემო კარგო, ჩემო მამაცო, ჩემო საბრალო კლუ-კლუ, მე შენ გასწავლი ჩვენს ენას.

ზეიმის ბოლომდე ყველას კლუ-კლუს ამბავი ეკერა პირზე. თუკი სადმე ვიტრინა იყო, ყველგან მისი სურათები გამოეფინათ. როცა ბიჭები მანქანაში კლუ-კლუს დაინახავდნენ, უფრო თავგამოდებით ყვიროდნენ და ქუდსაც უფრო მაღლა ისროდნენ. ბავშვთა ზეიმის გახსნაზე კლუ-კლუმ ევროპულ ენაზე რომ თქვა: ‘ჩემი თანამემამულე შავი ბავშვების სახელით მივესალმები მსოფლიოში პირველ ბავშვთა პარლამენტს’, ისეთმა ტაშმა იგრიალა, ისეთმა აღტაცებამ შეიპყრო ყველა, თვით ენერგიულმა ფელეკმაც კი კარგა ხანს ვერ დააწყენარა კრებული. ბოლოს მოთმინება დაეკარგა და ერთ შემლილივით დეპუტატს დასტუქა:

– შენ ეი! გაწყვიტე ხმა, თორემ კბილებს ჩაგიღეწავ!

ფელეკის საქციელი თეთრკანიან მეფეებს არ მოეწონათ, მაგრამ არაფერი შეიმჩნიეს.

დიდი სიამოვნებით აგიღწერდით ყველა სანახაობასა და ზეიმს, მაგრამ უფრო ყურადსაღები ამბებისთვის ადგილი აღარ დამრჩება. რეფორმატორ მეფეზე დაწერილ წიგნში კი მარტო გართობა-თამაშობების აღწერა არ შეიძლება. ჩემს მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რომ მათიუშმა თავისი სტუმრები სასეირნოდ კი არ მოიწვია, პოლიტიკური საკითხები ჰქონდა მოსაგვარებელი.

სტუმრად ჩამობრძანდნენ მოხუცი მეფეც და მისი ვაჟიშვილიც, მათიუშის დაუძინებელი მტერი. ჩამოვიდა მეორე მეფეც, ყვითელკანიანთა მეგობარი. ეწვია, აგრეთვე, სევდიანი მეფე. მათიუში უკვე რამდენჯერმე ესაუბრა სევდიან მეფეს.

– ძვირფასო მათიუშ, უნდა გამოგიტყდე, რომ ძალიან გაბედულად დაგიწყია საქმე, – ეუბნებოდა სევდიანი მეფე. – საინტერესო და საყურადღებოა შენი რეფორმები. ჯერჯერობით ყველაფერი სანაქებოდ მიდის, მაგრამ დაიხსომე: რეფორმები მძიმე შრომას, ბევრ ცრემლსა და სისხლს შეიწირავს. არ გეგონოს, რომ ყოველთვის ყველაფერი კარგად ჩაივლის. მეტისმეტად დიდი იმედი ნუ გექნება შენი თავისა.

– ო, ვიცი, რომ ძალიან ძნელია, – მიუგო მათიუშმა და მოუყვა, რამდენს მუშაობდა, რამდენი რამე გაუთენებია თეთრად, რამდენჯერ გასცივებია სადილი.

– ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ საკუთარი ნავსადგური არ მაქვს, – შესჩიოდა მათიუში. – ოქროს შემოზიდვა მიჭირს, ხელს მიშლიან.

დაფიქრდა სევდიანი მეფე და უთხრა:

– იცი რა, მათიუშ, მე მგონი, მოხუცი მეფე ერთ ნავსადგურს მოგცემს.

– აბა როგორ! შვილი არ მოაცემინებს.

– მე კი მგონია, რომ მოაცემინებს.

– ძალიან ვძულვარ, შურით მიყურებს, ნაწყენია და სულ რაღაცას ეჭვიანობს.

- მართალია, ყველაფერი მართალია, მაგრამ მაინც მოაცემინებს.
- რატომ?
- იმიტომ, რომ შენი ეშინია. ჩემი მეგობრობის იმედი არა აქვს, - ჩაიცინა სევდიანმა მეფემ. - მეორე მეფე კი გულდამძიმებულია, რომ ყვითელკანიან მეფეებს უთმობ.
- მაშ, ყველას მე ხომ არ მივისაკუთრებ, - ჩაიბურღუნა მათიუშმა.
- ჰო, ჭკვიანი ადამიანი ქვეყნიერებაზე მბრძანებლობას არ მოისურვებს, მაგრამ იყვნენ, არიან და იქნებიან ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ და კვლავაც შეეცდებიან, მსოფლიოზე იბატონონ, ვინ იცის, იქნება შენც შეეცადო, მათიუშ.
- არასოდეს.
- ადამიანები იცვლებიან, წარმატება თავბრუს ახვევთ.
- მე ვერ შემცვლის.
- ამ საუბარში იყვნენ, რომ მოხუცი მეფე და მისი ვაჟიშვილი შემოვიდნენ.
- რაზე საუბრობთ, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ?
- არაფერზე, აი, მათიუში შემომჩვივის, ნავსადგური არა მაქვსო. მთებიც აქვს, ტყეებიც, ქალაქებიც, ველ-მინდვრებიც, მაგრამ არც ზღვა აქვს და არც ხომალდები. რაც აფრიკელ მეფეებს დაუმეგობრდა, უფრო მეტად დასჭირდა ნავსადგური. ნამდვილად აუცილებელია რომ ჰქონდეს.
- მეც ასე ვფიქრობ, - მიუგო ჭადარა მეფემ. - მაგრამ ამას ეშველება. საბოლოო ომი მათიუშმა მოიგო და ჩვენგან არავითარი ხარკი არ აუღია. ეს იყო მათიუშის კეთილშობილური საქციელი. ახლა ჩვენი რიგია. უნდა დავუმტკიცოთ, რომ მადლობის გადახდა შეგვიძლია. ხომ მართალია, შვილო? ჩვენ ხომ არაფერი დაგვაკლდება, მათიუშს ჩვენი ზღვის ნაწილი და ერთი ნავსადგური რომ დავუთმოთ?
- გემების ფასს კიდევ გადაგვიხდის, - სასწრაფოდ დაასკვნა ვაჟიშვილმა. მათიუშს ხომ მდიდარი მეგობრები ჰყავს?
- უდიდესი სიამოვნებით, - გაუხარდა მათიუშს.
- სასწრაფოდ გამოიძახეს საგარეო საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო მდივანი, შეადგინეს სათანადო საბუთი და ყველა მეფემ ხელი მოაწერა. ცერემონიამისტერმა ყუთი მოიტანა. მათიუშმა ათრთოლებული ხელით ბეჭედი დაუსვა საბუთს.
- ის დრო იყო, როცა ფეიერვერკი უნდა აენთოთ, აიმიტომ საქმეები საჩქაროთ მოათავეს.
- მერე უნდა გენახათ თვალის სეირი. მთელი ქალაქი ქუჩაში გამოკრეფილიყო, ბაღი ზიმზიმებდა ხალხისგან. იქ იყვნენ დეპუტატებიც, სამხედროებიც და სამოქალაქო მოხელეებიც. საგანგებო ადგილი ჰქონდათ დათმობილი მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებს, რომ ეს საოცრებანი თავიანთ გაზეთებში აეწერათ. სასახლის აივნებზე, ფანჯრებთან და ტერასებზე მეფეებს მოეყარათ თავი. ველური მეფეების ერთი ნაწილი სახურავზე ამპერალიყო, რომ უკეთესად დაენახა ყველაფერი.
- პირველად კოშკი აბრდღვიალდა: ბენგალიური ცეცხლი, შუშუნები, მწვანე და წითელი ბურთულები ცაში აიჭრა. ცეცხლოვანი გველები და წისქვილები ყოველ წამს ფერს იცვლიდა. ხოლო, როცა ჩანჩქერიც აელვარდა ათასფრად, ხალხმა აღტაცებისგან იღრიალა.
- კიდევ გვინდა, კიდევ გვინდა, - ყვიროდნენ აფრიკელი მეფეები. გაოცებული და მოჯადოებული ველურები მათიუშს 'ათსფერი ცის ხელმწიფესა და მომთვინიერებელს' უწოდებდნენ.
- ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ახლა ადრე დაძინება იყო საჭირო, რადგანაც მეორე დღეს სტუმრები თავიანთ ქვეყნებში მიბრძანდებოდნენ.

სადგურში სტუმრები სამეფო ავტომანქანებით წაიყვანეს. ქუჩაში ასი ორკესტრი უკრავდა. ათ სამეფო მატარებელში ჩასხდნენ თეთრკანიანი, ყვითელკანიანი და შავკანიანი მეფეები. ათი მატარებელი გავიდა მათიუშის სტუმართმოყვარე ქალაქიდან.

– ჩვენ დიდი დიპლომატიური გამარჯვება მოვიპოვეთ, – ხელების ფშვნეცით თქვა შინ მობრუნებულმა უფროსმა მინისტრმა.

– ეგ რას ნიშნავს, – ჰკითხა მათიუშმა.

– აი, გენიოსი, – თქვა უფროსმა მინისტრმა, – თქვენმა მეფურმა უდიდებულესობამ არც კი იცის, რომ უდიდესი საქმე გააკეთა. გამარჯვება მარტო ბრძოლაში კი არ შეიძლება! მარტო ომის მოგების დროს კი არ შეიძლება რაღაცის ხელში ჩაგდება! დიპლომატიური გამარჯვება იმას კი არ ნიშნავს, რომ უომრად მიიღო ის, რაც გჭირდება. ჩვენ ახლა ნავსადგური გვაქვს. ყველაზე მთავარი ეს არის.

მათიუში დილის ექვს საათზე დგებოდა, რომ ყველაფერი მოესწრო. ახლა უკვე იმდენი საქმე ჰქონდა, სწავლისთვის ორი საათიდა რჩებოდა. სემის სხდომები ხომ მოემატა, წერილების კითხვის გარდა, ორი გაზეთიც უნდა წაეკითხა: დიდებისა და ბავშვთა გაზეთი. თუ არ წაიკითხავდა, არ ეცოდინებოდა, რა ხდებოდა მის სახელმწიფოში.

სწორედ ამიტომ ერთხელ, დილის რვა საათი რომ შესრულდა და მეფის საძინებელი ოთახიდან კი ჩამიხუმიც არ ისმოდა, მთელი სასახლე აფორიაქდა.

– ალბათ, მათიუში ავად გახდა.

– მეც ასე მგონია. მოსალოდნელიც იყო.

– ამ ბოლო ხანებში ეტყობოდა, რომ კარგად არ იყო.

– თითქმის არაფერს ჭამდა.

– ვერც ვერაფერს ეტყოდი, იმწამსვე გული მოსდიოდა.

– მართალია, ამ ბოლო დროს გულფიცხი გახდა.

– ექიმს უნდა დაუძახოთ.

ექიმი ელდანაცემი მოვარდა, პირდაპირ პალტოიანი შევარდა მეფის საძინებელ ოთახში.

მათიუშს გაეღვიძა, თავლები მოისრისა და შემფოთებულმა იკითხა:

– რა მოხდა, რომელი საათია?

ექიმს ეშინოდა, სათქმელი არ გამაწყვეტინოსო, და სულმოუთქმელად მიაყოლა:

– ჩემო ძვირფასო, საყვარელო მათიუშ, ჩემო კარგო ბავშვო, მე შენ აკნინდან გიცნობ. მე უკვე მოვხუცდი, სიცოცხლე აღარაფრად მიდირს. თუ გნებავს, უბრძანე, რომ ჩამომახრჩონ, დამხვრიტონ, ციხეში ჩამსვან, ჩემთვის სულ ერთია. განსვენებულმა მამაშენმა სიკვდილის წინ შენი თავი მე ჩამაბარა. ლოგინიდან ადგომის ნებას არ გაძელე, მორჩა და გათავდა. თუ ვინმე გაბედავს ხელი შემშიშალოს, კიბეებზე დავაგორებ. მათიუშ, შეილო. შენ გინდა, ერთ წელიწადში იმდენი გააკეთო, რასაც სხვები ოც წელიწადს უნდებიან. ასე არ შეიძლება. აბა, უყურე, რას დაემსგავსე. მეფეს კი არა, ქუჩის მაწანწალის ბაღღს ჰგავხარ. პოლიციის პრეფექტი თუ გახდა, ის ჩასუქებული კაცი იყო და არაფერიც არა უშავს რა, პირიქით, არგებს კიდევ. შენი გახდომა კი არ შეიძლება, შენ მოზარდი ხარ. შენ ყველა ბავშვებზე ზრუნავ. ხვალ სოფლად ოცი ათასი ბავშვი მიემგზავრება. შენ რატომღა უნდა დაიღუპო? აბა, ერთი შენს თავს შეხედე, ვერც კი წარმოიდგენ, რა დიდი სირცხვილია ეს ჩემთვის. ვაი, რა უგერგილო და უმაქნისი ვარ!...

ექიმმა მათიუშს სარკე მიაწოდა.

– აჰა, ჩაიხედე, მათიუშ, ჩაიხედე.

და მოხუცი ექიმი აქვითინდა.

მათიუშმა სარკე გამოართვა. მართლაც, ქალღმერთით გაფითრებული, ტუჩებიც გასცრეცია, თვალები ჩალურჯებია, კისერი გასწვრილებია.

– ავად გახდები და მოკვდები, – ეუბნებოდა თვალცრემლიანი ექიმი, და შენს საქმესაც ვერ დაამთავრებ. შენ უკვე ავად ხარ. –

მათიუშმა სარკე გადადო და თვალები დახუჭა. რა კარგია, რა საოცრად კარგია, რომ ექიმმა არც ერთხელ „მეფე“ არ უწოდა! რა კარგია, ადგომის ნებას რომ არ აძლევს! თუ ვინმე გაბედავს საქმეზე მათიუშის შეწუხებას, ექიმი კიბეზე დააგორებს, რა კარგია!

„რა კარგია, რომ ავად ვარ“, – გაიფიქრა და ნებივრად გაიჭიმა საწოლში.

მათიუში ფიქრობდა, რომ მხოლოდ დაღლილი იყო და ამიტომ ეზარებოდა ჭამა; ეგონა ძილითაც იმიტომ ვერ იძინებდა საღამოობით, ღამეც ცუდ სიზმრებში ამიტომ იყო. ხან ესიზმრებოდა, ვითომ შავკანიანი მეფეები ბავშვებს მიესივნენ და ჭამენ. ხან ესიზმრებოდა, თითქოს ცეცხლი აწვიმდა ციდან და სწვაავდა. ხან ორივე ფეხს სჭრიდნენ და ცალ თვალს სთხრიდნენ. ზოგჯერ კი შიმშილით სიკვდილი ჰქონდა მისჯილი და სასახლის ორმოში იჯდა. ძალიან ხშირად თავის ტკივილები სტანჯავდა. გაკვეთილებზე ყურადღება ეფანტებოდა და სირცხვილით იწვოდა, სტასეკი და ელენკა რას იტყვიანო. ყველაზე მეტად კი მაინც შავტუხა კლუ-კლუსი ერიდებოდა. გოგონამ სამ კვირაში ისე ისაწვლა წერა-კითხვა, რომ თავისუფლად კითხულობდა გაზეთებს, კარნახსაც კარგად წერდა და რუკაზე მათიუშის დედაქალაქიდან ბუმ-დრუმის სახელმწიფოში მიმავალ გზასაც პოულობდა.

– რას შერებთან, როცა მეფე ავად ხდება? ვინ მართავს სახელმწიფოს? – ხმადაბლა იკითხა.

– ზაფხულობით პარლამენტს ისედაც არდადეგები აქვს. ფული არის, მარტო შემოტანაა საჭირო, ნავსადგურიც გვაქვს, გემებიც გვაქვს. ტყეებში დასასვენებელი სახლები აშენებულა. დანარჩენს მოსამსახურეები და მინისტრები მოუვლიან. მათიუში ორი თვით დასასვენებლად წავა.

– ნავსადგური რომ უნდა მენახა? გემებიც უნდა დამეთვალაიერებინა.

– მე ნებას არ მოგცემ. მშვენივრად შეგენაცვლებიან ვაჭრობის მინისტრი და უფროსი მინისტრი.

– მანევრებსაც უნდა დავსწრებოდი.

– სამხედრო მინისტრი დაესწრება.

– ბავშვების წერილები?

– ფელეკი წაიკითხავს.

მათიუშმა ამოიოხრა. თუ ადამიანი მიჩვეულია, რომ ყველაფერი თვითონ უნდა გააკეთოს, ძალიან გაუჭირდება, თანაშემწეს მიახლოს საქმეები. მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ძალ-ღონე მთლად გამოეღია.

საუზმე ლოგინში მიართვეს. მერე პატარა კლუ-კლუ საინტერესო ზანგურ ზღაპრებს უყვებოდა. მერე თავისი საყვარელი პატარა ჯამბაზი ათამაშა. მერე საბავშვო წიგნებში სასაცილო სურათებს ათვალიერებდა. შემდეგ სამი კვერცხის ტაფამწვარი, ერთი ჭიქა ცხელი რძე და კარაქწასმული ფუნთუშა მიართვეს. მხოლოდ ამის შემდეგ მისცა ექიმმა ნება, რომ ჩაეცვა და აივანზე რბილ სავარძელში ჩამჯდარიყო.

იჯდა მათიუში და არაფერზე არ ფიქრობდა, არაფერი საზრუნავი არ აწუხებდა, არაფერი არ აშინებდა... არავის არაფერი ესაქმებოდა მათიუშთან, არც მინისტრებს, არც ცერემონმაისტერს, არც ჟურნალისტს და არც სხვებს. იჯდა და უსმენდა, რა ლამაზად გალობდნენ ჩიტები ბაღში. უსმინა, უსმინა და ჩაეძინა. დიდხანს, თითქმის სადილობამდე ეძინა.

– ეხლა წვნიანი მივირთვათ, – გაუღიმა ექიმმა. – ნასადილევს ეტლით ბაღში გავისეირნებთ. მერე ისევ ცოტას ჩავთვლემთ. მერე აბაზანას მივიღებთ, საწოლში ჩავგორდებით და დავიძინებთ. მერე ვივანშივით და ისევ დავიძინებთ.

მათიუშსაც სულ ეძინა და ეძინა. ცუდ სიზმრებს ახლა უკვე იშვიათად ნახულობდა. ჭამითაც ბევრს გეახლებოდათ. სამ დღეში კილო-ნახევარი მოიმატა.

– რაც კარგია, კარგია, – უხაროდა ექიმს. – თუ ასე ვიყოფილეთ, ერთ კვირაში მათიუშს ისევ დაუძახებ “მის მეფურ უდიდებულესობას”. ჯერჯერობით კი მეფე კი არა, გამხდარ-გალეული საწყალი ობოლია, რომელიც ყველაზე ზრუნავდა და თვითონ კი არავინ ჰყავდა, რომ მასზე ეზრუნათ. მას ხომ დედიკო არ ადგას თავზე!

ერთი კვირის შემდეგ ექიმმა სარკე მიაწოდა.

– თითქმის უკვე მეფე ხარ, არა?

– არა, ჯერ არა, – მიუგო მათიუშმა. ბიჭს უადრესად დიდ ნეტარებას ჰგეროდა, რომ ასე ალერსით ელაპარაკებოდნენ, თავს ევლებოდნენ, ბავშვად თვლიდნენ და “მეფურ უდიდებულესობას” არ ეძახდნენ. მათიუში ისევ ძველებურად ცქვიტი და მხიარული იყო, ექიმი რის ვაი-ვაგლახით დააძინებდა ხოლმე რამდენიმე საათით.

– გაზეთებში რას წერენ?

– გაზეთებში წერენ, რომ მეფე მათიუში ავად არის და სხვა ბავშვებით ხვალ ისიც დასასვენებლად მიემზავრება სოფლად.

– ხვალ მივდივარ? – გაუხარდა მათიუშს.

– ხვალ, შუადღისას.

– სხვა ვინ მოდის?

– მე, კაპიტანი თავისი შვილებით. კლუ-კლუც წამოვა, აბა, აქ ვისთან დარჩება.

– რა თქმა უნდა, კლუ-კლუ ჩვენთან უნდა წამოვიდეს.

გამგზავრების წინ მათიუშმა მხოლოდ ორ ქაღალდზე მოაწერა ხელი. ერთი იყო განკარგულება, რომლითაც უფროსი მინისტრი დროებით ინიშნებოდა მის შემცვლელად დიდების საქმეში. მეორე განკარგულებით ფელეკი დაინიშნა ბავშვთა საქმის გამგებლად.

მთელ ორ კვირას მათიუშს არაფერი გაუკეთებია, სულ თამაშობდა. ყველა გართობა-თამაშის წამომწყები და მომგონი კლუ-კლუ იყო. ხან სანადიროდ დადიოდნენ, ხან სამხედრო ლაშქრობებს აწყობდნენ. კლუ-კლუ ხის ტოტებით შესანიშნავ ქოხს დგამდა და სხეებსაც ასწავლა, როგორ უნდა დაედგათ. პირველ ხანებში კლუ-კლუს ფეხსაცმლით სიარული უჭირდა.

– ეს რა ველური წესი გაქვთ, – ჩიოდა კლუ-კლუ, – ფეხზე ტანისამოსი გაცვიათ და დადიხართ!

კაბაბიც აცოფებდა.

– თქვენში გოგოებსა და ბიჭებს სხვადასხვანაირად რატომ აცვიათ? ნამდვილად ველური წესი გაქვთ. თქვენი გოგოები ამიტომ არიან ასეთი უგერგილოები. არც ხეზე ასვლა შეუძლიათ, არც ღობეზე გადახტომა. სულ ფეხებში ებლანდებათ ეს საზიზრარი კაბა.

– კლუ-კლუ, შენ ყველა სოფლელ ბიჭზე უკეთესად დაძვრები ხეებზე. მათიუშსა და ფელეკს ხომ სჯობნი და სჯობნი.

– ეს რა ხეებია! – გაიცინა კლუ-კლუმ. – ხეები კი არა, ჯოხებია, ორი წლის ბავშვი თუ ავა ზედ. ჩემოდენა გოგოებისთვის უკვე აღარ გამოდგება.

ერთხელ ბავშვებმა დაინახეს, როგორ გადახტა ციყვი ხიდან ხეზე და, ძალიან გაუკვირდათ.

– ეგ რა არის, მასე ხომ მეც გადავხტები, – ფიცხლად თქვა კლუ-კლუმ, ვიდრე მათიუში, სტასეკი და ელენკა მოიაზრებდნენ, რას აპირებდა, კაბა და სანდლები გაიძრო, ხეზე აცოცდა და ციყვთან გადახტა. ციყვმა სხვა ტოტზე ისკუპა. კლუ-კლუმაც ისკუპა. ციყვი ხიდან ხეზე გადახტა. ბავშვებს გული უსკდებოდათ, ეგონათ, კლუ-კლუ ჩამოვარდებოდა და მიწაზე დაენარცხებოდა, მაგრამ კლუ-კლუ მარჯვედ ჩამოეკიდებოდა ხოლმე ტოტზე, გაქანდებოდა,

თითქოს საქანელააო, და ახლა სხვა ტოტზე ჩამოეკიდებოდა. ბოლოს ისკუპა და ციყვი დაიჭირა. შიგ კისერში სტაცა ხელი, რომ არ ეკბინა.

- ძალიან შხამიანია ეს თქვენი ჩრდილოეთის მაიმუნი?
- სულაც არა. ჩვენთან მარტო გველები არიან შხამიანები.

კლუ-კლუმაც დაწვრილებით გამოიკითხა, როგორი იყო გველი, სურათზედაც კარგად დაათვალიერა და ტყეში წავიდა. მთელ დღეს ეძებდნენ კლუ-კლუს, მაგრამ ვერა და ვერ იპოვეს. სადამოთი თვითონვე მოვიდა გაწეწილი, დაკაწრული და მშიერი, მაგრამ, სამაგიეროდ, შუშის ქილით სამი ცოცხალი გველი მოიყვანა.

- როგორ დაიჭირე, - შეეკითხა გაოცებული მათიუში.
- როგორც, საერთოდ, შხამიან გველებს იჭერენ, - მიუგო კლუ-კლუმ გულუბრყვილოდ.

სოფლის ყმაწვილებს პირველ ხანებში ეშინოდათ კლუ-კლუსი და გაურბოდნენ, მაგრამ სულ მალე შეუყვარდათ.

- გოგოა, მაგრამ ბევრ ბიჭს სჯობია. აუჰ! ამათი ბიჭები როგორებიდა იქნებიან?!

- ისინიც ისეთები არიან, როგორიც მე ვარ, არაფრითაც არ მჯობიან, - უხსნიდა კლუ-კლუ. - მარტო თეთრკანიანთა გოგოებს აქვთ გრძელი თმა, მარტო მათ აცვიათ კაბა და უგერგილოებიც ამიტომ არიან.

ქვის სროლაში, ისრის ტყორცნაში, სოკოსა და კაკლის კრაფაში ხომ კლუ-კლუს ბადალი არ ჰყავდა, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, გეოგარფიასა და ფიზიკაში ყველაზე ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა. ერთი კი სურათზე თვალი შეეველო მცენარისთვის ან მწერისთვის და მეტი აღარ იყო საჭირო, ყველაფერს ხელად პოულობდა ტყესა და მინდორში. ერთხელ გაიგო, ეს და ეს მცენარე ჭაობში ხარობსო, და მაშინვე სოფლის ბიჭებთან მოკურცხლა, მიმასწავლეთ, ჭაობი საით არისო.

- შორს არის, აქედან ორი მილი იქნებაო.
- შორს არის? არა, კლუ-კლუსთვის შორს არ არის. გაიქცა, ბუფეტში შეიპარა, პური და ყველი მოიტეხა და...გაქრა.

გაქრა, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია, მოეძებნა, მარტო ეს თქვეს:

- ოჰო, კლუ-კლუს ბუფეტში უთარეშია, ალბათ, ახალი ექსპედიცია მოაწყო. მოსალამოვდა, მერე დადამდა კიდევ. კლუ-კლუ მაინც არ გამოჩენილა.

ის ღამე კლუ-კლუმ ტყეში გაათია, დილით კი ერთი ზარზემით დაბრუნდა. ჭაობის ყვავილები მოეკრიფა, ბაყაყები, ტრიტონები, ხვლიკები და წურბელები დაეჭირა და ჩამოიყვანა.

ყველაზე მდიდარი ჰერბარიუმი მას ჰქონდა, ყველაზე დიდი კოლექცია მწერებისა, პეპლებისა და ქვებისა მისი იყო. მის აკვარიუმში ყველაზე ბევრი ლოკოკინა ბინადრობდა, ყველაზე ბევრი თევზი დაცურავდა.

ახლა, როგორი მხიარული იყო, აღარ იკითხავთ? ერთ რამედ ღირდა, რომ გაიღიმებდა და თეთრ მაგარ კბილებს გამოაბრჭყვიალებდა. მაგრამ როცა საჭირო იყო, კლუ-კლუს შეეძლო, დარბაისელიც ყოფილიყო, ერთხელ მათიუშს უთხრა:

- ოჰ, მათიუშ, ფეიერვერკსა და ცეცხლის ჩანჩქერს რომ ვუცქეროდი, იცი, რას ვფიქრობდი? რა ბედნიერება იქნება, შავკანიანი ბავშვებიც რომ უყურებდნენ-მეთქი. მათიუშ, ერთი რამე უნდა გთხოვო.

- რა უნდა მთხოვო? - შეეკითხა მათიუში.
- უნდა გთხოვო, რომ შენს დეაქლაქში ორმოცდაათი შავკანიანი ბავშვი ჩამოიყვანო. მინდა, იმათაც ჩემსავით ისწავლონ. მერე აფრიკაში დაბრუნდებიან და დანარჩენ ბავშვებსაც ასწავლიან.

მათიუშმა არაფერი უპასუხა. გუნებაში კი გაიფიქრა, კლუ-კლუ მოულოდნელად უნდა გაეახარო. იმავე საღამოს დედაქალაქში წერილი გაგზავნა, ფელექს წერდა:

‘მეირფასო ფელექს! დასასვენებლად რომ მივდიოდი, სახურავზე უმათულო ტელეგრაფს დგამდნენ. სამუშაო პირველ აგვისტოს უნდა დაემთავრებინათ. უმათულო ტელეგრაფით ბუმ-დრუმთან დაკავშირება გვინდოდა, ძალიან გთხოვ, პირველი დეპეშა გაუგზავნო. მისწერე, ორმოცდაათი ზანგის ბავშვი ჩამოიყვანონ ჩვენთან. ჩემს დედაქალაქში სკოლა უნდა გაგუხსნა. ძალიან გთხოვ, არ დაგავიწყდეს.

მათიუში”.

მათიუშმა წერილი აიღო, კონვერტს ენა გაუსვა და ის იყო, უნდა დაეწებებინა, რომ კარი გაიღო.

– ფელექს! რა კარგია, რომ ჩამოხვედი. წერილის გამოგზავნას ვაპირებდი.

– მე საგანგებო მისიით გაეხელით, ოფიციალურად, – დინჯად უთხრა ფელექსმა. მერე ოქროს პორტსიგარი ამოიღო და მათიუშს სიგარა შესთავაზა.

– არ ვეწევი, – უთხრა მათიუშმა.

– საქმეც ეგ არის. ძალიან ცუდია, რომ არ ეწევით. მეფე თავის თავს პატივს უნდა სცემდეს. მეც სწორედ იმ მისიით გაეხელით, რომ ჩემი კონტროლექტის რატიფიკაცია მოვახდინო. ჩემი ულტიმატუმი ასეთია: ჯერ ერთი, მე ფელექსი აღარა ვარ. მე გახლავართ ბარონი ფელიქს ფონ რაუხი. ჩემი სეიმი ბავშვთა სეიმი კი არ არის, პროგრეს-პარლამენტი გახლავთ, შემოკლებით – პროპარი. გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამ ‘მათიუშობანას!’ თქვენი მეფური უდიდებულესობა უკვე თორმეტი წლისა ბრძანდება, უკვე დროა, საზეიმოდ იკურთხოთ მეფედ და იწოდებოდეთ იმპერატორ მათიუშ პირველად, თუ არ გინდათ, რომ ყველა რეფორმა ჩაგიფლავდეთ და წყალმა წაიღოს.

– მე სხვა პროექტი მქონდა, – თავს იცავდა მათიუში. – მე მინდოდა, რომ დიდებს თავისი მეფე აერჩიათ, მე კი მათიუშად, ბავშვთა მეფედ დავრჩენილიყავი.

– თქვენი მეფური უდიდებულესობის კონცეფცია შეიძლება კოდიფიცირებულ იქნეს თავისი პრიმიტიული ფორმით, – უთხრა ფელექსმა. – ვერ გაგებდავ, მეფის პიროვნებას ჩემი მორატორიუმი მოვახვიო თავს, მაგრამ, რაც შეეხება ჩემს პიროვნებას, მე ოფიციალურად მსურს, გახლდეთ პროპარის მინისტრი ბარონი ფონ რაუხი.

მათიუშმა თანხმობა უბოძა.

ამას გარდა, ფელექსმა მოითხოვა საკუთარი კანცელარია, ორი ავტომანქანა და, უფროს მინისტრს რომ ხელფასი აქვს, ორჯერ იმაზე მეტი.

მათიუშმა თანხმობა უბოძა.

ამას გარდა, ფელექსმა მოითხოვა გრაფის ტიტული პროგაზის ჟურნალისტისთვის. პროგაზი ბავშვთა გაზეთი იყო და ამიერიდან პროგრეს-გაზეთი უნდა დარქმეოდა, ესე იგი, პროგაზი.

მათიუშმა თანხმობა უბოძა.

ფელექსმა ხელმოსაწერად წინასწარ გამზადებული ქაღალდები ჩამოიტანა. მათიუშმა ხელი მოაწერა.

მათიუშს არ მოსწონდა ასეთი საუბარი და ყველაფერზე თანახმა იქნებოდა, ოღონდ ჩქარა დაემთავრებულიყო. ამ ბოლო დღეებში ისე კარგად იყო, ისე გადაეჩვია სხდომებსა და თათბირებს, აღარც იმის გახსენება უნდოდა, რამდენს მუშაობდა ხოლმე, აღარც იმის გაფიქრება სურდა, რა მოელოდა, არდადეგები რომ დამთავრდებოდა. ახლა მხოლოდ იმას ნატრობდა, ფელექსი მალე გაბრუნებულიყო უკან.

ამ სურვილის შესრულებაში ექიმი დაეხმარა. მოხუცმა მკურნალმა რომ გაიგო, ფელეკი ჩამოვიდაო, განრისხებული შევარდა მათიუმის ოთახში.

– ფელეკ, მე ხომ გთხოვე, მეფეს გული არ გაუწყალო-მეთქი.

– ბატონო ექიმო, გთხოვთ ხმას დაუწიოთ და ის დამიძახოთ, რაც სინამდვილეში მქვია.

– რა გქვია სინამდვილეში? – ჰკითხა განცვიფრებულმა ექიმმა.

– მე გახლაგართ ბარონი ფონ რაუხი.

– როდის აქეთ?

– მას შემდეგ, რაც მისმა უდიდებულესობამ მოწყალედ მიბოძა ეს ტიტული, აი, ამ ოფიციალური აქტით.

ფელეკმა მაგიდაზე მიუთითა და ჯერაც მეღანშეუშრობელი ქაღალდი უჩვენა. სასახლეში დიდხანს მუშაობამ ექიმი დისციპლინას მიაჩვია: მაშინვე შეცვალა ლაპარაკის კილო და დინჯად, მაგრამ მტკიცედ უთხრა:

– ბატონო ბარონო ფონ რაუხ, მისი მეფური უდიდებულესობა ჯანმრთელობის აღსადგენად შეგებულებაში იმყოფება. მკურნალობის შედეგებზე მე ვაგებ პასუხს. ამის გამომოვიტხოვ რომ ბარონი ფონ რაუხი დაუყოვნებლივ გაემგზავროს ჯანდაბის იქით.

– მე ვიცი, შენ ამის გულისთვის რასაც გიზამ! – დაემუქრა ფელეკი, დასტაცა ხელი ქაღალდებს, საქაღალდე ილღიაში ამოიჩარა და პირში ჩალაგამოვლებული გაიძურწა.

მათიუში სინარულით აღარ იყო, რომ ექიმმა მოაშორა. სწორედ მაშინ კლუ-კლუმ ახალი თამაში მოიგონა: ქამანდით ცხენებს იჭერდნენ.

აიღებდნენ გრძელ მაგარ თოკს, ბოლოში კალის ბურთულას მოაბამდნენ, თვითონ კი კარს უკან დაიმალებოდნენ, ვითომ მონადირეები იყვნენ. მეჯინიბე სამეფო საჯინიბოდან ათ პონის გამოუშვებდა. ბავშვები ქამანდს სეროდნენ, მერე ზედ შესხდებოდნენ და დასეირნობდნენ.

კლუ-კლუმ არ იცოდა ცხენზე ჯდომა. იმის ქვეყანაში აქლემებითა და სპილოებით დადიოდნენ. მაგრამ გოგონამ მალე ისწავლა ცხენოსნობა. ერთი ეს იყო, არც ქალურად ჯდომა უყვარდა, ვერც უნაგირს ეგუებოდა.

– უნაგირი მოხუცებისთვის არის მოგონილი. მე თუ ცხენზე ჯდომა მინდა, ცხენზე უნდა ვიჯდე. ბაღიში რა საჭიროა. ბაღიში დამით არის კარგი, ისიც ლოგინში. თამაშში ბაღიშს რა ხელი აქვს!

იმ ზაფხულს სოფლის ბავშვები დიდ სინარულში იყვნენ, თითქმის ყველაფერს ერთად თამაშობდნენ. რა აღარ ისწავლეს კლუ-კლუსგან: ახალი თამაშობა გინდა, ახალი ზრაპრები და სიმღერები თუ მშვილდის კეთება, ქოხის აგება თუ კალათებისა და ქუდების დაწვნა. ახლებურად სოკოს მოძებნა და გახმობაც კი ისწავლეს. ამ ორი თვის წინათ კლუ-კლუმ მათ ენაზე ლაპარაკიც არ იცოდა, ახლა კი მწყემსების მასწავლებელი გახდა – სოფლის ბიჭებს კითხვას ასწავლიდა.

ყველა ასოს რომელიმე მწერს მიაგზავსებდა ხოლმე და ბავშვებს ეუბნებოდა:

– აბა, ეს რა გამოვიდა, ამდენ ბუზს, ჭია-მატლს, მწერსა და ბალახს სცნობთ, ეს საცოდავი, ოცდაათი ასო რა გაგიხდათ, ეს ვერ უნდა დაიხსომოთ?! იქნება გგონიათ, რომ ძალიან ძნელია? პირველად წყალში შეცურება, ცხენზე ჯდომა ან ყინულზე დადგომა ხომ იცით, რაც არის? ჰოდა, ესეც ეგრეა! უნდა თქვათ, ადვილიაო, და მართლა გაგიადვილდებათ.

მწყემსებიც უჯერებდნენ, ამბობდნენ, კითხვა ადვილიაო, და იწყებდნენ კითხვას. იმათი დედები მუხლებს ითქვეფდნენ გაკვირვებისგან.

– რა ყოჩაღია ეს შავტუხა გოგო! ამათი მასწავლებელი მთელ წელიწადს ხაოდა, ხან თოკით სცემდა, ხან ყურებს ახევდა, ხან ქოჩრით დაითრევდა ხოლმე ამ ბიჭებს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. კომბოსტოს ხიკვებივით

ხმაჩაწყვეტილები ეყარნენ. ამ გოგომ მარტო ის უთხრა, ასოები ბუზებსა ჰგავსო, და ხელად ყველაფერი ისწავლეს.

– შენ ის უნდა გენახა, ძროხას როგორ წველიდა. თვალს ვერ მოაცილებდი!

– ერთხელ ხბო გამიხდა ავად. ეს გოგო ხომ ერთი ბეწო ბავშვია, ხბო დაინახა თუ არა, თქვა სამ დღეში გაიგუდებო. მე ისედაც ვიცოდი, რომ მომიკვდებოდა. ეს უკვე მერამდენე მიკვდებოდა! იმ გოგომ კი, ასეთი და ასეთი ბალახი თუ გიდგათ, ამ ხბოს მე მოვარჩინო. ავდექი და გაყვევი, მაინტერესებდა, რას იზამდა. ძებნა და ძებნა ის ბალახი, ძებნა და ძებნა, ხან დაყნოსავდა, ხან მოკვნიტდა. აი, ეს უნდა ვცადოთ, ამისი გემო იმ ბალახის გემოს ჰგავსო. დაგლიჯა ბალახი, ცხელი ნაცარი წააყარა და ისე მარჯვედ აურია, მეაფთიაქე გეგონებოდათ. მერე რძეში ჩაყარა და ხბოს დააღვეინა. ხბომაც, თითქოს გაუგო, ხომ მწარე და უგემური იყო, მაინც დალია. ბლად და მაინც სვამდა, თან დრუნჩს ილოკავდა. აღარ იტყვიო, რა მოხდა? ხბო გადარჩა და ახლაც კარგად არის. არ არის საოცრება?

ზაფხული რომ მიიწურა, სოფლის დედაკაცები, კაცები და ბავშვები გულდაწყვეტილები ეთხოვებოდნენ ყველას: მათიუშს იმიტომ, რომ მეფე იყო, კაპიტნის შვილებს იმიტომ, რომ ზრდილი, წესიერი ბავშვები იყვნენ, ექიმს იმიტომ, რომ მათი მკურნალიც იყო. ყველაზე მეტად კი მაინც კლუ-კლუზე სწყდებოდათ გული.

– ჭკვიანი, მხიარული და შესანიშნავი გოგოა. აფსუს, ცოდვა არ არის, რომ ასეთი შავია!

– თუმცა, როცა მიეჩვევი, ულამაზოც აღარ გეჩვენებო, – მაშინვე დააყოლებდნენ.

მათიუში უწადინოდ ბრუნდებოდა თავის დედაქალაქში. არცთუ შეხვედრა მოუწყვიათ დიდად საზეიმო. რკინიგზის სადგურშივე იგრძნო, რომ დედაქალაქში რაღაც უსიამოვნო ამბავი ხდებოდა. სადგურს ირგვლივ ჯარი ერტყა. დროშები და ყვავილებიც ეცოტავა. უფროსი მინისტრი შემოფოთებული ჩანდა. აქვე იყო პოლიციის პრეფექტი, რომელიც არასოდეს არ დახვედრია მათიუშს.

ჩასხდნენ მანქანებში და სულ სხვა გზებით გასწიეს სასახლისაკენ.

– რატომ ლამაზი ქუჩებით არ მივდივართ?

– იმ ქუჩებზე მუშათა მსვლელობაა.

– მუშათა მსვლელობა? – გაუკვირდა მათიუშს და მაშინვე გაახსენდა დასასვენებელ სახლში მიმავალ ბავშვთა მხიარული მსვლელობა – სად მიდიან?

– არსად არ მიდიან. პირიქით ახლახან დაბრუნდნენ. ეს ის მუშები არიან, ბავშვთა დასასვენებელ სახლებს რომ აშენებდნენ. სახლები უკვე ააშენეს, ახლა სამუშაო აღარა აქვთ და ამბოხდნენ.

უეცრად მათიუშმა ეს მსვლელობა დაინახა, მშრომელებს წითელი დროშები მიჰქონდათ და მდეროდნენ.

– წითელი დროშა რატომ უჭირავთ? ჩვენი ეროვნული დროშები ხომ წითელი არ არის?

– ყველა სახელმწიფოში მუშებს წითელი დროშები აქვთ. ისინი ამბობენ, წითელი დროშა მთელი მსოფლიოს დროშა არისო.

მათიუში ჩაფიქრდა.

‘ხომ არ აჯობებდა, რომ მთელი მსოფლიოს ბავშვებსაც ერთი ფერის დროშა ჰქონდეთ? თეთრკანიანებსაც, შავკანიანებსაც და ყვითელკანიანებსაც. რომელი ფერი სჯობია?’

მანქანა უღიმღამო ვიწრო ქუჩაზე მიდიოდა. მათიუშს გაახსენდა სოფლის მწვანე ტყე, მწვანე მდელოები და ხმამაღლა თქვა:

– არ შეიძლება, მთელი მსოფლიოს ბავშვებს მწვანე დროშა ჰქონდეთ?

– შეიძლება, – მიუგო უფროსმა მინისტრმა და უსიამოვნოდ დაიღმიჭა.

მათიუში სევდიანი დადიოდა სასხლეში. სევდიანი დადიოდა კლუ-კლუც.

– საქმეს უნდა ჩაგუჯდე, საქმე სუნდა მივხედო, – წამადუწუმ იმეორებდა მათიუში, მაგრამ საშინლად ეზარებოდა საქმის დაწყება.

– ბარონი ფონ რაუხი, – მოახსენა მსახურმა.

შემოვიდა ფელეკი.

– ხვალ პროპარის პირველი სხდომაა არდადეგების შემდეგ, – უთხრა ფელეკმა. – თქვენი მეფური უდიდებულესობა, ალბათ, სიტყვის თქმას მოისურვებს.

– კი მაგრამ, რა უნდა ვთქვა?

– საერთოდ, მეფე ამბობს ხოლმე, დიდად მოხარული ვიქნები, თუ ხალხი თავის სურვილს გამოთქვამსო. ამის მერე პარლამენტს წარმატებებს უსურვებს მუშაობაში.

– კარგი, მოვალ, – შეჰპირდა მათიუში.

შეპირებით კი შეპირდა, მაგრამ წასვლით ძალიან უხალისოდ წავიდა. ალბათ, ქვეყნის ბავშვები არიან და ერთი ღრიანცველი უდგათ, რომ შევალ, ყველა მე მომაჩერდებაო...

მათიუში შევიდა. ბავშვები სახელმწიფოს ყველა კუთხიდან ჩამოსულიყვნენ, რომ მოეთათბირებინათ, როგორ ემართათ ქვეყანა. მათიუშიმა ტანსაცმლით სოფლელი ბავშვები იცნო. ახლახან არ იყო, მათთან მხიარულად და მეგობრულად რომ თამაშობდა! დარბაზს თვალი რომ გადაავლო, ახალი ენერჯის მოზღვაება იგრძნო და შესანიშნავი სიტყვა თქვა.

– თქვენ ხართ დეპუტატები, – ამბობდა მათიუში. – დღევანდლამდე მე მარტოკა ვიყავი და მინდოდა, ქვეყანა ისე მემართა, ყველანი კარგად ვყოფილიყავით, მაგრამ ძალიან ძნელია, ერთმა ადამიანმა ამოიცნოს, რა სურს ყველა დანარჩენს. თქვენთვის კი ადვილი იქნება, ზოგს ის ეცოდინება, რაც პაწიებს სურთ, ზოგს ის ეცოდინებათ, რაც მოზრდილებს სწადიათ. მე ვფიქრობ, როდისმე მსოფლიოს ბავშვებიც ისე მოიყრიან თავს, როგორც ამას წინათ მეფეებმა მოიყარეს თავი, და მაშინ თეთრკანიანებიც, შავკანიანებიც და ყვითელკანიანებიც იტყვიან, ვის რა სჭირდება. მაგალითად, შავკანიან ბავშვებს ციგურები არ სჭირდებათ, იმიტომ რომ იმათთან ყინული არ იცის. მუშებს უკვე აქვთ თავისი წითელი დროშა, – ამბობდა მათიუში. – ხომ კარგი იქნება ბავშვებმა მწვანე დროშა ავირჩიოთ? ბავშვებს ხომ ძალიან უყვართ ტყე! ტყე კი მწვანეა...

მათიუში დიდხანს, დიდხანს ლაპარაკობდა, დეპუტატები კი უსმენდნენ და მათიუშს სიამოვნებდა, რომ უსმენდნენ.

შემდეგ შურნალისტი ადგა და თქვა, რომ გამოდის ყოველდღიური საბავშვო გაზეთი. ბავშვებს შეუძლიათ ყოველთვის წაიკითხონ ახალი საინტერესო ამბები. გარადა ამისა, შეუძლიათ, თვითონაც დაწერონ წერილები და გაზეთში გამოაქვეყნონ. მერე იკითხა, სოფელში როგორ მოგეწონათო.

ამის კითხვა იყო, და, ისეთი ღრიანცველი ატყდა, ვინ რას ლაპარაკობდა, არ ისმოდა. დარბაზში ფელეკის გამოძახებული პოლიცია შემოვიდა. ხმაური ცოტა მიწინარდა.

ფელეკი წამოდგა და გამოაცხადა:

– ყველამ რიგრიგობით ილაპარაკოს, ვინც იხმაურებს, კინწისკვრით გავარდება გარეთ!

პირველად გაცვეთილქურთუკიანმა და ფეხშიშველა ბიჭმა თქვა სიტყვა:

– მე დეპუტატი გახლავართ და მინდა გითხრათ, რომ სოფელში კარგადა არ ვცხოვრობდით. არც სათამაშოები გექონდა, არც გართობა. საჭმელიც ცუდი იყო. სახურავს ნახვრეტები ჰქონდა, წვიმის დროს ჭერიდან წყალი ჩამოგვდიოდა.

– არც თეთრეულს გვიცვლიდნენ! – დაიძახა ვიღაცამ.

- სადილად ჭურჭლის ნარეცხს გვაჭმევდნენ!
- თითქოს ღორები ვყოფილიყავით!
- არავითარი წესრიგი არ იყო!
- უბრალო რამისთვის საკუჭნაოში გვამწვდევდნენ!

თანდათან ისეთი ყვირილი ატყდა, მეტი გზა არ იყო, სხდომა ათი წუთით უნდა შეეწყვიტათ.

ოთხი დეპუტატი გარეთ გააგდეს, ყველაზე მეტს გაჰყვირიანო. ჟურნალისტმა ორიოდ სიტყვით აუხსნა დეპუტატებს, ერთი ხელის დაკვრით ყველაფრის კარგად მოწყობა ძნელია, მომავალ წელს უკეთესი პირობები იქნებაო. მერე სთხოვა, თქვით, რა გინდათო.

ატყდა ისევ ჟივილ-ხივილი.

-+ მე მინდა მტრედები, - ყვიროდა ერთი დეპუტატი.

- მე ძაღლი მინდა!

- ყველა ბავშვს ჰქონდეს საათი!

- ბავშვებს ტელეფონით ლაპარაკის ნება მისცენ!

- ბავშვებს ნუ გგოცნიან!

- ზღაპრები გვიამბონ ხოლმე!

- ძეხვი მინდა!

- გვიან დაძინების ნება გგქონდეს!

- ყველა ბავშვს თავისი ველოსიპედი ჰქონდეს!

- ყველა ბავშვს თავისი კარადა ჰქონდეს!

- ბევრი ჯიბე გგქონდეს. მამაჩემს ცამეტი ჯიბე აქვს, მე - ორი. ორ ჯიბეში არაფერიც არ მეტევა. ცხვირსახოცი რომ დამეკარგება, ყვირილით მიკლებენ.

- ყველას ჰქონდეს საყვირი.

- რეოლვერიც.

- სკოლაში მანქანებით გვატარონ.

- გოგოებისა და პატარა ბაღების ხსენებაც არ იყოს!

- მე მინდა, ჯადოქარი ვიყო.

- ყველას ჰქონდეს საკუთარი ნავი.

- ყოველდღე ვიაროთ ცირკში.

- ყოველდღე იყოს ნაძვისხე.

-პირველი აპრილიც და ყველიერიც.

-ყველა ბავშვს თავისი ოთახი ჰქონდეს.

- სურნელივანი საპონი მოგვცენ.

- სუნამოც.

- ყველა ბავშვს თვეში ერთხელ მინის ჩამსხვრევის უფლება ჰქონდეს.

- პაპიროსისი მოწვევის უფლებაც!

- არ იყოს მუნჯი რუკა!

- არც კარნახით წერა!

- ერთ დღეს დიდებს გარეთ გამოსვლი უფლება არ ჰქონდეთ, მარტო ბავშვები გამოვიდნენ.

- მეფედ ყველგან ბავშვი იყოს.

- დიდებმა სკოლაში იარონ.,

- შოკოლადის მაგივრად ფორთოხალი მოგვცენ.

-და ფეხსაცმელი.

- მე მინდა ადამიანები ანგელოზები იყვნენ.

- ყველა ბავშვს საკუთარი მანქანა ჰქონდეს..

- გემიც.

- სახლიც.

- მატარებელიც.

- ბავშვებსაც ჰქონდეთ ფული, რომ რაც უნდათ, ის იყიდონ.

- რომელ ოჯახშიც პატარა ბავშვია, იმ ოჯახს ძროხაც ჰყავდეს.
- ცხენიც.
- ყველას ათი მორგი მიწა ჰქონდეს.

მთელ ერთ საათს ეს ამბავი იყო. ჟურნალისტი მხოლოდ იღიმებოდა და ყველაფერს იწერდა. სოფლელი ბიჭები ჯერ კი მორცხვობდნენ, მაგრამ მერე იმათაც ამოიდგეს ენა.

მათიუში დაიღალა.

- კარგი, ეს ყველაფერი ჩაიწერეთ, ახლა რა უნდა ვქნათ? - ჰკითხა ჟურნალისტს.

- უნდა აღვზარდოთ ბავშვები. ხვალ გაზეთში გამოვაქვეყნებ ანგარიშს და დეპუტატებს ავუხსნი, რის გაკეთება შეიძლება და რისი არაა, უთხრა ჟურნალისტმა.

ამ დროს დერეფანში იმ ბიჭმა გაიარა, სხდომაზე რომ ყვიროდა, გოგოების სახსენებელი არ იყოსო.

- ბატონო დეპუტატო, რას გიშლიან გოგოები? - ჰკითხა ჟურნალისტმა.

- იმას, რომ ჩვენს ეზოში ერთი გოგოა, ჯერ თვითონ გვიმწვიტინებს ხოლმე, მერე თითო თუ დავაკარეთ, აღრიაღდება და გარბის, მიშველეთ, მცემსო. ყველას ასე ექცევა. ჰოდა, მოვილაპარაკეთ, რომ ყველამ თავი მივანებოთ, ზედაც აღარ შევხედოთ.

ჟურნალისტმა ახლა სხვა დეპუტატი გააჩერა

- ბატონო დეპუტატო, რატომ არ გინდათ, რომ გკოცნიდნენ?

- თქვენც რომ იმდენი დეიდა გყავდეთ, რამდენიც მე მახვევია თავზე, მაგას აღარ მკითხავდით. გუშინ ჩემი დღეობა იყო, ისეთი დღე მაწიეს, ისე დამლორბლეს, გული ამერია და კრემიანი ნამცხვარი ამოვასხი. თუ ასე უყვართ ლოკვა, ერთმანეთი ალოკონ, ჩვენ მოგვასვენონ. ჩვენ გვძულს, გვეზიზღება კოცნა.

ჟურნალისტმა ესეც ჩაიწერა.

- ბატონო დეპუტატო, მამათქვენს მართლა ამდენი ჯიბე აქვს? - მიუბრუნდა მესანე დეპუტატს.

- აბა, დათვალეთ: შარვალზე - ორი გვერდითა, ერთი უკანა. ჟილეტზე - ოთხი პატარა ჯიბე, ერთიც მაღლა. პიჯაკზე - ორი სარჩულისა, ორი გვერდითა. ერთიც მაღლა. კბილის საწმენდისთვისაც ცალკე ჯიბე აქვს. მე კი რა, ჩილიკაც ვერ შემინახავს. ამას გარდა, ყუთები, საწერი მაგიდა, კარადები, თაროები, რა აღარ აქვთ! მერე, ამის პატრონები იკვებნიან, წესიერები ვართ, აარაფერიც არ გვეკარგებაო.

ჟურნალისტმა ჩაიწერა.

ამას რომ იწერდა, ორმა დეპუტატმა გაიარა. ამ დეპუტატებს, როგორც ეტყობათ, პატარა ბაღებმა თავი მოაბეზრეს. რატომ?

- ვინ უფლის და აკვანს ვინ ურწებს? ჩვენ.

- დიდები სულ ჩვენ გვეჩხუბებიან, ისინი პატარები არიან და დაუთმეთო.

- მეჩხუბებიან, კარგად მოიქეცი, რომ შენ მოგბამოსო. როგორც კი ის ლოპრიანი რამეს დააშაგებს, მაშინვე მე მიყვირიან, შენგან ისწავლაო. მერე, მართალია? მე ვეუბნები, იმაიმუნე-ეთქი?

ჟურნალისტმა ესეც ჩაიწერა.

ჟურნალისტმა გაზეთში წერილი დაბეჭდა. შიგ წერდა: დედამიწის ზურგზე ვერც ერთი სეიმი ვერ აქცევს ადამიანს ანგელოზად და ჯადოქრად. რა თქმა უნდა, არც ის შეიძლება, რომ ყოველდღე ყველიერი იყოს. ყოველ საღამოს ცირკში სიარულიც არამც და არამც არ იქნებაო. გარდა ამისა, ამქვეყნად ბიჭებიც უნდა იყვნენ და გოგოებიც, პატარა ბავშვებიც და მოზრდილებიცო.

წერილი დიდი სიფრთხილით იყო დაწერილი, რომ დეპუტატებს არაფერი სწყენოდათ. რსად ეწერა, 'აბდაუბდას რომავდნენო', 'სისულელეს ფქვავენო', ან 'კაცმა ყურები უნდა აახიოსო'. გაზეთი მხოლოდ იმას წერდა, რა შეიძლებოდა და რა არ შეიძლებოდა.

კლუ-კლუმ გაზეთი წაიკითხა და აღშოთდა.

– ძვირფასო მათიუშ, ნება მომეცი, სხდომას დავესწრო. მე ვიცი, რასაც ვიტყვი. თქვენს სეიმში რატომ გოგონებიც არ არიან?

– არიან, მაგრამ ხმას არ იღებენ.

ხმას არ იღებენ და, ყველას მაგივრად მე ვილაპარაკებ. მოიგონეს, რა! რაკი იმათ ეზოში ერთი აუტანელი გოგო ცხოვრობს, მაშ, გოგოები სულაც არ უნდა იყვნენ?! ბიჭები ცოტანი არიან აბეზრები? მაშ, არც ისინი უნდა არსებობდნენ ამქვეყნად! გაოცებული ვარ, თეთრკანიანებმა ამდენი ჭკვიანური რამე გამოიგონეს და მაინც ასეთი სულელები და ველურები არიან!

კლუ-კლუ სხდომაზე გაჰყვა, მათიუშს. მიდიოდა და გული ამოვარდნაზე ჰქონდა. არა, შიშისაგან კი არა, მთელი გზა სულ იმაზე ფიქრობდა, რა და როგორ, უნდა ეთქვა. მივიდნენ, სამეფო ლოჯაში შევიდნენ და დასხდნენ. ყველანი კლუ-კლუს მიაჩერდნენ, ის კი, ვითომც არაფერიყო, ისე იჯდა მათიუშის გვერდით.

ფელეკმ სხდომა გახსნა.

ზარი დააწკარუნა და თქვა:

– სხდომას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგშია ოთხი საკითხი: პირველი – ჰქონდეს თუ არა ყველა ბავშვს საათი. მეორე – აიკრძალოს თუ არა ბავშვების კოცნა. მესამე – უნდა ჰქონდეთ თუ არა ბავშვებს ბევრი ჯიბე. მეოთხე – გოგოების საკითხი.

საათის საკითხზე თხუთმეტი ორატორი ჩაეწერა.

ერთმა დეპუტატმა თქვა: ბავშვებს საათი იმიტომ სჭირდებათ, რომ სკოლაში თავის ღრღზე მივიდნენ, არ დაიგვიანონ. დიდებს უსაათოდ გაძლება უფრო არ გაუჭირდებათ, ზეპირი ანგარიში იმათ ჩვენზე კარგად იციანო.

– ჩემი მშობლების საათები იმდენად კარგად რომ არ მუშაობდეს და უკან რჩებოდეს, ჩემი რა ბრალია? იმათი გულისთვის მე მომხვედება ხოლმე, – თქვა ერთმა დეპუტატმა. – ჩემი საათი რომ მექნება, ვეცდები, კარგად იმუშაოს.

– საათი მარტო სკოლისთვის კი არ გვჭირდება, სადილზე ან ვახშამზე რომ ვიგვიანებთ, დიდები გვიჯავრდებიან, – თქვა მესამე ორატორმა, – მე რე, რა ჩემი ბრალია, რომ არ ვიციტო ხოლმე რომელი საათია?

– საათი თამაშის ღროსაც გვჭირდება. ხან სირბილში ვეჯობრებით ერთმანეთს, ხან ცალ ფეხზე დგომაში. უსაათოდ რა უნდა გავიგოთ?

– ნავს ერთი საათით რომ ვიქირავებთ, გვატყუებენ, ერთი საათი უკვე გავიდაო. სინამდვილეში კი ჯერ გასული არ არის ხოლმე, მაგრამ ერთი საათის საფასურს ვიხდით.

ფელეკმა ზარი დააწკარუნა.

– ვიწყებთ კენჭისყრას. მე ვფიქრობ, ერთხმად მივიღებდ დადგენილებას, რომ ბავშვებს საათი სჭირდებათ.

მიუხედავად ამისა, ცხრა დეპუტატმა მაინც უარი თქვა, საათი არ გვინდაო. ჟურნალისტმა იმწამსვე მათთან მიიღბინა და ჰკითხა, რატომ არ გინდათო.

– იმიტომ, რომ დაქოქვას დაგუწყებთ და გაგვიფიჭდება. იმიტომ, რომ ფული გვენანება, საათი შეძლება დაგვეკარგოს. იმიტომ, რომ ხელებზე თუ დადექი და ისე იარე, საათი ჩამოვარდება და გატყდება. იმიტომ, რომ დიდებშიც ყველას არა აქვს საათი. ჩვენ რომ გვექნება, იმათ შეშურდებათ და სიცოცხლეს გაგვიმწარებენ. იმიტომ არ მინდა, რომ არ მჭირდება. იმიტომ, რომ მამაჩემი წამართმევს, გაყიდის და იმ ფულით გამოთვრება.

ფელეკმა კიდევ დააწკარუნა ზარი.

– დადგენილება მიღებულია ხმის უმრავლესობითაც ცხრა ხმის წინააღმდეგ.

ერთხმად აღიარეს, აგრეთვე, დადგენილება, რომ ყველას არ ჰქონდეს ბავშვების კოცნის, ალერსის, მუხლებზე დასმის, ბეჭებზე ხელის თათუნის უფლება. მომბლებს შეიძლება მიეცეს უფლება, მაგრამ დეიდებს არამც და არამც არ უნდა მიეცეს. აირჩიეს კომისია, რომელიც დადგენილებების ტექსტს შემოუსავებდა. და მაშინ ერთხელ კიდევ უყრიდნენ კენჭს.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე ასეთი დადგენილება მიიღეს: გოგონებს ორი ჯიბე ჰქონდეთ, ბიჭებს – ექვსი.

კლუ-კლუ განრისხდა, გოგონებს სამჯერ ნაკლები, ესე იგი, ოთხი ჯიბით ნაკლები რატომ უნდა ჰქონდეთო? მაგრამ ჯერ ხმა სარ იღებდა, ელოდებოდა, კიდევ რა მოხდებოდა.

ფელეკმა ზარი დააწკარუნა. დაისვა გოგონების საკითხი.

მოხსნეს გუდას პირი:

– გოგონები მტირალეები არიან. გოგონები ჭორიკნები არიან. გოგონები ენატანიები არიან. თვალთმაქცეები არიან. გოგონები შტერები და ბუტიები არიან. თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და იფხორებიან. გოგონები ჩურჩულ-კურკურობენ. გოგონები იკაწრებიან.

საწყალი დეპუტატი გოგონები კი ისხდნენ და მარტო ცრემლს იწმენდნენ. უცერად სამეფო ლოჟიდან კლუ-კლუმ დაიძახა:

– მომეცით სიტყვა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– ჩემს ქვეყანაში ბიჭებიც და გოგონებიც ყოჩაღები, მარჯვეები არიან. ერთნაირად სწრაფი სირბილი იციან, ხეებზედაც ერთნაირად დაძვრებიან, ყირაზედაც ერთნაირად გადადიან. თქვენთან კი არაფერ იცის, რა ხდება, ბიჭები დღენიადაგ გოგონებს ეჩხუბებიან. თვითონ არ ეთამაშებიან და იმთავაც ხელს უშლიან. გიყურებთ და ვხედავ, რომ ყველა არა, მაგრამ მაინც ბიჭებში უფრო ბევრია უქნარა და ცუდლუტი, ვიდრე გოგონებში.

– ჰე-ე! – გაისმა აქეთ-იქიდან

ფელეკმა ზარი დააწკარუნა, ხელს ნუ უშლითო.

– ბიჭები უზრდელები არიან, სულ ცემა-ტყეპაზე უჭირავთ თვალი. ბიჭებს ჭუჭყიანი ხელები და ყურები აქვთ. ტანსაცმელსაც მალე აფუჭებენ. ბიჭები მატყუარები და ცბიერები არიან.

– ჰე-ე! – კიდევ გაისმა აქეთ-იქიდან.

ფელეკმა ზარი დააწკარუნა, ხელს ნუ უშლითო.

– ბიჭები რვეულებიდან ფურცლებს ხევენ და წიგნებს აფუჭებენ. სწავლა არ უნდათ. ხმაურობენ. შუშებს ამსხვრევენ. სათავსოდ იყენებენ, ევროპელი გოგონები უგერგილოები რომ არიან ამ კაბებისა და გრძელი თმის გადამკიდე.

– თუ არ უნდათ, შეიკრიჭონ.

– ადგნენ და შარვალი ჩაიცვან.

ფელეკმა ზარი დააწკარუნა.

– გოგონები სუსტები არიან, ამიტომ ბიჭები ჩაგრავენ, მერე კი თავს უცოდველ ბატანებად ასაღებენ.

ამის თქმა იყო და, აირია მონასტერი, ყველა ერთად აღრიალდა, ახორხორდა, აბობოქრდა, ზოგი ფეხებს აბრაგუნებდა, ზოგი უსტვენდა, ზოგი ყვიროდა.

– ერთი ამას დამიხედეთ, ჭკუას რომ გცასწავლის!

– წადი, მაიმუნების გალიაში შეჯექი!

– მეფის საცოლეგ!

– მათიუშის ცოლო!

– მათიუში, მათიუში, ხატაურა ფისო, შეძვერი ღუმელის უკან და იკრუტუნე!

– იადონო, ქანდარაზე შესეპდი და იგალობე!

ყველაზე მეტს ერთი ბიჭი ღრიალებდა. დეპუტატის საგარძელზე შემდგარიყო და, რაც ხმა გაუწვდებოდა, ისე ღრიალებდა კიბოსავით გაწითლებული. ფელეკმა იცნო: ჯიბგირი ანტეკი გახლდათ, ბნელი პიროვნება.

– ანტეკ, – დაუძახა ფელეკმა, – იცოდე კბილებს ჩაგამტვრევ!

– აბა, სცადე! დამიხედეთ მინისტრს! ბარონ ფონ რაუსს! დაგავიწყდა, ბაზარში ვაშლს რომ იპარავდი! ფელეკა-ბეკეკა.

ფელეკმა სამელნე და ზარი ესროლა. დეპუტატები სამ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფი თავპირისმტვრევით გარბოდა გარეთ, ორი ჯგუფი კი ერთმანეთს მიესია და გაიმართა დაკა-დაკა.

მათიუში ცარცივით გაფითრებული უყურებდა ამ ორმტრიალს.

ჯურნალისტი გაჩქარებით იწერდა რაღაცას.

– ბატონო ბარონო ფონ რაუს, დამშვიდდით. ცუდი არაფერი მომხდარა. ამგეარ დავაში ყალიბდება და მყარდება პარტიები, – უთხრა ფელეკს.

მართლაც ფელეკი დაწყნარდა; მისთვის აღარავის ეცალა, დეპუტატები ერთმანეთის ცემა-ტყეპით იყვნენ გართულები.

კლუ-კლუს სულითა და გულით უნდოდა, დარბაზში ჩამხტარიყო, დეპუტატის საგარძელისთვის ხელი დაეველო და ამ უწესოებისთვის ეჩვენებინა, როგორი ჩხუბი იციან აფრიკელმა გოგონებმა. კლუ-კლუმ იცოდა, რომ ზედახოცვის მიზეზი თვითონ იყო, ამიტომ ძალიან ეცოდებოდა მათიუში, მაგრამ მაინც არაფერს ნანობდა: რაც საჭიროა, იცოდნენო, ვითომ რა უთხრეს, შავი ხარო? მერე რა, განა არ იცის, რომ შავია! მაიმუნების გალიაში შეჯექიო? სწორედაც რომ იჯდა. აბა, თვითონ სცადონ, თუ გაბედავენ. მათიუშის საცოლლო? მერე, ცუდია? ნეტავ მათიუშმა მოინდომოს კლუ-კლუს ცოლად შერთვა! ეჰ, რა გულდასაწყვეტია, რომ ეს სულელური ევროპული ეტიკეტი უფლებას არ აძლევს, ბრძოლაში ჩაებას!

რანაირად ჩხუბობენ! ესენიც იტყვიან, ბიჭები ვართო! დოყლაპიები, ლენჩები, დონდლოები! ათი წუთია ჩხუბობენ და ჯერაც ვერავინ გაიმარჯვა. მამლაყინწებივით ხტიან და დარბიან, ხელებს ტყუილად იქნევენ ჰაერში.

რა ცუდი ქნა ფელეკმა, სამელნე და ზარი რომ ისროლა! კლუ-კლუს რომ ერთი ესროლა ანტეკისთვის, ახლა ეს ბიჭი გამარჯვებულივიდ არ დადგებოდა მაგიდაზე.

ბოლოს კლუ-კლუმ ვეღარ მოითმინა, ახტა, ერთი ხელი მოაჯირს სტაცა, მეორე – რკინის ცხაურს, მსუბუქად შედგა ლავგარდანზე, მერე ისკუპა, ელექტრონის პლაფონს ჩამოეკიდა, საზღვარგარეთის ჟურნალისტთა მაგიდას გადაახტა და აბეზარ ბუზივით დააფრთხო ანტეკზე წასეული ხუთი ბიჭი.

– ჩხუბი გინდა?

ანტეკმა მოუქნია, მაგრამ ინანა. კლუ-კლუმ ერთდროულად დასცხო ფეხი, ხელები და თავიც აძგერა. ანტეკი იატაკზე გაიშოტა. ცხვირი გატეხილი ჰქონდა, კეფა გახევებული, მკლავი მათრახივით ეკიდა, სამი კბილიც ჩამოვარდნოდა.

‘რა საცოდავები არიან ეს თეთრკანიანები, რა სუსტი კბილები აქვთ’, – გაიფიქრა კლუ-კლუმ, მინისტრის მაგიდასთან მიიბრინა, წყლის ჭიქაში ხელსახოცი დაასველა და ანტეკს ცხვირზე დაადო.

– ნუ გეშინია, ხელი მოტეხილი არა გაქვს, – ამშვიდებდა ბიჭს. – ამისთანა ჩხუბის შემდეგ ჩვენ ერთ დღეს წვანან ხოლმე. თქვენ უფრო ნაზები ხართ, ისე რომ, ალბათ, ერთი კვირა დაგჭირდებათ გამოკეთებისთვის. კბილებზე კი დიდ ბოდიშს ვიხდი. ო, ჩვენი ბევრები უფრო მაგრები და ღონივრები არიან, ვიდრე თეთრკანიანები.

მათიუში ძალიან ნაწყენი და შეურაცხყოფილი დაბრუნდა სასხლეში, არასოდეს, არასოდეს ფეხს აღარ შეადგამს ბავშვთა სეიმზე!

რა უმადურები ყოფილან! რამდენი იშრომა, რამდენი კარგი რამე გააკეთა, მოგზაურობაში კინაღამ დაიღუპა, თავის ქვეყანას გმირულად იცავდა, მეტი რაღა უნდათ! სამაგიეროდ კი ეს უმადურობა მიუზღეს.

ჯადოქრებად გვაქციეთო, ცის სიმაღლე თოჯინა მოგვეციეთო! სულელები! ძალიან სამწუხაროა, რომ ეს საქმე წამოიწყო. ჭერიდან წვიმა ჩამოგვივიდაო, საჭმელი არ ვარგოდანო, გართობა-თამაში არ გვექონდაო. აბა, რომელ სახელმწიფოში აქვთ ბავშვებს ასეთი ზოოლოგიური პარკი? ან ის ფეიერვერკი ხომ არ ეცოტავათ? ან იქნებ სამხედრო ორკესტრი კარგად არ უკრავდა? გაზეთია და საკუთარი აქვთ. არ კი ღირდა, რომ ჰქონოდათ! სწორედ ეს გაზეთი ხვალ მთელ ქვეყნიერებას მოსდებს, 'ფისო' და 'იადონი' რომ დაუძახეს. არა, ნამდვილად არ ღირდა ამ გაზეთის დაარსება.

და მათიუშმა ბრძანა, რომ ამიერიდან არც ბავშვების წერილებს წაიკითხავდა, არც საღამოს აუდიენციებს გამართავდა. მორჩა, აღარ ნებავეს საჩუქრების დარიგება! კმარა!

მათიუშმა ტელეფონით დაურეკა უფროს მინისტრს, რომ ერთ დიდ საკითხზე მოთათბირებოდა. უნდა ეკითხა, ამის შემდეგ, როგორ მოვიქცეო.

– თუ შეიძლება, უფროსი მინისტრი დამალაპარაკეთ.

– ვინ ბრძანდებით?

– მეფე.

– უფროსი მინისტრი შინ არ გახლავთ, – უთხარ უფროსმა მინისტრმა. იმას ეგონა, ხმაზე ვერ მიცნო.

– კი, მაგრამ თქვენ ხომ მელაპარაკებით! – ჩასძახა ყურმილში მათიუშმა.

– ოჰ, თქვენ ბრძანდებით, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ? ოჰ, დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მოსვლა არ შემიძლია, ავად განხლავართ, ახლავე ლოგინში უნდა ჩავწვე. იმიტომ გითხარით, შინ არა ვარ-მეთქი.

მათიუშმა ყურმილი დადო.

– ცრუობს, – თქვა აღელვებულმა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა. – მოსვლა იმიტომ არ უნდა, რომ უკვე ყველაფერი იცის. ამის შემდეგ პატივს აღარავინ მცემს, ყველა დამცინებს.

მსახურმა მოახსენა, ფელეკი და ჟურნალისტი გეახლნენო.

– სთხოვე, შემოვიდნენ! – უბრძანა მათიუშმა.

– მე მინდა, თქვენს მეფურ უდიდებულესობას ვკითხო, გაზეთში როგორ აღვწერო პროპარის დღევანდელი სხდომა. შეიძლებოდა სულაც არაფერი დაგვეწერა, მაგრამ უფრო მეტი ჭორი გაავრცელდება. ხომ არ აჯობებდა, ასე დაგვეწერა: სხდომამ დაძაბულად ჩაიარა. ბარონმა ფონ რაუხმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა; ეს იმას ნიშნავს, რომ ბარონი ნაწყენია და მინისტრობა აღარ უნდა. მაგრამ მეფემ ნება არ დართო და ბარონი ფონ რაუხი ისევ თავის ადგილზე დარჩა, მეფემ კი ორდენი უბოძა.

– ჩემზე რაღას დაწერთ?

– არაფერს, ასეთ რამეს არ წერენ, არ არის კარგი. ყველაზე ცუდი მაინც ის განხლავთ, რომ არ ვიცით, ანტეკს რა მოუხერხოთ. სხვაც არა იყოს რა, დეპუტატია, გაწკეპვლა არ შეიძლება. დეპუტატებმა თუნდაც ერთმანეთს თავპირი დააღწონ, მთავრობა თითოსაც ვერ დააკარებს; დეპუტატები ხელშეუხებლები არიან ისე კი, კლუ-კლუსგან საკმარისად მოხვდა. ვინ იცის, იქნებ დაჭკვიანდეს კიდევც.

მათიუშს გულზე მოეშვა, რაკი გაზეთში არ ეწერებოდა, როგორ დასცინოდა ანტეკი, ჰოდა, ხელად აპატია ყველაფერი.

– ხვალ თორმეტ საათზე დაიწყება სხდომა.

– სულაც არ მაინტერესებს, მე იქ აღარ მოვალ.

– ძალიან ცუდი იქნება, – არ მოუწონა ჟურნალისტმა. – შეიძლება იფიქრონ, რომ თქვენს უდიდებულესობას ეშინია.

- მაშ რა ვქნა? ძალიან ნაწყენი ვარ, - უთხრა თვალცრემლიანმა მათიუშმა.
- დეპუტატების დელეგაცია გეახლებათ და თქვენს მეფურ უდიდებულესობას პატიებას სთხოვს.
- კარგი, - დაეთანხმა მათიუში.
- ჟურნალისტი წავიდა, რომ საჩქაროდ წერილი დაეწერა და ხვალინდელ გაზეთში დაებეჭდა.
- ფელეკი დარჩა.
- ხომ გირჩიე, 'მათიუშს' ნუღარ დააძახებინებ-მეთქი!
- მერე რა! - გააწყვეტინა გაბრაზებულმა მათიუშმა. - შენ თუ ბარონი ფონ რაუხი დაირქვი, იმიტომ არარ გეძახდნენ 'ბეკეკას'! ეს უარესია, 'ხატაურა ფისოს' რა უშავს!
- კარგი, მაგრამ, სამაგიეროდ, მე მინისტრი ვარ, შენ კი - მეფე. ის უფრო ცუდია, რომ მეფე 'ხატაურა ფისო' იყოს, ვიდრე მინისტრი - 'ბეკეკა'.
- კლუ-კლუ სხდომაზე აღარ წასულა. მაგრამ მათიუში კი იძულებული იყო, ისევ დასწრებოდა. თავდაპირველად იქ ჯდომა არ ეხალისებოდა, მაგრამ დეპუტატები ისე ჭკვიანად იქცეოდნენ, ისეთ ჭკვიანურ სიტყვას ამბობდნენ, ბოლოს და ბოლოს, წინააღმდეგ სულ გადაავიწყდა.
- იმ დღეს დეპუტატები წითელ მელანზე ლაპარაკობდნენ, გარდა ამისა, მოითხოვდნენ, ბავშვებს ნუ დასცინიანო.
- მასწავლებლები რვეულებს წითელი მელნით ასწორებენ, ჩვენ კი შავი მლენით ვწერთ. თუ წითელი მელანი უფრო ლამაზია, ავდგებით და ჩვენც ამით დავწერთ.
- ღიახ, - მხარი აუბა დეპუტატმა გოგონამ. - რვეულებს რომ დაგვირიგებენ, ქაღალდებიც უნდა მოაყლონონ, რვეულს გადავაკრავთ და ყდა არ გაეჭუჭყება. ამას გარდა, კარგი იქნება, სურათები, ყვავილები ან ამისი მსგავსი რამე მოგვცენ, რომ რვეულები გაგაღამაზოთ.
- გოგონამ რომ სიტყვა დაამთავრა, ტაში დასცხეს. ამით ბიჭებს იმის თქმა უნდოდათ, გოგონებზე სულაც არ გებრაზობთ, გუშინდელი აყალმაყალი ორიოდ აბეზარის მოწყობილიაო. რამდენიმე ასეულ დეპუტატზე რომ ერთი მუჭა ბრიყვი მოდიოდეს, ბევრი სულაც არ არისო.
- ამ სხდომაზე ძალიან ბევრი ილაპარაკეს იმის თაობაზე, რომ დიდები პატარებს დასცინიან.
- თუ ვინცობაა, რამე ვკითხეთ ან რამე გავაკეთეთ, იმწამსვე ან დაგვიყვირებენ, ან გაჯავრდებიან, ან დაგვცინებენ. ასე არ უნდა იყოს. იმათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან, მაგრამ ასე არ გახლავთ. მამაჩემმა ვერც კი დათვალა, რამდენი კონცხია ავსტარლიაში და რამდენი მდინარეა ამერიკაში. ისიც კი არ იცოდა, ნილოსი რომელი ტბიდან იღებს სათავეს.
- ნილოსი ამერიკაში კი არა, აფრიკაშია, - დაიძახა ვიღაც დეპუტატმა.
- შენზე კარგად ვიცი. ეგ ისე ვთქვი, მაგალითისთვის. დიდებს არც საფოსტო მარკებისა გაეგებათ რამე, არც თითებით სტვენა იციან და იმიტომ ამბობენ ხომლე, ცუდი საქციელიაო, უწესობააო.
- ბიძაჩემმა იცის სტვენა.
- თითებით არ ეცოდინება.
- შენ რა იცი, იქნება თითებითაც უსტვენს! შენ საიდან იცი!
- სულელი ხარ.
- აღბათ, ისევ აურზაური ატყდებოდა, თავმჯდომარეს ზარი რომ არ დაეწკარუნებინა, და არ ეთქვა, არ შეიძლება დეპუტატს 'სულელი' უწოდოთ, ამისთვის სხდომიდან გაგაძეგებთო.
- რას ნიშნავს 'სხდომიდან გაძეგება'?
- ეს პარლამენტური გამოთქმაა. სკოლაში იტყვიან ხოლნე: თავს გარეთ გიკრავო.

ასე თანდათანობით საწვლობდნენ დეპუტატები სეიმზე თავის დაჭერას.

სხდომის დასასრულს ერთი დაგვიანებული დეპუტატი შემოვიდა დარბაზში.

– მაპატიეთ, რომ დავაგვიანე. დედანები არ მიშვებდა. გუშინ ცხვირიც გამიტეხეს და კოპიც დამასვეს.

– ეს უკვე ბოროტმოქმედებაა. დეპუტატი ხელშეუხებელი პიროვნებაა და შინ არავის აქვს უფლება, რომ სხდომაზე წასვლა დაუშალოს, აბა, რას ჰგავს, თუ დეპუტატად აგირჩიეს, მაშ სხდომაზედაც უნდა იჯდე. სკოლაშიც შეიძლება, ცხვირი გაგიტეხონ, მაგრამ მშობლები იქ სიარულს მაინც არ დაგიშლიან.

ასე დაიწყო დიდებს და ბავშვებს შორის დავა. ეს ჯერ დასაწყისი იყო.

უნდა გითხრათ, რომ საზღვარგარეთის გაზეთები უკვე წერდნენ ბავშვთა პარლამენტის არსებობაზე. ეს ამბავი ჯერ არც მათიუშმა იცოდა, არც დეპუტატებმა იცოდნენ. საზღვარგარეთელი ბავშვები შინ და გარეთ უკვე სულ ამაზე ლაპარაკობდნენ. უსამართლოს ცუდ ნიშანს თუ დაუწერდნენ ან გაუჯავრდებოდნენ, მაშინვე ამას მიახლიდნენ:

– ჩვენ რომ ჩვენი დეპუტატები გვყავდეს, ასე არ მოხდებოდაო.

დედოფალ კამპანელას პატარა სახელმწიფოში კი, სამხრეთ ევროპაში რომ მდებარეობს, ბავშვები რაღაცაზე განრისხდნენ და გაფიცვა გამოაცხადეს. თურმე ვიღაცას გაეგო, ბავშვებს უნდათ, რომ მშრომელი ხალხივით მათაც საკუთარი დროშა ჰქონდეთ და ეს დროშა უასთუოდ მწვანე უნდა იყოსო. ადგნენ და მათაც მწვანე დროშებით მსვლელობა მოაწყვეს.

დიდები ძალიან გაჯავრდნენ.

ეს რაღა ახალი ამბავია! მშრომელები და იმათი წითელი დროშები არ გვეყოფოდა, რომ ახლა ესენიც არ მოგვმატებოდნენ! ესღა გვაკლდა!

მათიუშს ძალიან გაუხარდა ეს ამბავი, გაზეთმა კი დიდი სტატია მიუძღვნა. სათაური ასეთი ჰქონდა:

‘ მსვლელობა იწყება‘.

სტატიაში ეწერა, დედოფალ კამპანელას სახელმწიფოში თბილი ჰავაა და ბავშვები იქ უფრო ფიცხები არიან, ამიტომაც იქაურმა ბავშვებმა თავისი უფლებებისათვის ბრძოლა დაიწყესო.

“შორს არ არის ის დრო, როცა მწვანე დროშას მთელი მსოფლიოს ბავშვები აღიარებენ და აიტაცებენ. სწორედ მაშინ გაიგებენ, რომ არ უნდა იჩხუბონ. ყველგან დამყარდება წესრიგი. ადამიანებს ეყვარებათ ერთმანეთი და აღასოდეს აღარ ატყდება ომი. თუ ადამიანები ბავშვობიდანვე გადაეჩვევიან ჩხუბსა და ცემა-ტყეპას, აღარც დიდობაში მოინდომებენ.

მათიუშ მეფემ პირველმა ბრძანა, რომ ბავშვებს მწვანე დროშა ჰქონოდათ, – ეწერა გაზეთში. – მათიუშ მეფემ მოიგონა ეს და ახლა მას შეუძლია იყოს არა მარტო თავისი სახელმწიფოს ბავშვთა მეფე, არამედ მთელი მსოფლიოს ბავშვთა ხელმწიფეც.

დედოფალი კლუ-კლუ აფრიკაში გაემგზავრება და ზანგ ბავშვებს ყველაფერს აუხსნის. ძალიან კარგი იქნება. ბავშვებსაც ისეთივე უფლებები მიეცემა, როგორც უფლებებიც დიდებს აქვთ. ისინიც მოქალაქეებად ჩაითვლებიან.

ბავშვები დამჯერენი და მორჩილები იქნებიან. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვე მოისურვებენ წესრიგის დამყარებას, წესიერებას”.

კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი ეწერა გაზეთში. მათიუშს უკვირდა, სევდიანი მეფე რატომ მეუბნებოდა, რეფორმატორობა ძნელიაო, რეფორმატორებს ძალიან ხშირად დღე ნაადრევად დაუბნელებათ ხოლმეო, ხალხი მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ იგებს, რომ კარგი მმართველები იყვნენ, და ძეგლს უდგამენო.

– ჩემთან ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის. არც რამე საფრთხე მემუქრება, ბევრი უსიამოვნება და საზრუნავი დამატყდა თავს, მაგრამ, როცა

კაცი მთელი ხალხის ხელმწიფე და განმგებელია, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

ქუჩაში ახალგაზრდებს მპოყარათ თავი, თხუთმეტ-თხუთმეტი წლისანი იქნებოდნენ. ერთი ახალგაზრდა ფარნის ბოძზე ამბერალიყო და ყვიროდა:

– ჩვენ ყველას დავავიწყდით! ჩვენ გვინდა, ჩვენი დეპუტატები გვყავდეს. დიდებსაც თავისი სეიმი აქვთ, ბავშვებსაც – თავისი. ჩვენ რით ვართ იმათზე უარესები? იმის ნებას არავის მივცემთ, რომ ასეთი ლეკვები პარპაშობდნენ. პატარებს თუ შოკოლადს ურიგებენ, ჩვენ პაპიროსი მოგვცენ. რა უსამართლობაა!

სწორედ ამ დროს დეპუტატებმა გამოიარეს, სხდომაზე მიდიოდნენ, მაგრამ ახალგაზრდებმა არ გაუშვეს.

– კარგი დეპუტატები კი არიან, ჯერ გამრავლების ტაბულაც არ იციან და სიტყვა “მაგიდა“ სწორად ვერ დაუწერიათ!

– ზოგმა წერა სულ არ იცის!

– ასეთები უნდა მართავდნენ ქვეყანას?!

ძირს ამისთანა მთავრობა!

პოლიციის პრეფექტმა მათიუშს დაურეკა, გარეთ არ გამოხვიდე, ქალაქში არეულობააო. ამასობაში კი ცხენოსანი პოლიცია გაგზავნა, რომ თავმოყრილი ახალგაზრდობა გაეფანტა. მაგრამ ახალგაზრდობა პოლიციას არ დაემორჩილა, რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი ცხვი-პირში დაუშინა, აღარ დაგიდევთო, წიგნები იყო თუ საუზმე. ზოგმა ქვაფენილიდან ქვები ამოაძრო. პოლიციის პრეფექტი აივანზე გადადგა და დაიყვირა:

– თუ არ დაიშლებით, ჯარს გამოვუძახებ! თუ ვინმე გაბედავს და ჯარს ქვებს დაუშენთ, თოფს ჯერ ჰაერში გავისვრი, თუ ამანაც არ გაჭრა, მერე თქვენ გესვრით.

არაფერმა გაჭრა. ამბოხებულები უფრო უარესად გადაირივნენ, სხდომათა დარბაზის კარი შეამტვრიეს და შიგნით შეცვივდნენ.

– აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით, ვიდრე ჩვენც ისეთივე უფლებლებს არ მივიღებთ, როგორც ბავშვებს აქვთ.

ყველას თავგზა აებნა, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. უეცრად სამეფო ლოჯაში მათიუში შემოვიდა. თურმე პოლიციის პრეფექტისთვის ყური არ ეთხოვებინა და თვითონ წამოსულიყო, გავიგო, რა მოხდაო.

– ჩვენც გვინდა, სეიმი გვქონდეს.. ჩვენც გვინდა, ჩვენი დეპუტატები გვყავდეს. ჩვენც გვინდა უფლებები!

ახალგაზრდები ჯერ ყვიროდნენ, მერე კი ისეთი ღრიალი მორთეს, კაციშვილი ვერ გაიგებდა, ვინ რას ამბობდა.

მათიუში იღვა და ხმას არ იღებდა, იღვა და იცდიდა. მეამბოხეები მიხვდნენ, ასე არაფერი გამოვაო, და ერთმანეთს მიუბრუნდნენ: “ჩუმად, კმარა, გაჩუმდით!” ბოლოს ვიღაცამ დაიძახა:

– “მეფეს სურს სიტყვის თქმა“

და სიჩუმე ჩამოვარდა.

მათიუში დიდხანს და ჭკვიანურად ლაპარაკობდა. მან გულწრფელად აღიარა, რომ ახალგაზრდები არ ტყუოდნენ.

– მოქალაქენო, უფლებები გეკუთვნით, მართალია, – ამბობდა მათიუში, – მაგრამ სულ მალე თქვენ დიდები გახდებით და დიდების სეიმში შეხვალთ. მე ბავშვებიდან იმიტომ დავიწყე, რომ თვითონაც ბავშვი ვარ და კარგად ვიცი, ბავშვებს რაც სჭირდებათ. ყველაფრის ერთბაშად გაკეთება არ შეიძლება. ისედაც უამრავი საქმე მაქვს. თხუთმეტი წლისა რომ გავხდები და ბავშვების საქმე მოწესრიგებული მექნება, მერე თქვენ მოგხედავთ.

– მაშინ ეგ წყალობა აღარ დაგვჭირდება, ჩვენ უკვე დიდების პარლამენტში ვიქნებით.

მათიუში მიხვდა, კარგად არ გამომივიდაო, და ეს დაამატა:

– ან კაცმა რომ თქვას, ჩვენ რას ჩაგვაცივდით! უღვაში ამოგობინებიათ, პაპიროსსაც ეწვევით, ადექით და დიდების პარლამენტში მიდით თუ მიღებაა, იმათ მიგიღონ.

ყველაზე დიდებს უღვაში ამოდერებოდათ. სწორედ იმათ გაიფიქრეს:

“მართლაც რად გვინდა, ეს ცინგლიანი სეიმი? ჩვენ უკვე ნამდვილ პარლამენტში უნდა ვიყოთო“.

უმცროსებმა სირცხვილით ვერ თქვეს, პაპიროსს არ ვეწვევითო, და უფროსებს მხარი აუბეს:

– კარგი იქ წავიდეთ.

და წავიდნენ. წავიდნენ, მაგრამ ჯარმა გზა გადაუღობა. იდგა თოფმომარჯვებული და არ უშვებდა. ახლაგაზრდებმა უკან დაბრუნება დააპირეს, მაგრამ უკანაც ჯარი იდგა. მაშინ შუაზე გაიყვნენ, ნახევარი მარჯვენა ქუჩისკენ წავიდა, ნახევარი – მარცხენა ქუჩისკენ. მერე კიდევ გაიყვნენ. ჯარი კი ისევ მიერეკებოდა და მიერეკებოდა, ასე დაყვეს ახალგაზრდები პატარ-პატარა ჯგუფებად და დაერივნენ დასაპატიმრებლად.

ეს რომ მათიუშიმა გაიგო, პოლიციის პრეფექტზე გული მოუვიდა. ისე გამოდიოდა, თითქოს მათიუშიმა ახალგაზრდები მოატყუა. პრეფექტი თავს იმართლებდა, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდიო. მათიუშიმა ბრძანება გასცა, ქუჩის კუთხეებში განცხადებები გაეკრათ, რომ ახალგაზრდებს სამი ყველაზე ჭკვიანი ახალგაზრდა აერჩიათ და მეფესთან მოსალაპარაკებლად გამოეგზავნათ.

სადამოთი მეფე მინისგრთა სხდომაზე მიიწვიეს.

– ცუდად არის საქმეები, – თქვა განათლების მინისტრმა. – ბავშვებს სწავლა არ უნდათ. მასწავლებელი რომ უბრძანებს, ეს და ეს გააკეთეთო, იცინიან: რომ არ გავაკეთოთ, რას გვიზამთო? არ გვინდა და არ გავაკეთებთო, მეფესთან გიჩივლებთო. ჩვენს დეპუტატებს ვეტყვითო. მასწავლებლებმა აღარ იციან, რომელ წყალში გადაცვივდნენ. მოზრდილები სულ გაათავებდნენ: ეს ლაწირაკები უნდა მბრძანებლობდნენ და ჩვენ ვემორჩილებოდეთო? ვინ არის ამათი სუღელი! თუ ჩვენ დეპუტატები არა გვყავს, მაშ, შეიძლება სკოლაც არა გვქონდესო. უწინ პატარები პატარებთან ჩხუბობდნენ, ახლა მოზრდილები უმწარებენ სიცოცხლეს. სულ კრიჭაში უდგანან: წადი და შენს დეპუტატთან მიჩივლეო. ყურებს აგლეჯენ, ხან სცემენ. მასწავლებლები ამბობენ, ერთი ორ კვირასაც მოვითმენთ, თუ არ დაწყნდნენ, მასწავლებლობაზე უარს ვიტყვითო. ორმა მასწავლებელმა უკვე თავი გაანება სამსახურს და წავიდა. ერთმა ფარდული გახსნა და სოლიანი წყლით ვაჭრობს, მეორემ დიდების ფაბრიკა შეიძინა.

– საერთოდ, დიდები ძალიან უკმაყოფილოები არიან, – თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა. – გუშინ კაფეში ერთი კაცი ამბობდა: ბავშვებს გონება მთლად აერიათო. იმათ ჰგონიათ, რასაც მოინდომებენ, ყველაფრის გაკეთება შეუძლიათო, და ისე ხმაურობენ, ადამიანს გააგიჟებენო. დივანზე დახტიან, ოთახში ბურთს თამაშობენ, ქუჩაში უნებართვოდ დახეტიალობენ და ტანსაცმელს ისე ხევენ, მალე, ალბათ, ზანგებივით ივლიანო. იმ კაცმა სხვა რაღაცეებზეც ილაპარაკა, მაგრამ მე ვერ გავიმეორებ. იმ წუთში დავაპატიმრებინე და ახლა ბრალად ედება მეფის შეურაცხყოფა, ესე იგი, მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა.

– ახლა მე ვიცი, როგორც მოვიქცევი, – თქვა მათიუშიმა. – აი, რას ვიზამ: ყველას, ვინც სწავლობს, მოსამსახურებად ვაქცევ. ისინიც ხომ ისევე წერენ, ანგარიშობენ და სკოლაში ისევე დადიან, როგორც მოსამსახურეები თავიანთ კანტორაში მიდიან და მუშაობენ ხოლმე. ისე რომ, ბავშვებს სამუშაოში

ხელფასი ეკუთვნით. ჩვენც მივცემთ ხელფასს, ჩვენთვის სულ ერთია, რას მივცემთ, შოკოლადს, ციგურებს, თოჯინებს თუ ფულს. ბავშვებს კი ეცოდინებათ, რომ თუ ის არ გააკეთეს, რაც ევალებათ, ხელფასს არ მიიღებენ.

– ვცადოთ, – დაეთანხმნენ მინისტრები.

– მათიუშს სულ გადაავიწყდა, რომ თვითონ კი აღარ იყო მმართველი, პარლამენტი მართავდა. სახლემწიფოს. გადაავიწყდა და ბრძანა, ეს ახალი ბრძანებულება ქუჩების კუთხეებში გაეკრათ.

დილით, აღრიანად, შურნალისტმა მიიღებინა სასახლეში, საშინლად იყო გაცეცხლებული.

– თუ თქვენი უდიდებულესობა ყველა მნიშვნელოვან ცნობას კედელზე გააკრევიანებს, მაშინ გაზეთი რაღად გვინდა?

შურნალისტს ფელეკი მიჰყვა ფეხდაფეხ.

თუ თქვენი უდიდებულესობა თვითონ გამოსცემს ახალ კანონებს, მაშ, დეპუტატები რაღად გვინდა!

– სწორია, – დაუდასტურა შურნალისტმა, – ბარონი ფონ რაუხი მართალს ბრძანებს. მეფემ მხოლოდ უნდა თქვას, რის გაკეთება სურს, მერე კი დეპუტატები მოითათბირებენ და იტყვიან, აძლევენ თუ არა ამის გაკეთების უფლებას. იქნება იმათ უკეთესი რამე მოიფიქრონ?

მათიუში მიხვდა, რომ ჩქარდა. ვინ იცის, ახლა რა ამბავი დატრიალდება!

– თქვენმა უდიდებულესობამ უნდა ინებოს და დარეკოს, რომ ჯერჯერობით ისევ შოკოლადი დაარიგონ, უცბად რეგოლუცოამ არ იფეთქოს. ჩვენ კი ამ საკითხის დღესვე განვიხილავთ დეპუტატების სხდომაზე.

მათიუშს გული ცუდს უგრძობდა. მართლაც, ძალიან ცუდი რამ მოხდა. ჯერ გადაწყვიტეს, რომ ეს საქმე კომისიაზე განსახილველად გადაეცათ, მაგრამ მათიუშმა უარი თქვა:

– ვიდრე კომისია რამე საქმეს თავს მოაბამს, კარგა დრო გავა. მასწავლებლებს კი უთქვამთ, მხოლოდ ორ კვირასდა მოვითმენთ, მერე წავგალოთ. მორჩა და გათავდა.

შურნალისტი ფელეკთან მივიდა და ყურში რაღაც წასწურჩულა. ფელეკს სიამოვნებით გაეღიმა და სიტყვა ითხოვა.

– ბატონო დეპუტატებო, – დაიწყო ფელეკმა. – მე სკოლაში დაგდიოდი და ვიცი, იქ რა ხდება. ერთ წელიწადს გაკვეთილებზე უდანაშაულოდ ფეხზე დამაყენეს სამოცდაათჯერ, უდანაშაულოდ კუთხეში დამაყენეს ასხუთჯერ, უდანაშაულოდ გარეთ გამომაგდეს ასოცჯერ. თქვენ გგონიათ, მარტო იმ სკოლაში ხდებოდა ასეთი რამ? არა. ექვს სკოლაში ვსწავლობდი და ექვსივეგან ასეთი ამბები ხდებოდა. დიდები სკოლაში არ დადიან და ამიტომ არ იციან, რა უსამართლობა ხდება. ჩემი აზრით, რაკი მასწავლებლებ არ სურთ, რომ ბავშვებს ასწავლონ, უნდა გამოიცეს კანონი, რომ დიდებს ასწავლონ. დიდები თავის თავზე რომ გამოცდიან ამ სიამოვნებას, წარამარა წიგნზე აღარ მიგვაგდებენ. მასწავლებლებიც დარწმუნდებიან, დიდები უფრო ძნელად მოსავლელები არიანო, და ჩვენს დაბეზლებას გადაეჩვენებენ.

დეპუტატებმა მოხსნეს გუდას პირი და აღარ გაჩუმდნენ. ერთი ამბობდა, კლასში მეორე წელიწადს უსამართლოდ დამტოვესო, მეორე ჩიოდა, ორი შეცდომა მქონდა და ცუდი ნიშანი დამიწერესო. მესამე წუწუნებდა, ფეხი მტკიოდა, დავიგვიანე და კუთხეში დამაყენესო. მეოთხე ბრაზობდა, ჩემს უმცროს ძმას ჩემი წიგნიდან ფურცელი ამოეხია, ლექსი ვერ ვისწავლე, მასწავლებელმაკი მითხრა, ღობე-ყორეს ნუ ედები, თავის დაძვრენა გინდაო.

ამასობაში დეპუტატებს არაქათი გამოეცვლათ, მოსშივდათ კიდევ და ფელეკმა პროექტს კენჭი უყარა.

– კომისია მოიფიქრებს, როგორ მოიქცეს, რომ სკოლაში სამათლიანობა იყოს. მოიფიქრებს, აგრეთვე, ბავშვებს სწავლაში მოსამსახურეებივით ხელფასი

მიეცეთ თუ არა. მანამდე კი სკოლაში დიდები ივლიან. ვინც თანახმაა, ხელი ასწიოს.

რამდენიმე დეპუტატს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უმრავლესობამ ხელი ასწია და ფელეკმა გამოაცდახა:

– სეიმმა კანონი მიიღო.

არც ერთ ითქმის, არც კალმით აიწერება, რა ამბავიც მათიუშის სახელმწიფოში დატრიალდა, როცა ხალხმა ბავშვთა სეიმის დადგენილება გაიგო.

– ეს რა ახალი წესები შემოიღეს! – ჯავრობდნენ ზოგნი. – ისაინი რატომ უნდა ბრძანებლობდნენ? ჩვენ ჩვენი სეიმი გვაქვს და შეგვიძლია არ დავეთანხმეთ. იმათმა სეიმმა ის დაადგინონ, რაც ბავშვებმა უნდა გააკეთონ. იმის უფლება არ აქვთ, რომ ჩვენ გვიბრძანონ, ესა და ეს გააკეთეთ!

– კარგი, ვთქვათ, რომ ჩვენ სკოლაში ვიარეთ, ვინდა იმუშავებს? – კითხულობდნენ ზოგნი.

– ვინა და, ბავშვებმა აკეთონ ყველაფერი, რაკი ასე უნდათ, მალე მიხვდებიან, რომ არც ისე ადვილია, როგორც ჰგონიათ.

– ვნახოთ, - ამბობდნენ ყველაზე დინჯები, – იქნება უკეთესიც არის. ბავშვები რომ დარწმუნდებიან, არაფერი იციან და უჩვენოდ არფერი შეუძლიათ, უფრო მეტ პატივს გვცემენ.

უმუშევრებს კი უხაროდათ, რომ ახალი კანონი გამოვიდა და სწავლაში ხელფასს აიღებენ. კარგია, რომ ყველაფერს ბავშვები გააკეთებენ, ჩვენ კი სკოლაში ვივლითო.

ბავშვებმა ძალიან დიდი მღელვარება გამოიარეს: ბიჭების უმრავლესობას მეხანძრეობა და მძღოლობა უნდოდა. გოგონები კი სათამაშოებისა და საკონდიტრო მაღაზიების გამყიდველობას ნატრობდნენ. ზოგი კი, როგორც საერთოდ ხდება, მთლად სისულელეს მოითხოვდა. ერთი ბიჭი ამბობდა, მე მინდა, ჯალათი ვიყო, მეორეს ინდიელობა სურდა, მესამეს სიგიჟე მოსწონდა.

– ყველა ხომ მეხანძრე და მძღოლი ვერ იქნება! – უხსნიდნენ ბავშვებს.

– მე რაღად მინდა ის, რაც სხვებს არ უნდათო.

ოჯახებშიც ერთი დავა და კამათი გაიმართა, როცა ბავშვებმა თავიანთი წიგნები და რვეულები მშობლებს გადააბარეს.

– წიგნები თქვენ გააფუჭეთ, რვეულები თქვენ დათხუპნეთ და ახლა ჩვენ უნდა გაგვიჯავროდნენ, ფეთხუმები ხართო, – ამბობდა დედა.

– ფანჯარი დაგიკარგავს, რითიღა დავხატო, მასწავლებელი გამიჯავრდება, – ამბობდა მამა.

– საუზმემ დაიგვიანა, ამწუთს დამიწერე, რომ საუზმის გამო ვიგვიანებ სკოლაში, – ამბობდა ბებო.

მასწავლებლები კი სიხარულით ცას სწვდებოდნენ, ცოტას მაინც დავისვენებთ, დიდები წყნარები არიანო.

– ბავშვებს უნდა დავანახოთ, როგორ უნდა სწავლა, – ამბობდნენ მასწავლებლები.

ზოგნი სიცილით იხოცებოდნენ ამ აბებზე, მხიარულობდნენ და ხარობდნენ, ახალი რაღაცა მოხდაო.

– სულ ერთია, მაინც დიდხანს არ გასტანს, – ამბობდა ყველა.

ძალიან უცნაური სანახავი იყო ქალაქი, როცა დიდები წიგნებით სკოლისაკენ მიიქაროდნენ. ბავშვები კი მათ მაგიერად კანტორებში, ფაბრიკებსა და მაღაზიებში გარბოდნენ. ზოგიერთები ძალიან დაღვრემილები იყვნენ და რცხვენოდნენ, ზოგნი კი არაფრადაც არ მიიჩნევდნენ.

– მერე რა მოხდა? ისევ ბავშვებად ვიქცეით. ვითომ რაო, ცუდია ბავშვობა?

ერთმანეთს ხვდებოდნენ თანაკლასელები, ერთ მერხზე მსხდარი ამხანაგები, და ისხსენებდნენ გარდასულ დროს, ძველ მასწავლებლებს, თავიანთ თამაშობებს და ცელქობას.

– გახსოვს, ლათინურის მასწავლებელი? – ეკითხებოდა ამხანაგს ფაბრიკის ინჟინერი.

– გახსოვს, ერთხელ მე და შენ რომ ვინხუბეთ? რაზე ვინხუბეთ?

– ჰო, გამახსენდა, ჯიბის დანა ვიყიდე და შენ მითხარი, ფოლადისა კი არა, რკინისააო.

– და კარცერში ჩაგვსხეს.

ერთი ექიმი და ერთი ვექილი ამისთანა ლაპარაკით ისე გაერთნენ, სულ გადაავიწყდათ, რომ პატარები აღარ იყვნენ, და ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ, თხრილში უბიძგებდნენ, გარბოდნენ, და გამორბოდნენ. ქუჩაში მიმავალმა მასწავლებელმა დატუქსა, ხალხი გიყურებთ, ქუჩაში წესიერად უნდა მოიქცეთო.

მაგრამ ზოგი ძალიან უკმაყოფილო იყო. ერთი რესტორნის პატრონი სქელ-სქელი ქალი წიგნებამოწრილი მიდიოდა სკოლაში. ისე იყო გააღმასებული, მტრისას! იუეცრად ვიღაც მექანიკოსმა იცნო.

– ერთი ამას უყურე, კრუხი მოდის! გახსოვს, როგორ გვატყუებდა ხოლმე: არაყში წყალს გვისხამდა, ქაშაყის ერთ ნაჭერს მთლიანად ქაშაყად გვითვლიდა. მოდი, ფეხი დაუდიოთ.. თუ ბავშვობაა, ბავშვობა იყოს. ხომ ასეა?

მექანიკოსმა ფეხი დაუღო. სქელი ქალი კინაღამ წაიქცა. რვეულები დაეფანტა...

– ხულიგნებო, – იყვირა სქელმა ქალმა.

– შემთხვევით მომიხდა.

– დამაცადეთ, თუ მასწავლებლებელს არ ეუთხრა!

დიდები რომ ამ ამბავში იყვნენ, ბავშვები დინჯად და დარბაისლურად დადიოდნენ. ცხრა საათზე ყველა კანტორა და მაღაზია ღია იყო.

სკოლაში კი დიდები ისხდნენ. მოხუცებმა ბოლო მერხზე მოიკალათეს, ღუმელთან ახლოს, იქნება გაკვეთილებზე ცოტა წავთვლიმოთო.

სხედან დიდები და კითხულობენ, წერენ, ანგარიშობენ. მასწავლებლებმა გამოსცადეს, გამოჰკითხეს, ბევრი რამე გადაავიწყდათ თუ ცოტაო. გაჯავრებით მხოლოდ ერთი-ორჯერ გაუჯავრდნენ, უყურადღებოდ სხედხართო. მაშ როგორ ისხდებოდნენ, ყველა იმას ფიქრობდა, ნეტავ ახლა შინ რა ხდებაო, ნეტავ ფაბრიკაში რა ამბავიაო; მაღაზიას რა დაემართაო, – ყველგან ხომ ბავშვები იყვნენ ბატონ-პატრონები!

დიდების ადგილას დარჩენილ გოგონებს უნდოდათ, კარგი დიასახლისობა გამოეჩინათ, და გადაწყვიტეს: პირველი თავი საჭმელი ისეთი გემრიელი უნდა გაგაკეთოთ, მსგავსი არასოდეს ეჭამოთო. თქმა ადვილი იყო, მაგრამ გაკეთებისა რა მოგახსენოთ! გოგონებმა ყველაფრის გაკეთება არ იცოდნენ.

– იცი რა, წვნიანის მაგივრად რომ მურაბა იყოს?

სანოვაგისთვის მაღაზიაში მიდიოდნენ.

– უჰ, რა ძვირია! არც ერთ მაღაზიაში ასე ძვირი არ ღირს!

– წავალ, სადმე სხვაგან ვიყიდი.

ზოგიერთები გამყიდველს ევაჭრებოდნენ, ვითომც, აი, რა იაფად ვყიდულობთო. გამყიდველები თავისას იკვეხნიდნენ, ბევრი ვივაჭრეთო. ისე რომ, ვაჭრობის საქმე კარგად მიდიოდა.

– თუ შეიძლება, ათი ფორთოხალი კიდევ მომეცით.

– ერთი გირვანქა ქიშმიშიც.

– შევიცარული ყველიც. ოღონდ, კარგი იყოს, თორემ უკან დაგიბრუნებთ.

– ჩემი ყველა საუკეთესო ხარისხისაა. ფორთოხალს კი თხელი კანი აქვს.

– ძალიან კარგი. რამდენი გადავიხადო?

გამყიდველმა ვითომ იანგარიშა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

- ფული რამდენი გაქვს?
- ასი.
- ძალიან ცოტაა, ამდენი რამე მოგეცი!
- მერე მოვიტან.
- კარგი.
- მოიტა რა, ხურდა მომეცი!
- ჩერჩეტო! ცოტას მაძლევ და ხურდასაც მოხოვ?!

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაღაზიებსა და დაწესებულებებში შემსვლელებს ძალიან უზრდელად ექცეოდნენ. ხშირად ისმოდა: 'სულელი! სტყუი, მოუსვი აქედან! ნუ იბღინძები! ერთი ამას დამიხედეთ, კიდევ რა გნებავს! მომწყდი თავიდან!

ძალიან ხშირად გაიგონებდით:

- მოიცა, ჯერ დედაჩემი მოვიდეს სკოლიდან!..

ან:

- დაიცა, მალე დამთავრდება გაკვეთილები და მამაჩემს ყველაფერს ვეტყვი!

ყველაზე მეტად უპატრონო ბავშვები იკლებდნენ ქაურობას: მაღაზიაში შერბოდნენ, საჭმელს ჭამდნენ და ფულის გადახდა არ უნდოდათ.

პოლიცია თითქოს ახლაც იყო: ქუჩების კუთხეებში ბიჭები იდგნენ, მაგრამ ჯერ კარგად არ იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ.

- საით გაიქცნენ?

- მე რა ვიცი!

- შენ თუ არ იცი, მე რით გიშველო!

- თუ პოლიციელი ხარ, თვალყურიც უნდა გეჭიროს!

- მართლა? შენ ერთი მაღაზია გაქვს და იმისთვის ვერ მოგივლია, მე ხუთი-ექვსი მაღაზია მაბარია და ყველას უნდა მივხედო.

- შტერი ხარ.

- ვიყო. თუ არ მოგწონვარ, ნუ დამიძახებ, მორჩა და გათავდა.

პოლიციელი გავიდა. ხმალი მიწაზე მისთრევედა.

- დამიწყო ამანაც ყოყონობო! ქურდი დაიჭირეო და არც კი იცის, საით გაიქცა. საზიზღარი სამსახური მაქვს. ბოძივით უნდა იყო დასობილი და ყველაფერს თვალი ადევნო. თითო ვაშლს რომ გვაძლევდნენ, კიდევ ჰო. აუცილებლად ვიტყვი, პოლიციელობა აღარ მინდა-მეთქი. მორჩა და გათავდა. თუ არ მომიწონებენ, ისევ სკოლაში დავბრუნდები.

და, აი, მშობლები სკოლიდან დაბრუნდნენ, შვილებმა კარი გაუღეს და პჯითხეს:

- აბა, დედიკო, გაკვეთილი გკითხა მასწავლებელმა?

- მამა, საკონტროლო დაწერე?

- ბებო, ვის გვერდთ ზიხარ?

- რომელ მერხზე ზიხარ?

ზოგიერთი ბავშვი კანტორიდან სკოლაში გაივლიდა ხოლმე, რომ მამა ან დედა შინ გაეცილებინა.

- აბა, რას აკეთებდი კანტორაში? – ეკითხებოდა მამა.

- არაფერს, მაგიდასთან ვიჯექი. მერე ცოტა ხანს ფანჯარაში ვიყურებოდი. ვიღაცას მიასვენებდნენ და იმას ვუყურებდი. მერე პაპიროსი მოვწიე, მაგრამ ძალიან მწარე იყო. მერე, იქ რაღაცა ქაღალდები ეწყო და ყველას ხელი მოვაწერე. მერე ვიღაც სამი კაცი მოვიდა. ვერ გავიგე, ფრანგულად ლაპარაკობდნენ, თუ ინგლისურად. მე ვუთხარი, არ მესმის-მეთქი. მერე ჩაი უნდა მოეტანათ, მაგრამ არ მომიტანეს. ავდექი და ცარიელი შაქარი შეეჭამე. მერე ტელეფონით ამხანაგებს ვურეკავდი, რომ გამეგო, როგორ იყვნენ, მაგრამ ეტყობა, ტელეფონის ნომრები ამერია, მარტო ერთმა მიპასუხა, ფოსტაში ვმუშაობ, ჩვენთან ძალიან ბევრი უცხოური მარკებიანო.

სკოლიდან, მოსულ ზოგ მშობელს ოჯახში კარგი სადილი დახვდა, მაგრამ ზოგ ოჯახში სადილი ან მიმწვარი იყო, ან ბავშვებს ცეცხლიც კი ვერ აენტოთ და რა სადილს გაამზადებდნენ. ისე, რომ მშობლებს სასწრაფოდ უნდა გაეკეთებინათ.

– უნდა ვიჩქაროთ, – ამბობდა დედა, – ხვალისთვის ქვეყნის გაკვეთილები გვაქვს. მასწავლებელმა თქვა, დიდებს ბევრი დავალება უნდა მოგცეთო. რა უსამართლობაა! სხვა სკოლებში ცოტას იძლევიან.

– კუთხეში ხომ არავინ დაუყენებიათ?

დედას ცოტა შერცხვა, მაგრამ მაინც თქვა, დააყენესო.

– რა დააშავა?

– მეოთხე მერხზე ორი მანდილოსანი იჯდა. ამბობენ, წინათ ერთმანეთს იცნობდნენო. არ ვიცი, აგარაკზე ერთად ისვენებდნენ თუ რაღაც ამის მსგავსი ყოფილა. მთელი გაკვეთილი ლაპარაკობდნენ. მასწავლებელმა ორჯერ დატუქსა, ისინი კი, ვითომც არაფერიაო, ისევ ქაქანებდნენ. მასწავლებელმა ორივენი კუთხეში დააყენა.

– იტირეს?

– ერთი ისევ იცინოდა, მეორეს კი თვალები ცრემლებით ჰქონდა საგსე.

– ბიჭები არ გაწვალებენ?

– ისე, ცოტათი.

– როგორც ჩვენს დროს იყო. – უხაროდათ ბავშვებს.

მათიუში თავის კაბინეტში იჯდა და გახეთში კითხულობდა, როგორ გაიარა ამ პირველმა დღემ, ყველაფერი დაწვრილებით იყო აღწერილი: ქალაქში ერთ ვერაფერი დიდი წვესრიგიაო. ტელეფონები ცუდად მუშაობს, ფოსტაში წერილები ისე არ აწყვია, როგორც საჭიროაო. გუშინ ერთი მატარებელი რელსებიდან გადავარდა, მაგრამ კაციშვილმა არ იცის, რამდენი დაშავდა, ტელეგრაფი მოშლილიაო. რას ეზამთ, ბავშვები საქმეს ჯერ ვერ მიეჩვივნენ. ყველა რეფორმა ასეთია, დიდი დრო სჭირდება. არასოდეს არც ერთი რეფორმა ისე არ ჩატარებულა, რომ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები არ გამოეწვიოსო.

კომისია კი ისევ თავს იმტვრევდა, როგორი კანონი შევადგინოთ, რომ მასწავლებლებიც, ბავშვებიც და მათი მშობლებიც კმაყოფილები იყვნენო.

ერთხელ მათიუშთან გაბადრულ-გაბრწყინებული კლუ-კლუ შევარდა და ხტუნვა-ხტუნვით მიახარა:

– ახალი ამბავია! აბა, გამოიცანი!

– რა მოხდა? – ჰკითხა მათიუშმა.

– ხუთასი შავი ბავშვი ჩამოვიდა.

მათიუშს აღარც ახსოვს, ერთხელ ბუმ-დრუმს დეპეშა რომ გაუგზავნა, ორნმოდდაათი ბავშვი ჩამოიყვანეთ, ჩემს სკოლაში ვასწავლიო. ვიდრე დეპეშა ბუმ-დრუმთან მივიდოდა, თუთიყუშმა თუ სხვა ვიდაცამ კიდევ ერთი ნული ჩააკაკუნა შიგ და ისე გამოვიდა, თითქოს მათიუში ორმოდდაათ ბავშვს კი არა, ხუთასს ეპატიჟებოდა,

მათიუში გაოგნებული დარჩა, სამაგიეროდ კლუ-კლუ ბედნიერებისაგან ფეხზე აღარ იდგა.

– უფრო კარგია, რომ ხუთასი ჩამოვიდა! ბევრი ბავშვი რომ ისწავლის, მთელ აფრიკას მოუვლიან და მოაწესრიგებენ.

კლუ-კლუ დიდი ხალისით მოეკიდა საქმეს. ხუთასივე ბავშვი ბაღში შეიყვანა. ვისაც იცნობდა და ვისი იმედიც ჰქონდა, ასმეთაურად დანიშნა. ასმეთაურებმა თავის ასეულებში ათ-ათი ათმეთაური გამოუყვეს. ათმეთაურებს სახაფხულო სასახლეში თითო ოთახი მისცეს, ასმეთაურები კი მათიუშის ზამთრის სასახლეში დააბინავეს. კლუ-კლუმ ასმეთაურებს დაწვრილებით აუხსნა,

ევროპაში როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რის გაკეთება შეიძლებოდა და რისა არა. ასმეთაურებმა მაშინვე ყველაფერი ათმეთაურებს გააგებინეს, ათმეთაურებმა თავიანთ ათეულებს გადასცეს.

- სწავლითაც ასე ისწავლიან.
- ძილით სადღა დაიძინებენ?
- ჯერჯერობით იატაკზე.
- ჭამით ვინდა აჭმევთ, მზარეულები სკოლაში დადიან.
- ჯეჯერობით უმ ხორცს მიირთმევენ, იმათთვის სულ ერთია.

კლუ-კლუს დროს დაკარგვა არ უყვარდა, იმავე დღეს, ნასადილევს, პირველი გაკეთილი ჩაატარა. თავის მოსწავლეებს ყველაფერი ისე კარგად, ისე გასაგებად აუხსნა, ოთხი საათის შემდეგ ასმეთაურებმა ცოტა რაღაც უკვე იცოდნენ და ათმეთაურებს ამეცადინებდნენ.

ესენი რომ ამ მეცადინეობაში იყვნენ, სასახლეში ცხენოსანი შიკრიკი შევარდა და ამბავი მოიტანა, ზოოლოგიურ პარკში მგლებისთვის გალიის კარი გაუღიათ, მგლები გაქცეულან და ქალაქის მოსახლეობა ისეა დამფრთხალი, ქუჩაში ვეღარ გამოსულანო.

- ჩემი ცხენიც კი აღვილიდან ფეცს არ იცვლიდა, ვიდრე რკინის მათრახი არ გადავუჭირე.

- რატომ გამოუშვეს მგლები, რა უნდოდათ!
- ბავშვები დამნაშავენი არ არიან, - ამბობდა შიკრიკი, - დარაჯებვი სკოლაში ისე წავიდნენ, იმათი შემცვლელი ბავშვებისთვის არ უთქვამთ, რომ კარი მექანიკურად იღებოდა. ბავშვებმა არ იცოდნენ და გააღეს.

- რამდენი მგელი იყო?
- თორმეტი. ყველაზე საშიში ერთია. აზრზე არ ვარ, როგორ უნდა დავიჭიროთ.

- სად არიან!
- ვინ იცის, სად არიან. გაიქცნენ. ხალხი ამბობს, ქალაქში ვნახეთ, ქუჩებში დარბოდნენო. მაგრამ იმათ არ დაეჯერებათ. ისე არიან დაფეთებულები, ძალიან მგლად ეჩვენებათ. მთელ ქალაქში ხმა დაყარეს, ზოოპარკიდან ყველა მხეცი გაიქცაო. ერთი დედაკაცი იფიცებოდა, ჩემი თვალით დავნახე, რომ ვეფხვი, ჰიპოპოტამი და ორი სათვალისანი გველი მომდევდაო.

კლუ-კლუმ ეს ამბავი რომ გაიგო, მაშინვე იკითხა, მგლები რანაირი ცხოველები არიან, აფრიკაში არ იცის, არ მინახავსო.

- ვიდრე თავს დაესხმებიან, დაიდრიალებენ ხოლმე?
- ნახტომს აკეთებენ ხოლმე?
- იკბინებიან თუ ბრჭყალებით იბრძვიან? საკბილოს ყოველთვის ეტანებიან თუ მხოლოდ მაშინ, როცა მშივრები არიან?
- გამბედავები არიან თუ მშიშრები?
- სმენა, ყნოსვა და მხედველობა როგორი აქვთ?

მათიუშს ცოტა არ იყოს, შერცხვა, რომ ასე ცოტა რამე იცოდა, მაგრამ რაც იცოდა, ის კი უთხრა.

- მე მგონი, ბაღშივე დაიმალებოდნენ, - თქვა კლუ-კლუმ. - მე და ასმეთაურები წავალთ და ხელად ვოპოვით. აფსუს, რატომ ლომები და ვეფხვებიც არ გაიქცნენ, უფრო კარგი ნადირობა გამოგვივიდოდა!

მათიუში, კლუ-კლუ და ათი ზანგი ზოოპარკისაკენ გაემშურნენ. ხალხი ფანჯრებს მიაწყდა. ქუჩაში სულიერის ჭაჭანება არ იყო. მაღაზიები დაეკეტათ. ქალაქი უკაცრიელს დაემსგავსებოდა. მათიუშს სირცხვილის აღმურმა აჰკრა, თეთრკანიანები რა მხდალები არიანო.

ზოოპარკში რომ შევიდნენ, მოჰყვნენ ქვაბების რახუნს, ჩაჰბერეს სტვირებს და ისეთი ხმაური ატეხეს, გვეგონებოდათ, დიდი ლაშქარი მოდისო.

გარშემო გაუვალი ბუჩქნარი და დაბურული ტყე იყო.

– შეჩერდით! – იყვირა კლუ-კლუმ. – მშვილდი მოზიდეთ! ბუჩქებში რაღაც ფაჩუნობს.

კლუ-კლუ წინ გავარდა. ხეზე აცოცება ძლივს მოასწრო, რომ ერთი ვეება მგელი ეძგერა ხეს, კლანჭებით ჩამოდადრა და ყმუილი გააბა.

– ეს იმათი წინამძღოლია! – ჩამოსძახა კლუ-კლუმ ამხანაგებს. – ახლა შეგიძლიათ, ის დანარჩენები გალიაში შეყაროთ. ბუჩქებს შემოუარეთ და იქიდან დააფრთხეთ!

ასეც მოიქცნენ. დაფეთებული მგლები დაოთხილები გაიქცნენ. ზანგები მისდევდნენ და პატარ-პატარა ისრებს სტყორცნიდნენ. მელოლები გამწარებულები უბაგუნებდნენ დოღს. ერთი მარჯვნივ მიჰყვებოდა, მეორე მარცხნივ. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ თერთმეტი მგელი უკვე გალიაში იჯდა.

გალიის კარი მაშინვე ჩაკეტეს. მეთორმეტე მგელმე რომ დაინახა, მარტოკა დაერჩიო, მოცოცხა და სადღაც მიიმალა.

კლუ-კლუ ხიდან ჩამოსტა.

– ჩქარა, ბალიდან არ გაგვექცეს!

მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო, მგელი გაგიჟებული გავარდა ქალაქში. ხალხმა ახლა კი ნამდვილად დაინახა, რომ მგელი ქუჩაში გარბოდა, უკან კი კლუ-კლუ და ათი ზანგი მისდევდა. ყველაზე ბოლოს მათიუში მიჩანჩალებდა. აბა, სად შეეძლო, ველურების მხარდამხარ ერბინა! ოფლში გახვითქული და გაწამებული ფეხებს ძლივსღა მიათრევდა. ერთმა გულჩვილმა დედაბერმა თავისი სახლში შეპატიჟა და რძე და ფუნთუშა მიაართვა.

– მიირთვი, მათიუში მეფევე, – უთხრა დედაბერმა. – შენ კარგი მეფე ხარ. ოთხმოცი წლისა ვარ და ბევრ მეფეს მოვსწრებივარ. შენზე უკეთესებიც იყვნენ, შენზე უარესებიც, მაგრამ შენისთანა კი არცერთი არ ყოფილა. შენ ჩემისთანა ბებრებზედაც კი იზრუნე და სკოლაში გვატარებ, თანაც სწავლაში ხელფასს გვაძლევ. ჩემი ვაჟი სადღაც შორეულ ქვეყანაში ცხოვრობს. ყოველ ექვს თვეში ერთ წერილს მიგზავნის. მე ამ წერილებს ვერ ვკითხულობ და ვინახავ. მაშ რა ვქნა, არ მინდა, სხვამ წაიკითხოს, იქნებ რა საიდუმლოს მწერს! იმათ კი შეიძლება მომატყუონ და სხვა რამე მითხრან. ახლა მე თვითონ წავიკითხავ და გავიგებ, რა სჭირს, როგორ არის. მასწავლებელმა მითხრა, თუ იბეჯითებ, ორ თვეში შენ თვითონ მისწერო. ოჰ, როგორ გაიხარებს ჩემი ბიჭი!

მათიუშმა რძე დალია, დედაბერს ხელზე ეამბორა, მაღლი მოახსენა და წავიდა.

ამასობაში მგელი არხში ჩამსტარიყო და იქ მიმალულიყო. კლუ-კლუმ თქვა, მეც უნდა შევეყვო.

– რაო? არ გაგიშვებ! – უყვირა მათიუშმა, – მიწისქვეშა არხია და უკუნეთი ხიბნელე დგას. შიგ გამოიხრჩობი. ან არადა, მგელი დაგფლეთს.

მაგრამ კლუ-კლუ გაჯიქდა, კბილებში სანადირო დანა დაიჭირა და არხში ჩახტა. ზანგენი რომ ზანგები იყვნენ, იმათაც კი შიშის ზარი დაეცა, ბნელში ნადირთან შეტაკება ძალიან სახიფათოაო.

მათიუში ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე უცბად გაახსენდა, რომ ჯიბის ფარანი ჰქონდა წამოდებული. არც კი დაფიქრებულა, ისკუპა და პირდაპირ არხში გადაეშვა. არხის მიღი ძალიან ვიწრო იყო. ნეტავ საით არიან? სინათლეზე მიწისქვეშა თალი გაარჩია. ქვემოთ კანალიზაციის ჭუჭყიანი, ბინძური წყალი მიდიოდა. იქაურობა ისე ყარდა, კაცს სული შეეხულებოდა.

– კლუ-კლუ! – დაიძახა მათიუშმა და ექო ყველა მხრიდან გამოეპასუხა. კანალიზაციის მიღები ყველა მხარეს მიდიოდა, მათიუშმა ვერ გაიგო, კლუ-კლუ გამოეპასუხა თუ არა. ფარანს ერთი წამით აანთებდა და ისევ აქრობდა, ვაითუ დიდხანს არ მეყოსო. უცბად ერთ გასასვლელში ხმაური შემოესმა.

მუხლამდე წყალში მდგარმა მათიუშმა ფარანი აანთო და დაინახა ორივე, კლუ-კლუცა და მგელიც. კლუ-კლუმ მგელს ყელში ჩასცა დანა. მგელი ხელზე დასწვდა კბილებით. კლუ-კლუმ დანა მეორე ხელში გადაიტანა. მგელმა კბილები გაუშვა, თავი დაღუნა და ის იყო, ახლა მუცელში უნდა დასტაკებოდა, რომ მათიუში მგელს ეცა, ფარანი თითქმის თვალში ატაკა. მგელს სინათლემ თვალი ისე მოსჭრა, ბალანი აეჯაგრა. მათიუშს მეორე ხელში რევოლვერი ეჭირა. ვიდრე მგელი გონს მოვიდოდა, ტყვია შიგ თვალში დაახალა.

კლუ-კლუს გული შეუწუხდა. მათიუშმა სტაცა ხელი და გასასვლელისკენ გაათრია. მიათრევედა და ეშინოდა, ვაითუ ღონე არ მეყოს, ვაითუ კლუ-კლუ ამ სიბინძურეში ჩაიხრჩოსო. თვითონაც ფეხზე ძლივს იდგა. ვინ იცის, იქნება მართლა ცუდი ამბავიც დატრიალებულიყო. მაგრამ ზანგი ბავშვები გულხელდაკრეფილები არ მდგარან. კლუ-კლუმ არკი მისცა ნება, არსში ჩაჰყოლოდნენ, მაგრამ უქმად როდემდე იდგებოდნენ? ჩახტნენ არსში და ფარნის შუქი რომ დაინახეს, მაშინვე იქით გაეშურნენ. ჯერ კლუ-კლუ ამოიყვანეს მალა, მერე მათიუში და ბოლოს – მოკლული მგელი.

მათიუშ, ეს რა ჩაგიდენია, ეს რა გიქნია, – ეუბნებოდა მათიუშს სევდიანი მეფე. – გონს მოდი, მათიუშ, დიდი ხიფათი მოგელის. შეიძლება დაიღუპო. იმისთვის ჩამოვედი, რომ გაგაფრთხილო, მაგრამ, მგონი, დავიგვიანე. ერთი კვირით ადრეც ჩამოვიდოდი, მაგრამ რაც შემამანქანებდად ბავშვებმა დაიწყეს მუშაობა, თქვენი რკინიგზები აღარაფრად ვარგა. იძულებული გავხდი, საზღვრიდან ფორნით ვიმგზავრე: შენს სოფლებს და ქალაქებზე გამოვიარე, ხალხი ვნახე, მოგუსმინე, რას ამბობდნენ შენზე. მათიუშ, დამიჯერე, ძალიან ცუდად გაქვს საქმე.

სევდიანი მეფე თავისი სახელმწიფოდან ფარულად წამოსულიყო, რომ მათიუშისთვის როგორმე ეშველა.

– რა მოხდა, რა ამბავია, – ჰკითხა აღელვებულმა მათიუშმა.

– ბევრი ცუდი რამე მოხდა, მაგრამ შენ გიმალავენ, გატყუებენ და არაფერი არ იცი.

– მე ყველაფერი ვიცი, – იწყინა მათიუშმა, – ყოველდღე ვკითხულობ გაზეთს. ბავშვები თანდათან ეჩვევიან საქმეს, კომისია მუშაობს. არც ერთი რეფორმა ცხოვრებაში ისე არ გატარებულა, ძვრები არ გამოეწვიოს. მე ვიცი, რომ ჯერ ყველაფერი მოწესრიგებული არ არის.

– მათიუშ, შენ მხოლოდ ერთ გაზეთს კითხულობ, შენს გაზეთს. იმაში სულ ტყუილებს წერენ, აბა, სხვები წაიკითხე!

და სევდიანმა მეფემ საწერ მაგიდაზე მოზრდილი შეკერა დაუდო.

მათიუში დინჯად შლიდა გაზეთებს და მხოლოდ დიდი ასოებით დაწერილ სათაურებს კითხულობდა. ბევრიც რომ არ წაეკითხა, მაინც გაიგებდა, შიგ რა ეწერა. მათიუშს თვალი დაუბნელდა.

“მათიუშ მეფე ჭკუაზე შეირყა“.

“მეფე ცოლად ირთავს აფრიკელ მაიმუნს“.

“შავი ეშმაკების მეფობა“.

“მინისტრი ქურდია. საპატიმროდან ჯაშუშის გაქცევა“.

“გაზეთების გამყიდველი ფელეკი ბარონი გახდა“.

“ორი ციხესიმაგრის აფეთქება“.

“მათიუშს არც ზარბაზნები აქვს, არც ტყვია-წამალი“.

“ომის წინააღმდეგ“.

“მინისტრები განძეულობას ეზიდებიან“,

“ძირს ტირანი მეფე!“

– ეს ხომ სიცრუეა! – იყვირა გულმოსულმა. – მხოლოდ და მხოლოდ მონაწილე! რომელი შავი ეშმაკის მეფობაზე წერენ? ზანგი ბავშვები რომ ჩამოვიდნენ სასწავლებლად? რას აშავებენ! პირიქით, ზოგჯერ გვეხმარებიან კიდევ! გალიიდან მგლები რომ გაიქცნენ, ზანგებმა სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდეს და მგლებს გამოეკიდნენ, იმათ შეყრას გალიაში, საკვამურები გასაწმენდი რომ იყო, წამსდაუწუმ ხანძარი ჩნდებოდა და თეთრი ბავშვები კი მაინც არ წმენდნენ, ისევ ზანგმა ბიჭებმა ჩამოწმინდეს. არც ზარბაზნებსა და ტყვია-წამალზე წერენ სიმართლეს, ერთიც გვაქვს და მეორეც. მე ვიცი, რომ ფელეკი გაზეთების გამყიდველი იყო, მაგრამ არასოდეს ქურდი არ ყოფილა და არც მე გახლავართ ტირანი მეფე.

– მათიუმ, ნუ ბრაზობ, ამით ვერაფერს უშველი. მე გეუბნები, ძალიან ცუდად ვაქვს საქმე. თუ გინდა, ქალაქში გავიდეთ და შენი თვალით ნახე ყველაფერი.

მათიუშმა უბრალო ბიჭივით ჩაიცვა. სვედიან მეფესაც უბრალოდ ეცვა. ორივენი ქალაქში გავიდნენ.

გზად ყაზარმასთან გაიარეს, მათიუმს გაახსენდა, დამე სასახლიდან რომ გამოიპარა ომში წასასვლელად და ფელეკმა ამ ყაზარმის გვერდით ჩაატარა. ო, რა ბედნიერი იყო მაშინ! რა ბავშვი იყო, არაფერი გაეგებოდა ქვეყნიერებაზე. ახლა კი ყველაფერი იცის და აღარაფერს ელოდება.

ყაზარმასთან ხანშიშესული ჯარისკაცი იდგა და ჩიბუხს აბოლებდა.

– რა ამბავია თქვენთან, ჯარში რა ხდება?

– არაფერი, რა უნდა მოხდეს, ბავშვები პარკაშობენ. მთელი ყუმბარები სალუტებზე დახარჯეს, ზარბაზნები გააოხრეს, სადღაა ჯარი და ლაშქარი!

და ჯარისკაცი ატირდა.

შემდეგ გაბრიკასთან მივიდნენ. აქაც ერთი მუშა იჯდა, მუხლზე წიგნი გადაეშალა და მეორე დღისთვის ლექსს იხეპირებდა.

– რა ამბავია თქვენს ფაბრიკაში?

– შედით და თქვენი თვალთ ნახეთ. ახლა ყველას შეუძლია შესვლა.

შევიდნენ. კანტორაში ქაღალდები აქეთ-იქით იყო მიმოფანტული, მთავარი ქვაბი გახეთქილიყო, მანქანები გაჩერებული იდგა. საამქროში რამდენიმე ბიჭი ტრიალებდა.

– აქ რას აკეთებთ, ბიჭებო!

– რა ვიცი, ხუთასი ბავშვი გამოგვზავნეს სამუშაოდ, ჩვენდა დავრჩით. დანარჩენებმა თქვეს, სულელები ხომ არ ვგონივართო და მოუსვენს საცუდლუტოდ. ოცდაათნიდა ვართ. არაფერი არ ვიცი, რა უნდა გავაკეთოთ, ყველაფერი გაფუჭებულია. ცოტას მოვგვით, მოვასუფთავებთ აქაურობას და მეტი არაფერი. ჩვენი მშობლები სკოლაში დადიან, შინ მოგვეწყინება ხოლმე. ესეც არ იყოს, უხერხულია, ხელფასი აიღო, როცა კაცი არაფერს აკეთებ.

ისევ ქუჩაში გავიდნენ.

მაღაზიების უმრავლესობა დაკეთილი დახვდათ, თუმცა კი ყველამ იცოდა, რომ მგლები უკვე გალიაში ისხდნენ.

ერთ მაღაზიაში შევიდნენ. გამყიდველად ლამაზ-ლამაზი გოგონა იდგა.

– მშვენიერო ქალიშვილო, მაღაზიები რატომ არის დაკეტილი?

– იმიტომ, რომ ყველაფერი დაიპარეს. არც პოლიციაა, არც ჯარი. ქუჩებში ხულიგნები დაძრწიან და ყველაფერს იპარავენ. ვისაც რა ჰქონდა, შინ წაიღო და შეინახა.

იქიდან სადგურში შეუხვიეს. რელსებზე დამსხვრეული მატარებელი იდგა.

– რა მოხდა?

– მეისრე ბურთის სათამაშოდ გაიქცა, სადგურის უფროსი სათევზაოდ წავიდა, მემანქანემ არ იცოდა, სად უნდა დაემუხრუჭებინა მატარებელი, და, აი, რა მოხდა, ასი კაცი დაიღუპა.

მათიუშმა ტუნზე იკბინა, რომ არ ატირებულყო.

სადგურის ახლოს საავადმყოფო იყო. აქაც ბავშვები იყვნენ და თითქოს უვლიდნენ ავადმყოფებს. ექიმებიც ხანდახან ერთი საათით შემოირბენდნენ ხოლმე, თუ მეორე დღისთვის ცოტა გაკვეთილი ჰქონდათ სასწავლებელი. მაგრამ ამ საქმეს არ შეელოდა. ავადმყოფები კენესოდნენ, უწამლოდ იხოცებოდნენ, ბავშვებს კი ეშინოდათ, არ იცოდნენ, რა ექნათ, იდგნენ და ტიროდნენ.

– რას იტყვი, მათიუშ, არ დავბრუნდეთ სასახლეში?

– არა. ჩემს გაზეთში უნდა მივიდე და ჟურნალისტი ვნახო, – მშვიდად მიუგო მათიუშმა, თუმცა კი ეტყობოდა, რომ ბოლმით იყო სავსე.

– მე ვერ გამოგყვები, მათიუშ, – უთხრა სევდიანმა მეფემ. – ვაითუ მიცნონ!

– მალე დავბრუნდები, – თქვა მათიუშმა და რედაქციისაკენ გაეშურა.

სევდიანმა მეფემ თვალი გააყოლა, თავი გადააქნია და სასახლეში დაბრუნდა. მათიუში კი არ მიდიოდა, მირბოდა. მუშტები მოეკუმშა და გრძობდა, თანდათან როგორ უფიცხდებოდა ძარღვებში ჰაინრის უსწრაფესის სისხლი.

– დამაცადე, შე ავაზაკო, მატყუარავ, ცრუპენტელავ! მე შენ გიჩვენებ სიერს!

მათიუში ჟურნალისტის ოთახში შევარდა. საწერ მაგიდასთან ჟურნალისტი იჯდა, დივანზე ფელეკი გაშხლართულიყო და სიგარას აბოლებდა.

– აა, შენც აქა ხარ! – არ კი თქვა, იყვირა მათიუშმა. – მით უკეთესი, ორივეს ერთად მოგელაპარაკებით. ეს რა გიქნიათ, ეს რა ჩაგიდენიათ?!

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, ინებეთ და დაბრძანდით, – თავისი დაბალი, დაშაქრული ხმით შესთავაზა ჟურნალისტმა.

მათიუში შეკრთა, ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ჟურნალისტი ვიღაცის ჟაშუშად მუშაობდა. რამდენი ხანია, მათიუშს გული უგრძობოდა, მაგრამ ახლა ყველაფერს მიხვდა.

– ესეც შენ, ჯაშუშო! – იყვირა მათიუშმა და თავისი განუყრელი რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ ჯაშუშმა ელვის სისწრაფით ხელში ხელი სტაცა. ტყვია ჭერს მოხვდა.

– რევოლვერი ბავშვების საქმე არ არის, – ღიმილით უთხრა ჟურნალისტმა და ხელი ისე მაგრად მოუჭირა, კინაღამ ხორცი შემოაგლიჯა. მათიუშს რევოლვერი ხელიდან გაუვარდა. ჟურნალისტმა აიღო, საწერი მაგიდის უჯრაში ჩადო და დაკეტა.

– ახლა მშვიდად მოვილაპარაკოთ. მაშ, ასე. რით განვარისხე თქვენი მეფური უდიდებულესობა? იქნება იმით, რომ ჩემს გაზეთში ვიცავდი? ან იქნებ იმით, რომ ვამშვიდებდი და ყველაფერს ვუხსნიდი? თუ იმით, რომ კლუ-კლუს ვაქებდი? ამიტომ მეძახის თქვენი მეფური უდიდებულესობა ჯაშუშს? ამიტომ სურდა თქვენს მეფურ უდიდებულესობას ჩემი დახვრეტა?

– ეს სულელური სასკოლო კანონი რაღაა?

– მე რა შუაში ვარ? ბავშვებმა ხმის უმრავლესობით დაადგინეს.

– გაზეთში რატომ არ დაწერეთ, რომ ჩვენი ციხესიმაგრეები ააფეთქეს?

– ეს ამბავი სამხედრო მინისტრს უნდა მოეხსენებინა. ასეთი რამე ხალხმა არ უნდა იცოდეს, ეს სამხედრო საიდუმლოებაა.

– საზღვარგარეთის მეფის ტყეში მომხდარი ხანძრის ამბავს ისე თავგამოდებით რატომ კითხულობდით?

– ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა იკითხოს, რომ გაზეთისთვის ცნობები შეარჩიოს. თქვენი უდიდებულესობა ჩემს გაზეთს ყოველდღიურად კითხულობდა. რას გვიბრძანებთ, ცუდად ვწერდით?

– ო, პირიქით, ძალიან კარგად, მეტისმეტად კარგადაც კი, – მწარედ ჩაიციხა მათიუშმა.

ჟურნალისტმა თვალეში შეხედა მათიუშს და ჰკითხა:

– ნუთუ თქვენი უდიდებულესობა კიდევ მიწოდებს ჯაშუშს?

– მე გიწოდებ! – იყვირა ფელეკმა და დივანიდან წამოხტა.

ჟურნალისტი გაფითრდა, ფელეკს შეხედა, ფელეკმა გაცოფებულმა შეხედა და, ვიდრე ბიჭები გონს მოვიდოდნენ, უკვე კარებში იდგა.

– ცინგლიანებო, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, – დაიძახა და კიბეებზე სწრაფად ჩაირბინა.

სადარბაზო შესასვლელთან მოულოდნელად მანქანა გაჩერდა. ჟურნალისტმა მძღოლს რაღაც უთხრა.

– დაიჭირეთ, არ გაუშვათ! – ყვიროდა ფელეკი ღია ფანჯრიდან.

მაგრამ უკვე გვიან იყო, მანქანა ქუჩის მოსახვევში მიიმაღა. ესეც რომ არ ყოფილიყო, ვინ დაიჭერდა? ფანჯარასთან რამდენიმე უსაქმურს მოეწყარა თავი, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა.

მათიუშმ თავზარი დასცა ამ ამბავმა და გახვევებული იდგა. ფელეკი ტირილით ჩაუვარდა ფეხებში.

– მეფევე, მომკალი! ყველაფერი ჩემი ბრალია! – ბლაოდა ფელეკი, – ვაი, რა უბედური ვარ! ეს რა ჩავიდინე!

– მოიცა, ფელეკ, ყველაფერზე მერე ვილაპარაკოთ დინჯად და წყნარად. რაც წახდა, იმას აღარა ეშველება რა. ჭირში მშვიდი და თავდატყერილი უნდა იყო. რაც მოხდა,, იმას თან ნულარ გადაჰყვები. უნდა იფიქრო იმაზე, რაც მოსახდენია, რაც გასაკეთებელია.

ფელეკს გულით სურდა, მაშინვე ყველაფერი მოეყოლა, მაგრამ მათიუშს არც ერთი წუთის დაკარგვა არ უნდოდა.

– ფელეკ, ყური მიგდე. ტელეფონები გაფუჭებულია. მე მხოლოდ შენდა დამჩნი. ხომ იცი, სად ცხოვრობენ მინისტრები?

– ეგ თუ არ ვიცი, მაშ, სხვა რაღა მეცოდინება. სხვადასხვა ქუჩაზე ცხოვრობენ. მაგარი ფეხები მაქვს, ნუ გეშინია, ორი წელიწადი გახეთებს ვყიდდი. გინდა, მინისტრები სასახლეში მოვიყვანო?

– სასწრაფოდ.

მათიუშმა საათზე დაიხედა.

-- რა დრო დაგჭირდება?

– ნახევარი საათი.

– კარგი. ორ საათში სეფედარბაზში უნდა დამხვდნენ. გააფრთხილე, ვინცობაა, ვინმემ თავი მოიავადმყოფა, ახსოვდეს, ჰაინროს უსწრაფესის შთამომავალი ვარ.

– მოვლენ! მე ვიცი, რასაც ვეტყვი! – დაჰპირდა ფელეკი.

– მერე ფეხსაცმელი გაიხადა, ორდენჩამოკიდებული ელევენტური პიჯაკიც გაიძრო. მაგიდაზე ტუშის ბოთლი იდგა, ფელეკმა აიღო, შარვალი, ხელები და პირისახე ტუშით მოითხუპნა და ფეხშიშველი გაიქცა მინისტრების მოსაწვევად.

მათიუში კი სასხლისაკენ გაემურა, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომის წინ ერთხელ კიდევ ესაუბრა სევედიან მეფესთან.

– სად ბრძანდება ის უცხო ბატონი, დილას რომ მესაუბრებოდა? – სულმოუთქმელად ჰკითხა კლუ-კლუს, როგორც კი გოგონამ კარები გაუღო.

– უცხო ბატონი წაბრძანდა, მაგიდაზე წერილი დაგიტოვა.

დაბოლმილი მათიუში ოთახში შევარდა, წერილს ხელი სტაცა და წაიკითხა:

“ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო მათიუშ! მოხდა სწორედ ის, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა. მე უსათუოდ უნდა წავიდე. ძვირფასო მათიუშ, რომ არ გიცნობდე, როგორი ხარ, შემოგთავაზებდი, ჩემთან წამოდი-მეთქი. მაგრამ ვიცი, რომ შენ ამას არ იზამ. იცოდე, ჩრდილოეთის გზით მივდივარ. თუ მოინდომებ, ცხენით ორ საათში დამეწევი. სამიკიტნოში დაგელოდები. თუ ერთმანეთს ვეღარ შევხვდით, სულ გახსოვდეს, რომ შენი მეგობარი ვარ. მენდობოდე და გჯეროდეს ჩემი მაშინაც კი, როცა მოგეჩვენება, რომ მე შენ

გილალატე. რაც უნდა ჩავიდინო, იცოდე ყველაფერს შენს სასიკეთოდ ჩავიდენ. მხოლოდ ერთ რამეს გემუდარები: ეს ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩეს, არავინ, არც ერთმა სულიერმა არ უნდა გაიგოს. წერილი წაკითხვისთანავე დაწვი. ძალიან მებრალები, ჩემო საყვარელო ბავშვო, ჩემო საბრალო უთვისტომო ობოლო. ნეტავ შემეძლოს, დაგიფარო ამ უბედურებისგან, რაც შენ მოგელის. ნეტავ შემეძლოს, ნაწილი მაინც აგარიდო იმ სიმწარისა, რაც შენ მოგელის. იფიქრე, მათიუშ, იქნება ჩემთან წამოსვლა ჯობდეს. წერილი აუცილებლად დაწვი“.

მათიუშმა წაიკითხა, მაშინვე სანთელი აანთო და წერილი ალზე დაიჭირა. ქაღალდი აბრიალდა, დაიგრიხა და გაშავდა. მათიუშს ცეცხლზე თითები ეწვოდა, მაგრამ არაფრად აგდებდა.

‘თითები კი არა, სული უფრო მტკივა, სული“, – ეს ფიქრი უტრიალებდა თავში.

კედელზე დედ-მამის სურათები ეკიდა.

მათიუშმა შეხედა და გაახსენდა:

‘საბრალო უთვისტომო ობოლი“.

მხოლოდ ღრმად ამოიოხრა, ტირილით არ უტირია. ტირილი ახლა არ შეიძლებოდა, თავზე გვირგვინი უნდა დაედგა და თვალები დაწითლებული არ უნდა ჰქონოდა.

ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა კლუ-კლუ. მათიუშ არავისი ნახვა არ უნდოდა, არც კლუ-კლუს შემოსვლა გახარებია, მაგრამ გოგონა ისე მორჩილად იდგა, მათიუშს გული მოუღება და ნაზად ჰკითხა:

– რა იყო, კლუ-კლუ, გინდა რამე?

– თეთრ მეფეს რაღაც აწუხებს და კლუ-კლუს უმაღლავს. თეთრი მეფე თავის საიდუმლოს არ ანდობს შავ ველურ კლუ-კლუს. მაგრამ კლუ-კლუმ ყველაფერი იცის და თეთრ მეფეს გასაჭირში არ მიატოვებს.

კლუ-კლუმ ხელები მაღლა ასწია და ეს ფიცი ისე წარმოთქვა.

ბუმ-დრუმმაც სწორედ ასე შეჰფიცა მაშინ მათიუშს.

– შენ რა უნდა იცოდე, კლუ-კლუ? – ჰკითხა გულაჩუყებულმა მათიუშმა.

– თეთრ მეფეებს მათიუშის ოქრო შეშურდათ. თეთრ მეფეებს სურთ, მათიუში დაამარცხონ და მოკლან. სევდიან მეფეს მათიუში ებრალება. მაგრამ არაფერი შეუძლია, სუსტია და ძლიერი მეფეებისა ეშინია.

– გაჩუმდი კლუ-კლუ!

– კლუ-კლუ ჩუმად იქნება, როგორც სამარე, მაგრამ კლუ-კლუმ სევდიანი მეფე იცნო. მათიუშს ეს დაფერფლილი წერილი უფრო გასცემს, ვიდრე კლუ-კლუ.

– გაჩუმდი, კლუ-კლუ, აღარაფერი თქვა! – უთხრა მათიუშმა, წერილის ფერფლი იატაკზე დაყარა და და ფეხით გასრისა.

– კლუ-კლუ ფიცსა დებს, რომ აღარფერს იტყვის.

სწორედ დროც იყო, ლაპარაკი მოეთავებინათ: მსახურები სკოლიდან დაბრუნებულიყვნენ და კაბინეტში ხელის კვრით და ჯიკავ-ჯიკავით შემოცვოვდნენ.

მათიუშს სიბრაზისაგან ცეცხლი წაეკიდა.

– ეს რა ღრიალია! – იყვირა გულმოსულმა. – როდის აქეთაა, რომ მეფის მსახურები ღრიალცელით შერბიან მეფის კაბინეტში! სკოლაში არ გეყოთ ცელქობა?

ცერემონმაისტერს ისე შერცხვა, ყურებიც კი გაუწითლდა.

– თქვენი მეფური უდიდებულესობავ, გეკედრებით, აპატიეთ დანაშაული. ამ საცოდავებს ისეთი ბავშვობა ჰქონდათ, თამაში რა იყო, არ იცოდნენ. ჯერ ხელის ბიჭები იყვნენ, მერე მზარეულის შეგირდებად მუშაობდნენ, ბოლოს კი

მსახურები გახდნენ. მთელი სიცოცხლე მორიდებულები და სიტყვაუქმელები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთებიც იყვნენ. ახლა კი მთლად გადაირივნენ და შეშლილებს დაემსგავსნენ.

– კარგი, კარგი. სეფედარბაზი მოამზადეთ, ნახევარ საათში სხლომა დაიწყება.

– ვაიმე, ხვალისათვის ძალზე ბევრი დავალება მოგვცეს, – დაიკვნესა ერთმა მსახურმა.

– მე რუკა მაქვს დასახატი.

– მე ექვსი ამოცანა მაქვს და ერთი გვერდი..

– ხვალ სკოლაში არ წახვალთ, – გააწვევტინა გაცოფებულმა მათიუშმა.

მსახურებმა თაყვანი სცეს და ჩუმად გავიდნენ. მაგრამ კარებში მაინც დაერივნენ ერთმანეთს: ერთმა მეორეს ხელი ჰკრა და კარის სახელურზე ნიკაპი ჩამოაკვრევინა.

ამ დროს გათხუპნილ-გაოფლილი და შარვალჩამოხეული ფელეკი მოვარდა:

– დავალება შევასრულე. მინისტრები მოვლენ.

მერე კი ყველაფერი უამბო.

ღიას, გაზეთში თურმე მართლა ეწერა: ფელეკი ფულსაც იპარავდა, ქრთამსაც იღებდა. მათიუშის მაგივრად აუდიენციას როცა აწყობდა, გასაცემ საჩუქრებში რაც მოეწონებოდა, თვითონ იღებდა. ვინც ფულს ან საჩუქარს მიართმევდა, იმას ყველაზე ყველაზე კარგ რამეს აძლევდა. რამდენიმე ბიჭი შეუამხანაგებია. მათ შორის ანტეკიც. ეს ბიჭები ყოველდღე მოდიოდნენ და საჩუქრები მიჰქონდათ. ჯაშუში კი არასოდეს ყოფილა ფელეკი. ეს ყველაფერი ჟურნალისტმა ურჩია. იმან უბრძანა, ბარონი დაირქვი და ორდენიც მოითხოვეო. ჯერ მეგობრად აჩვენებდა თავს, მერე კი უცბად მოსთხოვა, ყალბი საბუთები გააკეთეთ, ვითომ მათიუში მინისტრებს სამსახურიდან ითხოვს და დიდებს ყოველგვარ უფლებას ართმევს, სახელმწიფოს მართვას ბავშვებს ავალებსო. ფელეკმა უარი უთხრა. ჟურნალისტმა ქუდი დაიხურა და დაემუქრა: თუ უარს იტყვი, მეფესთან მივალ და მოვახსენებ, რომ საჩუქრებს იპარავ და ქრთამს იღებო. ფელეკიც შეშინდა. ვერ მიმხვდარიყო, ჟურნალისტმა საიდან იცოდა ყველაფერი. მაშინ ასე ფიქრობდა, ჟურნალისტებმა, საერთოდ, ყოველთვის ყველაფერი იციანო. ახლა კი მიხვდა, რომ ჟურნალისტი ჯაშუში ყოფილა.. იმ საბუთის გარდა, სხვა ყალბი საბუთიც გააკეთეს. რაღაც მიმართვა თუ მოწოდება იყო მსოფლიოს ბავშვებისადმი.

მათიუშს ხელები ზურგზე შემოეწყო და კაბინეტში ბოლთასა სცემდა.

– ჰო, ძალიან ცუდი საქმეები გიკეთებია, ფელეკ, მაგრამ მიპატიებია.

– რაო? მიპატიებიაო? თუ თქვენი მეფური უდიდებულესობა მაპატიებს, მე ვიცი რასაც ვიზამ.

– რას იზამ!

– ყველაფერს მამაჩემს ვეტყვი და ისეთ დღეს დამაყრის, მთელ სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

– ნუ, ფელეკ, ნუ ეტყვი. რად უნდა უთხრა? ხომ შეგიძლია, სხვანაირად გამოისყიდო დანაშაული! ისეთი დრო დაგვიდგა, ხალხი გვჭირდება. შენც მჭირდება.

– სამხედრო მინისტრი გეახლათ, – მოახსენა სასახლის მარშალმა.

მათიუშმა გვირგვინი დაიდგა. - ო, რა მძიმე იყო მეფის გვირგვინი! – დაიდგა გვირგვინი და სეფედარბაზში გაბრძანდა

– ბატონო სამხედრო მინისტრო, რას მომახსენებთ? ოღონდ, მოკლედ, პირდაპირ საქმეზე მელეპარაკეთ. ბევრი რამ უთქვენოდაც ვიცი.

– თქვენს მეფურ უდიდებულესობას მოვახსენებ, რომ ჩვენ გვაქვს სამი ციხესიმაგრე (გვქონდა ხუთი), ოთხასი ზარბაზანი (გვქონდა ათასი) და ორასი ათასი თოფი. ყუმბარები ათი საბრძოლო დღის სამყოფი გვაქვს (სამი თვის სამყოფი გვქონდა).

- ჩექმები, ზურგჩანთები და ორცხოობილები?
 - საწყობები საგსეა, მარტო მარმელადი შეიჭამა.
 - უტყუარი ცნობები გაქვთ?
 - სრულიად უტყუარი.
 - თქვენ ფიქრობთ, რომ მალე ომი დაიწყება?
 - მე პოლიტიკაში არ ვერევი.
 - დაზიანებული ზარბაზნები და თოფები შეიძლება მალე შევაკეთოთ?
 - ზოგი ძალიან არის დაზიანებული, დანარჩენი შეიძლება შევაკეთოთ, თუ ქარხნებში ღუმელები და ქვაბები კარგად მუშაობს.
- მათიუშს ის ფაბრიკა გაახსენდა, სვედიანმა მეფემ რომ აჩვენა, და თავი ჩაღუნა. ამის გახსენებაზე მეფის გვირგვინი უფრო დაუმძიმდა.
- ბატონო სამხედრო მინისტრო, ჯარში რა განწყობილებაა?
 - ჯარისკაცები და ოფიცრები ნაწყენები არიან. ყველაზე მეტად ის სტანჯავთ, რომ სამოქალაქო სკოლაში დადიან. მე რომ სამსახურიდან გადაყენების ბრძანება მივიღე.
 - თქვენი გადაყენების ბრძანება ყალბი იყო. მე არაფერი ვიცოდი. ხელი ჩემ მაგივრად მოუწერიათ.
 - მინისტრმა შუბლი შეიკრა.
 - გადაყენების ბრძანება რომ მივიღე, ჩემთან დელეგაცია მოვიდა, სამხედრო სკოლაში გაგვეზავნეთო. შავი დღე დავაწიე! რაკი გიბრძანეს, სამოქალაქოში ისწავლითო, მაშ, სამოქალაქოში მოუსვით-მეთქი. რომ გიბრძანონ, ცეცხლში ჩავარდითო, ცეცხლში უნდა ჩავარდე; ჯოჯოხეთში წადიო, ჯოჯოხეთში უნდა ამოყო თავი.
 - ყველაფერი რომ ისევ ძველებურად დატრიალდეს, მაპატიებდით?
 - სამხედრო მინისტრმა ხმალი იშიშვლა.
 - თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, მეცა და ჩემი ჯარისკაცებიც მზადა ვართ, ჩვენი გმირი მეფის წინამძღოლობით თავი დავედოთ მამულისა და ჯარისკაცური ღირსების დასაცავად!
 - კარგია, ძალიან კარგია.
 - ‘ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა,’ - გაიფიქრა მათიუშმა.

მინისტრები ფეხით სიარულს შეჩვეულები არ იყვნენ, ქოშინ-ქოშინით მოდიოდნენ და დააგვიანდათ. სასახლის მარშალებმა გამოაცხადა, მინისტრები მობრძანდნენო, მაგრამ მობრძანდნენ კი არა, ძლივს მოქოშინდნენ,

სხდომა რომ დაიწყო, მათიუშმა მინისტრებს უთხრა: ყველაფერი ჯაშუში ჟურნალისტის ბრალია და ახლა უნდა მოვისაზროთ, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათო.

მაშინვე გაზეთში დაწერეს, ბავშვები ხვალიდან სკოლაში ივლიანო. ვინც ამ ამბავს გვიან გაიგებს, არა უშავს, ცოტა დაიგვიანოს, მაგრამ მისვლით უთუოდ მივიდესო. დიდები შესვენებამდე დარჩნენ სკოლაში, შემდეგ კი ყველა თავის სამსახურში წავიდესო. უმუშევრებს ერთ თვეს კიდევ მიეცემათ სწავლის ფული, მერე, თუ უნდათ, ბუმ-დრუმის სახლების, სკოლებისა და ათასი რაღაცის აშენება უნდაო. ამასობაში ორივე სეიმი დაიხურება. პირველად დიდების სეიმს გახსნიან, მერე მოიფიქრებენ რა უყონ ახალგაზრდობას. ხოლო როცა რეგლამენტს შეიმუშავენ, ბავშვთა სეიმიც გაიხსნება. ოღონდ ისე, რომ ბავშვები მხოლოდ იტყვიან, რაც უნდათ, დიდების სეიმი კი მათ სურვილს განიხილავს და იტყვის, შეიძლება თუ არა ამ სურვილის შესრულება. ბავშვებს არ ექნებათ უფლება დიდებს რამე უბრძანონ. დეპუტატებად კენჭს იყრიან მხოლოდ წესიერი და კარგი მოსწავლეები.

ამ მიმართვას ხელს აწერდნენ მათიუში და მისი ყველა მინისტრი.

შემდეგ მათი უშმახელი მოაწერა ჯარისკაცებისადმი მიმართვას ამ მიმართვაში მათი უშმა საბოლოო ომი და თავიანთი გამარჯვებები გაიხსენა.

“ჩვენი ყველაზე საიმედო ორი ციხესიმაგრე აფეთქებულია. მაშ, დაე, თითოეული ჯარისკაცის გმირული მკერდი იქნეს აულეებელ ციხესიმაგრედ იმათთვის, ვინც ჩვენს მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმას გაბედავს!” – ასე მთავრდებოდა მიმართვა. მათი უშმა და სამხედრო მინისტრმა ხელი მოაწერეს.

ვაჭრობის მინისტრი გახეთში ხელოსნებს სთხოვდა, ყველაფერი სასწრაფოდ შეაკეთეთ, მაღაზიები სასწრაფოდ გააღეთ, თორემ ქალაქი ჩამკვდარი და ულამაზოაო.

განათლების მინისტრი ბავშვებს ჰპირდებოდა, თუ კარგად ისწავლით სეიმი ისევ გაიხსნებაო.

პოლიციის პრეფექტი თავს ისებდა, ხვალ დილითვე პოლიცია თავის საქმეს შეუდგებაო.

– ჯერჯერობით ვერაფერს გავაკეთებთ, – თქვა უფროსმა მინისტრმა. – უნდა მოვიცადოთ, ვიდრე ფოსტა-ტელეგრაფი მუშაობას დაიწყებდეს. მერე გავიგებთ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

– რა უნდა მომხდარიყო? – ჰკითხა შემოფოთებულმა მათი უშმა. მას უკვე ეგონა, რომ ყველაფერი ადვილად და კარგად გამოსწორდა. ისიც კი იფიქრა, იქნება სევდიანმა მეფემ მარტო შემაშინაო.

– არ ვიცით, რა უნდა მომხდარიყო. ჯერ არაფერი არ ვიცით.

მეორე დღეს ყველაფერი კარგად აეწყო. პირველ გაკვეთილზე მასწავლებლებმა გახეთი წაიკიკითხეს, შესვენებაზე თავის მოსწავლეებს დაემშვიდობნენ და დიდები შინ წამოვიდნენ. შინ წიგნები ისევ ბავშვებს გადააბარეს. თორმეტ საათზე ყველაფერი უკვე ძველებურად იყო. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველანი გახარებულები დარჩნენ: დიდებიც, ბავშვებიც და მასწავლებლებიც.

მასწავლებლები ბავშვებს არაფერს ეუბნებოდნენ, მაგრამ ძალიან კმაყოფილები კი იყვნენ: თურმე დიდებთანაც კარგა ბევრი თავსამტვრევი საქმე ჰქონდათ. ახალგაზრდები, ვისაც ჯერ ოცდაათი წელი არ შესრულებოდათ, ძალიან ცელქობდნენ: ერთმანეთს არ ასვენებდნენ, გაკვეთილებზე იცინოდნენ და ხმაურობდნენ.. ხნიერები წუწუნებდნენ, ცუდად ვსხედვართო, თავი გვტკივაო, სული გვეხუთებაო, მელანი ცუდი გვაქვსო. მოხუცებს კი გაკვეთილებზე ეძინათ და არაგერი ესმოდათ. მასწავლებელი რომ დაიყვირებდა ხოლმე, ისინი არაფრად აგდებდნენ; უმრავლესობა ყრუ გახლდათ. ახალგაზრდები ათასნაირ ოინს უწყობდნენ მოხუცებს. მოხუცები ჩიოდნენ, არ გვასვენებენო. ერთი სიტყვით, სკოლაში ბავშვებს იყვნენ მიხვეულები და ერჩივნათ, ყველაფერი ძველებურად ყოფილიყო.

კანტორაში დაბრუნებული დიდები თითქოს ჯავრობდნენ, ბავშვებს ყველაფერი თავდაყირა დაუყენებიათო, მაგრამ გუნებაში ფიქრობდნენ, იქნებ ერთი მხრივ კარგიც არის: თუ რამე საჭირო საბუთი დაიკარგა, ბავშვებს დავაბრალებთო. მოსამსახურეები ხომ სხვადასხვანაირები არიან: ზოგს ყველაფერი საათივით აქვს აწყობილი, ზოგს კი საქმეები არეულ-დარეული უყრია.

ყველაზე ცუდ დღეში ფაბრიკები იყო, მაგრამ უმუშევრები სიხარულით ეხმარებოდნენ აღდგენაში. იმედი ჰქონდათ, დაინახავენ, რა კარგად ვმუშაობთ, და შეიძლება აქვე დაგვტოვონო.

ამ დღეს ქალაქში ერთი-ორგან პატარა ჩხუბი გაიმართა, მაგრამ პოლიცია კარგად გახლდათ დასვენებული და დილიდანვე ენერგიულად მოეკიდა თავსი საქმეს. ქურდებსა და ყალთაბანდებს იმდენის მოპარვა და შეყლაპვა მოესწროთ, რომ ახლა მხოლოდ ისხდნენ და შიშით ცახცახებდნენ, ჩვენი საქმიანობა არ

გამოაშკარავდესო. ზოგიერთს ადამიანობა კიდევ შერჩენოდა, ჯერ მოურჯულელებელ ქურდად არ ქცეულიყო. ასეთები ისევ უკან აბრუნებდნენ თავიანთ მონაპარს.

საღამოთი მეფის მანქანამ ქალაქში რომ გაიარა, ყველაფერი ისევ ძველებურად გამოიყურებოდა.

გარდა ამისა, მათიუშისთვის იმ საღამოს უნდა ეცნობებინათ თავისი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ამბები.

ამასობაში კლუ-კლუმ ისევ მოჰკიდა ხელი ზანგი ბავშვების სწავლა-განათლებას. მათიუში გაკვეთილზე დაესწრო და განცვიფრებული დარჩა, ზანგი ბავშვები ყველაფერს რა ადვილად სწავლობენო. მაგრამ კლუ-კლუმ უთხრა, ასმეთაურად ყველაზე ნიჭიერი და მუყაითები ავირჩიე, დანარჩენები ასე ადვილად ვერ ისწავლიანო. რა იცოდა საწყალმა კლუ-კლუმ, რომ ასე მალე და ასე სავალალოდ შეწყდებოდა მისი გაკვეთილები.

პირველი, რა თქმა უნდა, უფროსი მინისტრი მობრძანდა. გუშინ სამხედრო მინისტრი პირველი იმიტომ მოვიდა, რომ ფეხით სიარულს შეჩვეული იყო.

უფროსი მინისტრი ძალიან შეცბუნებული და დაღონებული ჩანდა. იდლიაში ქალაქლების შეკვრა ამოეჩარა.

– რა მოხდა, ბატონო მინისტრო?

– ცუდი ამბავია, – ამოიხსრა უფროსმა მინისტრმა. – სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო. ვინ იცის, იქნება უკეთესიც არის.

– რა, რა მოხდა თქვით, თუ ამბობთ.

– ომი დაიწყო.

მათიუში შეკრთა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, დანარჩენმა მინისტრებმა თავი მოიყარეს.

მოხუც მეფეს ტახტი შვილისთვის გადაცია. შვილსაც ხელად ომი გამოუცხადებია და მაშინვე მათიუშის დედაქალაქისკენ წამოსულა ჯარით.

– მაშ, საზღვარზე გადმოვიდნენ?

– ორი დღის წინ. უკვე ორმოცი ვერსი გამოიარეს.

წაიკითხეს დეპეშები და წერილები. კარგა დიდხანს კითხულობდნენ. მათიუშმა დახუჭა დაღლილ-გამოღამებული თვალები, უსმენდა და ფიქრობდა, თქმით კი არაფერს ამბობდა.

‘იქნებ უკეთესიც არის.’

სამხედრო მინისტრმა სიტყვა ითხოვა.

– მე ჯერ არ ვიცი, რომელი გზით მოდის მტერი, მაგრამ მე მგონი, იმ ორი აფეთქებული ციხესიმაგრისკენ წამოვა. თუ სწრაფად იარა, დედაქალაქამდე ხუთ დღეს მოუნდება. თუ ნელა წამოვიდა, ათი დღეც დასჭირდება, ვიდრე აქამდე მოაღწევდეს.

– როგორ, გზაში არ უნდა დავეხვდეთ?! – იყვირა მათიუშმა.

– არ შეიძლება. ხალხმა თვითონ უნდა დაიცვას თავი. მხოლოდ რამდენიმე პატარა რაზმი უნდა გაიგზავნოს, თუმცა კი ხალხი ცოდვას და იარაღიც. ჩემი აზრით, დედაქალაქამდე უნდა მოვუშვათ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქალაქგარეთ, მინდორში გავუმართოთ. ან გავიმარჯვებთ, ან...

და სათქმელი არ დაამთავრა.

– იქნებ ის ორი მეფე დაგვეხმაროს?. – ლაპარაკში ჩაერია საგარეო საქმეთა მინისტრი.

– ამის დრო უკვე აღარ არის, – ჩაურთო სამხედრო მინისტრმა. – თუმცა, არ ვიცი, ასეთ რამეებში ვერ ვერკვევი.

საგარეო საქმეთა მინისტრი დიდხანს ლაპარაკობდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ ის ორი მეფე ამ მეფის წინააღმდეგ აემხედრებინათ.

სევდიანი მეფის იმედი ნამდვილად შეიძლება გქონდეთ. მაგრამ ერთი ის არის, ომი არ უყვარს და ჯარიც მცირე ჰყავს. ის არაფერს გააკეთებს. იმ წინა ომშიც

მონაწილეობა არ მიუღია, რეზერვში იდგა. ესეც ისე მოიქცევა, როგორც ყვითელკანიანი მეფეების მეგობარი თეთრკანიანი მეფე. ამ მეფეს მათიუშმა ყველა ყვითელკანიანი მეფე დაუთმო. ისე რომ, მიზეზი არა აქვს ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, ვინ იცის, იქნებ შავი მეფეებიც იმას უნდა?

უფროსმა მინისტრმა თქვა:

– ბატონებო, მე ერთ რამეს გირჩევთ, ნუ მიიღებთ ჩემს რჩევას, მაგრამ ნურც გამირისხდებით. ჩემი რჩევაა: მტერს ნოტა გავუგზავნოთ, რომ ომი არ გესურს, და გაგვაგებინოს, ჩვენგან რა უნდა. მე მგონი, მარტო კონტრიბუცია ენდომება. ახლავე ავიხსნით. უომრად რატომ დაგვითმო ნავსადგური, იაფად რატომ მოგვიყიდა ათი გემი? იმიტომ, რომ უნდოდა, ბუმ-დრუმს ოქრო გამოეგზავნა. ჩვენ ფული ბევრი გვაქვს. არაფერი დაგვაკლდება, რომ ნახევარი იმას მივცეთ.

მათიუში ხმას არ იღებდა. მუშტები მოკუმა და ხმას არ იღებდა.

– ბატონი უფროსო მინისტრო, მე მგონი, არ იყაბულებს, – თქვა ფინანსთა მინისტრმა. – ნახევარზე რატომ დაგვთანხმდება, როცა შეუძლია მთელი წაიღოს. რატომ უნდა შეწყვიტოს ომი, როცა მოგება შეუძლია? სიტყვა მივცეთ ბატონ სამხედრო მინისტრს.

მათიუში მოლოდინად იქცა და მუშტები ისე მოკუმა, კინაღამ ფრჩხილები ხირცში შეესო.

– მე ვფიქრობ, რომ ნოტა უნდა გაიგზავნოს, – თქვა სამხედრო მინისტრმა. – თუ პასუხი გამოგვიგზავნა, მერე ჩვენ ვუპასუხებთ. მე ამაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ ამბავს რამედენიმე დღე დასჭირდება. თუნდაც ორი დღე, თუნდაც ერთი დღე დასჭირდეს. ჩვენთვის ყოველი საათი ძვირფასია. ამ ხანში ასს თუ არა, ორმოცდაათ ზარბაზანსა და თოფს მაინც შევაკეთებთ.

– თუ ნახევარ ოქროზე დაგვთანხმდა და ომი შეწყვიტა? – ჰკითხა მათიუშმა დაბალი, სასიამოვნო, რაღაც უცნაური ხმით.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი სამხედრო მინისტრს მისჩერებოდნენ. სამხედრო მინისტრი ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა, მერე ისევ გაფითრდა და თქვა:

– უნდა შევრიგდეთ.

და დაამატა:

– ჩვენით ამ ომს ვერ მოვიგებთ. დახმარების თხოვნის დრო კი აღარ არის.

მათიუშმა თვალები დახუჭა და სხდომის დამთავრებამდე ასე იჯდა. ზოგიერთმა მინისტრმა ისიც კი გაიფიქრა, ალბათ, ჩაეძინაო. მაგრამ მათიუშს არ ეძინა. მინისტრები ნოტას წერდნენ და როცა იმ ადგილას მივიდნენ, სადაც უნდა ჩაეწერათ: ‘ მოწინააღმდეგე მეფეს ვთხოვთ...’ მათიუშს ტუჩები უთრთოდა.

როცა მათიუშმა კალამი აიღო, რომ ხელი მოეწერა, მარტო ეს იკითხა:

არ შეიძლება, სიტყვა ‘ვთხოვთ’ სხვა სიტყვით შეცვალოთ?

ნოტა გადაწერეს და სიტყვა ‘ვთხოვთ’ შეცვალეს სიტყვებით: ‘ჩვენ გესურს’.

‘ჩვენ გესურს ომის შეწყვეტა.’

‘ჩვენ გესურს, დავა მშვიდობიანად დავამთავროთ’.

‘ჩვენ გესურს, ჩვენი ოქროს ნახევრით ავანაზღაუროთ თქვენი სამხედრო ხარჯები.’

მათიუშმა ხელი მოაწერა. დამის ორი საათი იყო.

მათიუში გაუხდელად მიეგდო ლოგინზე, მაგრამ ვერ დაიძინა. თითქმის ინათა კიდევ, მაგრამ მაინც თვალზე ძილი არ მიეკარა.

– გამარჯვება ან სიკვდილი, – იმეორებდა მთელ ღამეს.

მოხუცი მეფის ვაჟიშვილს თავისი ჯარით მართლა აფეთქებული ციხესიმაგრისკენ აეღო გეზი. ეს ნამდვილად გამოიცნო სამხედრო მინისტრმა. ასეთ რამეებში კარგად ერკვეოდა. მაგრამ მტერი ძალიან ნელა მოიწევდა წინ. სამხედრო მინისტრმა ეს კი ვეღარ გამოიცნო.

ახალგაზრდა მეფე ძალიან ფრთხილად უნდა მოქცეულიყო, აუჩქარებდა უნდა ევლო, რომ გზადაგზა თხრილები და სანგრები გაეთხარა. უფლისწული თავის სიცოცხლეში პირველად ომობდა, ამიტომ წინდახედულება, მოფიქრებულობა მართებდა, ალყაში არ მოხვედრილიყო; ახსოვდა, მამამისმა თავის ქვეყანაში რომ შემოუშვა მათიუში და მერე ზურგიდან შემოუარა. ახალგაზრდა მეფეს ასე ყური უნდა გამოესხა, თუ არ უნდოდა, ომი წაეგო და ხალხს ეთქვა, მოხუცი მეფე სჯობდა, შვილს მამა გვირჩევნიაო. უფლისწულს ხალხი უნდა დაერწმუნებინა, რომ შვილი მამაზე უკეთესი იყო.

დინჯად და მშვიდად მოჰყავდა ლაშქარი. ან კი, კაცმა არომ თქვას, ასაჩქარებელი რა სჭირდა? მათიუშს მაინც არ შეეძლო ომში ჩაბმა: ჯარი სკოლაში დაუდიოდა, ბავშვები კი ზარბაზნებს უფუჭებდნენ. ჭკვიანი ჯაშუში პურნალისტიც მის დედაქალაქში ტრიალებდა, ცდილობდა, ძირფესვიანად აეწერა სახემწიფო საქმეები. ესეც რა დიდებულად მოხდა, ბავშვები (ალბათ, ჯაშუშებმაც) რკინიგზები რომ გააოხრეს და ტელეგრაფიც მიფუშ-მოფუშეს! მათიუში გვიან გაიგებდა თავდასხმის ამბავს და იმდენ ჯარს ვეღარ გამოგზავნიდა, რამდენის საჭირო იყო.

ასე ფიქრობდა მოხუცი მეფის ვაჟიშვილი და ფეხს არ აჩქარებდა. ჯობია, ლაშქარი არ დამეღალოს, დედაქალაქთან დიდი ბრძოლა მელისო. ცხადი იყო, რომ ბრძოლის გადახდა უსათუოდ მოუწევდა.

მოდის ჯარი, მოდის და გზაზე არავინ ელობება. ხალხმა რომ დაინახა, კაციშვილი ჩვენი დამცვეელი არ არისო, მათიუშზე გული მოუვიდა, თავისი თავის დასაცავად აღარც თვითონ გაანძრია ხელი და მტერს სიხარულით შეეგება, თითქოს განმანთავისუფლებელი მოეველინაო.

აბა, ბავშვებო, ჰერი, სკოლისაკენ, მათიუშის პარპაშს ბოლო მოედო...

და უცბად ვიღაც გამოჩნდა, თეთრ დროშას აფრიალებდა.

ჰოო, მაშ, მათიუშს უკვე გაუგია თავდასხმის ამბავი.

უფლისწულმა მათიუშის წერილი წაიკითხა და გადაიხარახარა.

– ოჰო-ჰო, რა გულუხვეუ ყოფილა თქვენი მათიუში, თავისი ოქროს ნახევარს მთავაზობს! რა საჩუქარია? ვინ არ დახარბდება?

– რა პასუხს აძლევთ ჩემს მეფეს? თუ ოქროს ნახევარი გეცოტავებთ, მეტს მოგართმევთ. გთხოვთ, პასუხი გვიბოძოთ.

– იმ შენს მათიუშს გადაეცი, რომ ბავშვებს კი არ ათათბირებინან, მიტყეპენ ხოლმე. მეორედ წერილის მოტანა აღარ გაბედო, თორემ შენც მოგხვდება. აბა, დაიკარგე აქედან!

მათიუშის წერილი ძირს დაადგო და ფეხით შესდგა.

– – თქვენი მეფურთ უდიდებულესობავ, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, მეფის წერილს წერილით უპასუხოთ.

– რაკი ასეა, ვუპასუებ.

და მათიუშის დაჭმუჭნილ-დათხუპნილ წერილზე სამი სიტყვა წააწერა:

‘სულელები თქვენში მოიკითხეთ!’

ამასობაში მთელ დედაქალაქს გაეგო ომის დაწყების ამბავი. გაეგო ისიც, რომ მათიუშმა მტერს წერილი გაუგზავნა, და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ პასუხს. პასუხი კი, აი, ასეთი მიიღეს.

ხალხი აღშფოთდა.

– ერთი იმ ამპარტავანს დამიხედეთ! ის ხეპრე, ისა! მოიცა, გიჩვენებთ სეირს!

და ქალაქი თავდასაცავად მოემზადა.

დიდპატარიანად მათიუშის მხარეზე დადგნენ. ხელად დაივიწყეს ყველა წყენა თუ უსიამოვნება და მარტო მისი დამსახურებადა ახსოვდათ. ახლა ერთი გაზეთი კი არა, ყველა გაზეთი მათიუშ რეფორმატორზე, გმირ მათიუშზე ლაპარაკობდა.

ფაბრიკებში დღედაღამ მუშაობდნენ. ჯარი ქუჩებსა და მოედნებზე მეცადინეობდა. ყველანი მათიუშის ნათქვანს იმეორებდნენ.

– გამარჯვება ან სიკვდილი!

ყოველდღე ახალ-ახალი ამბები მოდიოდა: ზოგი ცუდი იყო, ზოგი კარგი.

– მტერი დედაქალაქას უახლოვდება.

– სვედიანმა მეფემ დახმარება აღუთქვა მათიუმს.

– ბუმ-დრუმი თავის შავ ლაშქარს გვიგზავნის.

კლუ-კლუმ ხუთასი შავი ბავშვი ქუჩაში რომ გამოიყვანა, ხალხი ისე აღფრთოვანდა, კლუ-კლუს ყვავილებს ესროდნენ და ხელში ატაცებულნი დაჰყავდათ. ზოგნი იმასაც კი ამბობდნენ:

– რა ვუყოთ, რომ კლუ-კლუ საშინლად შავია! ისეთი შავი მაინც არ არის, მათიუმმა ცოლად ვერ შეირთოს.

ამასობაში მტერი მართლა უახლოვდებოდა დედაქალაქს.

ბოლოს დედაქალაქთან ბრძოლა გაიმართა.

ქალაქში სროლის ხმა ისმოდა. ხალხი სადამოობით სახურავებზე ადიოდა და ამბობდა, ცეცხლს ვხედავთო. მართალიც იყო.

ბრძოლის მეორე დღეს სროლის ხმა უკვე ოდნავდა ისმოდა.

ყველანი ამბობდნენ, ეს იმის მომასწავებელია, რომ მათიუმში იმარჯვებს და მტერს მიერეკებაო.

მესამე დღეს ჩამიხუმი არ ისმოდა.

– ალბათ, მტერი უკვე შორს არისო!

მაგრამ ბრძოლის ველიდან ამბავი მოვიდა, მტერმა ხუთი ვერსით უკან დაიხია და იქ წინასწარ გათხრილ სანგრებში ჩასაფრდაო.

მათიუმი ამ ბრძოლას უსათუოდ მოიგებდა, ზარბაზანი და ტყვია-წამალი ძალიან ცოტა რომ არ ჰქონოდა. მტერს არ ეგონა, თუ დედაქალაქი თავს დაიცავდა, ამიტომ მათიუმში უსათუოდ მოიგებდა ამ ბრძოლას, ტყვია-წამალი რომ სამყოფი ჰქონოდა. მაგრამ ცოტა ჰქონდა და რა ექნა, იძულებული იყო, დაეზოგა, მერე მთლად ხელცარიელი არ დავრჩეთო.

სწორედ ამ დღეებში მტრის მეფესთან ჯაშუში ჟურნალისტი მიძუნძულდა.

ახალგაზრდა მეფე გაცოფებული ეცა:

– შე ასეთ-ისეთო, რას რომავდი, მათიუმს არც ზარბაზნები აქვს, არც ტყვია-წამალიო? მე რომ ფრთხილად არ მოვქცეულიყავი, ალბათ, დაემარცხდებოდი!

ჯაშუშმა უამბო, რაც მოხდა: მათიუმმა ყველაფერი გამიგო, რეკოლვერი მესროლა, ძლივს გამოვასწარი, მთელ ერთ კვირას სარდაფში ვიმალეობდიო. ალბათ, ვიღაცამ გაგვცაო, იმიტომ, რომ მათიუმში ქალაქში გამოვიდა და თავისი თვალთ იხილა, ყველაფერი როგორ იყო არეულ-დარეულიო. მერე ფელეკზედაც უამბო, არაფერი გამორჩენია.

– მათიუმის დამარცხება გაგვიძნელებდა. მერე რა, რომ ტყვია-წამალი ცოტა აქვს და ზარბაზანიც! სამაგიეროდ, თავდაცვა უფრო ადვილია, ვიდრე თავდასხმა. თანაც იმათ დედაქალაქი უმაგრებს ზურგს, ყველაფერი ახლოს აქვთ. ჩვენ კი შორიდან უნდა ვეზიდოთ, მარტოკები მათიუმს ვერ მოვერევით. უსათუოდ ყვითელკანიან მეფეთა მეგობარი უნდა დაგვეხმაროს.

– თუ მოისურვა! ვალდებული კი არ არის! ესეც არ იყოს, სულაც გულზე არ ვეხატები. თანაც ისიც მეფიქრება, თუ დაგვეხმარა, მერე ყველაფერში წილი უნდა ჩაუდოთ.

– მეტი რა გზაა!

‘იქნება ჯობდა კიდევ, ოქროს ნახევარზე დაყვავებულებოდი და ომი შემეწყვიტა!’ - გაიფიქრა ახალგაზრდა მეფემ.

მაგრამ უკვე გვიან იყო.

ამ ლაპარაკის შემდეგ, ჯაშუში მყისვე ყვითელკანიან მეფესთან გაემგზავრა და შეუჩნდა, გინდა თუ არა, მათიუმის წინააღმდეგ გაილაშქრო.

მაგრამ მეფემ უარი უთხრა:

– მათიუმს ჩემთვის არაფერი დაუშავებიაო.

ჯაშუში მაინც არ მოეშვა, არწმუნებდა: გიჯობს, გაილაშქრო, იმიტომ, რომ მათიუში ისედაც დამარცხდება. ჩემი მეფე უკვე დედაქალაქზეა მისული. თუ იქამდე მარტომ მიაღწია, როგორმე საქმეს ბოლომდე მიიყვანს, მერე, თქვენ რა? ყველაფერი იმას დარჩება. ჩემს მეფეს თქვენი დახმარება არ სჭირდება, იმას მარტო ის უნდა, რომ მერე არ შეგეხარბოთ, ბევრი ქონება აქვსო.

– მაშ, კარგი, ჯერ სევდიან მეფეს მოველაპარაკები. თუ გალაშქრებო, ან ორივენი გავილაშქრებთ, ან არც ერთი.

– პასუხს როდის მიბოძებთ?

– სამ დღეში.

კარგი.

ყვითელკანიან მეფეთა მეგობარმა წერილი მისწერა სევდიან მეფეს, ამას და ამას ვაპირებო. სულ მალე პასუხი მიიღო, სევდიანი მეფე მძიმედ არის ავად და პასუხის მოწერა არ შეუძლიაო. სწორედ ამ დროს მათიუშის წერილიც მოუვიდა. მათიუში სთხოვდა, დამეხმარე, უშიხეზოდ თავს დამეხსენო.

‘აბა, დაფიქრდით, ვინ ყოფილა: ჯერ თავი მეგობრად მომაჩვენა, ნავსადგური მაჩუქა, გემები მომიყიდა, ახლა კი ორი ციხესიმაგრე ამიფეთქა, ბავშვებმა რომ ტელეფონი და ტელეგრაფი მომიშალეს, სათავისოდ გამოიყენა, ჰოდა, ჯარიც შემოიყვანა ჩემს ქვეყანაში. ვკითხე რა გსურს, რას მედავებ, იქნებ ის ნავსადგური ხუმრობით მაჩუქე და, თუ გინდა, ჩემი ოქროს ნახევარს მოგცემ-მეთქი. იმან რაღაც მიკიბ-მოკიბა და მომწერა: ‘სულელები თქვენში მოიკითხეთო‘. ასეთი საქციელი საკადრისია?

მათიუშმა ასეთივე წერილი მისწერა სევდიან მეფეს. თუმცა, ეს წერილი ცოტა უფრო გულთბილი გამოუვიდა.

სევდიანი მეფე ავად არ ყოფილა. მათიუშთან რომ მიემგზავრებოდა, თავის ექიმს უბრძანა, ყველას უთხარი, რომ შეუძლოდ ვარ, ჩემს ოთახში შენს მეტი არავის შევიდესო.

ექიმი ყოველ დღით შედიოდა მეფის ცარიელ საძინებელ ოთახში, ვითომ ავადმყოფი უნდა გაესინჯა. შეჰქონდა უამრავი წამალი და იქვე ღვრიდა, საჭმელს კი თვითონვე შეექცეოდა.

სევდიანი მეფე მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, მართლა ჩაწვა ლოგინში; ისე იყო დაღლილი, ყველას სჯეროდა, მძიმე ავადმყოფობა გადაუტანიაო. ძალიან ძნელია იმ ქვეყანაში მოგზაურობა, სადაც ომია, მით უმეტეს, თუ იძულებული ხარ, დაიმალო.

სევდიანმა მეფემ ორივე წერილი წაიკითხა და მაშინვე ბრძანა:

– მომიზადეთ სამეფო მატარებელი, ყვითელკანიანთა მეგობარ მეფესთან მიემგზავრები.

სევდიანი მეფე ფიქრობდა, როგორმე დაეყოლიებინა, რომ მათიუშს დავეხმაროთ. იმან რა იცოდა, გაიძვერა ჯაშუში რა თადლითურ მახეს დააგებდა.

– მაშ, მათუშს შენთვის არაფერი დაუშავებია, არა? – ბოროტად გაიფიქრა ჯაშუშმა. – სამი დღე მაქვს. ამ სამ დღეში ისეთ რამეს ვიხამ, რომ მათიუშზე გული მოგივიდეს. მერე ვნახოთ, როგორ აჭიკჭიკდები!

ჯაშუშს ჯიბეში ფელეკის ხელმოწერილი ქაღალდი ედო. ქაღალდზე მათიუშის ყალბი ხელმოწერაც იყო. ეს გახლდათ მიმართვა მთელი მსოფლიოს ბავშვებისადმი.

– ბავშვებო, – ეწერა მიმართვაში, – მე, მათიუშ პირველი, მოგმართავთ თქვენ, რომ დამეხმაროთ ჩემი რეფორმების გატარებაში. მე მინდა, საქმე ისე დავაყენო, ბავშვები ვაღდებულები არ იყვნენ, დიდებს გაუგონონ და დაემორჩილონ. მე

მინდა, რომ ბავშვები იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებათ. ჩვენ სულ ეს გვესმის: ეს არ შეიძლება, ეს ცუდია, ეს უზრდელობაა. განა უსამართლობა არ არის? დიდებს რატომ აქვთ ყველაფრის უფლება, ჩვენ კი არა? ჩვენ მხოლოდ გაუთავებლად გვიჯავრდებიან, გვიყვირიან, ხანდახან გვცემენ კიდევ. მე მსურს, რომ ბავშვებსაც ისეთივე უფლებები ჰქონდეთ, როგორიც დიდებს აქვთ.

მე ჩემს სახელმწიფოში ბავშვებს უკვე მივეცი ეს უფლებები. დედოფალ კამპანელას ქვეყანაშიც ბავშვები უკვე ამბობდნენ. თქვენც აჯანყდით და მოითხოვეთ უფლებები. თუ თქვენი მეფეები უარს იტყვიან, ჩამოაგდეთ ტახტიდან და მეფედ მე ამირჩიეთ. მე მსურს, ვიყო მთელი მსოფლიოს ბავშვთა მეფე: თეთრკანიანთა მეფეც, ყვითელკანიანთა მეფეც და შავკანიანთა მეფეც. მე თქვენ მოგცემთ თავისუფლებას. თქვე კი დამეხმარეთ და მთელ მსოფლიოში რევოლუცია მოახდინეთ.

ხელს ვაწერთ:

მეფე მათიუში

მინისტრი ბარონი ფონ რაუხი“

ჯაშუში სტამბაში გაიქცა და მუშებს უბრძანა, ეს მიმართვა დამიბეჭდეთო. მერე ის ფურცლები მთელ ქალაქს მოსდო. რამდენიმე ცალი კი ტალახში ამოსვარა, გააშრო, დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო.

სევდიანი მეფე და ყვითელკანიანთა მეგობარი მეფე თათბირობდნენ, როგორ მოვიქცეთო. ის იყო, უკვე გადაწყვიტეს, მათიუშს დავეხმაროთ, რომ მათთან ჟურნალისტი შევიდა და თქვა:

– ერთი უყურეთ, რას სჩადის მათიუში! მთელ მსოფლიოზე მეფობა მოუნდომებია და ბავშვებს აჯანყებს. აი, რა ფურცლები ვიპოვე ქუჩაში. ბოდიშს ვიხდი, ცოტა შეჭუჭყულია.

მეფეებმა წაიკითხეს და ძალიან დაღონდნენ.

– რას ვიზამთ, მათიუშის წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ. ჩვენი ბავშვები იმას არ ეკუთვნის და მათ ცხოვრებაში ერევა. არც ყვითელკანიანი ბავშვები არიან იმისები. ძალიან უღამაზოდ იქცევა.

სევდიან მეფეს თვალები ცრემლით ავესო.

– ეს რა ჩაუდენია მათიუშს! ეს რა ჩაუდენია! რამ დააწერინა ეს მიმართვა?!

მაგრამ რაღას იზამდა.

‘იქნება მათიუშისთვის უკეთესიც იყოს, რომ მეც ომი გამოვუცხადო. ესენი უჩემოდაც დაამარცხებენ. დაამარცხებენ დი შეუბრალებლად მოექცევიან. მეც რომ მათთან ვიქნები, იქნება რამეში გამოვადგე“ - იფიქრა სევდიანმა მეფემ.

მათიუშმა რომ გაიგო, ორივე მეფემ ომი გამოიმცხადო, პირველად არც კი იჯერებდა.

– ნუთუ სევდიანმა მეფემაც მიღალატა! რა გაეწყობა. იმ ომში მე დავანახვე, როგორ იმარჯვებს მათიუში, ახლა ვაჩვენებ როგორ იღუპება.

მათიუშის დედაქალაქი ნიჩბებით გამოვიდა, თხრილი გაიყვანა და მიწაყრილი გააკეთა.

თავდაცვის სამი ხაზი ამოთხარეს: ერთი ქალაქიდან ოც ვერსზე გადიოდა, ორი დანარჩენი ერთმანეთისგან ხუთ-ხუთი ვერსით იყო დაშორებული.

– ნაბიჯ-ნაბიჯ დავიხიეთ უკან.

ამასობაში ახალგაზრდა მეფემ გაიგო, ორივე მეფე დასახმარებლად მოდის, უკვე ახლოს არიანო, და მაშინვე ბრძოლა დაიწყო, რომ პირველი ყოფილიყო. ეგონა,, ვიდრე მოვლენ, გავიმარჯვებ კიდევო. მართლაც, პირველად ხელი მოემართა, სიმაგრის პირველი ხაზი აიღო. მეორე ხაზი უფრო ძლიერი გამოდგა, მიწაყრილი უფრო მაღალი იყო, თხრილი – უფრო განიერი, ეკლიანი მავთულიც ბევრი იყო გაბმული.

სწორედ ამ დროს მოუსწრეს მოკავშირეებმა. ახლა უკვე სამი ქვეყნის შეერთებულმა ჯარმა შეუტია მათიუშის ჯარს.

მთელ დღეს გაგრძელდა ბრძოლა. მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა, მაგრამ მათიუში ისევ მაგრად იდგა.

– რა იქნება, რომ გავანებოთ თავი! – შესთავაზა სევდიანმა მეფემ, მაგრამ ორივე მოკავშირე გაცეცხლებული ეცა.

– არა, უსათუოდ უნდა გავანადგუროთ ეს დიდგულა და ქადმაღალი!

და დიდიდანვე გაცხარდა ბრძოლა.

– ოჰო, უკვე მოუკლეს სროლას, – უხაროდა მტერს.

მართლაც, იმ დღეს მათიუშის ჯარმა ბრძანება მიიღო, ტყვია-წამალი დაზოგეთო. ამიტომ ცოტას ისროდნენ.

– რა ვქნათ? – იკითხა მათიუშმა.

– მე მგონი, კიდევ უნდა ვთხოვოთ, რომ ომი შეწყვიტონ, – თქვა უფროსმა მინისტრმა. – უტყვიაწამლოდ როგორ უნდა ვიბრძოლოთ!

სამხედრო საბჭოს იმ დღისით შავი რაზმის უფროსი კლუ-კლუ ესწრებოდა. ეს რაზმი ჯერ შეიარაღებული არ იყო და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიეღო. შავმა ბავშვებმა მარტო მშვილდ-ისრის ხმარება კი არ იცოდნენ, ჯერ იყო და, მშვილდ-ისრის შესაფერისი ხე ვერსად მონახეს. როცა იპოვეს, ახლა დამზადებას შეუდგნენ და ის-ის იყო დაამთავრეს.

– ყური მიგდეთ, – დაიწყო კლუ-კლუმ. – მე გირჩევთ, ამაღამ თავდაცვის მესამე ხაზზე გადავიდეთ. ამაღამვე ვინმე შეიპაროს მტრის ბანაკში და ხმა დაეაროს, ვითომ ბუმ-დრუმს შავი ჯარი გამოგზავნა და გარეული ცხოველებიც გამოიყოლა. ხვალ დილით კი გალიებიდან გამოვუშვათ ლომები და ვეფხვები და ჩვენც სროლა დავიწყოთ. კარგად რომ დავაფრთხოთ, მერე ვკითხოთ, ზაგზე თანახმანი არიან თუ არა.

– მაგრამ ეს ხომ მოტყუება იქნება? – იკითხა შეშფოთებულმა მათიუშმა.

– არა, ამას სამხედრო ეშმაკობა ჰქვია, – თქვა იუსტიციის მინისტრმა.

– კარგი, ასე მოვიქცეთ, – დაეთანხმა ყველა.

ფელეკმა კი მტრის ჯარისკაცის ტანსაცმელი გადაიცვა, დიდხანს იხოხა, შეძვრა იმათ ბანაკში და, ვითომც არაფერიო, ჯარისკაცებს ისე უყვებოდა ზანგებისა და ლომების ამბავს.

ჯარისკაცები არაფერს უჯერებდნენ და ხარახარებდნენ.

– შე სულელო, ალბათ, დაგესიზმრაო.

ერე ეს ჯარისკაცები სხვა ჯარისკაცებს უყვებოდნენ ამ სულელურ ამბავს.

ოლოს ფელეკსაც ჰკითხეს:

– შენ ეი, ძმობილო, გაიგე ახალი ამბავი?

– რა ამბავი?

– ამბობენ, ბუმ-დრუმს ზანგები და ლომები ჩამოუყვანიაო მათიუშის დასახმარებლად.

– იჰ, ზღაპარია, – ხელი ჩაიქნია ფელეკმა.

– არაფერი ზღაპარიც არ არის. ამბობენ, ნადირების ღრიალიც კი ისმისო.

– იღრიალონ, მე რა მენადვლება, – თქვა ფელეკმა.

– რა გენადვლება და ლომი რომ დაგფლეთს, მაშინ გაიგებ, რაც მენადვლება!

– მე რა, ლომზე ნაკლები ვარ?

– ვაი შე ტრაბახავ! შენა და ლომი? ერთი ამას დამიხედეთ, ჯარისკაცსაც არა ჰგავს და ლომს ეჯიბრება!

ფელეკმა თავი გაანება ამ ჯარისკაცებს და ახლა სხვებთან მივიდა. ესენი უკვე იმას ამბობდნენ, ბუმ-დრუმს მთელი ერთი გემი შხამიანი გველებიც გამოუგზავნიაო. ფელეკი აღარაფერს ჰყვებოდა, მარტო უსმენდა და იცინოდა, ტყუილებს ჩმახავთო. ჯარისკაცები უყვიროდნენ, შენ გირჩევნია, სიცილს მოუკლო და ოლოცო, მაგ სულელური სიცილით რამე უბედურება არ აიტეხო.

საოცარი იყო, ყველაფერი რა ხელად დაიჯერეს!

მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა: სახლკარს მოშორებულ ჯარისკაცებს ეუბნებოდნენ, პატარა ბრძოლის გადახდა მოგვიწევსო, მათიუშს ტყვია-წამალი არა აქვს და თავს ვერ დაიცავსო, სინამდვილეში კი უკვე რამდენიმე დღე ბრძოლის ველზე იყვნენ, დაიღალნენ, დაწყდნენ. და თქმა უნდა, აწრიალებულები და შეშფოთებულებიც იქნებოდნენ. ასეთ დროს კი ყოველნაირი სისულელე სჯერათ ხოლმე.

ფელეკი თავისიანებთან დაბრუნდა, ყველაფერი მოუყვა და მათიუშს გული იმედით აევსო.

– რამდენჯერ გადავრჩენილვარ. იქნება ახლაც გადავრჩე!

დამით ჩუმად ამოვიდნენ თხრილიდან და ქალაქის ახლოს ჩასაფრდნენ. ჯარისკაცებმა ლომებისა და ვეფხვების გალიები გამოიტანეს. მათთან იყო ზანგი ბავშვების ნახევარი. დანარჩენები სხვადასხვა რაზმში დანაწილდნენ, რომ მტერს ყველაგან დაენახა.

მაშ ასე:

მტერი დაცარიელებულ სანგრებს აუტეხს სროლას, რომ არავინ გამოეპასუხება, შეტევაზე გადმოვა. რაკი დაინახავენ, რომ სანგრებში კაციშვილი არ არის, გაუხარდებთ, დაიწყებენ ყვირილს: ‘ვივატ!’, ‘ვივატო!’ ჰოდა, დედაქალაქიც რომ გამოჩნდება, სულ გადაირევიან სიხარულით: მალე შევალთ ქალაქში, გაეპარცვათ, ვჭამთ, დავთვრებით, გავმხიარულდებითო. აი, ამ დროს ზანგები დოღს დასცხებენ, საშინელ ყვირილს ატეხენ, ნადირს გამოუშვებენ და ისრებით მტრისკენ გარეკავენ. მტრის ჯარში აურზაური ატყდება. მათიუში კი ცხენოსანი ჯარით ქვეითებს გაუძღვება და მთერს შეუტეხს.

საშინელი ამბავი დატრრიალდება, მაგრამ მით უკეთესი. ახლა უკვე საშვილიშვილოდ ასწავლის ჭკუას თავის მტრებს.

– არ შეიძლება, ამ ხერხმა ფუჭად ჩაიაროს. თავზარდამცემია, როცა კაცი ცუდს არაფერს მოელის, სულითა და გულით მხიარულებას ეძლევა და უეცრად უბედურება დაატყდება თავზე.

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ მათიუშის ჯარისკაცებმა სანგრებში უამრავი არაყი, ლუდი და ღვინო დატოვეს. გარდა ამისა, ნადირთა გასახელებლად გალიის ახლოს ჩალა, ქაღალდი და ფინხი დააგროვეს, რომ გალიის გასხნის დროს ცეცხლი წაეკიდებინათ, თან იმასაც ფიქრობდნენ, ემანდ მხეცები ჩვენ არ მოგვიბრუნდნენო.

ვიღაცებმა ურჩიეს, რამდენიმე გველიც გამოუშვითო, მაგრამ კლუ-კლუმ იუარა:

– გველებს რომ თავი დავანებოთ, ისა სჯობია. ახირებული და ჭირვეული ხასიათი აქვთ. კაცმა არ იცის, როდის რა გუნებაზე დადგებიან. ომებზე კი ნუ გეფიქრებთ, არხეინად ბრძანდებოდეთ.

მაგრამ მტერს თავისი გეგმა ჰქონდა.

– მიბრძანებია, ხვალ ქალაქში შევიდეთ! – თქვა ახალგაზრდა მეფემ. – ხვალ თუ არ შევედით, საქმე ცუდად წაგვივა. ჩვენ სხვის ქვეყანაში ვართ და ყველაფერი შორიდან გვაქვს მოსაზიდი მატარებლებით, მათიუში კი შინ არის. იმისთვის ადვილია ბრძოლა, ყველაფერი ხელთ აქვს, მაგრამ ქალაქები იმით არის სახიფათო, რომ მცხოვრებლებს ომისა ეშინიათ. მაშ, უფრო მეტად უნდა დავაშინოთ: ხვალ თვითმფრინავები ქალაქს ყუმბარებს დაუშენს და ხალხი მათიუშს აიძულებს, რომ დაგვნებდეს. ჩვენი ჯარი კი ისე განვალაგოთ, უკან ვერ დაიხიოს. ჯარის ზურგში ტყვიამფრქვევები დავდგათ, რომ უკან გამოქცეულებს სროლა აუტეხოთ.

– როგორ, ჩვენებს ვესროლოთ?

– ხვალ უსათუოდ უნდა შევიდეთ ქალაქში, თორემ ჩვენი საქმე ცუდად წავა,
– გაიმეორა ახალგაზრდა მეფემ. – და ვინც უკან გამოიქცევა, ჩვენიანი კი არა,
მტერი იქნება.

თათბირის შემდეგ ჯარს გამოუცხადეს, რომ მეორე დღეს გენერალური
შეტევა იწყებოდა. ეს იქნებოდა უკანასკნელი ბრძოლა.

ჩვენ სამნი ვართ, მათიუში მარტოა, – ეწერა ბრძანებაში. – მათიუშს არც
ზარბაზნები აქვს, არც ტყვია-წამალი. მის დედაქალაქში რევოლუცია
მშენებარებს. მის მშიერ-მწყურვალ და ჩამოძონძილ ჯარისკაცებს ბრძოლა არ
უნდათ. ხვალ მათიუშს ტყვედ ჩავიგდებთ და მის დედაქალაქში შევაღოთ“.

თვითმფრინავებს უბრძანეს, მზე რომ ამოიწვევრება, საბრძოლველად
გაფრინდითო. სამყოფი ბენზინი და ყუმბარებიც მისცეს.

ჯარის ზურგში ტყვიამფრქვევები დადგეს.

– აქ რატომ დგამთ? – კითხულობდნენ ჯარისკაცები.

– იმიტომ, რომ ტყვიამფრქვევი შეტევისთვის კი არა, თავდაცვისთვის არის
საჭირო, – ეუბნებოდნენ ოფიცრები.

მაგრამ ჯარისკაცებს ეს ამბავი ჭკუაში არ დაუჯდათ.

ამ დამეს არც მათიუშისა და არც მისი მტრის ბანაკში არავის სძინებია.

ზოგი იარაღს წმენდდა, ზოგი შინ გასაგზავნად წერილს წერდა და ახლობლებს
ეთხოვებოდა.

ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, მხოლოდ კოცონები გიზგიზებდა და ტკაცუნობდა.

ამ სიჩუმეში ჯარისკაცების გულს მომეტებული ბაგაბუგი გაჰქონდა.

ირიურაჟა.

ჯერ ნათელი კარგად არ იყო ჩამდგარი, რომ ზარბაზნებმა მათიუშის
დაცარიელებულ სანგარებს ყუმბარები დაუშინა. ესროლა და ესროლა.
მათიუშის ბანაკში სიცილით იხოცებოდნენ. ჟარისკაცები.

მათიუში ბორცვზე იდგა და საველე ბინოკლით იყურებოდა.

– ო, უკვე მოდიან.

ზოგი მობოდა, ზოგი ფრთხილად მოხოხავდა. სანგრებიდან თანდათან უფრო
მეტი ჯარისკაცი ამოდიოდა. ჟერ შემკრთალები ჩანდნენ, მერე და მერე
გათამამდნენ. მათიუშის სანგრების მდუმარება ზოგს ახარებდა, ზოგს შიშის
ზარს სცემდა.

უეცრად ცაში ოცი თვითმფრინავი აიჭრა და პირდაპირ ქალაქისკენ აიღო
გეზი.

ვაი, რომ მათიუშს მხოლოდ ხუთი თვითმფრინავი ჰქონდა! დანარჩენები
ბავშვებს გაეოხრებინათ.

გაიმართა უსასტიკესი საჰაერო ბრძოლა. მათიუშის მეზობლებმა მტრის
ექვსი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მაგრამ აღარც მათი თვითმფრინავები
ვარგოდა: ზოგი მტერმა ჩამოაგდო, ზოგი კი ისე დაზიანდა, იძულებული გახდა,
დამჯდარიყო.

ბრძოლის დასაწყისში ყველაფერი ისე დატრიალდა, როგორც სამხედრო
საბჭოზე იწინასწარმეტყველეს.

მტერმა წინა სანგრები რომ დაიკავა, გამარჯვების ყიჟინა დასცა:

– აჰა, გაქცეულან! შეეშინდათ, ზარბაზნები მართლა არა ჰქონიათ! ვაჰ, რა
ფაცხაფუცხით გაქცეულან, არაყის წაღებაც კი ვერ მოუსწრიათ!

მათარები დაიტაცეს და წამდაუწუმ პირზე იყუდებდნენ.

– იფ, რა კარგია, აბა, დაღია!

სვამდნენ, იცინოდნენ, ხორხოცებდნენ და იქ დასაბინავებლად ემზადებოდნენ.

– რა გვეჩქარება, აქაც კარგად ვართო!

მაგრამ ახალგაზრდა მეფე ჯიუტად იმეორებდა:

– დღეს უსათუოდ უნდა შევიდეთ ქალაქში.

მოათრიეს ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები.

გაისმა ბრძანება:

– შეტევაზე!

უარისკაცებს თავი უბრუნოდ, შეტევაზე უწადინოდ მიდიოდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, ბრძანება უნდა შეესრულებინათ. როცა უსიამოვნო საქმე გაქვს გასაკეთებელი, ჯობია მალე მოიშორო თავიდან. და ჯარისკაცებიც ჯიქურ გაემართნენ მათიუშის პირველი სანგრისკენ.

ამ დროს ზარბაზნება დაიქუსეს, ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ, ტყვია წვიმასავით წამოვიდა. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ტყვიას ისრებიც მოჰყვა.

იმავე წუთს მათიუშის ბანაკში ველური ღრიალი გაისმა, აბრახუნდა დოლები, და დაფდაფები, აწივლდა სტვირები.

ამ დროს სანგრებიდან შავი მებრძოლები ამოხტნენ. რაღაც ტანმომცროები არიან ეს ზანგები, მაგრამ იქნებ შორიდან ჩანან პატარები? ბევრნიც არ უნდა იყვნენ, თუმცა მაინც საკმარისად არიან, თანაც ჯარისკაცებს ერთი კაცი ორად ეჩვენებათ, ყურებიც უმსუით.

ამ დროს ისრებით დაფუცხუნებული და გახურებული რკინით ელდანაცემი ლომები და ვეფხვები პირდაპირ მოიერიშე მტრის რიგებს შესკდნენ. ტყვიით მოკლული ასი კაცი მებრძოლს ისე ვერ გაუხეთქავდა გულს, როგორც ლომების დაფლეთილი ერთი ადამიანი. ამისთანაა სანახაობა ხომ კაცს არ მოსწრებია! თითქოს ნადირის ეშვი ტყვიაზე საშინელი იყოს!

ძნელია იმისი აღწერა, რა ამბავიც იქ დატრიალდა. ზოგმა ჯარისკაცმა თოფი გადააგდო და გაგიჟებული გავარდა მავთულხლართისკენ. ზოგმა პირი იბრუნა და უკან გაიქცა, მაგრამ იმათ თავისივე ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს. ისე რომ, ჯარისკაცებს ეგონათ, ალყაში ჩავცვივდითო, ორი მხიდან გვესვრიანო. თავგზააბნეულები ან მიწაზე გაიშხლართებოდნენ, ან ხელებს მალლა სწევდნენ, გნებდებითო.

მტრის ცხენოსან ჯარს შეტევისთვის ხელი უნდა შეეწყო, ზურგიდან უნდა გაემაგრებინა, მაგრამ ამ აურზაურში თავიანთ ტყვიამფრქვევებს მიაწყდნენ, ცხენებით გათელეს და დატორეს.

იდგა ერთი კორიანტელი, კვამლი, მტკერი. კაციშვილი ველარაფერს ხედავდა, კაციშვილს აღარაფერი ესმოდა. ასე გაგრძელდა ერთ-ორ საათს.

შემდეგში ამ ბრძოლას ისტორიკოსები სხვადასხვანაირად აღწერდნენ. მაგრამ ერთ რამეს კი ყველა ერთხმად აღიარებდა: მსგავსი ბრძოლა ისტორიას არ ახსოვსო.

– ეჰ, ორი საათის სამყოფი ტყვია-წამალი რომ მოგვცა! – ნატრობდა სამხედრო მინისტრი.

მაგრამ არც ტყვია, არც თვითმფრინავი აღარ ჰქონდათ.

– ცხენოსნებო, წინ! – შესძახა მათიუშმა და თავსი თეთრ ლამაზ ცხენს მოახტა.

დიახ, უკანასკნელი გზა ეს იყო: ამ არეულობით უნდა ესარგებლათ და მტერი გაედევნათ, მისი მარაგი ხელში ჩაეგდოთ, მერე ისევ გამოჰკიდებოდნენ და ისე შორს გაერეკათ, ვერც კი გაეგოთ, ვერც მიმხვდარიყვნენ, რომ ბუმ-დრუმის მებრძოლებმა კი არა, ერთმა მუჭა ზანგმა ბავშვებმა და ზოოლოგიური პარკიდან გამოშვებულმა ათიოდე გარეულმა ცხოველმა გაამარჯვებინეს მათიუშს.

მათიუში ცხენს მოახტა. ცხენს მოხტა, ერთხელაც გახედა ქალაქს და სახტად დარჩა.

რა, ეს როგორ შეიძლება, ეს რაღაც საშინელი შეცდომაა! ნამდვილად მეჩვენება!

მაგრამ არა, ყველაფერი მართალი იყო.

ქალაქის ყველა კოშკზე თეთრი ბაირადი ფრიალებდა: დედაქალაქი მტერს ნებდებოდა!

წამსვე აფრონეს ქალაქისკენ შიკრიკი და ბრძანება გაატანეს:

– ჩამოგლიჯეთ ეგ თეთრი ჩურები! მხდალნი და მოდალატენი დაიხვრიტონ!
მაგრამ ვაი, რომ უკვე გვიან იყო.

მტერმა დაინახა სირცხვილისა და მონობის ჩურები, ჯერ გაოცდა, მერე გონს მოეგო.

ომში ერთი პატარა ჭიქა არაყი დაგათრობს და პირველივე ტყვიის ზუზუნნი გამოგაფხიზლებს.

ომში ერთმანეთს ენაცვლება შიში, იმედი, სასოწარკვეთილება და შურისძიება.

ჯარისკაცმა თვალები მოიფშვნიტა. ეს რა არის? სიზმარია თუ ცხადი? მათიუშის ქვემეხები დადუმდნენ, ლომები და ვეფხვები ტყვიით დაცხრილულები ყრია, თეთრი ბაირაღები კი იუწყება, ქალაქი გნებდებათო და ნიშნავს ეს?

ახალგაზრდა მეფე წამსვე ყველაფერს მიხვდა.

– წინ! – ბრძანა გალაღებულმა.

– წინ! – გაიმეორეს ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა.

მათიუში ყველაფერს ხედავდა, მაგრამ აღარაფერი შეეძლო. მათიუში უმწეო იყო.

ისევ თავიანთ სანგრებს მიუბრუნდნენ, გადაყრილი თოფები წამოკრიფეს, მწკრივში ჩადგნენ. თეთრი ბაირაღები გაქრა, მაგრამ რაღა დროს!

მტერი წინ მოიწედა. უკვე მავთულხლართს ჭრიდნენ.

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, – ხმა აუთრთოლდა ერთ მოხუც გენერალს.

მათიუშმა იცოდა, რაც უნდა ეთქვა გენერალს. მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა, მიტკალივით გაფითრებულმა ნელა და ხმამაღლა თქვა:

– მე მომყვეს, ვისაც სიკვდილი უნდა.

სურველი ცოტა იყო. ფელეკი, ანტეკი, კლუ-კლუ და რამდენიმე ათეული ჯარისკაცი ამოუდგა მხარში.

– საით გვიბრძანებთ? – ჰკითხეს მეფეს.

– სადაც ლომების გალია დგას. ის იქნება ჩვენი ციხე, სიმაგრე. იქ ვიბრძოლებთ ლომებივით, მეფურად.

– იქ ყველანი ვერ დავეტევით.

– მით უკეთესი, – წაიხურჩულა მათიუშმა.

იქვე ხუთი მანქანა იდგა. და იარაღისა და ყუმბარის წადებაც შეიძლებოდა, ყველაფერი წაიღეს, ჩასხდნენ მანქანებში და წავიდნენ.

ამ ადგილს გაშორდნენ, მათიუშმა უკან მიიხედა.

ბანაკის თავზე თეთრი დროშა ფრიალებდა.

მათიუში ჩაფიქრდა. როგორ დასცინა ბედმა! ცოტა ხნის წინა ქალაქს უბრძანა, ეგ სამარცხვინო ლაქა მოიშორეთო, ახლა კი რამდენიმე ყუმბარით შეშინებული ქალაქი, მოხუცები, ქალები და ბავშვები კი არა, მისი არმია, მისი ჯარი, უმწეო და ღონეგამოლეული ჯარი ნებდებოდა მტერს.

– კიდევ კარგი, რომ მეც მათთან არა ვარ, – თქვა მათიუშმა. – ნუ სტირი, კლუ-კლუ, ჩვენ დიდებულად დავიხოცებით. იმას მაინც აღარ იტყვიან, მეფეები ერთმანეთს ეომებიან და ჯარისკაცები იხოცებიანო.

ღირსეულად სიკვდილი მისი ერთადერთი სურვილი იყო და უცბად ცნობისწადილმა შეიპყრო:

– ნეტავ ჩემი მტრები როგორ დამასაფლავენ?

მაგრამ მათიუშს არც ამ სურვილის ასრულება ეწერა. წამიერი ტანჯვის მაგივრად, ბედმა ჯერ გაუთავებელი დამცირება და ტკივილები მიჰკერძა, შემდეგ კი მწარე სინანულის წლები არგუნა.

ჯარი მტერს დანებდა. მათიუშის მთელ სახემწიფოში ერთადერთი თავისუფალი ადგილი დარჩა. ეს ის ადგილი იყო, სადაც ლომების გალია იდგა.

მტერმა ჯერ ძალით სცადა ამ ციხესიმაგრის აღება, მაგრამ ამაოდ. მერე პარლამენტორი მიუგზავნა. მაგრამ პარლამენტორი თეთრი ბაირალით მიდიოდა მათიუშთან და ესეც საკმარისი გახდა, რომ ტყვიას თავი გაეჩეხქვა, კლუ-კლუს ნატყორცნ ისარს კი გული გაეპო მისთვის.

- პარლამენტორი მოკლა.
- საერთაშორისო სამართალი შებღალა.
- დანაშაული ჩაიდინა.
- სად გაგონოლა ასეთი ამბავი!
- ქალაქი სასტიკად უნდა დაისაჯოს მისი მეფის დანაშაულის გამო.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, ქალაქს უკვე ნათქვამი ჰქონდა: მათიუში ჩვენი მეფე არ არისო. მტრის თვითმფრინავები ქალაქს რომ ბომბავდნენ, მდიდარი და წარჩინებული მოქალაქენი სათათბიროდ შეიყარნენ.

- გვეყო, რაც იპარპაშა ამ თავსინათქვამმა ბავშვმა. გვეყო ამ გადარეულის მტარვალობა. უფრო უარეს დღეში ჩავცვიცდებით, თუ ახლაც გაიმარჯვა. გვირჩევნია, დამარცხდეს, განადგურდეს, თორემ არ იცი, როდის რა მოეგუნებებათ იმას და იმის ფელეკს!

ზოგიერთები მათიუშს იცავდნენ.

- რაც უნდა იყოს, ბევრი კარგი რამეც გააკეთა. გამოუცდელი იყო და ამიტომ ხშირად ცდებოდა ხილმე. ისე კი, გონებანათელი, ნიჭიერი ბიჭია და ცხოვრებამაც ჭკუა ასწავლაო.

ვინ იცის, იქნებ მათიუშის მომხრეებს გაემარჯვათ კიდევ, მაგრამ ამ დროს ისე ახლოს ჩამოვარდა ყუმბარა, რომ სხდომათა დარბაზში შუშები ჩაილეწა.

- გამოჰკიდეთ თეთრი დროშები! - დაიძახა ვიღაც შიშით დაზაფრულმა.

გამბედაობა აღარავის ეყო, წინაღსდგომოდა ამ ბინძურ დალატს.

შემდეგ რაც მოხდა, ის ხომ უკეთ იცით.

კაპიტულაციის სამარცხვინო დროშები ააფრიალეს და აქტი შეადგინეს, რომ ქალაქი უარყოფდა მათიუშს, ჩვენი მეფე არ არის, მაშ არც მის სისულელეებზე პასუხს არ ვაგებთო.

- კმარა ეს კომედია! - იყვირა ახალგაზრდა მეფემ. - მთელი სახელმწიფო დავიპყართ, ეს საქათმე რა გახდა! ბატონო არტილერიის გენერალო, ზარბაზანი დაუმიზნეთ და იმ ბუდრუგანას ორივე მხარეს ესროლეთ. თუ ის უჯიათი და კერპი მათიუში მაინც არ გამოძვრა, პირდაპირ ესროლეთ და გაანადგურეთ მგლის ლეკვის ბუნავი.

- მესმის! - თავი დაუკრა არტილერიის გენერალმა.

ამ დროს სევდიანი მეფის ხმა გაისმა:

- თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, გთხოვთ, ნუ ივიწყებთ, რომ აქ მარტო თქვენ არ ბრძანდებით. აქ გახლავთ სამი არმია და მეფენიც სამნი ვართ.

- ახალგაზრდა მეფემ ტუნზე იკბინა.

- - მართალს ბრძანებთ, სამნი ვართ, მაგრამ ყველას ერთნაირი უფლება არა გვაქვს. ომი მე დავიწყე და ბრძოლის მთავარი მონაწილე მე გახლდით.

- - და გაქცევითაც თქვენი მეფური უდიდებულესობის ჯარი პირველი გარბოდა ბრძოლის ველიდან.

- - მაგრამ მე არ ვაგუშვი.

- - რა თქმა უნდა! თქვენი უდიდებულესობა ხედავდა, რომ გაჭირვების ჟამს ჩვენ დაგეხმარებოდით.

- ახალგაზრდა მეფემ არაფერი უპასუხა. ეს მართალი იყო, გამარჯვება ძვირად დაუჯდა: ჯარისნახევარი გაწყდა, ბევრი დასახინრდა და ომში აღარ გამოდგებოდა. ასეთ დღეში მყოფს ცოტა სიფრთხილე მართებდა, რომ ორი მოკავშირე უცბად მტრად არ გადაჰკიდებოდა.

- - მაშ რას გვიბრძანებთ, როგორ მოვიქცეთ? - ჰკითხა უხალისოდ.

- - ასანქარებელი არაფერი გვჭირს. ნადირის გალიაში თავშეფარებული მათიუში ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. ზოოპარკის გარშემო ალყა შემოვარტყათ. იქნება მათიუში შიმშილმა აიძულოს დაგვენებდეს. ამასობაში კი მოვითათობირებთ, როგორ მოვიქცეთ, რა ვუყოთ, თუ ხელში ცოცხალი ჩავიგდეთ.

- - მე ვფიქრობ, მაშინვე უნდა დაიხვიტოს.

- - მე კი მგონია, რომ ისტორია არასოდეს არ გვაპატიებს, თითოც რომ გაეკაწროს ამ საბრალო მამაც ბავშვს, - მტკიცედ მიუგო სევდიანმა მეფემ.

- - ისტორია სამართლიანია, - იყვირა გაცოფებულმა ახალგაზრდა მეფემ. - და თუ ვინმეს ბრალი მიუძღვის ამ სისხლისღვრაში, ასობით ჯარისკაცის ამოხოცვაში, ის უკვე ბავშვი კი არა, დამნაშავეა.

- მესამე მეფე, ყვითელკანიან მეფეთა მეგობარი, დუმდა. ორმა მოჩხუბარმა მეფემ მშვენივრად იცოდა, რომ ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც ეს მესამე მეფე მოინდომებდა. ეს მეფე კი ძალიან ჭკვიანი იყო.

- 'რატომ ავადელვო მათიუშის მეგობარი შავი მეფეები? - ფიქრობდა ყვითელკანიანთა მეგობარი. - მათიუშის მოკვლა აუცილებელი არ არის. შეგვიძლია სადმე უკაცრიელ კუნძულზე გადავასახლოთ. ჭავიდეს იქ და იჯდეს იქ! არც მწვადი დაიწვება და არც შამფური“.

- მართლაც, ასეთი ხელშეკრულება დადეს.

- პირველი მუხლი: მათიუშ მეფე ცოცხლად ჩავიგდოთ ხელში.

- მეორე მუხლი: მათიუშ მეფე გადავასახლოთ უკაცრიელ კუნძულზე.

- მესამე მუხლზე ისევ დავა გაიმართა. სევდიანი მეფე მოითხოვდა, მათიუშს ნება მიეცეს, კუნძულზე ათი კაცი წაიყვანოს, ვისაც თვითონ მოისურვებსო.

- ახალგაზრდა მეფე არ თანხმდებოდა.

- მათიუშს გააცილებს სამი ოფიცერი და ოცდაათი ჯარისკაცი, თითო გამარჯვებული მეფისგან - თითო ოფიცერი და ათი ჯარისკაცი.

- ორ დღეს იდავეს, ბოლოს ორივემ ცოტ-ცოტა დათმო.

- - კარგი, - თქვა ახალგაზრდა მეფემ. - ათი მეგობარი ეახლოს, ოღონდ ერთი წლის შემდეგ. მათიუშს ჯერ გამოეცხადოს, რომ სიკვდილი აქვს მისჯილი, მხოლოდ ბოლო წუთებში გავაგებინოთ შეწყალების ამბავი. ხალხმა უსათუოდ უნდა დაინახოს, როგორ იტირებს მათიუში, უსათუოდ უნდა მოისმინოს, როგორ ითხოვს მოწყალებას. იქნებ მაშინ მაინც გაიგოს ამ შტერმა ხალხმა, რომ მათიუში გმირი კი არა, ერთი თავხედი და მხდალი ბიჭია. ასე რომ არ მოვიქცეთ, რამდენიმე წლის შემდეგ ხალხი შეიძლება აჯანყდეს და მათიუშის დაბრუნება მოითხოვოს. მათიუში მაშინ უკვე დიდი იქნება და, მაშასადამე, უფრო საშიშიც.

- - ამდენს ნუ დაობთ, - თქვა ყვითელკანიანთა მეგობარმა მეფემ, - თორემ ამასობაში მათიუში შიმშილით მოკვდება და მარტო კამათილა შეგრჩებათ.

- სევდიანმა მეფემ დაუთმო და ხელშეკრულებაში ორი ახალი მუხლი ჩაწერეს.

- - მესამე მუხლი: მათიუშს გაასამართლებს საველე სასასმართლო და მიუსჯის სიკვდილს. მხოლოდ ბოლო წუთებში შეწყნარებენ გამარჯვებული მეფეები.

- მეოთხე მუხლი: პირველ წელიწადს მათიუში მარტოკა გაატარებს. მას უყარაულებენ მცველები. ერთი წლის შემდეგ უფლება ეძლევა, ათი კაცი წაიყვანოს, თუ მოისურვებენ მასთან წასვლას.

- ამის შემდეგ დაიწვეს სხვა მუხლების დამუშავება. თათბირობდნენ, რომელ მეფეს რამდენი ქალაქი და ფული ერგებოდა, რა უნდა დაეტოვებინათ დედაქალაქისთვის.

- ამ დროს მეფეებს მოახსენეს, ერთი უცხო ბატონი თხოულობს თათბირზე დასწრებას, ამბობს, ძალიან დიდი საქმე მაქვსო.

- ეს უცხო ბატონი გახლდათ ქიმიკოსი, რომელსაც ძილის მომგვრელი გაზი გამოეგონებინა. ამ გაზს ბაღში რომ შეუშვებდნენ, შიმშილისგან დასუსტებულ მათიუმს ისე ღრმად ჩაეძინება, შეგიძლიათ შეკრათ და ბორკილებიც დაადოთო.

- – თუ გნებავთ, ცხოველებზე სცადეთ, – შესთავაზა ქიმიკოსმა.

- მაშინვე ერთი ბაღონი მოიტანეს, სამეფო საჯინბოდან ნახევარი ვერსის დაშორებით დადგეს და საჯინბოში წყლის მსგავსი გაზის ნაკადი მიუშვეს. ნაკადი წამში ორთქლდებოდა. მთელი საჯინბო კვამლით აივსო. ყველაფერს ხუთი წუთი დასჭირდა.

- საჯინბოში რომ შევიდნენ, ცხენები ჩაძინებულები დახვდათ. ნამჯაზე მიწოლილი მეჯინბე ბიჭიც კი ღრმა ძილში იყო წასული. ბევრი ანჯღრეის, ყურთან სროლაც აუტეხეს, მაგრამ არაფერიც არ გაუგონია. ერთი საათის შემდეგ ბავშვმაც და ცხენებმაც გაიღვიძეს.

- ცდამ შესანიშნავად ჩაიარა. გადაწყდა, რომ მათიუმისთვის დღესვე მოეხსნათ ალყა.

- დროც იყო, იმიტომ, რომ მთელ სამ დღეს არაფერი ეჭამა. ყველაფერს თავის ერთ მუჭა მეგობრებს აძლევდა.

- – ჩვენ უნდა შევძლოთ, ერთ თვეს დავიცვათ თავი.

- მათიუმს იმედი ჰქონდა, დედაქალაქის მცხოვრებლები მოინანიებდნენ თავიანთ საქციელს და მტერს გაანადგურებენო.

- ამიტომ, როცა მათიუმმა დაინახა, რომ ბაღში ვიღაც მოქალაქეები ირეოდნენ, გაიფიქრა, ალბათ, დედაქალაქის დელეგაციააო, და ბრძანა, არ ესროლათ.

- მაგრამ ეს რა ამბავია?

- წვიმაა, წვიმა არ არის: რაღაცნაირი ცივი სითხე ისე ეცა ფანჯარას, რომ რამდენიმე შუშა ჩაიმსხვრა. მერე ყველაფერი ნისლმა და კვამლმა შთანთქა. მოტკბო-სულისშემხუთავი სუნი დადგა. მათიუმს ვერ გაეგო, სასიამოვნო სუნი იდგა თუ უსიამოვნო. უცბად მტერს ეშმაკობას მიუხვდა და თოფი აიტაცა, მაგრამ ხელები დაუმძიმდა. ახლა მხედველობა დაძაბა, რომ გარეთ გაეხვდა და დაენახა, რა ხდებოდა.

- – ყურადღება! – ძლივს დაიძახა.

- სული ესუთებოდა, თვალები ესუჭებოდა. ბოლოს თოფი ხელიდან გაუვარდა. მათიუმში დაიხარა ასაღებად, მაგრამ ვეღარ ადგა.

- მას უკვე აღარაფერი უნდოდა.

- მას დაავიწყდა, სად იყო.

- მათიუმს ჩაეძინა.

ვაი ამ გამოღვიძებას!

მათიუმმა ერთხელ უკვე გამოსცადა ტყვეობა, მაგრამ მაშინ მტერმა არ იცოდა, რომ მისი ტყვე მეფე იყო. ახლა კი იცოდა.

ახლა მათიუმს ხელბორკილები ედო. ის საკანს ფანჯრები ძალიან მაღლა, თითქმის ჭერთან ჰქონდა. ძზდ მსხვილი გისოსები აეკრათ. მძიმე რკინის კარზე პატარა მრგვალი სარკმელი გამოეჭრათ და მცველი ჯარისკაცი წარამარა ამ სარკმლიდან შეიხედავდა ხოლმე.

მათიუმს ყველაფერი გაახსენდა: დიდხანს იწვა თვალგახელილი და ფიქრობდა:

‘რა ვქნა?’

მათიუმში ისეთი ადამიანი არ იყო, რომ ჭირში ჩავარდნილს მარტო იმაზე ეფიქრა, ეს რა დამემართაო. არა, ყოველთვის იმას ფიქრობდა, როგორ მოვიქცე, ამ უბედურებას რით ვუშველოო.

მაგრამ თუ ის არ ეცოდინებოდა, რაც მოხდა, იმას როგორღა მოიფიქრებდა, რა უნდა ექნა, რა უნდა გაეკეთებინა? მათიუშმა კი არ იცოდა, რა მოხდა.

თვალგახელილი იწვა კედელთან მიგდებულ ნამჯის ლეიბზე და ფიქრობდა. ცოტა ხნის შემდეგ კედელზე წყნარად დააკაკუნა, ვინმე გამომეპასუხოსო. შეიცადა, მერე კიდევ დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოსხმაურებია.

ნეტავ კლუ-კლუ სად არის, ან ფელეკს რა დაემართა, ან ქალაქში რა ამბავია?

რკინის კარში გასაღებმა გაიხსაკუნა და საკანში მტრის ორი ჯარისკაცი შემოვიდა. ერთი კართან დადგა, მეორემ მათიუშს ფინჯანი რძე და ერთი ფუნთუშა მოუტანა. მათიუშს ჯერ უნდოდა, რძე იქვე გადაეღვარა, მაგრამ მერე გაიფიქრა, ამას რა აზრი აქვსო: რაც მოხდა, მოხდა, ომი წავაგე, ტყვედ ჩავვარდი, მშია, მე კი ძალ-ღონე მჭირდებაო.

წამოჯდა, რკინის ბორკილების ქლარუნით ძლივს აიღო ფინჯანი.

ჯარისკაცი იდგა და უყურებდა.

მათიუშმა ფუნთუშა შეჭამა და ჯარისკაცს უთხრა:

– ძუნწები ყოფილან თქვენი მეფეები. ერთი ფუნთუშა რა არის! ჩემთან სტუმრად რომ იყვნენ, ამაზე უკეთესად ვკვებავდი. მოხუც მეფესაც კი დიდებულად ვმასპინძლობდი, ტყვედ როცა მყავდა. მე კი სამი მეფე მკვებავს და ერთი ფინჯანი რძე და ერთი ფუნთუშა ძლივს მომართვეს!

და მათიუშმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

ჯარისკაცებს არაფერი უთქვამთ. მცველებს აკრძალული ჰქონდათ ტყვესთან გამოლაპარაკება. მაგრამ საკნიდან გავიდნენ თუ არა, ყველაფერი საპატიმროს ზედამხედველს უამბეს. ზედამხედველმა ტელეფონით იკითხა, როგორ მოვიქცეო.

ერთ საათში მათიუშს სამი ფუნთუშა და სამი ფინჯანი რძე მიართვეს.

– ო, ეს კი ძალიან ბევრია. მე არ მინდა, ჩემს კეთილისმყოფელებს ვაწყენინო, ამიტომ თითოსგან თითო ფუნთუშას ავიღებ, ერთი კი თქვენ აიღეთ, თუ შეიძლება.

მათიუში კარგად დანაყრდა, მიწვა და მიიძინა. არგა დიდხანს ეძინა. ალბათ, უფრო დიდხანს ეძინებოდა, მაგრამ შუადამისას გააღვიძეს:

– ყოფილი რეფორმატორი მეფე მათიუში ღამის თორმეტ საათზე გასამართლებულ იქნება სამხედრო ტრიბუნალის მიერ, – სამი მეფის ბეჭედდასმული ბრძანება წაუკითხა მტრის სამხედრო ბრალმდებელმა. – გთხოვთ, ფეხზე აბრძანდეთ.

– გთხოვთ, მოსამართლეებს მოახსენოთ, რომ ბორკილები მომხსნან. ძალიან მძიმეა და ფეხები მატკინა.

ბორკილებმა მათიუშს მართლა კი არ ატკინა ფეხები, მაგრამ მას უნდოდა სასამართლოზე მოხდენილი და ღაზათიანი ყოფილიყო. დიდი პატიმრების რკინის ბორკილები კი ფეხებში ებლანდებოდა.

მათიუშმა თავისი გაიტანა: მალე რკინის მძიმე ბორკილები ოქროს ნაზი, თხელი ძეწკვით შეუცვალეს.

ამაყად თავაწეული, მსუბუქი ნაბიჯით შევიდა საპატიმროს იმავე დარბაზში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ თავის დაპატიმრებულ მინისტრებს მოელაპარაკა და ხელწერილი დაადებინა.

მათიუშმა მიიხედ-მოიხედა.

მაგიდას სამი მეფის გენერლები შემოსხდომოდნენ. მეფეები მარცხენა მხარეს ისხდნენ. მარჯვნივ ვიღაც ფრაკიან-თეთრ-ხელთათმანიანი სამოქალაქო პირები ჩამწკრივებულიყვნენ. ნეტავ ვინ არიან? რატომღაც სულ თვალს არიდებდნენ და მათიუშმა ვერ გაარჩია, ვინ იყვნენ.

საბრალდებო აქტი ასეთი იყო:

1. მათიუშ მეფემ დაწერა მიმართვა ბავშვებისადმი, რომ აეჯანყებინა და დიდებს აღარ დამორჩილებოდნენ.

2. მათიუშმ მეფეს სურდა, საერთაშორისო რევილუცია მოეხდინა, რომ მსოფლიოს მეფე გამხდარიყო.

3. მათიუშმა მოკლა მასთან თეთრი ბაირადით მიმავალი პარლამენტიორი. მათიუში მაშინ უკვე მეფე აღარ იყო და ამიტომ პასუხს აგებს, როგორც ჩვეულებრივი დამნაშავე. მას უნდა მიესაჯოს ან ჩამოსხრნობა, ან დახვრეტა.

– რით შეუძლია მათიუშს, თავი იმართლოს?

– მე ბავშვებისადმი მიმართვა არ დამიწერია, ეს ტყუილია. პარლამენტიორის მოკვლის დროს მეფე აღარ იყავიო, რომ ბრძანებთ, ესეც ტყუილია. ის ამბავი კი, მინდოდა თუ არა მსოფლიოს მეფე გავმხდარიყავი, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მე ვიცოდე, სხვამ არავენ.

– კარგი. ბატონებო, გთხოვთ, თქვენი გადაწყვეტილება წაიკითხოთ, - მიუბრუნდა თავმჯდომარე ფრაკიან და თეთრხელთათმანებიან მოქალაქეებს.

იმთავც, რა ექნათ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც უნდა წაეკითხათ. დგა ერთ-ერთი მათგანი და ქაღალდით გადაფითრებულმა ხელების კანკალით წაიკითხა:

– ჩვენ, ბრძოლის დროს დედაქალაქში თავშეყრილები, იმის გამო, რომ ყუმბარები ჩვენს ქალაქს ანგრევს და ანადგურებს, და იმის გამოც, რომ ჩვენს სხდომის დარბაზშიც კი ყუმბარებისგან შუშები ჩაიმსხვრა, ჩვენ, ქალაქის მოსახლეობა, ჩვენი ცოლ-შვილის გადასარჩენად უარს ვამბობთ მათიუშზე, უარყოფთ მის მეფობას. დედაქალაქი ტახტსა და გვირგვინს ართმევს მათიუშს. ძალიან ვწუხვართ, მაგრამ მეტი გაძლება აღარ შეგვიძლია, ამიტომ თეთრ დროშებს ვკიდებთ იმის ნიშნად, რომ ომი არ გვინდა, და ვაცხადებთ: დღეიდან ჩვენი მეფე კი არა, უბრალოდ მათიუში ომობს და პასუხიც ყველაფერზე მან უნდა აგოს. ჩვენ არაფერ შუაში ვართ.

თავმჯდომარემ მათიუშს კალამი მიაწოდა.

– გთხოვთ, ხელი მოაწეროთ.

მათიუშმა კალამი გამოართვა, ერთ წუთს დაფიქრდა და ქაღალდის ბოლოში მიაწერა:

‘სამშობლოს გამყიდველი მოღალატეებისა და ლაჩართა ბრბოს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები. მე გახლდით და შემდეგშიც ვიქნები მეფე მათიუშ პირველი‘.

მერე მიწერილი ხმამაღლა წაიკითხა.

– ბატონო მოსამართლე გენერლებო, – მიუბრუნდა მათიუში თავის მტრებს, – თუ ჩემი გასამართლება გინდათ, მე მოვითხოვ, მიწოდოთ მეფე, იმიტომ, რომ მე გახლავართ მეფე, მეფე ვიქნები მთელი სიცოცხლე და მეფედ დავრჩები სიკვდილის შემდეგაც. თუ ეს თავშეყრა სასამართლო კი არა, დამარცხებულ მეფეზე აღსრულებული ბოროტმოქმედებაა, სირცხილი თქვენ, როგორც ადამიანებს და როგორც ჯარისკაცებს! რაც მოგესურვებათ, ის ილაპარაკეთ. ჩემგან პასუხს ვერ ეღირსებით.

გენერლები მოსათათბირებლად გავიდნენ. მათიუში თავისთვის იჯდა და რაღაც ჯარისკაცულ სიმღერას უსტვენდა.

გენერლები დაბრუნდნენ.

– მათიუშ, აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ დაწერეთ მიმართვა მთელი მსოფლიოს ბავშვებისადმი, – ჰკითხა თავმჯდომარე გენერალმა.

პასუხი არ მიუღია.

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ დაწერეთ მიმართვა მსოფლიოს ბავშვებისადმი, – ჰკითხა გენერალმა.

– არა, მე ასეთი მიმართვა არ დამიწერია..

– შემოიყვანეთ მოწმე, – ბრძანა მოსამართლემ.

დარბაზში ჯაშუში ჟურნალისტი შემოვიდა. მათიუში არ შემკრთალა.

– აი, მოწმე, – უთხრა მოსამართლემ.

– დიას, მე ვარ მოწმე, რომ მათიუშს ნამდვილად უნდოდა მთელი მსოფლიოს ბავშვთა მეფობა, – თქვა ჟურნალისტმა.

– მართალია? – იკითხა მოსამართლემ.

– მართალია, – მიუგო მათიუშმა. – მინდოდა. ალბათ, გავხდებოდი კიდევ, მაგრამ მიმართვაზე ყალბი ხელმოწერაა. ამ ჯაშუშმა ჩემ მაგიერ მოაწერა ხელი. მაგრამ ეს კი მართალია, რომ მე მსურს ბავშვების მეფე ვიყო.

მოსამართლეები დააკვირდნენ მათიუშის ხელმოწერას და თავი გადააქნიეს, ვითომც, ვერ ვატყობთ, ყალბია თუ არაო.

მაგრამ ახლა უკვე სულ ერთი იყო, რას იტყოდნენ; მათიუში თვითონ გამოტყდა.

ბრალმდებელი დიდხანს ლაპარაკობდა.

– მათიუში უსათუოდ სიკვდილით უნდა დაისაჯოს, თორემ არც წესრიგი იქნება და არც მშვიდობიანობა.

– მათიუშ, ხომ არ ისურვებდით, ვინმეს სიტყვა ეთქვა თქვენს დასაცავად.

პასუხი არ მიუღიათ.

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, ხომ არ ისურვებდით, რომ ვინმეს სიტყვა ეთქვა თქვენს დასაცავად.

– სრულიად ზედმეტია, – მიუგო მათიუშმა. – უკვე გვიანია, დრო იკარგება, დაძინება სჯობია.

მათიუში ომახიანად ლაპარაკობდა. ერთი შეხედვით, ვერავინ შეატყობდა, რა ჯოჯოხეთი უტრიალებდა სულში. გადაწყვეტილი ჰქონდა, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ამაყად და მხნედ ყოფილიყო.

მოსამართლეები მეორე ოთახში გავიდნენ, ვითომ უნდა მოეთათბირათ. მალე დაბრუნდნენ და განაჩენი გამოიტანეს.

– დაიხვრიტოს.

– დაიხვრიტოს.

– გთხოვთ, ხელი მოაწეროთ, – უთხრა თავმჯდომარემ.

პასუხი არ ღირსებია.

– თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ, რომ სასამართლო კანონიერი იყოს.

მათიუშმა ხელი მოაწერა.

და უცბად ერთი ფრაკიან-თეთრხელთათმანებიანი ბატონი მუხლებზე დაეცა, მათიუშს ფეხებზე მოეხვია და თავლცრემლიანმა შეჰლაღაღა:

– საყვარელო მეფევ, მაპატიე ეს უნამუსო დალატი, ახლადა დავინახე, რა ჩავიდინე! ჩვენ რომ ლაჩრულად არ მოვქცეულიყავით, ახლა ესენი კი არ უნდა გასამართლებდნენ, შენ უნდა ასამართლებდე ამათ.

ჯარისკაცებმა ეს კაცი ძლივს მოჰგლიჯეს მეფეს. ვაი, რომ უკვე გვიან იყო თითზე კბენანი!

– ღამე მშვიდობისა, ბატონო მოსამართლენო, – დაემშვიდობა მათიუში მოსამართლეებს და მეფურად, დარბაისლურად, ამაყად გავიდა დარბაზიდან.

ხმლებგაშიშვლებული ოცი ჯარისკაცი მიჰყვებოდა დერეფანში და საკნამდე მათ მიაცილეს.

მათიუში მაშინვე იატაკზე დაგებულ ლეიბზე მიწვა და თავი მოიმძინარა.

შემოვიდა მღვდელი. მათიუშს რომ დახედა, შეებრაღა მიძინარე და არ გააღვიძა. თვითონ ილოცა, სიკვდილმისჯილთა ლოცვა წაუკითხა და გავიდა.

მათიუში თვალდახუჭული იწვა, მაგრამ არ ეძინა... რასაც იმ ღამეს განიცდიდა, ეს მის საიდუმლოდ დარჩა.

მოჰყავთ მათიუში.

ხელ-ფეხზე ოქროს ბორკილები ადევს და შუა ქუჩაში მოდის. ქუჩებში ჯარი დგას. ჯარს უკან ქალაქის მოსახლეობა მოზღვავებულა.

მშენებელი დღეა. მზე ჩახახებს. მთელი ქალაქი გარეთ გამოშლიდა, რომ უკანასკნელად შეავლოს თვალი თავის მეფეს. ზოგნი დგანან და ტირიან. მათიუშს ეს ცრემლები არ დაუნახავს. რომ დაენახა, ალბათ, უფრო იოლად გაივლიდა სიკვდილისკენ მიმავალ გზას.

ვისაც მათიუში უყვარდა, კრინტი ვერ დაეძრა, მტრის შიშით ხმამაღლა ვერ გამოეთქვა ეს სიყვარული და მოწიწება. ან რა ეთქვათ? მიჩვეულები იყვნენ, რომ „ვივაც – გაუმარჯოს!“ უნდა დაეყვირათ, ახლა რა დაიძახონ, როცა სიკვდილმისჯილ მეფეს უყურებენ?

ისენი თუ არაფერს ამბობდნენ, სამაგიეროდ ათასი ჯურის ლოთები და მაწანწალები ყვიროდნენ. ახალგაზრდა მეფეს მათიუშის სამეფო ღვინის სარდაფიდან ამ მაწანწალებისთვის არაყი დაეღვეინებინა, რომ უფრო ხმამაღლა ეყვირათ.

ისინიც იდგნენ და ღრიალებდნენ:

– ვაა, მეფე მოდის, მოცუნცულებს. ვაა, რა ერთი ციცქნაა! სტირი, მათიუშ მეფევე? მოდი, ცხვირი მოგწმინდო.

მათიუშმა შუბლი შეიკრა და თავი უფრო მაღლა ასწია, რომ ყველას დაენახა მისი უცრემლო თვალები.

მოდოდა მათიუში, ცასა და მზეს შეჰყურებდა და არ ესმოდა, ვერც ხედავდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. სულ სხა საფიქრალი გასჩენოდა:

‘რა დაემართა კლუ-კლუს? სად არის ანტეკი? რატომ მიღალატა სევდიანმა მეფემ? რა მოელის ჩემს ქვეყანას? ნეტავ დედას და მამას თუ ვნახავ, როცა ტყვია სიცოცხლეს გამომასალმებს?’

ასე გაიარა მთელი ქალაქი, ამ ფიქრით დადგა მოედანზე ამოთხრილ ორმოს წინ, ბოძთან. გაფითრებული და მშვიდი იდგა მაშინაც, როცა ჯარისკაცთა ოცეულმა თოფები გატენა და დაუმიზნა.

ასევე მშვიდად მოისმინა შეწყალების ბრძანება:

– დახვრეტა შეეცვალოს უკაცრიელ კუნძულზე გადასახლებით.

მერე მანქანა მოვიდა და ისევ საპატიმროში წაიყვანეს.

ერთი კვირის შემდეგ კი უკაცრიელ კუნძულზე გაგზავნიან.